

ქართული პოლიტიკა

GEORGIAN POLITICS

GEORGIAN POLITICS

1
2013





www.georgianpolitics.com

E ISSN 1987-8605

ჟურნალის გარეკანის პირველ გვერდზე წარმოდგენილია: ილია ჭავჭავაძის (1837-1907 წ.წ.); ნიკო ნიკოლაძის (1843-1928 წ.წ.) და ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953 წ.წ.) ფოტოები

ჟურნალის გარეკანის მეორე გვერდზე წარმოდგენილია: დიმიტრი ყიფიანის (1814-1887 წ.წ.); ნოე ჟორდანიას (1868-1953 წ.წ.); გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წ.წ.) და ზვიად გამსახურდიას (1939-1993 წ.წ.) ფოტოები

ქართული ჰოლოცოდი

სამეცნიერო ჟურნალი

თბილისი
2013 წელი

მთავარი სარედაქციო საბჭო

- როინ მებრეველი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი, **თავმჯდომარე**
- ლევან ალაქსიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- დავით ბაქრაძე** – საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი
- ნინო ბურჯანაძე** – პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ თავმჯდომარე
- გურამ თაყაიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი
- გუბაზ სანიძე** – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე
- თაღო ჯაფარიძე** – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე
- ზურაბ ჯიბლაძე** – ყურნალის მთავარი რედაქტორი, მთავარი სარედაქციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

პრეზენტა ჯგუფი სახელმწიფო მართვის საკითხებზე

გოგი თოფაძე, ნოდარ ჭითანავა, მიწია უგრესელიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ირაკლი მენაღარიშვილი, დავით იაკობიძე

სარედაქციო კოლეგია

- გურამ თაყაიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თანათავმჯდომარე
- როინ მებრეველი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი, თანათავმჯდომარე
- ლევან ალაქსიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ისა აბდულაივი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**რუსეთის ფედერაცია, დაღესტანი**)
- ზაზა ალაქსიძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ფრიდრიხ გლაზლი** – ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, თსუ -ს საპატიო დოქტორი (**ავსტრიის რესპუბლიკა**)
- ისხაჟ დავიდი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, საქართველოს საპატიო მოქალაქე (**ამერიკის შეერთებული შტატები**)
- სტაფან ვირვალი** – ჰავაის უნივერსიტეტის პროფესორი (**ამერიკის შეერთებული შტატები**)
- ქაინ თაითი** – მონრეალის და ჯენას უნივერსიტეტის პროფესორი (**კანადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**)
- კანტა იბრაჰიმოვი** – ჩეჩნეთის რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი (**რუსეთის ფედერაცია, ჩეჩნეთი**)
- ელდარ ისაილოვი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**აზერბაიჯანის რესპუბლიკა**)
- ავთანდილ კორახაშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ნილ მაჟარაღიანი** – ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (**დიდი ბრიტანეთი**)
- პიროტაჟა მამადა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**იაპონია**)
- ლიანა მელიქიშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- ელგუჯა მამარიაშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- საიდ მილიანი** – ფერეიდუნშაჰრის უნივერსიტეტის პროფესორი (**ირანის სილამური რესპუბლიკა**)
- ვლადიმერ პაპაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ჯოანა რაბულსა** – რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (**პოლონეთის რესპუბლიკა**)
- ჯარი სივასონი** – მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორი (**ავსტრალიის თანამეგობრობა**)
- ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- ბერნარ უბინ** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, აკადემიკოსი (**საფრანგეთის რესპუბლიკა**)
- დავით ყოლაბაი** – ვარშავის უნივერსიტეტის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (**პოლონეთის რესპუბლიკა**)
- ვაჟა ვუბლაძე** – მეცნიერებათა დოქტორი
- ლეო ნიქაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- ჯონი ხაშურიანი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- რამაზ ხაროძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- სტივენ ჯონსი** – მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (**ამერიკის შეერთებული შტატები**)

პოლიტიკური მხსენიარება

როინ მეტრეველი

დიალოგი ძველ საქართველოში
(XII საუკუნის პირველი მეოთხედი)

8

საგარეო პოლიტიკა

ლევან ალექსიძე

დააკნინა თუ არა „კოსოვოს პრეცედენტი“
სახელმწიფოთა საერთაშორისო
თანამეგობრობის ერთგულება გაეროს
წევრ სახელმწიფოთა, საქართველოს
ჩათვლით, ტერიტორიული მთლიანობის
ხელშეუხებლობისადმი?

14

საქართველოს გეოპოლიტიკა და კავკასია

ზაზა ალექსიძე

საქართველოს ადგილი აღმოსავლურ და
დასავლურ ცივილიზაციათა შორის
შუა საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა
თვალთახედვით

34

სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკა

ელგუჯა მემარიაშვილი

საქართველოს ტერიტორიის
თავდაცვისათვის მომზადების
სამხედრო-პოლიტიკური წინაპირობები

41

სამართლებრივი პოლიტიკა

ჯონი ხეცურიანი

სახელმწიფოს მმართველობის ფორმები
და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები
საქართველოში

49

ოთარ მელქაძე

საქართველოში შექმნილი მძიმე
პოლიტიკური ვითარების
კონსტიტუციური პროექცია

57

ეკონომიკური პოლიტიკა

ვლადიმერ პაპავა

რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში
გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის
ზოგიერთი თავისებურების შესახებ

65

რეგიონული პოლიტიკა

ეთერ ხარაიშვილი

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების
კონკურენტუნარიანობა და სოფლის
მეურნეობის განვითარების
პრიორიტეტები

71

სოციალური პოლიტიკა

ლეო ჩიქავა

დემოგრაფიული დატვირთვა და მისი
ზრდის ნეგატიური ასპექტები

79

კულტურის პოლიტიკა

**გურამ ლორთქიფანიძე,
ალექსანდრე ნონეშვილი**

რომის მოქალაქე (Civitas Romana)
ქართველები ახ. წ. II-IVსს.

90

ეთნოპოლიტიკა

ლია მელიქიშვილი

ეთნიკური საზღვრი და მისი სოციალურ-
ფსიქოლოგიური კომპონენტი

96

ახალგაზრდული პოლიტიკა

ვაჟა შუბლაძე

ბავშვთა სპორტის პრობლემები
საქართველოში

102

STEPHEN JONES

Environmental Change And Acute
Conflict In Georgia

110



პატივცემულო მკითხველებო!

მივესალმები სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ გამოცემას.

მაკიაველი პოლიტიკას განსაზღვრავდა როგორც ცოდნას სამართლიანი და ბრძნული მმართველობის თაობაზე. ვფიქრობთ, ამ თეზას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და მივიჩნევთ, რომ როგორც დღევანდელი, ასევე სამომავლო ქართული პოლიტიკაც მხოლოდ მეცნიერული ცოდნის საფუძვლებზე დაყრდნობით უნდა აიგოს და სრულად ითვალისწინებდეს თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა შედეგებს, მის მარეგულირებელ ძირითად პრინციპებსა და ნორმებს.

გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვა მნიშვნელოვნად არის გართულებული. სახელმწიფოს მართვის პროცესში, ყველაზე დემოკრატიული

პროცედურების დაცვის შემთხვევაშიც კი არ ვართ დაზღვეულნი მცდარი გადაწყვეტილებების მიღებისაგან, რასაც, ხშირად, უარყოფით შედეგებამდე მივყავართ. ერთ-ერთი საუკეთესო გზა და საშუალება სწორად დავგეგმოთ პოლიტიკური კურსი, ობიექტურად გავანალიზოთ ქვეყანასა და უცხოეთში არსებული ვითარება და თავიდან ავიცილოთ სერიოზული შეცდომები – არის მსოფლიოში უკვე კარგად აპრობირებული მეცნიერული შეხედულებების ჩვენს მმართველობით საქმიანობაში ფართოდ დანერგვა.

თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება გულისხმობს: ყოველმხრივ მეცნიერულ ექსპერტიზას; კონსულტირების სისტემას; ურთიერთობათა პროფესიონალიზმს. სწორი პოლიტიკა – ყოველთვის არის სახელმწიფო მოღვაწეთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა დაულალავი შრომის შედეგი, მრავალი ადამიანისა და ორგანიზაციის „კოლექტიური გონის“ პროდუქტი. ბუნებრივია, ამ პროცესში, თავისი წონადი სიტყვა სამეცნიერო ჟურნალისტიკამაც უნდა თქვას.

დემოკრატიული, პლურალისტული პოლიტიკური კულტურის ხელშეწყობა საზოგადოების პოლიტიკური განათლების მეშვეობით, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ვფიქრობთ სამეცნიერო ჟურნალი „ქართული პოლიტიკა“ ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებრიობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს პოლიტიკურ ვითარებათა უკეთ გაგებაში, დემოკრატიული ცნობიერების გამყარებაში, გააძლიერებს მათში პოლიტიკური თანამშრომლობისა და პოლიტიკაში პროფესიული კარიერისთვის მზაობას.

ვიმედოვნებთ, ჟურნალი კუთვნილ ადგილს დაუთმობს საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ პრობლემურ – ანალიტიკური ხასიათის მასალების გაშუქებას, რაც, ხელს შეუწყობს საქართველოში ჭეშმარიტი პარლამენტარიზმის დამკვიდრებასა და განვითარებას. საქართველოს პარლამენტი გამოხატავს მუდმივ მზაობას აქტიურად ითანამშრომლოს ჟურნალის სარედაქციო საბჭოსთან, მის კოლეგიასთან, რომელიც ავტორიტეტული ქართველი და უცხოელი მეცნიერებით არის დაკომპლექტებული.

მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალში წარმოდგენილი სტატიების ავტორები, არ შემოიფარგლონ მხოლოდ მწვავე, პრობლემური საკითხების დაყენებით, არამედ შემოგვთავაზონ მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები, მეცნიერული რეკომენდაციები – აი რა გახდის ამ სამეცნიერო გამოცემას საინტერესოს და სასარგებლოს მათთვის, ვინც რთულ სახელმწიფო და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს.

გულწრფელად ვუსურვებ სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ ავტორთა კოლექტივს შემოქმედებით წარმატებებს, ხოლო მკითხველებს – ახალ, საინტერესო შეხვედრებს საყვარელ ჟურნალთან.

**პატივისცემით,
დავით უსუფაშვილი
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე**



ძვირფასო მკითხველებო!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით გულწრფელად მივესალმები ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის – „ქართული პოლიტიკა“ – გამოცემას.

დღეს, საერთაშორისო მეცნიერებაში მეტად აქტუალურია ცოდნისა და მმართველობითი საქმიანობის, მეცნიერებისა და პოლიტიკური პრაქტიკის ურთიერთმიმართების ტრადიციული პრობლემა. წარსულისა და ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერები და მოაზროვნენი, როგორც ჰუმანიტარები, ასევე საბუნებისმეტყველო დარგების წარმომადგენელნი, ეძებენ მეცნიერებისა და სახელმწიფოს მართვის ურთიერთსასარგებლო კავშირებს, ეძებენ „ცოდნაზე დამყარებული

საზოგადოების“ ჩამოყალიბების გზებს.

ვფიქრობ, აკადემიამ დღეს სერიოზული ნაბიჯი უნდა გადადგას იმ თვალსაზრისით, რომ ერის სამსახური და მეცნიერების სამსახური გაერთიანდეს, დაუახლოვდეს ერთმანეთს, რადგან ეს დაახლოება აუცილებელია ერის განვითარებისთვის, ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოში, ისე როგორც სხვა მოწინავე ქვეყნებში, ეს პრობლემა საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილია, რამდენადაც საქართველოს კანონით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ, აკადემია – საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველია.

სამეცნიერო ჟურნალის „ქართული პოლიტიკა“ გამოცემა, რომლის სარედაქციო კოლეგია ძირითადად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებით არის დაკომპლექტებული, იმის მკაფიო მაგალითია, რომ აკადემიის ქართველი და უცხოელი მეცნიერები კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან და მიაწვდიან მათ მეცნიერულ რეკომენდაციებს საქართველოში და უცხო ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური პროექტების მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

როგორც ჩანს, ჟურნალში მრავალი აქტუალური პრობლემა იქნება განხილული, მაგრამ ჩვენ უპირველეს ყოვლისა აქტიურად უნდა ვიფიქროთ იმის თაობაზე, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ქართული ეროვნული იდეოლოგია, ის სახელმწიფოებრივი იდეა, რომელიც გააერთიანებს და გაამლიერებს სრულიად საქართველოს.

იმედს გამოვთქვამ და მჯერა, რომ ჟურნალი წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ ამოცანებს და მისი საქმიანობა ნაყოფიერი იქნება ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით

თამაზ გამყრელიძე

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი,
აკადემიკოსი**



ლიაობი ძვად საქართველოში (XII საუკუნის პირველი მეოთხედი)

როინ მითრევილი

აკადემიკოსი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

რეზიუმე

ცივილიზაციათა დიალოგი, საერთოდ დიპლომატიური დიალოგი ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგის აუცილებელ კომპონენტად დააყენა ჩვენმა ახალმა ეპოქამ, ვითარებამ, ამიტომ პრობლემის ყოველმხრივი შესწავლა-განხილვა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე უკანა პლანზე იყო გადაწეული ძველი საქართველოს დიპლომატიური სამსახურის შესწავლა; იმ ფორმების, მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების შესწავლა, რომელთა საშუალებითაც ქართული სახელმწიფო საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს აღწევდა. არადა ქართული დიპლომატიის ისტორიის კვლევა აქტუალურ ისტორიულ ინტერესს იწვევს (1, I, 5-20).

დიპლომატიური საქმიანობის ორგანიზაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ ფუნქციასთან. ძველი საქართველოს დიპლომატიური საქმიანობის არსენალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიალოგს: შეთანხმებებსა და მისი დამხმარე პროცედურების, წესებისა და რიტუალების განვითარებას.

ამ ნარკვევის მიზანია წარმოვადგინო ინფორმაცია XII საუკუნის I მეოთხედის, ანუ დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში ამ პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შემთხვევითი

არ არის, რომ ტოლერანტობასა და დიალოგს ერთმანეთთან კავშირში მიმოვიხილავთ.

დავით აღმაშენებლის საგარეო-პოლიტიკურ თვალსაწიერში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებს და მათთან ურთიერთობაც ინტენსიური იყო. ჩრდილო-კავკასიის ხალხებში დავითი ხედავდა მნიშვნელოვან ძალას, რომელთაც კავკასიის კონსოლიდაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლოთ (2, 182-209).

XII საუკუნის დასაწყისიდან გარკვეული ურთიერთობა არსებობს საქართველოსა და რუსებს შორის. გვინდა მოვიტანოთ XVII საუკუნის ერთი ცნობა, რომელიც დაცულია ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის შვილის – პავლე ალექსოელის თხზულებაში (“საქართველოს აღწერილობა”, რომელიც კომენტარითა და გამოკვლევით გამოსცა ნ.ასათიანმა).

“საქართველოს აღწერილობაში” თანამედროვე (XVII ს.) ამბებთან ერთად გადმოცემულია, რომ “Давид приде в Русию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу и пошел изгнал нечестивых от места своего и освободи от них”. აქ საუბარია დავით აღმაშენებლისა და ვლადიმერ მონომახის მოლაპარაკება-დიალოგზე, რაც დაკავშირებული უნდა იყოს საქართველოში ყივჩაყთა გადმოსახლებასთან. “ყივჩაყთა მიწა”

ემიჯნებოდა რუსულ სამთავროთა საზღვრებს და, როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს საჭიროდ ჩაუთვლია ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების თაობაზე საკითხი ვლადიმერ მონომახისათვის ეცნობებინა. როგორც ჩანს, იმდროინდელ ძლიერ საქართველოსთან კავშირი ძველი რუსეთის ინტერესებშიც იყო (3, 311-313).

დავით აღმაშენებელმა ოსებთან და ჩრდილო-კავკასიის სხვა მთავრებთან დიალოგის გზით „გზა მშვიდობისა“ შეუქმნა ყივჩაყებს.

საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მომენტი მცდელობა ამ უკანასკნელთა გაქრისტიანებისა. ჯერ კიდევ X საუკუნეში გაქრისტიანდნენ ოსები. აქედან მოკიდებული აშკარად ჩანს მთელი ჩრდილო-კავკასიის ხალხების მისწრაფება საქართველოსკენ, რომელიც კავკასიასა და წინა აზიაში წამყვანი ქვეყანა იყო. ნიშანდობლივია, რომ ოსეთში გადასვლისას დავით აღმაშენებელს თან ახლა გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. როგორც ჩანს, ქრისტიანობის საკითხი ჯერ კიდევ გასატარებელი იყო და სწორედ ამიტომ მეფეც და ჭყონდიდელიც ამ საკითხზე აწარმოებდნენ მოლაპარაკება-დიალოგს. ამ აქტში ცხადია, ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებისათვის ზრუნვა მოჩანს (გ. თოგომვილი, ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე).

ოსები (ალანები) გამოირჩეოდნენ სხვა ჩრდილო-კავკასიელი ეთნიკური ჯგუფებისაგან თავისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. ალანთა სამეფოს („გულქ ალლანი“) მნიშვნელოვანი ტერიტორია ეკავა ჩრდილო-კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში (4, 132).

საქმე ისაა, რომ ოსებსა და ყივჩაყებს შორის მტრული დამოკიდებულება იყო. სწორედ ამიტომ საქართველოს მეფეს ქმედითი ღონისძიებების გატარება მოუხდა ყივჩაყთა საქართველოში ჩამოსაყვანად, რადგან ყივჩაყეთიდან გზა ოსეთზე გადიოდა. საგულისხმოა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით (შევიშნავთ, რომ ეს ცნობა სხვა წყაროებით, მათ შორის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში, არ დასტურდება), დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში იყო გათხოვილი (5, 36), ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამ ცნობას სარწმუნოდ მიიჩნევს (მაგალითად მ. ბროსე) (6, 117), ზოგი კი ფიქრობს, რომ დავით აღმაშენებლის ასული

თუ არა, სამეფო სახლის რომელიღაც სხვა წევრი მაინც უნდა ყოფილიყო ოსეთის სამეფო კარზე გათხოვილი (შ. მესხია).

დავით აღმაშენებლისათვის მნიშვნელოვანი იყო (ყივჩაყთა ჩამოსახლების გარდა) ჩრდილო-კავკასიისა და საქართველოს დამაკავშირებელი საუღელტეხილო გზების დაკავება. როგორც ჩანს, საქართველოს მეფემ დიალოგის გზით, უსისხლოდ გადაჭრა ეს საკითხი. ოსური მხარე ალბათ გაითვალისწინებდა საქართველოს სიძლიერესაც. დავით აღმაშენებელმა დაიკავა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა კავკასიისა მთისათანი“ (7, 319). კავკასიის უღელტეხილების დაკავება უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან (თუ უფრო ადრე არა) ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი (ვასალი) ქვეყანა გახდა (8, 114-117; 141; 14) – დავით აღმაშენებლის „აჩრდილსა შეკრებილ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა...“ (7, 344).

დავით აღმაშენებელს ურთიერთობა ჰქონდა ჩაჩნეთ-ინგუშეთთან (ქართული წყაროების ძურძუკები), დაღესტნის ხალხებთან, ადიღესთან (ჯიქნი-ქაშაგნი). ამ უკანასკნელთან ურთიერთობაში დამაკავშირებელი აფხაზეთი იყო. საქართველოსა და ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ურთიერთობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა – არაერთი ქართული სიტყვა შევიდა, ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ლექსიკურ ფონდში (9, 215). გავრცელდა ქართული დამწერლობა, ხშირია ქართული წარწერები (დაღესტანში 20-მდე ქართული წარწერაა დამოწმებული). შეიმჩნევა ქართული სტილის გავლენა არქიტექტურაში.

საქართველოს XII საუკუნის I მეოთხედში მნიშვნელოვანი ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლებთან – სომხეთსა და შირვანთან. 1118 წელს დავითმა ტაშირ-ზორკერტის სამეფო საქართველოს შემოუერთა – აიღო ლორე. სომეხი ისტორიკოსი ვარდან ბარძებრდეცი გადმოგვცემს, რომ საქართველოს შემოუერთდა ტერუნაკანი, კაინი, კაიწონი, ტავუში, მაჰკანაბერდი და სხვ. (10, 146-147).

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის მიერ შირაკის სამეფოს დედაქალაქის – ანისის თურქ-სელჩუკებისაგან გათავისუფლებასა და საქართველოსათვის შემოერთებას. ანელი თავადები – ქალაქის

ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას – დიალოგს მართავს საქართველოს მეფესთან. საქართველოზე, დავით აღმაშენებელზე სომეხი ხალხის კურსის აღება არ იყო შემთხვევითი. დავით აღმაშენებლის წარმატებები აღაფრთოვანებდა სომეხებს და იმედს უჩენდა, რომ საქართველოს დახმარებით თვითონაც შესძლებდნენ მომხდური მტრის ბატონობისაგან თავის დახსნას (3. მანანდიანი). ანელი თავადების ორიენტაცია საქართველოს მეფეზე წინასწარი შეთანხმება-დიალოგის შედეგი ჩანს. დავით აღმაშენებლის მოქმედება თანაგრძნობასა და მოწონებას პოულობდა სომეხ ხალხში იმიტომ, რომ მათ შორის რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სიახლოვე იყო, თანაც საქართველოს მეფე ებრძოდა სომეხთა დამპყრობლებს. (11, 5-9).

გამომდინარე აქედან, სრულიად ბუნებრივია, რომ სომეხმა ისტორიკოსებმა დიდების შარავანდედით შემოსეს ქართველი მეფე.

საინტერესოა, ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანების საკითხი. სწორედ დავით აღმაშენებლის დროს იჩინა თავი ამ მოვლენამ. საქართველოს მეფე, რომელიც უდიდეს პატივს სცემდა სომხურ სარწმუნოებას (ტოლერანტობა!) და მის აღმსარებლებს ცდილობს სომეხთა და ქართველთა სარწმუნოებრივ გაერთიანებას. აღნიშნული პროგრამის გადასაჭრელად საგანგებო კრება გაიმართა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ „შემოკრიბა ოდესმე წინაშე მეფისა, ნათესავი გულარძნილი... სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამძღვრები მრავალი ფრიად“ (7, 340).

აღნიშნულ დიალოგ-დისკუსიაში საქართველოს მეფის მოწვევით მონაწილეობდა იოანე ქართლის კათოლიკოსი, არსენ იყალთოელი, ეპისკოპოსები, მეუდაბნოენი, მეცნიერნი და სხვ. დიალოგი დილით ადრე დაწყებულა, და „ცხრა ჟამამდე“ გაგრძელებულა, მაგრამ საბოლოო დასკვნამდე ვერ მისულან. მაშინ თვით დავით აღმაშენებელს წარმოუთქვამს სიტყვა, რასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. სომეხებს, რომელთაც „აღიარეს ცხადად ძლეულება თუსი“ მიუმართავთ მეფისთვის „ჩუენ მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქვენთაჲ, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართაჲ, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ-საგონებელნი თქუენნი“ (7, 341).

„ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში მითითებულია, რომ დავით აღმაშენებელმა „მარტივი და ცხადი სიტყვით დააწყნარა ორივე მხარე და კრება გაუშვა“. ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ დავით აღმაშენებელი დიალოგის მომხრეა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს სამეფო კარი დიდ ყურადღებას უთმობდა შირვანთან ურთიერთობის საკითხს. მას შემდეგ, რაც კახეთ-ჰერეთი შემოერთებულ იქნა, შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა. გარკვეული პოლიტიკური შინაარსი იყო ჩადებული დავით აღმაშენებლის ასულის – თამარისა და შირვანშაჰის მემკვიდრის ქორწინებაში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი როცა 1116 წლის ამბებს გადმოგვცემს, აღნიშნავს, რომ „მასვე წელსა ასული თუსი კატა გაგზავნა საბერძნეთს, სძლად ბერძენთა მეფისად, რამეთუ პირველ ამისა პირშო ასული თუსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შირვანისა, რათა, ვითარცა ორნი მნათობნი – ერთი აღმოსავალს, ხოლო მეორე დასავალს, – ცისკროვან ჰყოფდნენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი“ (7, 317). დავით აღმაშენებლის ეს ნაბიჯი გამიზნული იყო შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად.

რაც შეეხება კატას გაგზავნას „ბერძენთა მეფის სძლად“ ესეც რამდენადმე გამიზნული იყო ბიზანტიასთან ურთიერთობის განმტკიცებისათვის. კატა მისთხოვდა ალექსი კომნინოსის უმცროს ძეს – ისაკს. ასეთი დამოყვრების შემდეგ დავითის მემკვიდრე ხმამაღლა აცხადებს, რომ საქართველოს მეფისათვის „მეფე ბერძენთა“ იყო „ვითარცა სახლეული თუსი“.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა ჯვაროსნებთან. ეს ბუნებრივი მოვლენა იყო. ჯვაროსნებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ევროპის, წინა აზიის ქვეყნებსა და ხალხებზე, საერთოდ მთელ მსოფლიოზე. ჯვაროსანთა წარმატებებმა დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გატარებას შეუწყო ხელი. ჩვენ აქ არ ჩავლრმავდებით დავით აღმაშენებლის მიერ ჯვაროსანთა ლაშქრობას ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენების საკითხებზე (მაგ., სელჩუკთათვის ხარკის შეწყვეტა და სხვ.). შევჩერდებით ერთ ცნობაზე, რომელიც, ზ. ავალიშვილს მოჰყავს, რომლის მიხედვით „დავით აღმაშენებელი იერუსალიმის მეორე

ფრანგ მეფეს ბოლდუინს ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა“ (12, გვ. 70). იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცულია ასეთი ცნობა: „მოვიდა დაფარვით დავრიშის სახით მელიქმას შვილი ტანდან მელიქ სულთანი, გამსტრომად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე... ხოლო ამა რიცხვს შინა იყო ბოლდვიონ იერუსალიმის მეფე, რომელმაც მრავალი ძლევა მიიღო სარაციხელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბოლდვიონ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებრთა...“ იერუსალიმის მეფის იდუმალი მოსვლა, ცხადია, დავით მეფესთან მოსალაპარაკებლად მოხდა. და აქაც, როგორც ჩანს დიალოგი გაიმართა. ამ ცნობაში შეიძლება ზოგი რამ გვაძლევდეს დაეჭვების საფუძველს, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელს საიდუმლო („დაფარვით“) შეხვედრები ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან. XII საუკუნის პირველ ოცეულში, როცა ჯვაროსნები ებრძოდნენ ილ-ღაზის და მის მოკავშირეებს, როცა იერუსალიმის მეფემ ბოლდუინ II-მ (1119-1131) თავს იღო სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლა და ანტიოქიის მმართველობა. ანტიოქიის შენარჩუნებისათვის ჯვაროსნები ძალზე დაზარალდნენ, ამ უკანასკნელთ გამწვავებული ვითარება აიძულებდათ მოკავშირე ეძებნათ და არ არის გამორიცხული, რომ მათ ამგვარ მოკავშირედ საქართველო ესახებოდათ. ასე რომ, საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთკავშირი გარკვეულ ვითარებაში ურთიერთსასარგებლო იყო. ამდენად, დავით აღმაშენებლის მოლაპარაკება-დიალოგი სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებთან სასარგებლო იყო.

თავისთავად დიალოგი ქვეყნის მშვიდობიანობას განაპირობებდა. მშვიდობისმოყვარული ქვეყნისა და ხალხისათვის კი დამახასიათებელი იყო რჯულთმემწყნარებლობა. დიალოგთან ერთად ტოლერანტობა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იყო აყვანილი. მოკლედ შევიხრდებით დავით აღმაშენებლის ტოლერანტულ პოლიტიკაზე. ფრიად მნიშვნელოვანი XII საუკუნეში საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხო ეროვნებისა და არაქრისტიანულ სარწმუნოებათა მიმდევრების უფლებრივი მდგომარეობა.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდის დასავლეთ ევროპაში უცხოელის ბედს ის მეფე (ან ფეოდალი) სწყვეტდა, რომლის სამფლობელოშიც

სავაჭროდ ან სხვა საქმიანობისათვის უცხო პირი აღმოჩნდებოდა. მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვითაც, თუ სხვის სამფლობელო ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი ერთი წლისა და ერთი დღის განმავლობაში ვერ მოიპოვებდა ადგილობრივი ფეოდალის მფარველობას, ამ უკანასკნელს შეეძლო უცხო პირი თავის ყმად ექცია, ქონება კი ჩამოერთმია.

არსებობდა ე.წ. „სანაპირო უფლება“ – სტიქიური უბედურების დროს ზღვის ნაპირზე გარიყული გემი და მისი ეკიპაჟი მგზავრებითურთ, ქონებით ფეოდალის საკუთრება ხდებოდა. 1079 წელს რომის პაპმა დაგმო „სანაპირო უფლება“, მაგრამ იგი XVIII საუკუნემდე მაინც მოქმედებდა.

ასევე იყო „მოულოდნელი მოგების უფლება“, რომელიც უცხოელს არ აძლევდა ანდერძით ქონების დატოვების უფლებას. სიკვდილის შემდეგ ეს ქონება ფეოდალს რჩებოდა.

უცხოელთა მდგომარეობა რთული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში, რადგან ისინი ადგილობრივ მოსახლეობაზე დაბლა იდგნენ.

საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა ერთიანი რელიგიისათვის. დავით აღმაშენებლიდან მოკიდებული ქართველ მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაში დაშვებულ იქნა გამონაკლისი საქართველოს იმ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველთაგან საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ. ეს უპირატესად არაქართველი მოსახლეობა იყო.

უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმები) იყვნენ. XII საუკუნის I მეოთხედის სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულთმემწყნარებლობის პრინციპს.

უცხოელი ისტორიკოსები, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს ისტორიას შეეხნენ, არ დარჩენილან გულგრილნი საქართველოს მეფეთა ტოლერანტობისადმი. მაჰმადიანთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობა აქვს დაცული არაბ ისტორიკოსს ალ-ფარიკს. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი შემოიერთა (1122 წ.), მაშინვე გასცა ბრძანება მუსლიმთა რელიგიის ხელშეუხებლობის შესახებ და გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა მათ. ასე მაგალითად:

„ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი... მან (დავით აღმაშენებელმა) მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტნის სახელით... და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა... დაუდო პირობა, რომ არც ქართველი, არც ებრაელი, არც სომეხი არ შევიდოდა მუსლიმთა აზანში, და რომ პარასკევ დღეს ილოცებდნენ ხალიფასა და სულტანისათვის, და არა დავით აღმაშენებლისთვის. დავითი, ალ-ფარიკის ცნობით, კეთილად ეპყრობოდა მუსლიმ მეცნიერებს, ხალხსა და სუფიებს“.

დავითმა მუსლიმები ერთი წლით გაათავისუფლა გადასახადებისაგან. სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ მუსლიმთა გადასახადი 3 დინარი იყო, მაშინ, როცა ქართველები მეტს იხდიდნენ. ამგვარი პრივილეგიები მდგომარეობა მუსლიმებისა დაცული იყო დემეტრე I-ის მეფობაშიც.

იბნ ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი პარასკევობით მეჩეთში მიდიოდა, ლოცვას ესწრებოდა და წასვლისას დიდძალ ფულს სწირავდა... თუკი მაჰმადიანი თბილისიდან წასვლას დააპირებდა, მას სამეზავრო ფული ეძლეოდა, არაბი ისტორიკოსი დაასკვნის, რომ საქართველოს მეფეები „მაჰმადიანებს უფრო პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე თვით მუსლიმთა ხელმწიფენი“.

დავით აღმაშენებელი ყოველხმრივ უწყობდა ხელს საქართველოში მცხოვრებ სომეხებს, რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. შემთხვევითი არ იყო, რომ დავითმა ძველი ციხე-ქალაქი გორი აღადგინა და შიგ სომეხები ჩაასახლა. აი რას სწერს მატეოს ურჰაევი დავით აღმაშენებლის სომეხებთან დამოკიდებულების შესახებ: „ის (დავით აღმაშენებელი) აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა... მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა. დიდის სიყვარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“.

დავით აღმაშენებელმა ხელი შეუწყო სომხური ეკლესიის აღორძინებას.

ქრისტიან მოსახლეობასთან იყვნენ გათანაბრებული უფლებრივად ებრაელებიც.

რჯულთმემყნარებელი პრინციპები დამახასიათებელი იყო ზოგადად XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკისათვის. არაქრისტიანი მოსახლეობის მფარველობით გამოირჩეოდა დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე I. ალ-ფარიკი გვარწმუნებს, რომ მან პირადად ნახა მეჩეთში დემეტრე მეფე, რომელმაც ლოცვის მოსმენის შემდეგ 200 ოქროს დინარი შესწირა.

საქართველოს სამეფო ხელისუფლების ტოლერანტობა არ იყო მხოლოდ მეფეების სუბიექტური სურვილის შედეგი. სახელმწიფოს სიმღიერისათვის სხვა კომპონენტებთან ერთად საჭირო იყო ცხოველი ვაჭრობის განვითარება, ამისათვის მძლავრი სავაჭრო ფენის არსებობის აუცილებლობა შეიქმნა. ვაჭრები საქართველოში ძირითადად სომეხები, მუსლიმები და ებრაელები იყვნენ. ცხადია, მათი შეუწყნარებლობა სხვა რჯულზე ყოფნის გამო გაუმართლებელი იქნებოდა. განვითარებული ვაჭრობა ქვეყნის ცენტრალიზაციას ემსახურებოდა. ამასთან საქართველო მუსლიმური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და მისთვის სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები უცხო ქვეშევრდომების მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელი იყო.

შემთხვევითი არ იყო, რომ გზებზე საგანგებო სახლები აშენდა, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ამასთან, დავით აღმაშენებელმა სატრანზიტო გზები მოაწესრიგა, ააგო ხიდები. ეს ყველაფერი შეუფერხებელი მიმოსვლისთვის კეთდებოდა. დავით აღმაშენებელმა არაბულწარწერიანი მონეტები მოჭრა, რომელთაც გასავალი ჰქონდათ აღმოსავლეთის ბაზარზე. ამდენად, ქართული მონეტა გამოხატავდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას და თავისი შინაარსის შეცვლისას ღებულობდა იმ ფულის სახეს, რომელიც იმ დროს აღმოსავლურ ბაზარზე ბატონობდა.

ქართველთა ტოლერანტობას იმიტაც ხსნიან, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ტრადიციული საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო. ეკონომიკური აქტივობის სხვა სფეროში დასაქმებული იყვნენ უცხოელები. ისინი ქართველებისაგან, რომელთა ძირითად ნაწილს გლეხობა შეადგენდა, არ აღიქმებოდნენ კონკურენტებად. მდგომარეობა შეიძლება შეცვლილიყო იმ შემთხვევაში, თუ ხელოსნობის, ვაჭრობისა და სხვ. დარგებში ადგილს ქართველობა დაიჭერდა, ამასთან

თუ ვაჭრობა და მევახშეობა უფრო ფართო მასშტაბს შეიძენდა. ასეთ შემთხვევაში სხვა ეროვნების წარმომადგენლები ქართველთა მიერ აღიქმებოდნენ კონკურენტებად, როგორც ხელოსნობის, ისე ვაჭრობის საქმეში. როცა ობიექტური ვითარება ამ მხრივ გარკვეულად შეიცვალა (ეს მომდევნო საუკუნეებში მოხდა ნაწილობრივ), მან გამოხატულემა ჰპოვა ქართველთა ფსიქოლოგიაში. თუმცა საქართველო და ქართველი ხალხი ბოლომდე ტოლერანტი დარჩა.

ამგვარად, XII საუკუნის I მეოთხედში და მის მომდევნო ხანაში საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო, რომლის პოლიტიკისათვის არ იყო უცხო აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები, მოლაპარაკება-დიალოგები ურთულეს პრობლემებზე, მათ შორის ორი რელიგიის თანაარსებობის პრობლემებზე. ძლიერი ქვეყანა გამოირჩეოდა თავისი ტოლერანტობითაც, როცა სახელმწიფოში რჯულთმემყნარებლობა და ერთმემყნარებლობა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აუცილებელ კომპონენტად იყო ქცეული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. მეტრეველი, გ. ბოლოთაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისათვის, წელიწად., ქართული დიპლომატია, I, თბ., 1994.
2. ქართული დიპლომატიის ისტორია, რ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2003.
3. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002.
4. А. П. Новосельцев. К истории алланских народов, „Материалы по археологии и древней истории Северной Осетии“, т. II, Орджоникидзе, 1969.
5. ოსი ოსტორიკოსი გ. კოკიევი შენიშნავს, რომ დინასტიური ქორწინებები და ნათესავური კავშირის დამყარება საქართველოს სამეფო კარისათვის ოსეთზე გავლენის ერთ-ერთი ხერხი იყო. იხ. Г. А. Кокиев, Очерки по истории Осетии, ч. I, Владикавказ, 1926.
6. ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან, თბ., 1974.
7. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, თბ., 2008.
8. ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრ.; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან; ზ. ანჩაბაძე, გ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილო-კავკასია XII საუკუნეში და XIII საუკუნის I ნახევარში. კრ. საქარ-თველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
9. История Дагестана. М., 1967.
10. Вардан Великий. Всеобщая история, пер. Н. Эмина. М., 1961.
11. С. Т. Еремян. Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв. Сб., Кавказ и Византия, I, Ереван, 1979.
12. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ნარკვევი: გარშემო ერთი ომისა, პარიზი, 1929.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

http://books.ge/product_id.php?code=9923
http://books.ge/product_id.php?code=8831
http://books.ge/product_id.php?code=8419
http://books.ge/product_id.php?code=7554
http://books.ge/product_id.php?code=5333
http://books.ge/product_id.php?code=8417
http://books.ge/product_id.php?code=5858
http://books.ge/product_id.php?code=10404
http://books.ge/product_id.php?code=10402
http://books.ge/product_id.php?code=10400
http://books.ge/product_id.php?code=4656
<http://www.parnasi.ge/?Theme=0&st=0&src=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98>



დაახინა თუ ახა “ჯოსოვოს ჰეაქეაახა” სახეაანიფოთა სააქთაშოაისო თანააეაოაოაოაი აქთაქეაა ბააქოს ნაჰი სახეაანიფოთა, სააქთაქეაოს ქათვიოთ, ააქიბოაქიქი ბოქიანოაი საქაქაქეაბოაისაქი?

ლევან ალქსიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი

რეზიუმე

შესავალი

2008 წლის თებერვალი დიდხანს დარჩება საერთაშორისო სამართლის ისტორიაში, რადგან, როგორც მოსალოდნელი იყო, აზრთა სხვადასხვაობას კოსოვოში განვითარებული მოვლენების ლეგალურობის შესახებ შეეძლო თანამედროვე საერთაშორისოსამართლებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნა.

ერთი შეხედვით, არაფერი იყო ახალი კოსოვოელი ალბანელების მცდელობაში, ფორმალურად გამოყოფოდნენ სერბეთს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ჯერ კიდევ 18 წლით ადრე, 1991 წლის 22 სექტემბერს კარგად იყო ცნობილი, რომ ალბანელებმა იუგოსლავიის ერთ-ერთ რეგიონში მოითხოვეს კოსოვოს დამოუკიდებლობა რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც აბსოლუტური უმრავლესობა კოსოვოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს.

იმ დროისათვის სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ, კონკრეტულად კი ევროატლანტიკურმა სახელმწიფოებმა, იგნორირება გაუკეთეს ამ მოთხოვნას, რადგანაც კოსოვოს გარშემო განვითარებული კონფლიქტი მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ იმ კონფლიქტად, რომელიც მიმდინარეობდა იუგოსლავიის ყოფილი სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა

და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე მათი დაშლის პროცესში.

უფრო მეტიც, ევროკავშირმა გამოაქვეყნა ძალიან მტკიცე და საერთაშორისო სამართლისათვის მნიშვნელოვანი განცხადება: „...საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით და [ევროპული თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოები – ლ.ა.] ახსენებენ კოსოვოს მოსახლეობას, რომ მათი ლეგიტიმური მოთხოვნა ავტონომიაზე უნდა მოექცეს ევროპული თანამეგობრობის სამშვიდობო კონფერენციის ფარგლებში“.²

სრულიად განსხვავებული მოვლენები მოჰყვა კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე მცდელობას: მეორე დღესვე, უფრო ზუსტად 2008 წლის 18 თებერვალს, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას მოჰყვა აღიარებათა მთელი ტალღა უკვე ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა (ნატო), ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო), ევროპის საბჭოსა და გაეროს მხრიდან.³

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დაახლოებით ორ თვეში ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრ

სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გაერთიანებულმა სამეფომ, საფრანგეთმა, გერმანიამ და სხვებმა აღიარეს კოსოვოს დამოუკიდებლობა. 2012 წლის ბოლოსათვის 90 სახელმწიფოზე მეტმა აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, მაშინ როდესაც დიდ სახელმწიფოთა ნაწილი (რუსეთის ფედერაცია, ჩინეთი), დანარჩენ 100 სახელმწიფოსთან ერთად, ინარჩუნებს ნეგატიურ პოზიციას, რადგან აღნიშნული ფაქტი მიაჩნია საერთაშორისო სამართლის ამოსავალი პრინციპების – გაეროს წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის – უხეშ დარღვევად.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის, გამოსვლიდან დაწყებული, რომელიც ხაზს უსვამდა კოსოვოს შემთხვევის უნიკალურ ხასიათს, რომელიც არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული პრეცედენტად, ყველა ამღიარებელი სახელმწიფოს მთავრობები და ლიდერები იმეორებდნენ ამ დათქმის ტექსტს:

„კოსოვოში დაფიქსირებულ ფაქტორთა უჩვეულო ერთიანობა – მათ შორის იუგოსლავიის დაშლის კონტექსტი ისტორიულად დაფიქსირებული ეთნიკური წმენდა და დანაშაულები სამოქალაქო პირების წინააღმდეგ კოსოვოში და გაეროს ადმინისტრაციის გახანგრძლივებული პერიოდი – არ არის აღმოჩენილი, კოსოვოს გარდა, არსად, შესაბამისად, ეს აქცევს კოსოვოს განსაკუთრებულ შემთხვევად. კოსოვო არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამედროვე მსოფლიოში არსებული არც ერთი სხვა შემთხვევის მიმართ პრეცედენტად“.⁴

იმ დროს რუსეთი ფედერაციის ლიდერები აკრიტიკებდნენ ამ ფაქტს და იქვე მიუთითებდნენ, რომ ეს პროცესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სეპარატისტული რეჟიმების მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. პუტინმა 2006 წელს (როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი განიხილებოდა) გააჟღერა თავისი განზრახვა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მდგომარეობასთან – კოსოვოს პრეცედენტის მისადაგების შესახებ: „თუ ვინმეს მიაჩნია, რომ კოსოვომ უნდა მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ არ შეიძლება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხსაც ჰქონდეთ ანალოგიური უფლება სახელმწიფოებრიობაზე?“⁵

სანამ საერთაშორისო იურისტები, პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ჩართულები იყვნენ ცხარე დებატებში კოსოვოს შემთხვევის გამონაკლის მოვლენად აღიარების კანონიერებაზე, მანამ, მართლაც, შოკის მომგვრელმა მოვლენამ შეძრა მსოფლიო.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის ჯარები შემოიჭრა საქართველოში, მოახდინა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის, ისევე როგორც საქართველოს იმ ტერიტორიების ოკუპაცია, რომლებიც საქართველოს ამ ტერიტორიული ერთეულების საზღვრებს მიღმა მდებარეობდა.⁶

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, დ. მედვედევმა, განაცხადა: „ოსი და აფხაზი ხალხის თავისუფალი ნების გათვალისწინებით, გაეროს წესდების, 1970 წლის დეკლარაციის საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც არეგულირებს სახელწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებს, ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის ფინალური აქტისა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამისად, მე ხელი მოვაწერე დეკრეტს რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შესახებ“.⁷

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ტერიტორიების განზრახ დაკავების გასამართლებლად რამდენიმე ბრალდება წამოაყენა – საქართველოს „აგრესიულმა“ თავდასხმამ გამოიწვია „სამშვიდობოთა დიდი ნაწილის განზრახ სიკვდილი,“ სამოქალაქო მოსახლეობისა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა გაჟლეტა, გენოციდის დანაშაულის განზრახ ჩადენა. ყველაფერმა ერთად, მედვედევის აზრით, მოითხოვა ჰუმანიტარული ინტერვენცია უდანაშაულო ხალხის დასაცავად საქართველოს მხრიდან ჩადენილი განზრახი დანაშაულებრივი აქტებისაგან.

შეეხო რა რუსეთის ფედერაციის ყველა მცდელობას, გაემართლებინა საკუთარი აგრესიული ქმედებები, ანტონიო კასესემ, რომელიც არა მარტო განსწავლული მეცნიერია, არამედ გამოცდილი თავმჯდომარე რამდენიმე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალისა, უკვე 2008 წლის 1 სექტემბერს პასუხი გასცა საქართველოს წინააღმდეგ წამოყენებულ ყველა ბრალდებას. თავის მოკლე, მაგრამ ყოვლისმომცველ, სტატიაში კასესემ შემდეგი კომენტარები გააკეთა:

„რუსეთმა უდავოდ საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – შეიარაღებული შეჭრის გასამართლებლად დაასახელა ოთხი მიზეზი. რუსეთი ამტკიცებს, რომ მისი ინტერვენცია მიზნად ისახავდა (1) საქართველოს აგრესიის შეჩერებას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ; (2) საქართველოს მიერ ამ ტერიტორიაზე ჩადენილი ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ომის დანაშაულებისათვის ბოლოს მოღებას; (3) რუსეთის მოქალაქეთა დაცვას და (4) სამხრეთ ოსეთის დაცვას ბორის ელცინსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის 1992 წელს დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე.

ამ სამართლებრივი არგუმენტიდან არც ერთი არ არის საფუძვლიანი. სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული დანაყოფების გაგზავნით საქართველო მართალია პოლიტიკურად გაუმართლებლად მოქმედებდა, მაგრამ მას არანაირი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა არ დაურღვევია, რამდენად ნომინალურიც არ უნდა იყოს მისი სუვერენიტეტი. არც გენოციდი და ეთნიკური წმენდის ფაქტები ფიქსირდება. თუ ომის დანაშაულები იქნა ჩადენილი, ისინი მაინც არ ამართლებენ შეიარაღებულ შეჭრას. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსებს რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ იმიტომ აქვთ, რომ ამ უკანასკნელმა მათ ის ცალმხრივად მოახვია თავს. საბოლოოდ 1992 წლის შეთანხმება შიდა დამაბულობებზე დაკვირვების უფლებას იძლევა და არა შეიარაღებული ძალების მასობრივი გამოყენებისა.“⁸

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის ინტერვენციას საქართველოში, ეს ფაქტი იმთავითვე დაგმობილ იქნა საერთაშორისო იურისტების, პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეებისა და დიპლომატების მიერ, რომლებიც დეტალურად აანალიზებდნენ კასესს მიერ განხილულ საკითხებს.

კრისტოფერ ბორგანი აღნიშნავს: „ცხადია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გადაკვეთეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორია და დაიწყეს სამხედრო კამპანია, რამაც მთლიანად საქართველო მოიცვა, უმთავრესი ქალაქებისა და პორტების ჩათვლით და მიაღწია თბილისამდე, საქართველოს დედაქალაქამდე რამდენიმე კილომეტრის სიახლოვეს.“⁹

როი ელისონი სწორად უსვამს ხაზს:

რუსეთის ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის შემოდგომაზე იყო მოსკოვის პირველი სამხედრო შეტევა საქართველოს წინააღმდეგ ცივი ომის დასრულების შემდგომ.¹⁰

უპრიანია ასევე იმ შეფასების მოხმობაც, რაც დამოუკიდებელმა საერთაშორისო ფაქტების დამდგენმა მისიამ საქართველოს კონფლიქტის თაობაზე აღნიშნა თავის მოხსენებაში (შემდგომში – მისია).¹¹

მისიის მოხსენება რუსეთის ინტერვენციაზე საქართველოში ადგენს, რომ: „რუსეთი რამდენიმე სახით იყო ჩართული კონფლიქტში. პირველ რიგში, ის რუსი მშვიდობისმყოფელები, რომლებიც სამხრეთ ოსეთში იყვნენ განთავსებულები სოჭის შეთანხმების საფუძველზე, ცხინვალის კონფლიქტში იყვნენ ჩართული. მეორე, რუსეთის რეგულარული საჯარისო დანაყოფები იბრძოდნენ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში და ღრმად საქართველოს ტერიტორიაზე. მესამე, ჩრდილოკავკასიელი არარეგულარები მონაწილეობდნენ კონფლიქტში. საბოლოოდ, რუსეთი ეხმარებოდა აფხაზ და სამხრეთ ოსეთის ძალებს მრავალმხრივად, განსაკუთრებით ტრენინგით, შეიარაღებით, აღჭურვით, დაფინანსებით ... გაეროს წესდების მე-2(4) მუხლის შესაბამისად და შესაბამისი ჩვეულებითი სამართლით, რუსეთის არმიის სამხედრო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე (მათ შორის სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და საქართველოს სხვა ტერიტორიები) 2008 წლის აგვისტოში არღვევდა ფუნდამენტურ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს ძალის გამოყენების აკრძალვის შესახებ“.¹²

რუსეთის ფედერაციის არც ერთი მცდელობა, სამართლებრივად გაემართლებინა საქართველოში განხორციელებული მოქმედებები, მოხსენებაში არ არის დადებითად შეფასებული. ეს მოქმედებები მოიცავს: ძალის გამოყენებას თავდაცვისათვის,¹³ რუსეთის მოქმედებების აუცილებლობას და პროპორციულობას,¹⁴ სამშვიდობო მისიის განხორციელებისას ძალის გამოყენებას,¹⁵ სამხრეთ ოსეთის მთავრობის თხოვნით ინტერვენციას,¹⁶ კოლექტიურ თავდაცვას,¹⁷ ჰუმანიტარულ ინტერვენციას, რუსი და ოსი მოქალაქეების დაცვას გენოციდისაგან,¹⁸ ძალის გამოყენებას საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა დასაცავად და გადასარჩენად.¹⁹

ასევე აღსანიშნავია მისის განცხადება, რომ საქართველოს პოლიციისა და სამხედრო დანაყოფების ყოფნა კოდორის ხეობაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აფხაზეთის წინააღმდეგ განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმად;²⁰ აფხაზეთის მიერ ძალის გამოყენება არ იყო გამართლებული საერთაშორისო სამართლით და შესაბამისად წარმოადგენდა უკანონო აქტს. იგივე ვრცელდება რუსეთის მიერ აფხაზეთის დახმარებაზე ძალის გამოყენებაში.²¹

სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა კონფერენციებზე აქტუალურად განიხილებოდა საკითხი „კოსოვო და სამხრეთ ოსეთი, მსგავსება და განსხვავება“.

ერთი შეხედვით ადვილია იმის დანახვა, რომ ორივე შემთხვევა მართლაც აქვს მსგავსებები და ეს მსგავსებები უმეტესად დაკავშირებულია დემოგრაფიულ ასპექტებთან, კოსოვოელი ალბანელები, ისევე როგორც ოსები, არიან:

- ა) ტიპიური ეროვნული უმცირესობები: თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ენა, ტრადიციები, კულტურა, ადგილსამყოფელი სახელმწიფოსაგან განსხვავებული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობა;
- ბ) კოსოვოელი ალბანელები, ისევე როგორც ოსები, რაოდენობრივად უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა იმ რეგიონებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, უმრავლესობაში არიან;
- გ) კოსოვოელი ალბანელებიც, ისევე როგორც ოსები, არიან საკუთარი მშობელი ხალხის ნაწილი, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა და აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი (ალბანეთი) ან ფედერალური (ჩრდილოეთ ოსეთი – ალანია რუსეთის ფედერაციაში) სახელმწიფოებრიობა;
- დ) არის ასევე კიდევ ერთი, ვითომ საერთო, ნიშანი: ორივე უმცირესობას ჩამოერთვა ავტონომიის სტატუსი, რაც მათ გააჩნდათ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე. თუმცაღა მიზეზები და შედეგები ორივე მოვლენისა იყო სრულიად განსხვავებული, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

ჩაიდინა საქართველომ გენოციდის დანაშაული?

ერთ-ერთი საკითხი უკავშირდება საქართველოს განზრახვას, გაეყლიტა აფხაზი და ოსი მოსახლეობა გენოციდის დანაშაულის ჩადენით.

2008 წლის 10 აგვისტოს, ცხინვალის ოკუპაციიდან მეორე დღეს, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვ. პუტინი ვიზიტით იმყოფებოდა ვლადიკავკასში (ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის – ალანია – დედაქალაქი, რუსეთის ფედერაციის სუბიექტი), სადაც მან დაადანაშაულა საქართველო სამხრეთ ოსეთში გენოციდის ჩადენაში, რასაც მოჰყვა მედვედევისა და სხვა რუსი მაღალჩინოსნების განცხადებები.²²

თავის მოხსენებაში მისიამ გენოციდის არანაირი ფაქტი არ დაადგინა: – „რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის ბრალდებებმა საქართველოს მხრიდან ვითომდა გენოციდის ჩადენის შესახებ რამდენიმე თვეში უფრო იშვიათი ხასიათი მიიღო, რადგან საქართველოს მხრიდან გენოციდის ჩადენა არ დამტკიცდა. გარდაცვლილთა რიცხვი ოს სამოქალაქო მოსახლეობას შორის უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ამას თავდაპირველად ამტკიცებდნენ. რუსი ოფიციალური თანამდებობის პირები თავიდან ამტკიცებდნენ, რომ დაახლოებით 2000 სამოქალაქო პირი დაიღუპა სამხრეთ ოსეთში ქართული ძალების თავდასხმების დროს, მაგრამ მოგვიანებით დადგინდა, რომ ოსი სამოქალაქო მოსახლეობის დანაკარგმა 2008 წლის კონფლიქტში 162 შეადგინა“.²³

„შესაბამისი სამართლებრივი ნორმების ჭრილში ფაქტების ზედმიწევნითი გაანალიზების ფონზე მისია ასკვნის, რომ საქართველოს მხრიდან 2008 წლის აგვისტოში ჩადენილი გენოციდის დანაშაული არ დგინდება არც სამართლით და არც ფაქტობრივი მტკიცებულებებით“.²⁴

საინტერესოა იმის გათვალისწინებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2010 წლის დეკემბერში 1549 განაცხადი დაუშვებლად ცნო 3000-ზე მეტი განაცხადიდან, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს მიერ ოსი სამოქალაქო პირების მიმართ გენოციდის ჩადენას.²⁵

უფრო მეტიც, როგორც ცნობილი გახდა, ზემოთ აღნიშნული განაცხადები შედგენილ იქნა 200 რუსი გამომძიებლის მიერ რუსეთის ფედერაციის პროკურატურიდან. ისინი საეჭვო ვითარებაში კრებდნენ ინფორმაციას გენოციდის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადების გაგზავნის შემდეგ არავის უცდია სასამართლოსთან კომუნიკაციის დამყარება, რომელმაც მოითხოვა დამატებითი, უფრო დეტალური, ინფორმაციის მიწოდება გენოციდის

მსხვერპლთან დაკავშირებით. სასამართლომ, სამჯერადი შეხსენების მიუხედავად, დამატებითი ინფორმაცია ვერ მიიღო და გადაწყვიტა, უარი ეთქვა განაცხადების განხილვაზე. უფრო მეტიც, მსხვერპლთა უმეტესობამ არც კი იცოდა, რომ განაცხადი ჰქონდა გაგზავნილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.²⁶

ამკარაა, რომ არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს მხრიდან ჩადენილ იქნა გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

აფხაზეთისა და ოსების „დისკრიმინაციის“ უცნაური სურათი

გადავხედოთ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტამდე არსებულ საქართველოს „დისკრიმინაციულ პოლიტიკას“.

საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა, ისევე როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სუვერენული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი იყო. ხსენებულ ავტონომიურ ერთეულებს არ ჰქონდათ გამოყოფის უფლება, სანამ საქართველომ არ გამოიყენა საბჭოთა კავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბჭოთა კავშირიდან ნებაყოფლობითი გამოყოფის შესაძლებლობა.²⁷

აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია იყო ერთადერთი სამართლებრივი აქტი საბჭოთა კავშირში, რომელიც აფხაზურ ენას (ქართულ და რუსულ ენებთან ერთად) ანიჭებდა სახელმწიფო ენის სტატუსს რეგიონში.

1976 წლისათვის, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების სკოლებში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდა, აფხაზეთში 25 აფხაზური სკოლა იყო, ასევე რამდენიმე სკოლა, სადაც სწავლება რუსულ-აფხაზურ-ქართულად მიმდინარეობდა.

1989/1990 სასწავლო წლის დასაწყისისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იყო 73 აფხაზური და შერეული საშუალო სკოლა. შერეულ სკოლებში აფხაზურ ენაზე სწავლება მიმდინარეობდა I-IV კლასებში, ხოლო V-XI კლასებში სწავლება მთლიანად რუსულად და ქართულად მიმდინარეობდა. ქართული

ენა არც ერთი სკოლის კურიკულუმში არ იყო დაფიქსირებული. უფრო მეტიც, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, გამოყენება მკაცრად იკრძალებოდა.

იმავე პერიოდში აფხაზეთში დაახლოებით 20 კვლევითი ცენტრი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის ისეთი, როგორცაა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი, დ. ი. გულიას აფხაზეთის ენის, ხელნაწერთა და ისტორიის ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების აფხაზეთის ინსტიტუტი, თბილისის სასოფლო სამეურნეო და ინდუსტრიულ-ტექნიკური სკოლების ფილიალები, სამედიცინო და სახელოვნებო კოლეჯები და მრავალი სამუსიკო და სახელოვნებო საშუალო სკოლა. წარმატებით ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს თეატრალურ და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებების ფილიალი, მწერალთა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა კავშირები, აფხაზეთის სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ეროვნული ჯგუფები, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სხვა. რადიო და ტელევიზია პროგრამებს გადასცემდნენ აფხაზურად. აფხაზურადვე იბეჭდებოდა ჟურნალები, სამეცნიერო გამოცემები და შრომები.

აფხაზეთის ყველა სამთავრობო სტრუქტურაში აფხაზებს ეკავათ ადგილთა უმრავლესობა: უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 57 აფხაზი, 53 ქართველი და 14 რუსი; საქალაქო და რეგიონალური საბჭოების შემადგენლობაში 1/3 აფხაზი იყო. აფხაზები წარმოადგენდნენ კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობის ნახევარს. 12 მინისტრიდან 8 აფხაზი იყო; სახელმწიფო კომიტეტების 8 თავმჯდომარიდან 5 აფხაზი იყო; 8 საქალაქო და რეგიონული პროკურატურიდან 5-ს ხელმძღვანელობდა აფხაზი. 1990 წლისათვის აფხაზები მრავლად იყვნენ წარმოდგენილები საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სამთავრობო და პარტიულ ორგანოებში.

უფრო მეტიც, 1991 წელს უმაღლესი საბჭოს ქართველ და აფხაზ წევრთა შორის შეთანხმებული ახალი კანონის შესაბამისად, 93000 აფხაზი, რომელიც შეადგენდა რესპუბლიკის 17%-ს, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი იყო 28 წევრით,

მაშინ როდესაც 250000 ქართველი, ავტონომიური რესპუბლიკის 46%, წარმოდგენილი იყო 26 წევრით: სხვა ეთნიკურ ჯგუფებს (რუსები, სომხები, ბერძნები და სხვები), რომლებიც მოსახლეობის 37%-ს შეადგენდნენ, 11 წარმომადგენელი ჰყავდა.²⁸

შესაბამისად მტკიცება აფხაზების დისკრიმინაციაზე შეუძლებელია რეალობის დამახინჯების გარეშე.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, აქაც იგივე სიტუაცია იყო. ოლქში 1990-იან წლებში 60000 ოსი და 30000 ქართველი ცხოვრობდა. უპრიანია ვახსენოთ, რომ 100000-მდე საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე გაბნეული ოსი კარგად იყო ინტეგრირებული ქართველ საზოგადოებაში.

პირველ რიგში, გავეცნოთ ოსეთის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პატრიარქის, პროფესორ აბაიევის „ნეზავისიმაია გაზეტაში“ (ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რუსული გაზეთი) დაფიქსირებულ მოსაზრებას. სტატიაში „სამხრეთ ოსეთის ტრაგედია“²⁹ მან აღნიშნა: „ჩემი მიზანია, ობიექტურად შევაფასო, თუ რამდენად მიმართა ოსურმა მხარემ ნაჩქარევ, დაუფიქრებელ მოქმედებებს, რომელსაც შეეძლო გამოეწვია შეიარაღებული კონფლიქტი. უნდა ვაღიარო, რომ ასეთ ქმედებებს მართლაც ჰქონდა ადგილი. ვგულისხმობ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამ მხრივ რუსეთზე ორიენტირებას სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების მიზნით... კავკასიონის მთავარი გამყოფი მთაგრეხილი საქართველოსა და ოსეთს შორის არსებული ბუნებრივი საზღვარია და ნებისმიერი ქმედება აღნიშნული საზღვრის დარღვევისა გამოიწვევს ოსებსა და ქართველებს შორის დაუსრულებელ კონფლიქტს... პირველ რიგში, უნდა შეჩერდეს ყველა საუბარი სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფის შესახებ. საქართველოს არც ერთი მთავრობა არ დათანხმდება ამაზე და იქნება კიდევ აბსოლუტურად მართალი, რადგანაც ამით ირღვევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა... ვისაც სურს მშვიდობა სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს შორის, საბოლოოდ უნდა გამოემშვიდობოს სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების იდეას. ვისაც სურს რუსეთსა და საქართველოს შორის მშვიდობა, ასევე უნდა დაივიწყოს ეს იდეა. ასეთია რეალობა“.³⁰

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ყველანაირი პირობა ჰქონდათ შექმნილი საკუთარი კულტურისა და ეკონომიკის განსავითარებლად. უპრიანია, ხაზი გაესვას, რომ 1990/1991 სასწავლო წლისათვის საქართველოში არსებულ 97 სკოლაში (მათ შორის 90 ყოფილი ავტონომიური ოლქიდან) სწავლება ან მთლიანად ოსურად მიმდინარეობდა, ან ოსური ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა როგორც დამოუკიდებელი საგანი. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონი გალაზოვის სტატიადან ამონარიდის მოყვანა: „მე ყოველთვის ძალიან განვიცდი იმას, რომ ჩემი ეროვნების წარმომადგენელი ახალგაზრდების უმრავლესობა კარგად ფლობს უცხო ენებს და ერკვევა მსოფლიო ცივილიზაციებში, მაგრამ არ იცის ელემენტარულიც კი ოსური კულტურის შესახებ... ახალგაზრდებს წაერთვათ საკუთარი მშობლიური ენა. გასულ წლამდე ჩრდილოეთ ოსეთში არ არსებობდა არც ერთი სკოლა, სადაც სწავლება წარიმართებოდა ოსურ ენაზე“.³¹

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო სამეურნეო ტექნიკური სკოლა, სამედიცინო, მუსიკალური, სახელოვნებო სკოლები და ა.შ. ფუნქციონირებდა ქალაქ ცხინვალში. ე.წ. სამხრეთ ოსეთს მეორე ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირში (1979 წლის მონაცემებით) ათას სულ მოსახლეზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით.

დაიბეჭდა უამრავი მნიშვნელოვანი წიგნი: „ოსეთის ისტორია“ (დოკუმენტები და მასალები ანტიკური ხანიდან დღემდე), „სამხრეთ ოსეთის ისტორიის“ ორი ტომი, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ოთხი ტომი, „ოსური ენის განახლებული ლექსიკონი“, „მრავალტომიანი „ოსური ლიტერატურის ისტორია“, „ოსური ხალხური ზღაპრების“ სამტომეული, ოსური ხალხური სიმღერების კრებული და სხვ. ასევე ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ეროვნული მუზეუმი, ხელოვნების სახელმწიფო გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა, საქართველოს თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოებების ფილიალები, მწერალთა, კომპოზიტორთა და მსახიობთა კავშირები; ადგილობრივი რადიო მაუწყებლობა ოსურად, ადგილობრივი პრესის, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და ნაშრომების ენაც ოსური იყო. 1988 წელს ოსურ ენაზე ცხინვალში, საქართველოს

ტერიტორიაზე, 5-ჯერ უფრო მეტი ახალი დასახელებისა და 3-ჯერ უფრო მეტი ხელახალი გამოცემა დაფიქსირდა, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1980-იან წლებში ოსები წარმოდგენილები იყვნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მმართველ ორგანოებში. უპრიანია აღინიშნოს, რომ ოსებს ეკავათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი, მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის პოსტი, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი, ისევე როგორც ოსების ხელში იყო მმართველობითი თანამდებობები საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ამავე დროს, 1990 წელს, ქართველების მონაწილეობა ავტონომიური რეგიონის მართვაში რეგიონში მცხოვრებ ქართველთა პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით მცირე იყო.³²

მტკიცებულებათა ამ მცირედი ნაწილიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველ ხალხს და მთავრობას დისკრიმინაცია ოსების მიმართ არასოდეს გამოუყენებია. პირიქით, ამ უკანასკნელთ შეექმნათ ყველანაირი პირობა იმისა, რომ განვითარებულიყვნენ ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით.

ამკარაა, რომ 1990-1992 წლების კონფლიქტამდე არც ოსებს და არც აფხაზებს არ განუცდიათ რასობრივი დისკრიმინაცია, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა აბსოლუტურად ყოველგვარი სამართლებრივი, პოლიტიკური და ისტორიული პერსპექტივის გარეშე და მხოლოდ წარმოდგენდა კომუნისტების მხრიდან გამოხატულ მაღლიერებას ოსების მიმართ, რადგან ეს უკანასკნელნი დაეხმარნენ წითელ არმიას 1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაციაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მალევე, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ დაიწყო 1921 წელს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ჩადებული ნაღმების ამოქმედება.

დიპლომატებისა და პოლიტოლოგების მიდგომის შესაბამისად, აქტორთა რეალური განზრახვის ცოდნის გარეშე შეუძლებელია პოლიტიკური და სამართლებრივი რეალობის შეფასება. სწორედ ამიტომაც საჭირო მოკლედ გავიხსენოთ რუსი დიპლომატებისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტის მოსაზრებები. გენერალ-მაიორმა პ. სიტინმა (რუსეთის

საბჭოთა სოციალისტური ფედერალური რესპუბლიკის სამხედრო ატაშე) 1921 წლის 26 აპრილის მოხსენებაში, ზუსტად ორი თვის თავზე მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ დაიკავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სისხლიანი კონფლიქტის გზით, განაცხადა:

„ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიება ... წითელი არმიის ძლიერი კონტინგენტის ყოფნა საქართველოში. მეორე მექანიზმი, რამაც შეასუსტა საქართველოს ძლიერება ორივე, ტერიტორიული და ეკონომიკური, კუთხით, ჩემი აზრით, აფხაზეთის გამოყოფაა. ასეთი აქტი გააზრებულ სტრატეგიასთან და პოლიტიკურ დატვირთვასთან ერთად ხელს უწყობდა საქართველოს მნიშვნელოვანი ეროვნული სიკეთის გადასვლას რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ“.

იგივე მოსაზრება გამოიკვეთა 1990 წელსაც. 1998 წელს გაზეთ „ნეზავისიმია გაზეტას“ დანართის – „სოდრუჟესტვოს“ პირველივე ნომერში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზატულინი (დღეს ის რუსეთის ფედერაციის სპიკერის მოადგილეა), დსთ-ის კავკასიის განყოფილების ანალიტიკურ მოხსენებაში, სახელწოდებით „საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი: წარსული, აწმყო და მომავალი“, მითითებულია:

„[კავკასიაში] სტრატეგიის განსაზღვრისას რუსეთმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველო არ იქნება მაღლიერი პარტნიორი და ტკბილი მოკავშირე სახელმწიფო. საქართველოს ლტოლვა დასავლეთისა და ნატოს მიმართ გამოწვეულია მისი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით, რომლის გადაჭრაც შეუძლებელია რუსეთის გარეშე... დღევანდელი გადასახედიდან ცხადია, რომ მომავალში აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და გარკვეული პროცენტით აჭარის ავტონომია გახდებიან რუსეთის მოკავშირეები საქართველოსთან წინააღმდეგ“.

1990-იანი წლების დასაწყისში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა გამლიერდა ბალტიისპირეთსა და საქართველოში, რომელიც იქამდე არ შეჩერდებოდა, ვიდრე არ მიაღწევდა მიზანს – გამოყოფოდა საბჭოთა კავშირს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მუხლების გამოყენებით. საბჭოთა კავშირში მიიღეს კანონი სეცესიის პროცესის „რეალიზაციის“ შესახებ (რომელიც, ფაქტობრივად, კრძალავდა გამოყოფას). ამ კანონით, თითოეულ სახელმწიფოს შეეძლო თავისუფალი გამოყოფა,

თუ ეს განმტკიცებული იქნებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებული რეფერენდუმით, ამასთან თითოეული ავტონომიური ერთეულის ხმები უნდა დათვლილიყო ცალ-ცალკე. ამ უკანასკნელებს შეეძლოთ საბჭოთა კავშირში დარჩენა, თუ ეს მითითებული იქნებოდათ რეფერენდუმის დროს. ეს აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხრიდან მიჩნეულ იქნა როგორც დამოუკიდებლობის მოპოვების სამართლებრივი საფუძველი. მათ დაიწყეს დეკრეტებისა და კანონების მიღება სუვერენიტეტის, თვითგამორკვევისა და სეცესიის თაობაზე. სიტუაცია უფრო მეტად დაიძაბა, როდესაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონალური საბჭოთა სახალხო დეპუტაციის XX ყრილობის XIV სესიაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია (1990 წლის 20 სექტემბერი) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ლ. ა.) სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ.

1990 წლის 21 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის რეგიონალური საბჭოს ეს უკანონო და არაკონსტიტუციური რეზოლუცია. მიუხედავად ამისა, რეგიონალური საბჭოს XX ყრილობის XV სესიამ (1990 წლის 16 ოქტომბერი) განმტკიცა მისი წინა გადაწყვეტილება. მეტიც, იმავე სესიაზე აირჩიეს ე.წ. რესპუბლიკის დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, მიიღეს არჩევნების დროებითი სტატუტი და შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ქართული ხელისუფლების ოფიციალური გაფრთხილების მიუხედავად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული ოლქის „უზენაესი საბჭოს“ არჩევნები ჩატარდა 1990 წლის 9 დეკემბერს, რასაც 11 დეკემბერს მოჰყვა „უზენაესი საბჭოს“ გამოყოფა. ამ უკანონო ნაბიჯის საპასუხოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი, რითაც გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, „რაც შექმნილი იყო 1922 წელს რეგიონში მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ და სრულიად საქართველოს ინტერესებისთვის ზიანის მიყენების ხარჯზე“. ³³ ქართულმა ხელისუფლებამ ცხინვალში გაგზავნა ათობით პოლიციელი. ამ მშვიდობიან ქმედებას მოჰყვა პოლიციელთა შეურაცხყოფა კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ოსური „ბოვეიკების“ მიერ, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ რეგიონში

განთავსებული სსრკ სამხედრო ბაზიდან. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ იმ დროს საქართველოს ჰყავდა მხოლოდ არარეგულარული არმია და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებული ძალები, ამდენად, ბრძოლა მიმდინარეობდა საქართველოს ცხინვალის რეგიონში განლაგებული რუსული სამხედროების მიერ გაწვრთნილ დაქირავებულ პირებს და ბოვეიკებსა და ქართულ, პრაქტიკულად, ნებაყოფლობით ფორმირებებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ, დაეცვათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხრიდან დაფიქსირდა დანაშაულთა ჩადენა, მაგრამ არა იმ დოზით, რომ ადგილი ჰქონოდა გენოციდის მასობრივ და სისტემატურ პოლიტიკას საქართველოს მხრიდან. 1991 წელს სოჭში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ აიძულა საქართველო, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტისა და ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციის ინიცირების ხელშეკრულებაზე. ნიშანდობლივია, რომ ჯგუფის შემადგენლობა იყო საკმაოდ უჩვეულო, ის შედგებოდა ქართული, რუსული და ჩრდილოეთ ოსური (თითქოსდა, ეს უკანასკნელები არ ყოფილიყვნენ რუსეთის ფედერაციის ნაწილი) ძალებისგან. ამის შემდეგ ეს მშვიდობისმყოფელები და აფხაზეთში განლაგებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფელები (ფაქტობრივად, ისინი მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ძალებისგან შედგებოდნენ), ფაქტობრივად, „თვალახვეულნი“ აღმოჩნდნენ მათ ზურგს უკან მიმდინარე სეპარატისტების მზარდი სამხედრო მილიტარიზაციის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლიდან, როგორც კი ინტენსიური დემოკრატიული ცვლილებები დაიწყო, საქართველოს მთავრობის და პირადად პრეზიდენტის მხრიდან არაერთი სამშვიდობო პროგრამა იქნა შეთავაზებული, რომელიც მიზნად ისახავდა „გაყინული კონფლიქტების“ დასრულებას და რასაც მხარს უჭერდა საერთაშორისო თანამეგობრობა. მაგრამ, ჩვეულებისამებრ, აფხაზეთა და ოსმა სეპარატისტებმა არც კი „დახედეს“ ამ დოკუმენტებს, რადგან ეფუძნებოდა გაეროს ფორმულას – სეპარატისტული რეგიონების სტატუსი უნდა გადაწყდეს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

ცხინვალიდან სისტემატურად განხორციელებული პროვოკაციებისა და ცეცხლის გახსნის შედეგად იზრდებოდა ადამიანთა სასიცოცხლო

დანაკარგი და ნადგურდებოდა ეთნიკური ქართველების სახლები. როდესაც აშკარა გახდა, რომ ოსი სეპარატისტები, რუსეთის 58-ე არმიის მხარდაჭერით, აპირებდნენ აგრესიული შემოჭრის დაწყებას, საქართველოს უნდა გამოეყენებინა პრევენციული თავდაცვის უფლება და, 7 აგვისტოს ღამით და 8 აგვისტოს საქართველომ დაიწყო შეიარაღებული ბოევიკებისა და დაქირავებული პირების მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დაბომბვა, და გადავიდა რუსული ტანკების დაბომბვაზეც. როგორც მოხსენებამია აღნიშნული: „და მაინც, ეს იყო მზარდი დაპირისპირების, პროვოკაციებისა და ინციდენტების მხოლოდ კულმინაციური წერტილი“. ³⁴ მაგრამ ერთხელ უკვე დაძრული უამრავი ჯარისკაცისა და ტანკის შეჩერება არაფერს შეეძლო, და რამდენიმე დღეში მათ მოახდინეს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია. ³⁵

ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ზოგიერთი ასპექტი

რაც შეეხება ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, მათ შორის გამოყოფის უფლებას, წინამდებარე კვლევის ფორმატი არ იძლევა ამ საკითხთა ღრმა და დეტალური ანალიზის საშუალებას. ამიტომაც შევაჯამებ სხვა საერთაშორისო სამართლის იურისტთა მიერ გაკეთებულ დასკვნებს, რაც განხორციელდა არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტთა (გაეროს წესდება, 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, 1993 წლის 25 ივნისის ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა; 1966 წლის ადამიანის უფლებათა პაქტები, 1995 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩოკონვენცია და სხვ.) კვლევის საფუძველზე.

ზოგიერთ ძალიან საინტერესო გამოცემაში კოსოვოსა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევები ერთმანეთთანაა შედარებული. ³⁶

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობას არ სურს, აღიაროს პატარა და დიდი ეთნიკური ერთეულების გამოყოფის უფლება მშობელი სახელმწიფოსგან, ამ უკანასკნელის მიერ ნათლად გამოხატული თანხმობის გარეშე. როგორც ანტონიო კასესი მართებულად ასკვნის:

“თანამედროვე დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოყოფას ან გარეშე თვითგამოხატვას არ მოეპოვება მყარი მხარდაჭერა. გაეროს შექმნის დღიდან დიპლომატები და იურისტები ხაზს უსვავენ, რომ თვითგამოხატვის უფლება არ არის გამოყოფის ზოგადი უფლება“. ³⁷

როგორც კრისტოფერ ბორგანი მართებულად აღნიშნავს: „საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებით სკეპტიკურია გამოყოფის მიმართ და მან უკვე ჩამოაყალიბა სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მხარს არ უჭერს გამოყოფას“. ³⁸

მსგავსი შეხედულება დააფიქსირა ანგელიკა ნუსბერგერმა – „საერთაშორისო სამართალი ზოგადად მტრული დამოკიდებულებისაა გამოყოფის მიმართ“. ³⁹

ვ. გრამატიკასი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოთა შესაბამისი პრაქტიკის გამოკვლევის საფუძველზე, რომელსაც ერთგვაროვნების არანაირი ნიშანი არ აქვს და რომელიც განიცდის სახელმწიფოთა მხრიდან ოპინიონ ჯურის ნაკლებობას, არ შეინიშნება არანაირი ჩვეულებითი ნორმის არსებობა, რომელიც გაამყარებდა გამოყოფის, როგორც საერთაშორისო სამართლის უფლების, არსებობას და ასევე, დანამდვილებით არ მოიპოვება არანაირი სახელმწიფოთა სამართალი, რომელიც დაადასტურებდა მის არსებობას“. ⁴⁰

თვითგამორკვევის ორი ზოგადად აღიარებული ცნება არსებობს – შიდა თვითგამორკვევა (ISD) და გარე თვითგამორკვევა (ESD). გაეროს შექმნის შემდეგ მიღებული ყველა დოკუმენტი აღიარებს გარე თვითგამორკვევის შეუზღუდავ უფლებას, უპირველეს ყოვლისა, ყველა კოლონიურ ხალხთა და უცხოელთა ბატონობის ქვეშ მყოფ ხალხთა მიმართ. რაც შეეხება გაეროს სუვერენულ წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც არ აქვთ კოლონიები და მათ ბატონობას იძულებით დაქვემდებარებული სხვა ხალხები, და სადაც კანონის უზენაესობაა, ისინი ანიჭებენ ყველა ეროვნულ უმცირესობას (ხალხები, რომლებსაც აქვთ მონათესავე სახელმწიფო საზღვარგარეთ), ისევე როგორც იმ ხალხებს, რომლებსაც არ აქვთ არანაირი მონათესავე სახელმწიფო საზღვარგარეთ და ისტორიულად ცხოვრობდნენ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კანონიერად დაცულ უფლებას, განავითარონ თავიანთი ეთნიკური იდენტურობა, ენა, ტრადიციები, კულტურა. არც ერთი ამ ჯგუფის მიმართ არ არის ნებადართული არანაირი ცალმხრივი გამოყოფა.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია დსთ-ის სამართლის ექსპერტების მიერ 2000 წლის 14 ივლისს კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტში გაცხადებული მიდგომა:⁴¹

“კონფერენცია შეგახსენებთ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ აკანონებს და არ იწონებს არანაირ ქმედებას, რომელიც გამოიწვევს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ერთიანობის, თანასწორობისა და ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპების (ნაწილობრივ ან მთლიანად) ხელყოფას. გამოყოფა არ არის თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის გარდაუვალი ელემენტი. ის არ უნდა გასცდეს თვითგამორკვევის უფლების ფარგლებს. ეროვნულ, ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ უმცირესობებს არ აქვთ თვითგამორკვევის უფლება... რაც შეეხება ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, გამოყოფის უფლების ჩათვლით, ამ მხრივ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი საკმაოდ კატეგორიულია და აღიარებს ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას უკვე არსებული სახელმწიფოს ფარგლებში და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები რაოდენობრივად მცირე სხვადასხვა ხალხების მიმართ, რომლებიც ამგვარი სახელმწიფოს მოსახლეობის ნაწილია. ამავე დროს საერთაშორისო სამართალი უარყოფს იმ ხალხების ცალმხრივი გამოყოფის უფლებას, რომლებიც ცხოვრობენ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მთლიანი სახელმწიფოს ნების გაუთვალისწინებლად“.⁴²

მე განზრახ ვახდენ დსთ-ის სამართლის ექსპერტების, განსაკუთრებით რუსი ექსპერტების, მიერ ჩამოყალიბებული დებულებების ციტირებას, რადგან ზემოთ დასახელებული თითოეული პარაგრაფი ცხადყოფს რუსეთის ხელისუფლების მიერ სამხედრო ინტერვენციისა და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციის გასამართლებლად დასახელებული არგუმენტების უსაფუძვლობას.

პრობლემა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წინამდებარე კვლევის ფარგლებში, უკავშირდება „განკურნებად გამოყოფას“.⁴³

ყველა საერთაშორისო სამართლის იურისტი ეფუძნება დეკლარაციას მეგობრული ურთიერთობების შესახებ, ზოგიც აღნიშნავს ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს მსოფლიო კონფერენციის მიერ მიღებულ ვენის

დეკლარაციას და სამოქმედო გეგმას.

საკითხი, რომელიც განხილულ იქნა, ეხება იმ დებულების მოქმედების სფეროს, რომელიც არეგულირებს შეზღუდვების გარეშე გამოყოფის უფლების მქონე ხალხთა წრეს. შეთანხმდნენ რა, რომ ეს უფლება უპირობოდ ეკუთვნის კოლონიურ და დამოკიდებულ ხალხებს, საერთაშორისო სამართლის იურისტების მიდგომები განსხვავდება შემდეგ საკითხზე – ეს დოკუმენტები ზღუდავს თუ არა ბენეფიციართა კატეგორიებს, ან ისინი რამდენად ახდენენ გავლენას სახელმწიფოებზე ანტიკოლონიური კონტექსტის მიღმა.

რადგან მე უშუალოდ ვესწრებოდი იმ სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, რომელმაც შეიმუშავა ტექსტი, რაც ვენის მსოფლიო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე იქნა მიღებული, შემიძლია დავადასტურო, რომ 1990-იან წლებიდან მოყოლებული, რაც კონოლიური სისტემა მთლიანად გაუქმდა, დისკუსიის მთავარი საგანი კონსენსუსის მიღწევას ისეთ ტექსტზე, რომელიც დღევანდელ რეალობაზე იქნებოდა მორგებული.

კონფერენციამ განასხვავა ეს საკითხები და ნათლად ჩამოაყალიბა:

“ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე მათ შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი, და თავისუფლად განახორციელონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება“ (ამ ფორმულირებას ვხვდებით 1966 წლის ადამიანის უფლებათა ორივე პაქტის ერთიან პირველ მუხლში – ლ. ა.).

მხედველობაში იღებენ რა კოლონიური ან უცხოური ოკუპაციის ქვეშ უცხოელთა ბატონობის სხვა ფორმებს დაქვემდებარებული ხალხების განსაკუთრებულ მდგომარეობას, ადამიანის უფლებების შესახებ მსოფლიო კონფერენცია აღიარებს ხალხთა უფლებას, თავიანთი განუსხვისებელი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მიზნით განახორციელონ ნებისმიერი ლეგიტიმური ქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. ადამიანის უფლებების შესახებ მსოფლიო კონფერენცია თვითგამორკვევის უფლების უარყოფას განიხილავს ადამიანის უფლებების დარღვევად და ხაზს უსვამს ამ უფლების ეფექტური

რეალიზაციის მნიშვნელობას (აქ ჩვენ ვხვდებით თვითგამორკვევის უფლების უფრო მტკიცე და კონკრეტულ დეფინიციას, ვიდრე აქამდე განხორციელებულა – ლ. ა.)

გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის თაობაზე საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ დეკლარაციის თანახმად, ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ნების დართვა ან მოწოდება ნებისმიერი ისეთი ქმედებისაკენ, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაანაწილებს ან ზიანს მოუტანს ტერიტორიულ მთლიანობას ან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც მოქმედებენ თანაბარი უფლებების პრინციპისა და ხალხთა თვითგამორკვევის შესაბამისად და, ამგვარად, ჰყავთ წარმომადგენლობითი მთავრობა ყველა იმ ხალხისა, რომელიც ნებისმიერი სახის განსხვავების გარეშე ეკუთვნის მის ტერიტორიას (აქაც, მონაწილეები შეეცადნენ, გაეფართოებინათ დისკრიმინაციის სახეთა წრე, როგორც ეს 1970 წლის დეკლარაციის შემთხვევაში მოხდა – „ნებისმიერი სახის განსხვავების გარეშე, რასის, აღმსარებლობის ან ფერის მიუხედავად“ – ლ. ა.)

ამგვარად, უდავოა, რომ ზემოხსენებული პარაგრაფი ადასტურებს თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ არ გულისხმობს დემოკრატიული მშობელი სახელმწიფოსგან ცალმხრივი გამოყოფის უფლებას, ამავე დროს აღიარებს, რომ როდესაც დანარჩენი მოსახლეობისგან ეთნიკურად განსხვავებული ხალხი დაჩაგრულია და დისკრიმინირებული, მას შეუძლია თავისი ეთნიკური იდენტობისთვის ბრძოლაში მიმართოს გამოყოფის უფლებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას.

სავარაუდოდ გამოხატული „თავისუფალი ნება“ ტერიტორიაზე, რომელზეც მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა

სხვა საკითხი უკავშირდება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებას, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება განაპირობა „იქ მცხოვრები ხალხების თავისუფლად გამოხატულმა ნებამ“.

მაგრამ რომელი ხალხის ნებაზე შეიძლება ვისაუბროთ, როდესაც „ხალხებმა“, რომლებმაც გამოხატეს ეს ნება, იძულებით, განოციდური ზომების გამოყენებით, წინასწარ გამოადევნეს

რეგიონიდან სხვა, უფრო დიდი ეთნიკური საზოგადოების წევრები, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ რეგიონში ათასობით წლების მანძილზე.⁴⁴

ამ კუთხით, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ აფხაზ და სამხრეთ ოს ხალხთა „ნების“ გამოხატვის პრობლემა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საქართველოსგან გამოყოფის უფლება აქვთ. წამოჭრილ საკითხთა შორის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია – რა იგულისხმება სიტყვებში „ხალხის ნება“? აფხაზეთის შემთხვევაში, საკმარისია გადავხედოთ არსებულ დოკუმენტებს, ინტერალია გადაწყვეტილებებს, რომელიც მიღებულია გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს სამიტების და დსთ-ის ფორმატში, რათა შეგვექმნას სრული წარმოდგენა იმ დანაშაულებრივი ქმედებების, მასობრივი მკვლელობის, გაუპატიურების და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებების შესახებ, რომელიც ჩაიდინეს სეპარატისტებმა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთში ეს ქმედებები დემოგრაფიული სტრუქტურის შეცვლის მიზნით სლოგანით – „აფხაზეთი ქართველების გარეშე“ – ხორციელდებოდა.

პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც თავიდანვე გამოეხმაურა აფხაზეთში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს, იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). უკვე 1994 წელს ბუდაპეშტის სამიტის მონაწილე სახელმწიფოებმა გამოხატეს ღრმა შეშფოთება „ეთნიკური წმენდის, ხალხის მასობრივი გაძევების, ძირითადად ქართველების, მათი საცხოვრებელი ადგილებიდან და უდანაშაულო სამოქალაქო პირების დიდი რაოდენობით ხოცვის“⁴⁵ გამო.

თუმცა, აფხაზეთში სეპარატისტების მიერ გატარებული პოლიტიკის ყველაზე სრული, მაგრამ ლაკონიური დეფინიცია მოცემულია ლისაბონის სამიტის დეკლარაციაში (1996 წლის 3 დეკემბერი): „ჩვენ (ეუთოს წევრი სახელმწიფოები – ლ. ა.) ვგმობთ „ეთნიკურ წმენდას“, რომელმაც გამოიწვია მასობრივი განადგურება და ძირითადად ქართული მოსახლეობის იძულებითი გაძევება აფხაზეთიდან“.⁴⁶

1999 წლის ნოემბერს სტამბულში გამართულ ეუთოს სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში სახელმწიფოებმა „გაიმეორეს“ თავიანთი „მტკიცე გადაწყვეტილება, გაცხადებული ბუდაპეშტისა

და ლისაბონის სამიტის დოკუმენტებში, რომელიც გამოხდა „ეთნიკურ წმენდას“ – მასობრივი განადგურებასა და ძირითადად ქართული მოსახლეობის იძულებით გაძევებას აფხაზეთიდან, საქართველო, აგრეთვე 1998 წლის მაისში გალში დაბრუნებულ პირთა მიმართ განხორციელებულ ძალადობას“. ⁴⁷

გაეროს უშიშროების საბჭო 1995-2006 წლებში მიღებულ ყველა რეზოლუციაში „იხსენიებს“ ეუთოს ბუდაპეშტის გადაწყვეტილებებს და შემდეგ ლისაბონის და სტამბულის სამიტების დასკვნებს, და აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს მიუღებლად მიიჩნევს. ⁴⁸

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლამდე ყველა რეზოლუცია შეიცავდა მითითებას ლისაბონის და სტამბულის გადაწყვეტილებებზე, როგორცაა მაგალითად, 2002 წელს მიღებული რეზოლუცია, რომელშიც უშიშროების საბჭო „იხსენიებს“ ლისაბონის (შ/1997/57, დანართი) და სტამბულის სამიტის დასკვნებს აფხაზეთში, საქართველო, არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ⁴⁹

2008 წლის 29 მაისს, საქართველოში რუსეთის შემოჭრამდე სულ რაღაც ორი თვით ადრე, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია (62/249 „აფხაზეთიდან, საქართველოდან დევნილების და ლტოლვილების სტატუსი“), რომელშიც „იხსენიებს რა უშიშროების საბჭოს ყველა შესაბამის რეზოლუციას, და აღნიშნავს რა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის (1994), ლისაბონის (1996) და სტამბულის (1999) სამიტების დასკვნებს, განსაკუთრებით მოხსენებებს აფხაზეთში, საქართველო, „ეთნიკური წმენდის“ და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების შესახებ, გმობს აფხაზეთში, საქართველო, განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას“. ⁵⁰

2010 წლის 7 სექტემბერს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 64/296, რომელიც ეხება რა ორივე სეპარატისტულ რეგიონს, უარყოფს მათ „დამოუკიდებლობას“ და მოიხსენიებს მათ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საყოველთაოდ აღიარებული წესით: „აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო, დევნილების და ლტოლვილების სტატუსი, გამოხატავს რა სინანულს ეთნიკური წმენდის პოლიტიკის მიმართ“.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში ქართველების მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას, Human Rights Watch-მა გამოსცა მოხსენებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ რამდენიმე ქართული სოფელი სრულად იქნა განადგურებული. ⁵¹ 12 აგვისტოს HRW-მა განაცხადა:

„13 აგვისტოს საღამოს, როდესაც Human Rights Watch-ის მკვლევრები ბრუნდებოდნენ ცხინვალიდან ჯავაში, მათ დაინახეს, რომ უკვე მეორე დღე იყო, რაც რამდენიმე ქართულ სოფელში სახლები ცეცხლში იყო გახვეული. აშკარა იყო, რომ მათ ცოტა ხნის წინ წაუკიდეს ცეცხლი. სამხრეთ ოსური ძალების ერთ-ერთი კონტრაზვერვის ოფიცერი უმტკიცებდა Human Rights Watch-ს, რომ: „ჩვენ გადავწვით ეს სახლები. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ისინი [ქართველები] უკან ვეღარ დაბრუნდებიან, რადგან თუ დაბრუნდნენ, მაშინ ეს ისევე ქართული ანკლავი გახდება და ეს არ უნდა მოხდეს“.

მოხსენება პირდაპირ ასკვნის: „რაც შეეხება სამხრეთოსური ძალების მიერ არარეგულარული შეიარაღებული ჯგუფების დონეზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის ბრალდებებს, მართალია, მისიამ მოიძია შემთხვევები იმ ეთნიკური ქართველების იძულებითი გადაადგილების შესახებ, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ დარჩნენ თავიანთ სახლებში. ამასთანავე, იყო მტკიცებულებები სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართული სოფლების სისტემატური... განადგურების შესახებ. შედეგად, სხვადასხვა ელემენტების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხრეთ ოსეთში ეთნიკური წმენდა ნამდვილად იყო ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ მიმართული პრაქტიკა როგორც 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე, ასევე მას შემდეგ“. ⁵²

ეთნიკურმა წმენდამ ასახვა პოვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში 1647 (2009), რომელიც მოიცავს 2008 წლის აგვისტოში და შემდგომ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1664 (2009) აღნიშნავს:

„სამხრეთ ოსეთში ის სოფლები, რომლებიც ადრე ქართული კონტროლის ქვეშ იყო, **მიწასთან გაასწორეს** (ხაზგასმა – ლ. ა.), სახლების მცირე რაოდენობის გამოკლებით. აშკარაა ეთნიკური

ქართველებით დასახლებული ტერიტორიის წმენდის განზრახვა“.

ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ეთნიკური წმენდის საკმაოდ ღრმა აღწერილობაა მოცემულია Human Rights Watch-ის ერთ-ერთ მოხსენებაში: ⁵⁴

„UNOSAT ვებგვერდზე (<http://unosat.web.cern.ch/unosat/>) ხელმისაწვდომ ფოტოებს შორის არის რუკა, სადაც მონიშნულია ცხინვალის გარშემო განლაგებულ ეთნიკურ ქართულ სოფლებში სატელიტიდან დაფიქსირებული ცეცხლის გახსნის აქტიური ადგილები. რუკაზე ნაჩვენებია ცეცხლის გახსნის აქტიური ადგილები ეთნიკურ ქართულ სოფლებში 10, 12, 13, 17, 19 და 22 აგვისტოს, კარგა ხნის შემდეგ, რაც 10 აგვისტოს იმ ტერიტორიაზე აქტიური საბრძოლო მოქმედებები დასრულდა. აღნიშნულ დღეებში ნაკლები ღრუბლიანობის შედეგად შესაძლებელი გახდა სატელიტიდან ამ ადგილების ნახვა.

UNOSAT-მა ასევე გამოაქვეყნა ცხინვალიდან ჩრდილოეთით ცხრა კილომეტრზე გაჭიმული ეთნიკური ქართული სოფლების ანკლავის მაღალი ხარისხის სატელიტური ფოტოები, რომელზეც ჩანს, რომ სოფლების უმეტესობა განადგურებულია“.

იმ ბრალდებების საპასუხოდ, რომ ზიანი დადგა საქართველოს მხრიდან განხორციელებული საარტილერიო ცეცხლის გახსნისა და დაბომბვის შედეგად, მოხსენება აცხადებს:

„ფოტოები აშკარად მიანიშნებს, რომ სოფლების უმეტესობის, კერძოდ ხუთი სოფლის – თამარაშენის, კეხვის, ქვემო აჩაბეთის, ზემო აჩაბეთის და ქურთის – განადგურება გამოიწვია განზრახ გადაწვამ. ამ სოფლების მაღალი ხარისხის ფოტოები არ მიანიშნებს შემომავალი საარტილერიო დაბომბვის ან სარაკეტო ცეცხლის გახსნის, ან საჰაერო დაბომბვის არანაირ კვალზე. განადგურებული სახლების უმეტესობის ღობეების შიდა და გარე კედლები გადარჩენილია, მაგრამ ხით ნაგები სახურავები ჩანგრეულია, რაც მიანიშნებს, რომ შენობები გადაწვეს. მხოლოდ თამარაშენთან ძირითადი გზის გასწვრივ არის შესამჩნევი რამდენიმე სახლი, ჩამონგრეული გარე კედლით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ტანკიდან ცეცხლის გახსნის შედეგად“ ⁵⁵

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის 382-ე რეზოლუციაში წერია:

„5. ღრმად შეშფოთებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის / სამხრეთ ოსეთის, საქართველო, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული სიტუაციით, ასევე ორი რეგიონიდან გადაადგილებული ქართული მოსახლეობის მიმართ დაბრუნების უფლების მუდმივი უარყოფით...“

14. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის პარლამენტს და მთავრობას, ასევე აფხაზეთის, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის, საქართველოს de facto ხელისუფლებას:

ა. აღმოფხვრას შედეგები იმისა, რაც საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მიერ აღწერილ იქნა, როგორც ეთნიკური წმენდა, და ნება მიეცეს ყველა დევნილს, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნდეს თავიანთ სახლებში“ ⁵⁶

ამრიგად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ „ხალხებს“ არ აქვთ არანაირი უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება რეგიონების სტატუსის შესახებ, სანამ ყველა გამეფებული პირი არ დაუბრუნდება თავის სახლს.

ჰქონდა თუ არა კოსოვოს შემთხვევას უარყოფითი ზეგავლენა საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებაზე?

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რაც მეცნიერებისა და პოლიტიკოსების განხილვის საგანია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მომავალთან დაკავშირებით, გული-სხმობს – კოსოვოს შემთხვევამ მნიშვნელობა ხომ არ დაუკარგა მას გარე თვითგამორკვევის სასარგებლოდ?

კრისტოფერ ბორგანი მართებულად აღნიშნავს: საერთაშორისო საზოგადოება განსაკუთრებით სკეპტიკურია გამოყოფის მიმართ და მან უკვე ჩამოაყალიბა სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც მხარს არ უჭერს გამოყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში, თუკი არის სახელმწიფოთა (რომლებმაც ცნეს „დამოუკიდებლობა“ – ლ. ა.)

მნიშვნელოვანი რაოდენობა, შეიძლება მოხდეს კოსოვოს მსგავსი სეცესიური ელემენტის აღიარება. მაგრამ ეს გამონაკლისია (ხაზგასმა – ლ. ა.) საერთაშორისო პოლიტიკაში“. ⁵⁷

რეალურად, სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობიდან, ნიკარაგუის გარდა, არავინ არ აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. მოგვიანებით კიდევ ერთი სახელმწიფო დაიყოლიეს გაეკეთებინა იგივე – ეს აღმოჩნდა ნაურუ – გაეროს ყველაზე პატარა წევრი სახელმწიფო.

რაც შეეხება მსოფლიო თანამეგობრობას, მთლიანობაში აღებულს, მისი დამოკიდებულება ნათელია – დღემდე (2011 წლის მაისი) დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებიც კი გამოხატავდნენ მტკიცე მხარდაჭერას ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ.

ნიშანდობლივია, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომელმაც აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, ავლენენ მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და მუდმივად გმობენ და უარყოფენ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასა და მათი დამოუკიდებლობის აღიარებას, და მოუწოდებენ რუსეთს გააუქმოს ამ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება.

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა და განსაკუთრებით ევროატლანტიკური სახელმწიფოები მუდმივად ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ეუთოს და ნატოს მმართველი ორგანოების მიერ მიღებულ დოკუმენტებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რამდენიმე მათგანი.

რუსული ჯარების მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის და მათი დამოუკიდებლობის აღიარების დასაწყისშივე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა: „მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს და ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს:

24. 1. არ აღიაროს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა...

24. 4. მტკიცედ დაგმოს რუსული ძალების და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების

ეფექტურ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდა“.

2009 წლის იანვარში ასამბლეამ კიდევ ერთხელ:

„4. დაგმო რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და მიიჩნია ეს საერთაშორისო სამართლისა და ევროპის საბჭოს დამფუძნებელი პრინციპების დარღვევად. ასამბლეა კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და რუსეთს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, გააუქმოს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე როგორც მისი საზღვრების ურღვეობას.

9. 3. მოუწოდებს რუსეთს სრულად და უპირობოდ განახორციელოს საპარლამენტო ასამბლეის 1633 (2008) რეზოლუციის ყველა მოთხოვნა, მათ შორის გააუქმოს საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარება, და ... [6] კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, ისევე როგორც მისი საზღვრების ურღვეობის მიმართ...“⁵⁹

ანგელიკა ნუსბერგერი, როდესაც კომენტარს აკეთებს ამ რეზოლუციის მე-4 პარაგრაფზე, აღნიშნავს: „ამგვარია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის ტექსტი, საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის 7 და 8 აგვისტოს შორის ღამით დაწყებული ხუთდღიანი ომიდან ნახევარი წლის შემდეგ. გზავნილი ნათელია და ცალსახა, სხვადასხვა პოზიციებს შორის განსაკუთრებული დიპლომატიური ბალანსის დაცვის გარეშე. მასში გამოყენებული მკაცრი ტონი საკმაოდ უჩვეულოა ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური ორგანოსთვის, როგორც საპარლამენტო ასამბლეა. შესაბამისად, მას უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე ომში და რუსეთისგან,

როგორც წვერი სახელმწიფოსგან, ელის ამ მკაცრი რეზოლუციისადმი დაქვემდებარებას“. ⁶⁰

2010 წლის 16 ნოემბერს ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა:

11. განამტკიცებს რა ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, როგორც გაცხადებულია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთ რეზოლუციაში;

12. მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ მთავრობებსა და პარლამენტებს, განამტკიცონ ნატოს ღია კარის პოლიტიკა, ბუქარესტის სამიტის დეკლარაცია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ⁶¹

2011 წლის აპრილში ნატოს მინისტრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ საზღვრებში. მათ ასევე განამტკიცეს ლისაბონის სამიტზე აღიარებული პოლიტიკა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების არაღიარებასთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტულად კი გადაწყვეტილება, განაგრძონ, მოუწოდონ რუსეთს, გააუქმოს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ სახელწიფოებად აღიარება. ⁶²

ევროკავშირი კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, რაც აღიარებულია საერთაშორისო სამართლით.

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის მნიშვნელობის და ამ კუთხით, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის და განსაკუთრებით ევროკავშირის თანამედროვე მიდგომის ყველაზე სრულყოფილ გამოხატულებას ვხვდებით ევროპული პარლამენტის მიერ 2011 წლის 17 ნოემბერს მიღებულ რეზოლუციაში N2011/2133 (INI):

„(დ) გააძლიეროს ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და, უზრუნველყოს შეთანხმების გამოყენება როგორც კი ის დაიდება, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე; ამ მხრივ, გაგრძელდეს აქტიური

ჩართულობა კონფლიქტის გადაწყვეტაში, ინტერალია EUMM-ის მეშვეობით, რომლის მანდატი ცოტა ხნის წინ ისევ გაგრძელდა 2012 წლის 15 სექტემბრამდე;

(გ) აღიაროს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის საქართველოს რეგიონები ოკუპირებულ ტერიტორიებად;

(3) გააძლიეროს მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციასთან, რათა მან უზრუნველყოს 2008 წლის 12 აგვისტოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ყველა დებულების უპირობოდ შესრულება, განსაკუთრებით იმ დებულებისა, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა უზრუნველყოს EUMM-ის სრული შეუზღუდავი შესვლა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ხაზს უსვამს იმის საჭიროებას, რომ საქართველოს ზემოხსენებულ რეგიონებში მოხდეს სტაბილურობის უზრუნველყოფა;

(ი) მოუწოდებს რუსეთს, გააუქმოს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო, რეგიონების გამოყოფის აღიარება, ბოლო მოუდოს საქართველოს ამ ტერიტორიების ოკუპაციას და სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობას, ისევე როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებული მისი საზღვრების ურღვეობას, რაც შეესაბამება საერთაშორისო სამართალს, გაეროს წესდებას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ ჰელსინკის დასკვნით აქტს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს“.

ეს ტრადიცია გრძელდება დღემდე. ამაწლის 23 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 1916(2013), რომელიც ადასტურებს ყველა წინა რეზოლუციის დებულებას.

დასკვნა

კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ეს შემთხვევა არ გახდა საყოველთაოდ აღიარებული პრეცედენტი, რაც ძირს უთხრის სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის განუსხვისებლობას. საპირისპიროდ, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ

საქართველოსთან ურთიერთობაში გამომჟღავნა მტკიცე მხარდაჭერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ერთ-ერთი მთავარი ცნების მიმართ.

საერთაშორისო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეროვნულ უმცირესობებს საერთაშორისო სამართალში არ აქვთ სამართლებრივი საფუძველი, მიენიჭოთ გარე თვითგამორკვევის უფლება – ეს არის უფლება, გამოეყო მშობელ სახელმწიფოს.

„განკურნებადი გამოყოფა“ არის ექსკლუზიური უფლება, რომლის გამოყენება შეიძლება მხოლოდ კარგად განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება უმცირესობების ეთნიკური იდენტურობის დაცვა. ნებისმიერი ჰუმანიტარული ინტერვენცია, რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი სახელმწიფოს მხრიდან, დაუშვებელია. დაჩაგრული ხალხისადმი დახმარება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოთა მხრიდან მიღებული კოლექტიური ზომების შედეგად და, უპირველეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ნებართვით. დაუშვებელია სეპარატისტული რეგიონების de facto სეპარატისტული რეჟიმების აღიარება, რაც საბოლოოდ იწვევს დემოკრატიული

სახელმწიფოს, მის სეპარატისტული რეგიონების ჩათვლით, ოკუპაციას.

ამგვარად, წლების მანძილზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძალისხმევით ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტებში დაფიქსირებულია ტერმინები „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელუხლებლობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციის აუცილებლობა“, „სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის კატეგორიული უარყოფა“.

ეს უბრალო ტერმინები არ არის, ყოველ ცნებას აქვს საყოველთაოდ აღიარებული იურიდიული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

იმედის მომცემია, ახალი ხელისუფლების პოზიცია, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ამაწლის იანვარში ზემოთ ხსენებული რეზოლუციის 1916(2013) მიღება, რაც შესაძლებელი გახდა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად. ახლა საჭიროა ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება ჩამოთვლილი პრინციპების ფარგლებში, რაც არ გამორიცხავს რუსეთთან ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ და სხვა ურთიერთობების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Weller, M. (2009) *Contested Statehood (Kosovo's struggle for Independence)*, OUP, p. 39; Rich, R. (1993) *Recognition of States, the Collapse of Yugoslavia and the Soviet Union*, in: *European Journal of International Law*, 36, p. 61.
2. EC Press Statement, Luxemburg, 15 June 1992, cited from: Grammatikas, V. (2009) *Kosovo vs. South Ossetia? (Modern Politics of Secession and International Law)*, *Journal of International Law (Tbilisi State University)* no. 1, 2009, p. 33.
4. Statement by Condoleezza Rice on Recognition of Kosovo as Independent State (February 18, 2008).
5. Press conference of the President of the Russian Federation, 31. 01. 2006.
6. დეტალური ანატომია რუსეთის მცდელობისა, იურიდიულად გაემართლებინა თავისი ინტერვენცია და ოკუპაცია საქართველოში იხ. : Allison, R. (2009) *The Russian Case of Military Intervention in Georgia: International Law Norms and Political Calculation in European Security*, vol. 18, N2, June, p. 174x.
7. Statement by President of the Russian Federation Dmitry Medvedev (August 26, 2008).
8. Cassese, A. (2008) *The Wolf that ate Georgia*, Monday, September 01, 2008.
9. Borgan, Ch., (2010) *States and International Law: The problems of self-determination, cessation and recognition*; in: *International Law for International Relations*, (Başak Çali, ed.), Chapter 9, p. 209.
10. იხ. სქოლიო 9, გვ. 174.
11. 2008 წლის 2 დეკემბერს ევროპის კავშირის საბჭომ შვეიცარიის დიპლომატს, ჰეიდი ტალიავინს, დაავალა შეექმნა „დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომისია საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით“ (“Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia“). მისია შედგებოდა 19 დამოუკიდებელი წევრისაგან და მიზნად ისახავდა, გამოეძია საქართველოში კონფლიქტის წარმოშობისა და მიმდინარეობის პროცესი, მათ შორის საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების კონტექსტში. 2009 წლის 30 სექტემბერს კომისიამ წარუდგინა დამფუძნებელ ორგანოს თავისი მოხსენება (შემდგომში მოხსენება).
12. Ibid., pp. 263-264.
13. Ibid pp. 264-269.
14. Ibid pp. 269-275.
15. Ibid pp. 275-276.
16. Ibid pp. 276-280.
17. Ibid pp. 280-283.
18. Ibid pp. 283-284.
19. Ibid pp. 285-289.
20. Ibid., p. 293
21. Ibid., p. 294
23. IIFFM Report, vol. I, para. 17, vol. II, para IV allegations of genocide, pp. 421-428. See also R. Allison, op. cit, p. 183.
24. Ibid., Report vol. I. para. 2.
26. Parkhomenko, V. (2011), *Has Genocide been exhausted (Strasbourg will not consider claims of inhabitants of South Ossetia against Georgia: they have forgotten that they had complained) – „Novaya Gazeta“*, 12 January 2011.
27. საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში საბჭოთა კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციური განვითარების ამომწურავი ანალიზის შესახებ იხ. სქოლიო 31, Nussberger, A., at 347-353.
28. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი კეთდებოდა მაშინ, როდესაც მოსკოვის ოფიციალური ვერსიით, საქართველოში მძვინვარებდა ნაციონალიზმი და ბატონობდა ლოზუნგი „საქართველო ქართველებისთვის“, რომელიც პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ წამოსწია (!).
29. Москва, No. 13, 22. 01. 1992.
30. რაც შეეხება ოსი მოსახლეობის დასახლებას შიდა ქართლში, აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი: XI-XII საუკუნეებში ალანებმა (ქართულ წყაროებში ისინი „ოვსებად“ მოიხსენიება) დააფუძნეს ფეოდალური სახელმწიფო ჩრდილოეთ კავკასიაში,

რომელიც მოგვიანებით მონღოლთა (XIII ს.) და თემურ-ლენგის(XIV ს.) შემოსევების დროს განადგურდა. შედეგად, ალანები იძულებულნი გახდნენ, მიეტოვებინათ ჩრდილო კავკასიის დაბლობები და თავი კავკასიონის ვიწრო ხეობისათვის შეეფარებინათ. მოგვიანებით, ისინი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებისკენ დაემხნენ. XVII-XVIII სს-ში ოსთა ნაწილი საქართველოში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე დასახლდა/ ჩასახლდა.

გაჭირვების გამო და უკეთესი მომავლის მოლოდინში ოსები ცდილობდნენ საქართველოს მთიან სოფლებში გადასვლას და ხშირად სახლდებოდნენ ქართველი მიწათმფლობელების კუთვნილ მიწებზე. აღნიშნულს ხელს უწყობდა ბარში შედარებით უკეთესი ეკონომიკური პირობების გამო ქართველი მოსახლეობის მთიდან ბარში ჩამოსვლის პროცესიც.

ოსები ძირითადად სახლდებოდნენ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და ქსნის მდინარეებისპირა ხეობებში. მოგვიანებით, ოსი მოსახლეობა საქართველოში, გორის და დუშეთის ადმინისტრაციული რეგიონებში, დასახლდა, მათი მცირე ნაწილი კი – რაჭაში. 1921 წლის ინტერვენციაში ოსების ჩართულობისათვის მოსკოვმა მადლიერება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით გამოხატა. სტალინმა და ორჯონიკიძემ ძალ-ღონე არ დაიშურეს გეგმის შესასრულებლად, თუმცა წინააღმდეგობებიც შეხვდათ. საქართველოს საშინაო საქმეების სახალხო კომისარიატის ცნობით: „არ არსებობს სამხრეთ ოსეთი, როგორც გეოგრაფიული წარმონაქმნი, არსებობს მხოლოდ ოსებით დასახლებული სხვადასხვა რეგიონი, რომლებიც ერთმანეთთან არც ეკონომიკური და არც ტოპოგრაფიული კავშირით არ არიან დაკავშირებულნი“. სახალხო კომისარიატმა მიუღებლად მიიჩნია ოლქის შექმნა მასში გორის, დუშეთისა და რაჭის ადმინისტრაციული ერთეულების ქართული სოფლების ჩართულობის ხარჯზე, ვინაიდან აღნიშნული სოფლების მოსახლეობა ამ იდეის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მიუხედავად ამისა, 1922 წელს ოლქი მაინც შეიქმნა. აქვე მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ ამ დროისათვის ცხინვალის ადმინისტრაციულ

ცენტრში მხოლოდ ორი ოსური ოჯახი სახლობდა, ხოლო ათობით ათასი ოსი ეროვნების პირი საქართველოს ტერიტორიის მასშტაბით იყო გაშლილი (1980-იან, 1991-1992 წწ-ში) (იხ. : გიორგი ჟორჯოლიანი, სოლომონ ლევიშვილი, ლევან მატარაძე, ლევან თოიძე, ედიშერ ხოშტარია-ბროსე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის ერთა შორის ურთიერთობების კვლევის ცენტრი, თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“; Мухелишвили Д. (Гл. Редактор), Некоторые Вопросы Истории Осетии, Шида Картли, Тбилиси, 2010; შოთა მალაშხია, კონფლიქტების ანატომია, თბილისი, 2011, გვ. 133-161).

31. Газета „Правда“, Москва, 11 Ноября, 1989.
32. დეტალურად იხ. : And Again: Aggression, Intervention and Occupation of Georgia aimed at Razing the Sovereignty and Territorial Integrity of the Country. Statement of the International Law Institute of Law Faculty of Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Journal of International Law, Tbilisi State University, №2, 2008.
33. ჟორჯოლიანი, გ. და სხვ., (1992) ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის ერთა შორის ურთიერთობების კვლევის ცენტრი, თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, გვ. 12.
34. Report, v. I, para. 3.
35. Латынина, Ю., (2008) 200 км. Танков: О российско-грузинской войне, „Новая Газета“, 19-28 Ноября, 2008; სტატიის ამონარიდები ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია: საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, N 1, 2009, დანართი.
36. Mullerson, R., (2009) Precedents in the Mountains: on parallels and Uniqueness of the Cases of Kosovo, South Ossetia and Abkhazia, Chinese Journal of International Law, t. 8, N. 1, იხ. 2-25; ასევე: სქოლიო 32, Borgan, Ch.,; იხ. ასევე: სქოლიო 13; Nussberger, A., (2009) The War between Russia and Georgia, in Consequences and Unresolved Questions – Göttingen Journal of International Law 1 (2009) 2, გვ. 341-364; Grammatikas, V., (2009) Kosovo V. South Ossetia?

- Modern Politics of Secession and International Law, in *saerTaSoriso samarTlis Jurnal*, Tbilisi saxelmwifo universiteti, N. 1, გვ. 26-44
- Borgan, Ch., (2010) States and International Law: The problems of self-determination, cessation and recognition; in: *International Law for International Relations*, (Başak Çali, ed.), თავი 9, გვ. 209.
37. Cassese, A., (1995) Self-Determination of People's Legal Reappraisal, *ib.* 51; *ib.* ასევე: *სქოლიო 30*, Borgan, Ch., (2009) „The Language of Law and Practice of Politics: Great Powers and the Rhetoric of Self-Determination in the cases of Kosovo and South Ossetia – *Chicago Journal of International Law*, *ib.* 5.
38. *სქოლიო 13* Borgan, Ch., *ib.* 15.
39. Nussberger, Angelika, The War between Russia and Georgia – consequences and unresolved questions – „*Gottingen Journal of International Law*“ 1 (2009) 2, *ib.* 363.
40. Grammatikas, V., *სქოლიო 50*.
41. დასკვნით ნაწილში კონფერენციამ შეაჯამა:
 ,, 1. სახელმწიფომ არ უნდა მიმართოს შეიარაღებულ ძალას, თუ თვითგამორკვევის საკითხი წარმოიშევა იმგვარად, რომ არ არღვევს კონსტიტუციურ პროცედურებს. თუმცა, სახელმწიფოს აქვს უფლება მიმართოს ადეკვატური ძალის გამოყენებას, მათ შორის შეიარაღებული ძალების გამოყენებას, თუ თვითგამორკვევის საკითხის წამოჭრისას კონსტიტუციური წყობილება დაირღვა, ან განხორციელდა ძალადობა.
5. თანასწორობის პრინციპისა და ხალხთა თვითგამორკვევის დარღვევით წარმოშობილი სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად აღიარება არ მოხდება.
6. როდესაც მიმდინარეობს ბრძოლა გამოყოფისთვის, კონფლიქტში მესამე სახელმწიფოების მიერ შეიარაღებული ჩარევა დაუშვებელია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე.
7. სახელმწიფოს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური ერთიანობა (მისი კონსტიტუციური წყობილებისა და საერთაშორისო ვალდებულებების დაცვის ფარგლებში) ნებისმიერი უკანონო აქტის წინააღმდეგ, რაც ხორციელდება თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის კონტექსტში.
42. Выводы и рекомендации конференции экспертов по правовым вопросам государств-участников СНГ – Право на самоопределение и отделение в современном международном праве, 12-14 июля, 2000, „Московский журнал международного права“, №4, 2000, *ib.* 9-21.
43. აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა დოქტრინის მიდგომათა განვითარების მოკლე, მაგრამ ღრმა ანალიზი, დაწყებული ლ. ს. ბუჩნეიტით „Who coined the term remedial secession“ *mozemulia Semdeg statiaSi Secession in Theory and Practice: the Case of Kosovo and Beyond*, *Gottingen Journal of International Law* 2 (2010), 2, *ib.* 545-548.
44. *ib.* ალექსიძე, I. (2001), Unsound Endeavours of the Abkhaz Side to the Conflict in Abkhazia, Georgia to Prove the Legitimacy of claiming „The Right of Abkhazia to Self-determination, Including Secession from Georgia“, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №1, *ib.* 58-79.
45. ეუთოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებისა და სახელმწიფო მეთაურების შეხვედრა, 1994 წლის 4 და 5 დეკემბერი, *ib.* „Towards a Genuine Partnership in a New Era“, UN Doc. A/49/800-S/1994/1435, annex. Budapest Decisions, Regional Issues, Georgia, *paragrafi 2*.
46. Lisbon Summit Declaration, 3 December 1996, UN Doc. A/51/76, appendix I, *paragrafi 20*.
47. OSCE Istanbul Summit Declaration, 19 November, 1999, *paragrafi 17*, www.osce.org.
48. *ib.*: United Nations Security Council 1036/1996/12 January 1996; 1065-1996, 12 July 1996.
49. *ib.* : Resolutions 1427/29 July 2002; 1582/28 June 2005; 1615 (2005); 1656 (2006).
50. UN General Assembly Resolution 62/249.
51. Human Rights Watch, Russia/Georgia: Investigate Civilian Deaths, August 12, 2008.
52. Report, v. I, para. 27 (p. 27), v. II, p. 421-428.
53. ACE, Resolution 1664 (2009), adopted on 29 April 2009.

54. Human Rights Watch, Georgia Satellite Images Show Destruction, Ethnic Attacks.
55. Ibid.
56. NATO Parliamentary Assembly Resolution 382 on the Situation in Georgia, adopted on 26 November, 2010.
57. Borgan, Ch., Language of Law, იბ. 15, იბ. სქოლიო 13.
58. Resolution of PACE 1633 (2008) adopted October 2, 2008.
59. Resolution 1647 (2009) adopted on 28 January 2009, para. 4, 6, 9. 3.
60. Nussberger, A., op. cit., იბ. 343.
62. Joint Statement at the Meeting of the NATO-Georgia Commission at the level of Foreign Ministers in Berlin, Germany – April 15 2011.
63. Brussels, 27 August 2011, A/334/11.
64. იმის გამო, რომ კონფლიქტის მხარეებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს კონფლიქტის მსვლელობისას ჰქონდათ განსხვავებული მიდგომა ცხინვალის რეგიონის სახელწოდებისადმი, საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიმუშავა კომპრომისული ვარიანტი – „Abkhazia, Georgia, and the Tskhinvali Region/South Ossetia, Georgia“, რაც აისახა სხვადასხვა დოკუმენტებში, მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში 64/296 (7 სექტემბერი, 2010 წელი) – „აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, საქართველო, ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსი“ (ე.წ. საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში ოსების ისტორიისთვის იბ. სქოლიო 42.)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

2. ხელმისაწვდომია: http://www.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law_N1_2009.pdf.
3. ხელმისაწვდომია: http://www.peach.dreab.com/p-International_recognition_of_KosovoNStates_which_formally_recognise_Kosovo_as_independent.
4. ხელმისაწვდომია: <http://www.America.gov/st/text-trans-English/2008/February/20080218150254bpuh5.512637e-02.html>.
5. ხელმისაწვდომია: http://www.kremlin.ru/eng/text/speeches/2006/01/31/0953_type82917_100901.html.
6. ხელმისაწვდომია: http://www.kremlin.ru/eng/text/speeches/2006/01/31/0953_type82917_100901.html.
7. ხელმისაწვდომია: http://archive.kremlin.ru/eng/text/speeches/2008/08/26/1543_type82912_205752.shtmlN.
8. available at: <http://www.guardian.co.uk/comment-isfree/2008/sept/01/georgia.russia1?qusrc=rss&-feed=worldnews>.
22. Putin accuses Georgia of Genocide, available at: <http://rt.com/news/putin-accuses-georgia-of-genocide/print/>.
25. <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=7&portal=hbkm&action=html&highlight=GEORGIA&sessionId=70640968&skin=hu-doc-en>.
26. available at: <http://www.novaya gazeta.ru/data/2001/001/10.Html?Print=2011170111134>.
32. available at: http://www.law.tsu.edu.ge/files/Publications/Journal_2_2008.pdf.
35. იბ. : http://www.law.tsu.edu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law_N1_2009.pdf.
36. http://library.law.tsu.ge/files/publications/Journal%20International%20Law_N1_2009.pdf;
51. ხელმისაწვდომია: <http://www.hrw.org>.
54. ხელმისაწვდომია: http://hrw.org/english/docs/2008/08/28/georgia1972_txt.html.
61. ხელმისაწვდომია: <http://www.nato-pa.int/default.asp?CAT2=2185&CATO=576&SHORTCUT=2245&-SEARCHWORDS=resolution, georgia>.
- http://books.ge/product_id.php?code=561
- http://books.ge/product_id.php?code=4239



საქართველოს ადგილი აღმოსავლურ და დასავლურ სოციოზასიურ შოხის შუა საუკუნეების ქართვად მოღვანეთა თვანთახედვით

ზაზა ალქხსიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რეზიუმე

ევროპასა და აზიას შორის გაცნობიერებული არჩევანი ქართულმა ისტორიოგრაფიამ პირველად მაშინ გააკეთა, როდესაც ქართველთა ეთნოგენეზისის პრობლემით დაინტერესდა (XI ს.). შუა საუკუნეებში ასეთი პრობლემის გარკვევა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბიბლიის საფუძველზე შეიძლებოდა. მას უნდა აერჩია, ნოეს შვილების ჩამომავალთაგან, ვისთვის უნდა მიეკუთვნებინათ თავი: იაფეტის, სემისა ან თუ ქამისათვის.

ცხადია, ასეთი რთული საკითხის მეცნიერულად გასარკვევად ქართველ ისტორიკოსებს საკმარისი ლინგვისტური ცოდნა არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. ან როგორ უნდა მოვთხოვოთ მათ ასეთი სირთულის პრობლემის თანამედროვე დონეზე გადაწყვეტა, როდესაც XIX საუკუნის ბოლოს ნ. მარიც კი ქართველებს სემიტურ მოდგმასთან აკავშირებდა.

მიუხედავად ამისა, ქართულმა მოაზროვნე საზოგადოებამ მაინც თეორიულადაც სწორი არჩევანი გააკეთა: თავი ბიბლიური ნოეს შვილის, იაფეტის ჩამომავალად გამოაცხადა (“ცხოვრება მეფეთა”) და არა სემისა ან ქამისა. ეს იყო პირველი სერიოზული, მაგრამ ჯერ კიდევ არა საკმარისი, განაცხადი ქართველთა დასავლური ორიენტაციის თეორიულად გასამართლებლად.

მართალია, ქართველების იაფეტიდობად გამოცხადება უკვე მაშინ დასავლური არჩევანის

მაუწყებელი იყო, მაგრამ იაფეტის ჩამომავალთა შორის დასავლურთან ერთად საქართველოსთვის ამჟამად აღმოსავლური ხალხიც იგულისხმებოდა, მაგალითად, ირანელები ან ინდოელები, რომლებსაც დღეს ინდოევროპული მოდგმის ხალხებს ვეძახით. მაგრამ ამ არჩევანს ქართველი ისტორიკოსი (ლეონტი მროველი) აკეთებდა მაშინ (XI ს.), როდესაც ირანი არ იყო ქვეყნისთვის მთავარი პრობლემა. მთავარ პრობლემად ჯერ კიდევ სემიტური მოდგმის არაბები რჩებოდნენ და ამოცანა იყო მათგან გამიჯვნა. სემიტებისგან (სემის ჩამომავალთაგან) გამიჯვნა კი საქართველოსთვის დასავლური ორიენტაციის არჩევას უდრიდა.

კიდევ უფრო ადრე ქართველთა (იბერიელთა) ეთნოგენეზისის შესახებ თეორიები შეიქმნა ბერძენ და ლათინ ისტორიკოსთა (ოლიმპიადორე) შორის, რომელიც მოგვიანებით დაამუშავეს სომეხმა ისტორიკოსებმა (მოსე ხორენელი, უხტანესი). ეს არის თეორია ქართველთა პირენეის ნახევარკუნძულიდან ნაბუქოდონოსორის მიერ გადმოსახლების შესახებ:

“ის ივერია არის ქვეყნის კიდეში დასავლეთში, ხოლო ეს ივერია არის პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე”, განმარტავენ ოლიმპიადორეს მიმდევრობით სომეხი ისტორიკოსები [1. 63] უხტანესის ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან].

სომეხთა დაინტერესება ამ თეორიით ადვილი ასახსნელია. ისინი თავს თვლიდნენ ავტოქტონებად, ბიბლიური წარმომობისად, ანუ იაფეტის ძის თარგამოსის შთამომავლებად, რომელიც არარატის ძირას დასახლდა, ხოლო ქართველებს – გვიან მოსულებად, უკიდურესი დასავლეთიდან იძულებით გადმოსახლებულებად.

არ არის გამორიცხული, რომ ლეონტი მროველის თეორია ქართველთა ასევე იაფეტის ძის თარგამოსის შთამომავლებად გამოცხადებისა, სხვა გარემოებათა გარდა, ამ თეორიის საწინააღმდეგოდ დამუშავდა.

უკვე ანტიკურ ხანასა და ადრეულ შუასაუკუნეებში გაჩნდა პირენეელი იბერების წარმომავლობის შესახებ სხვა თეორიაც, რომ ისინი კავკასიიდან არიან წასული დასავლეთში. ასეა თუ ისე, ქართველთათვის ცნობილი იყო, რომ მათ ნათესავები ჰყავთ ევროპაში და საჭიროა მათთან კავშირების აღდგენა, ეს ინტერესი ქართველთა შორის განსაკუთრებით გამლიერდა X-XI ს-ში, უშუალოდ იმის წინ, როდესაც ქართლოსის იაფეტური წარმომავლობის თეორია უნდა შექმნილიყო, როდესაც ქართველებმა თავისი წარმომავლობის ძიება დაიწყეს. გიორგი მთაწმიდლის მონათხრობიდან ვიცით, რომ იოანე მთაწმიდელი, ექვთიმე ათონელის მამა, თავისი მოწაფეებითურთ ემზადებოდა კიდევ წასასვლელად დასავლეთში ქართველთა მოძმეებთან კავშირების აღსადგენად [2. 54-55].

საინტერესოა ახლა ის არის, თუ როგორ შემზადდა თეორია ქართველთა დასავლური წარმომავლობის შესახებ და რამდენად გაემიჯნა იგი თავის აღმოსავლურ ფესვებს.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს, ქართლის სახელწოდებით, ჩამოყალიბების პროცესი ლეონტი მროველს ასე აქვს აღწერილი:

ქვეყანაში არეულია სხვადასხვა ხალხი: სომხები, ბუნთურქნი, ხაზარები, ასურნი, ებრაელები, ბერძენნი. ყველანი ესენი თავისი ქვეყნიდან გამოქცეულან სხვადასხვა გარემოების გამო და ქართლისთვის შეუფარებიათ თავი, ყველა მათგანს თავისი ენა, სარწმუნოება და ცხოვრების წესი შემოუტანია ქვეყანაში, ქართლის ციხეებიც კი მათ (ბუნთურქებს) უკავიათ. ამის გამო ქართლოსიანთ უჭირთ გაერთიანება და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლა. ხსნა დასავლეთიდან, მაკედონიიდან (ქართველთათვის – საბერძნეთიდან) მოდის:

ალექსანდრე მაკედონელი „გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა“, „განძლიერდა“, „დაიპყრა ყოველი ქართლი და მოსრნა ყოველნი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“ [3. 36-37].

ალექსანდრე მაკედონელის წყალობით საქართველო მონოეთნიკურ ქვეყანად ყალიბდება.

მონოეთნიკურ ქვეყანაში ალექსანდრე მაკედონელს შესაძლებლობა ეძლევა ახლებურად მოაწყოს ქვეყანა და ერთღმერთიანობა შემოიღოს. მან დატოვა ქართლის მმართველად აზონი და უბრძანა:

„რათა პატივსცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამზადებელსა ყოვლისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარმეტყველი და მოძღუარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა, არამედ თვით მოიგონა სჯული ესე“ [3. 38].

ლეონტი მროველი გვარწმუნებს, რომ ალექსანდრე მაკედონელის წყალობით ქართლი უკვე ქ. წ. IV-III სს-ის მიჯნაზე მზად იყო ახალი აღთქმის, მაცხოვრის სჯულის მისაღებად. ასე მხოლოდ იმიტომ არ მოხდა, რომ ჯერ არსად იყო წინასწარმეტყველი და სჯულის მოძღვარი, რომ მისთვის მართალი სჯული ესწავლებინა. ერთი სიტყვით, ქართლი უკვე მაშინ განუდგა ყველა აღმოსავლურ სარწმუნოებას.

მაგრამ აზონი, რომელიც ალექსანდრემ რომაული მხედრობით ქართლის მმართველად დატოვა, ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ გადაუხვევს მის გზას:

„დაუტევა სჯული ალექსანდრეს მოცემული, იწყო კერპთმსახურებად“ [3. 39].

დადგა ქართლოსიანთა ოცდაშვიდწლიანი ძნელბედობის ხანა.

ამასობაში დავაჟაკცდა ფარნავაზი, მცხეთის მამასახლითა შთამომავალი, მამით ქართველი, ხოლო დედით სპარსი. ფარნავაზმა გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი (ეგრისის ერისთავი ქუჯი) საქართველო. ათასმა რჩეულმა რომაელმა მეომარმა მიატოვა აზონი და ფარნავაზის მხარეს გადმოვიდა. აზონი დამარცხდა. შეიქმნა თავისუფალი, ერთიანი საქართველო მეფე ფარნავაზით სათავეში.

ფარნავაზმა დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა. მან დაყო საქართველო საერისთაოებად,

ჩაუყენა სათავეში ერისთავები (ცხადია, ქართველები) და ყველა საერისთავოდან შემოუდიოდა „ხარკი სამეფო და საერისთავო“. ამ რეფორმის შესახებ ლეონტი მროველი ამბობს:

„ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“ [3. 44].

მაგრამ სად წავიდა ის ათასი რჩეული რომელი, რომელმაც მიატოვა აზონი და ფარნავაზს დიდი სამსახური გაუწია:

„ხოლო იგი ჰრომნი ათასნი მხედარნი... განყვნა ჴევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მხნედ იყვნეს, და უწოდა მათ აზნაურნი“ [3. 45].

ამრიგად, ლეონტი მროველის თვალსაზრისით ფარნავაზმა საერისთავოები დაყო უფრო მცირე ერთეულებად, სამართავად ჩააბარა რომაელებს და მათგან შექმნა მეფის დასაყრდენი სოციალური ფენა, ის ფენა, რომელმაც მოგვიანებით საქართველოში ფეოდალიზმი უნდა ააშენოს. ერთი სიტყვით, ფარნავაზმა შექმნა სამეფო, რომლის სახელმწიფო (პოლიტიკური) წყობა აღმოსავლურია – სპარსული, ხოლო სოციალური – დასავლური (რომაული).

ეს არის სიმბოლური სახე საქართველოს მთელი შემდგომი განვითარებისა, ყოველშემთხვევაში მონღოლთა ბატონობამდე მაინც. ეს არის ის მთავარი თავისებურება, რაც საქართველოს გეოპოლიტიკურსა და გეოკულტურულ სიტუაციას ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნებისაგან მკვეთრად განასხვავებს მთელი ისტორიის მანძილზე.

საინტერესო და რთული სურათი დახატა ლეონტი მროველმა: ფარნავაზი არის ერთიანი საქართველოს პირველი ქართველი მეფე, თუმცა დედით სპარსია. იგი ქართულ ენას აცხადებს ერთადერთ (სახელმწიფო) ენად. ქმნის ქართულ მწიგნობრობას (დამწერლობას), სახელმწიფოს ადმინისტრაციულ სისტემას აყალიბებს აღმოსავლურს (სპარსულს), ხოლო სოციალურს – დასავლურს (რომაულს).

საქართველოს სოციალური სისტემის მსგავსება ევროპულთან და ამ ინსტიტუტების განვითარების გზები განსაკუთრებით თვალსაჩინოა მონღოლთა შემოსევამდე, მანამდე, ვიდრე საქართველო ბუნებრივი გზით ვითარდება. მონღოლთა ბატონობამ შეაფერხა განვითარების ეს გზა და შემდეგში გაადვილა აღმოსავლური (თურქული, სპარსული) სისტემების დანერგვა.

ქართველებს ახსოვთ, რომ ალექსანდრე მაკედონელმა მათ უბრძანა დამბადებელი ღმერთის მსახურება. ქრისტიანობა, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დევნილი რელიგიაა რომში (III ს. ქ. შ.), როდესაც საქართველოში მეფეობს რევ მართალი, რომელიც:

„დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ მოწყალე და შემწე ჭირვეულთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლის ჩუენისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი“ [72].

ასე თანდათან ამზადებს ლეონტი მროველი მკითხველს იმის მისახვედრად, თუ რატომ აირჩია ქრისტიანობა საქართველომ სახელმწიფო რელიგიად მთელს იმდროინდელ მსოფლიოში ერთერთმა პირველმა; რომ ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი.

დადგა ქ. შ. IV საუკუნე დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფე ასფაგური. დაპყრობილია სომხეთი. „აღუღია პირი სპარსთა მეფესა შთანთქმად ქუეყანისა“. ქართველებს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლიათ, ვინაიდან დარჩნენ „ვითარცა ცხოვარნი უმწყესონი“. და აი, მათ გადადგეს პარადოქსული ნაბიჯი, რომელმაც ეროვნული თვალსაზრისით სასურველი შედეგი მოიტანა. ქართლის აზნაურებმა მიმართეს ირანის შაჰს თხოვნით: მისცენ მეფედ თავისი ძე მიჰრანი, მიჰრანმა ცოლად შეირთოს ფარნავაზის ჩამომავალი (ფარნავაზიანი) ასფაგურის ასული, ქართველებმა შეინარჩუნონ მამა-პაპის რჯული, ქართველი აზნაურები არ გაითქვიფონ სპარსელ წარჩინებულებში და შეინარჩუნონ თავისი სოციალური პრივილეგიები. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მზად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპონ.

ირანის შაჰმა შეიწყნარა ეს თხოვნა. ამით ქართველებმა მთელი თავისი ცხოვრების წესი შეინარჩუნეს, ანუ შეინარჩუნეს ქართული სოციალური სისტემა. ერთადერთი ქართული, რაც მათ ვერ შეინარჩუნეს, იყო სამეფო ხელისუფლება. მაგრამ რა მოხდა? როდესაც მთლიანად ქართულ გარემოში მოხვდა, მიჰრანი იქცა მირიანად, „შეიყუარა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. ... და შეამკო საფლავი ფარნავაზისი“ [3. 79], ანუ გახდა ქართველი მეფე და აღიარა თავისი ფარნავაზიანობა. ასე, დღეს რომ ვიტყვით, ვირტუალურად აღდგა ფარნავაზიანთა დინასტია.

თხუთმეტი წლის მირიანს გარდაეცვალა ფარნავაზიანი მეუღლე. წარმოშობით სპარსმა მირიანმა, ვინაიდან ქართველთა სიკეთე სურდა (!), მოიყვანა მეუღლედ ბერძენი ქალი ნანა. ესენი გახდნენ პირველი ქრისტიანი მმართველნი ქართლისა: სპარსი მეფე მირიანი და ბერძენი დედოფალი ნანა – ორივენი სრულიად გაქართველებულნი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით.

სწორედ ეს იყო ფუნქცია ორ იმპერიასა და ორ ცივილიზაციას შორის მოქცეული საქართველოსი მათი შერიგება. თვითონ საქართველო კი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით უნდა გამხდარიყო ამ შერიგების პოლიგონი. სხვათაშორის, ასეთი ფუნქცია ამიერ-კავკასიაში არცერთ სხვა სახელმწიფოს თავის თავზე არასოდეს არ აუღია.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ერთმანეთს შეეჯახა რამდენიმე ძლიერი რელიგია: იყო ქრისტიანობა, მაზდეანობა და, ბოლოს, მაჰმადიანობა. სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით ქრისტიანობა დასავლური ღირებულებების მატარებლის – ბიზანტიის რელიგია იყო. თავდაპირველად ამიერ-კავკასიის ყველა ქვეყანამ (ქართლმა, სომხეთმა და ალბანეთმა) დასავლური (ბიზანტიური) ორიენტაცია აირჩია. ამის დასტურად ქართლმა სამღვდელეობაც საბერძნეთიდან მოიყვანა, თუმცა შეეძლო, და ვალდებულიც იყო, მოეყვანა ანტიოქიდან ან იერუსალიმიდან, მით უფრო, რომ ქართლი ანტიოქიის სამწყსოდ ითვლებოდა. ქართლმა ეს პრობლემა ასე გადაწყვიტა: ანტიოქიის პატრიარქს დაამტკიცებინა საბერძნეთიდან მოყვანილი სამღვდელონი. ასე გაგრძელდა VI ს-ის შუა ხანებამდე, სანამ უმაღლესი იერარქების საყდრები თვითონ ქართველებმა არ დაიკავეს.

მაგრამ ასეთი იდეოლოგიური ჰარმონია ამიერ-კავკასიაში დიდ ხანს ვერ გაგრძელდებოდა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესია და მთელი მაშინდელი ახლო აღმოსავლეთი და დასავლეთი შეაზანზარა დოგმატიკის საკითხებში პოლემიკამ. დღის წესრიგში ახლა უკვე ქრისტიანობის შიგნით არჩევანის გაკეთება დადგა. ყველაზე მთავარი იყო დაპირისპირება დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის. ქრისტიანობის შორის არსებულ მიმდინარეობებს დიდი იმპერიები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ. ირანი მხარს

უჭერდა იმ სარწმუნოებას, რომელსაც ებრძოდა ბიზანტია. ირანის მხარე დაიკავა სომხეთმა, ხოლო ბიზანტიისა – ქართლმა. ამიტომ მონოფიზიტობამ სახელად სომხური სარწმუნოება მიიღო, ხოლო დიოფიზიტობამ – ქართული. მთელს ახლო აღმოსავლეთში საქართველო იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პრობიზანტიური, დიოფიზიტური მრწამსი აირჩია. წინა მონათხრობით ლეონტი მროველმა თავისი მკითხველი უკვე შეამზად ასეთი არჩევანის ბუნებრივად აღსაქმელად.

საქმე ის არის, რომ ამიერ-კავკასია გეოგრაფიული თვალსაზრისით ერთი სახელმწიფოსათვის არის შექმნილი: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით ანატოლიის ზეგანი, დასავლეთითა და აღმოსავლეთით შავი და კასპის ზღვები. ამიტომ იყო, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიებს კავკასიაში გაბატონებისათვის სამივე ქვეყანა ერთად სჭირდებოდათ. პოლიტიკური გაბატონების გზაზე საუკეთესო საშუალება იყო მათი ერთი სარწმუნოების ქვეშ ყოფნა და ამ სარწმუნოებისათვის მხარის დაჭერა. მეორე მხრივ ამიერ-კავკასიის ქვეყნებიც, ხან ერთი ხან მეორე, ცდილობდნენ ჰეგემონობისთვის მიეღწიათ და ხელსაყრელ პირობებში გეოგრაფიული საზღვრები პოლიტიკურისათვის დაემთხვიათ, ამიერკავკასია ერთ სახელმწიფოდ ექციათ. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად იმ პერიოდში უფრო ძლიერი ქვეყნისათვის სასურველი იყო სამივე ქვეყანას ერთი სარწმუნოება ჰქონოდა, რომ ერთიანი სულიერი და ხორციელი მართვისთვის მიეღწია. ამიტომ, როგორც უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოს, შექმნილ პირობებში ამიერ-კავკასიის ქვეყნების ერთ სარწმუნოებაზე დგომა დამლუპველი იქნებოდა გარეშე მტრის საფრთხის წინაშე ყველასთვის და ამავე დროს ერთმანეთთან მიმართებაშიც საფრთხეს შეიცავდა თვითმყოფადობის დაკარგვისა. როდესაც ირანი მოდიოდა კავკასიაში სომხურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით, მას ქართლი ელობებოდა წინ ქართული სარწმუნოების (დიოფიზიტობა) დროშით, ხოლო, როდესაც ბიზანტია მოდიოდა კავკასიაში გასაბატონებლად, მას სომხეთი უღობავდა გზას სომხური სარწმუნოების (მონოფიზიტობა) დროშით. მხოლოდ ერთს, ალბანეთს ვერ მოეპოვებინა განსვავებული მრწამსი. იგი ხან ქართულ სარწმუნოებას (დიოფიზიტობას) ემხრობოდა, ხან სომხურს (მონოფიზიტობას) ასეთივე თანმიმდევრობით

და ამიტომაც გაქრა იგი მეათე საუკუნედან ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე.

მთელი შუა საუკუნეები, ბიზანტიის დაცემამდე და ქრისტიანული სამყაროსგან იზოლაციამდე, საქართველოსთვის არის მუდმივი ბალანსირების პერიოდი ევროპისა და აზიის იმპერიებს შორის. საქართველოს დაშლის შემდეგ ბალანსირების საჭიროება რჩება, მაგრამ მას დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც აზიური იმპერიები არტყმიან და ბალანსირება ამ დროს მხოლოდ პოლიტიკური შეიძლება იყოს.

ქართლში გამეფდა ვახტანგ გორგასალი. ფარნავაზის მსგავსად ისიც მამით ქართველია, ხოლო დედით – სპარსი, რანის (ალბანეთის) განმგებლის ბარზაბორდის გაქრისტიანებული ასულის შვილი. ვახტანგი მცირეწლოვანია. ირანის შაჰი ცდილობს საქართველოში მაზდეანობა გაავრცელოს. ვახტანგის დედა, სპარსი საგდუხტ დედოფალი სთხოვს თავის ძმას ვარაზ-ბაკურს, რომელიც მამამისის ადგილზეა დაყენებული, ძალა არ გამოიყენოს. ირანის შაჰი აგზავნის ცეცხლისმსახურ ეპისკოპოსებს, რათა ქართლი მოაქცოს მაზდეანობაზე. არცერთმა ქართველმა წარჩინებულმა არ მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა. შეგახსენებთ, რომ „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, მათ ძირითად, საშუალო ფენას ქმნიან რომაელ მხედართა ჩამომავალნი, რომლებსაც ფარნავაზმა აზნაურობა უბოძა. მხოლოდ „წვრილი ერი“ (დაბალი ფენები) „მიიქცა მრავალი ცეცხლმსახურებასა“. და აი, საგდუხტ დედოფალი, წარმოშობით სპარსი, ხვდება, რომ გამაზდეანებით ქართველთა ქართველობას საფრთხე ექმნება და საბერძნეთიდან მოჰყავს „მღდელი ჭემმარიტი“ მიქაელ, რომელიც ეპისკოპოსად დასვა და ამით მოახერხა „წვრილი ერის“ უდიდესი ნაწილის კვლავ დაბრუნება ქრისტიანობის წიაღში.

ვახტანგი დაჭაბუკდა. საქართველოს ტერიტორიაზე სამი მხრიდან არის უცხო ძალა შემოჭრილი: დასავლეთიდან ბერძნები, აღმოსავლეთიდან სპარსელები და ჩრდილოეთიდან ოვსნი. თხუთმეტი წლის ვახტანგი შეკრებს წარჩინებულებს და მიმართავს მათ სიტყვით, რომელშიც განსაზღვრულია ქართლის საგარეო პოლიტიკა შექმნილ სიტუაციაში:

თუმცა ჩვენ სპარსთა და ბერძენთაგან იგივე გვჭირს, რაც ოვსთაგან, მაგრამ დღეს ეს უნდა მოვითმინოთ. მაგრამ ოვსთაგან შეურაცხჰყოფას

კი სიკვდილი გვირჩევნია. ისინი უნდა გავდევნოთ [3. 160-161].

ჯუანშერ სპასპეტმა ვახტანგის გადაწყვეტილება შეაფასა როგორც უმაღლესი სიბრძნე, „უმჯობესი ყოველთა ქართლის მეფეთა“. ქართველებს არ შეუძლიათ სამ ფრონტზე ბრძოლა. ამიტომ ვახტანგი ქვეყნის გასანთავისუფლებლად მოქმედების დასაწყებად ირჩევს ყველაზე სუსტს. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსები და განდევნეს თავისი ტერიტორიიდან.

ვახტანგი ოცდაორი წლისა გახდა. დადგა დასავლეთი და სამხრეთ დასავლეთი საქართველოს ბერძენთაგან განთავისუფლების ჟამი. მის ჯარში არიან ალბანელებიც, სომეხნიც და სპარსნიც. ვახტანგმა დაამარცხა ბერძნები და დაიბრუნა წართმეული მიწები. მაგრამ შეამჩნია, რომ სპარსელნი არა მარტო ბერძენ მეომრებს, არამედ ეკლესიის მსახურთაც ხოცავდნენ. ეტყობა ამასვე აკეთებდნენ მონოფიზიტი სომეხნიც. ამიტომ მან შეკრიბა სომეხთა და სარსელთა სპა და აუკრძალა მოწესეთა კვლა:

„ჩვენცა ვართ სჯულსა ბერძენთასა აღმსარებელ ქრისტესი“.

ვახტანგმა ბრძანა ყველა სამღვდელო პირისა და მონაზვნის განთავისუფლება. ამან ბერძნებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ვახტანგთან მივიდნენ ბერძენი პეტრე მღვდელი, გრიგოლ ნაზიანზელის მოწაფე (შემდგომში საქართველოს პირველი მამათმთავარი), და სამოელ მონაზონი. მათ ასე მიმართეს ქართლის მეფეს:

„მნებავს, რათა შენ მიერ აგზებულნი ესე ცეცხლი შენვე დაშრიტო და მეგობარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა“ [3. 177-179].

შესაძლოა ეს მიმართვა საკმარისი არც ყოფილიყო, ვახტანგს ძილში, წმ. ნინო და კონსტანტინე დიდი კეისარი რომ არ გამოცხადებოდა თხოვნით, რათა დატოვოს საბერძნეთის ტერიტორია. ვახტანგმა შეასრულა მოციქულთა სწორის თხოვნა. თავის მხრივ კეისარმაც დაუბრუნა ყველა მიტაცებული ქვეყანა ვახტანგს და ცოლად შესავაზა თავისი ასული. მაგრამ ამასთანავე კეისარმა შესთავაზა მას, საიდუმლოდ გადავიდეს მის მხარეზე და ერთად მოსრან მასთან მყოფნი სპარსელნი. ამაზე ვახტანგი ღირსეულ პასუხს შეუთვლის:

„რომელი არა შუენის შენსა ღმრთისმოყუარეობასა, რომელი შენ არა ჰყო, სხუასა ნუ აწუევ, რამეთუ ლადრობა არა ჰკელ არს კაცთა პატიოსანთა.

დაღათუ აქ მიგვწე სპარსნი, არა უკუე განგრუვდესა სახელი ჩემი?“ [3. 185]

მიუხედავად ამისა, სპარსელებმა ეჭვი აიღეს, რომ ვახტანგი ბერძენთა მხარეს იკავებდა და სპარსმა ერისთავმა, ვახტანგის დედის ძმამ უშვერი სიტყვებით აგინა თავისი დისწული. ვახტანგმა მოკლედ უპასუხა: „აჰა შენ და აჰა ბერძენნი“ და გავიდა ბრძოლის ველიდან. სპარსელებთან დარჩნენ სომეხნი და მეფე დარუბანდისა. სპარსელები სასტიკად დამარცხდნენ. დაიღუპა ვახტანგის დედის ძმა ვარაზ-ბაკური. ვახტანგმა ასე შეაფასა მომხდარი:

„არა რომელი ჩვენ გვინდა, გარნა რომელი ღმერთსა სთნდა, რამეთუ ჩვენ ვიტყოდით მშვიდობასა“ [3. 187].

როგორც ვხედავთ, ვახტანგ გორგასლის მთავარი ამოცანაა, მიაღწიოს მშვიდობას ბერძენთა და ირანელთ შორის, რადგან კარგად ესმის, რომ დიდ იმპერიებს შორის მშვიდობაზე დამოკიდებული მის პატარა სამეფოში მშვიდობაც.

მაგრამ ახლა უკვე თავს გავიდა სპარსელებთან ბრძოლაში გამარჯვებულ ბერძენთა სპასპეტი, კეისრის დისწული პალეკარპოს, რომელმაც ვახტანგი ორთაბრძოლაში („თუთბრძოლაში“) გამოიწვია. მეფემ მოკლა პალეკარპოს და ქართველთა არმიამ სასტიკად დაამარცხა ბერძნები.

აი, ამის შემდეგ ხდება შუა საუკუნეებისთვის გასაოცარი ამბავი. ქართველები დაიტირებენ დაღუპულ სპარსელებსაც და ბერძნებსაც. ვახტანგმა ბიზანტიის კეისარს ტყვეები დაუბრუნა და დიპლომატიური თვალსაზრისით ბრწინვალე წერილი გაუგზავნა. მისი კვინტესენცია შემდეგ სიტყვებშია:

„მე უწყი, რამეთუ არა არს ნება შენი საქმესა ამას, რომელი-ესე იქმნა პალეკარპოსისგან. არცა იყო ნება ჩემი, რომელი-ესე ქმნა დედის ძმამან ჩემმან და ორნივე ესე ძურისმოქმედნი ძურმანვე მოინადირნა“ [3. 190-191].

ამ სიტყვების შემდეგ ვახტანგი გამოთქვამს წუხილს თავისი დედისძმისა და კეისრის ძმისწულის დაღუპვის გამო. კეისარი და ვახტანგ გორგასალი ნეიტრალურ ადგილზე ხვდებიან ერთმანეთს. ბიზანტიის კეისარი უკან უბრუნებს ვახტანგს წართმეულ მიწებს და პირველ რიგში აფხაზეთს იმ პირობით, თუკი მის ასულს შეირთავს ცოლად.

გავიდა დრო და გარდაუვალი გახდა ომი ბერძენთა და სპარსელთა შორის. ორივეს უნდა ვახტანგი თავის მხარეს მიიმხროს, რადგან ომის პოლიგონი ფაქტიურად ისევ საქართველოა და გამარჯვების მეტი შანსი აქვს იმას, ვისაც ქართველთა მეფე დაუჭერს მხარს. ვახტანგ გორგასალი და ირანის შაჰი ხოსრო ერთმანეთს შეხვდნენ რუსთავის ახლოს. მისი გულის მოსაგებად შაჰი მიმართავს ვახტანგს:

„ითხოვე ჩემგან რაცა გნებავს თავისა შენისათვის ანუ სხუსა, ვისთვისცა გნებავს“.

ვახტანგის პასუხი ლაკონურია:

„მნებავს რაათა იყოს მშვიდობა შენ შორის და კეისრისა“ [3. 197].

ვახტანგმა დაიყოლია ირანის შაჰი და ჯერი ახლა ბიზანტიის კეისარზე მიდგა, რომელმაც განაცხადა:

„სთნავს ღმერთსა მშვიდობა სამთავე ამათ მეფეთა. და იქმნაცა ეგრე“ [3. 198].

დაიდო ძალიან საინტერესო ზავი, რომელიც ისტორიკოსის მიერ გააზრებულია როგორც მშვიდობა სამ სახელმწიფოს (ბიზანტიას, ირანსა და საქართველოს) შორის, მიუხედავად იმისა, რომ ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მიმდინარეობდა. ზავის განსამტკიცებლად ვახტანგმა შეირთო ცოლად ბიზანტიის კეისრის ასული, ხოლო ირანის შაჰს ცოლად გაატანა თავისი და მირანდუხტ.

ამ სიტუაციაში ვხედავ მე, და როგორც ჩანს, ხედავდა ისტორიკოსი ჯუანშერი, განცხადებულს საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და ქართველ მეფეთაგან ყველაზე ბრწყინვალედ ამ ამოცანას თავი გაართვა ვახტანგ გორგასალმა. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მის დროს და მისი შემწეობით შეხვდა ერთმანეთს ევროპა და აზია.

ყველაფერი ეს იყო ბრძენი, დიპლომატი მეფის ქმედება, ვახტანგი ზრუნავდა თავისი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის. ასეთი განვითარება კი შეუძლებელი იყო ბიზანტიასა და სპარსეთს შორის მშვიდობის ზავის გარეშე.

მაგრამ ვახტანგ გორგასალს თავისი ქვეყნისათვის და სამეფო სახლისათვის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პოლიტიკურად და კულტურულად დასავლური ორიენტაცია. სიკვდილის წინ მისი ანდერძი ასეთი იყო:

„თქვენ მკვდრნი ქართლისანო... სახლსა ჩვენსა ნუ შეურაცხყოფთ და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევეთ“ [3. 220].

„ბერძენთა სიყვარული“ ანუ დასავლური ორიენტაცია ვახტანგ გორგასალმა დასაბამითგანვე ფარნავაზიანთა დინასტიის სახელმწიფო პოლიტიკად გამოაცხადა. ასე ორგანულად ებმის ერთმანეთს ორიენტაციის თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრების“ ორი საწყისი ნაწილი ერთმანეთს.

„ქართლის ცხოვრებამ“, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ნაწილებმა, საკვირველად ლაკონურად და ერთსულოვნად ჩამოაყალიბა მირიანიდან ვახტანგ გორგასალამდე ქართველ მეფეთა ოთხი ტიპი მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკის, კულტურული და სარწმუნოებრივი პოზიციის გათვალისწინებით:

გამოყენებული ლიტერატურა

1. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქრთველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1975.
2. ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყება ღირსისა ნის მოქალაქეობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცესმონაზონისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი II (XI-XV სს), ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967.
3. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008.

1. „მორწმუნენი“ და „უშფოთველად მცხორებნი“.
2. „ურწმუნონი“ და „მოშიშნი“.
3. „ურწმუნონი“ და „მხედარნი შემმართველნი“.
4. „მორწმუნენი“ და „მხედარნი შემმართველნი“.

ქვეყნის მეთაურთა მრწამსი სახელმწიფოს პოლიტიკისა და ორიენტაციის გამოხატულება იყო, ხოლო ქვეყნისათვის მშვიდობის მოპოვება მხოლოდ მხედრული შემართებით შეიძლებოდა. ამიტომ პროგრესულად ჩაითვლებოდა ის მეფე, რომელიც იყო „მორწმუნე“ და „მკედარი შემმართველი“. ამ თვალსაზრისით, საქართველოს იდეალური მეფე იყო ვახტანგ გორგასალი. ამიტომ ეძიებდა ერთიანი საქართველოს მესამე დიდი მეფე (ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის შემდეგ) დავით აღმაშენებელი ისტორიულ წიგნებში წინაპართა გამოცდილებას ქვეყნის მართვისათვის.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

http://books.ge/product_id.php?code=561

http://books.ge/product_id.php?code=4239



საქართველოს ბაიბოხიის თავდასვისათვის მოზაღების სამხედრო-პოლიტიკური წინაპირობები

ელგუჯა მამარიაშვილი

გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რეზიუმე

“ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით”
კარლ კლაუზევიცი

საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური, ეკონომიკური, საწარმო-ტექნიკური, ფინანსური, სამეცნიერო, ინფრასტრუქტურული, საკომუნიკაციო და ენერგეტიკული რესურსი და პოტენციალი, სამხედრო-გეოგრაფიული მონაცემები და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ფართო სპექტრი, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკით, სახელმწიფო სამხედრო პოლიტიკით და თავისი შემადგენელი სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკით, განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო სტრატეგიის ძირითად პრინციპებს.

სწორედ აღნიშნულმა ძირითადმა პრინციპებმა, სათანადო სახელმწიფო სამხედრო მშენებლობის მიდგომებით და სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციით, უნდა განაპირობოს საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის და მთლიანად ტერიტორიის ომისათვის მომზადების ადგილი, როლი, ხასიათი, სასიცოცხლო ბაზა, მოცულობა და ინტენსიობა სახელმწიფოს თავდაცვის კომპლექსში, როგორც საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგიულმა მიმართულებამ [1] [2].

სამხედრო გეოგრაფიული წინაპირობა საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო

უზრუნველყოფისა, მეტად რთული და მრავალფეროვანია. ამას განაპირობებს არა მარტო განსაკუთრებული გეოგრაფიული ბუნებრივი გარემო და მისი სირთულის ზემოქმედება სამხედრო ინფრასტრუქტურაზე, კომუნიკაციებზე, სტრატეგიულ და ოპერატიულ გაშლაზე და ბრძოლებისა და ოპერაციების წარმოებაზე, არამედ: ქვეყანაში და მის გარეთ არსებული პოლიტიკური ძალების ინტერესები, ხასიათი და სპექტრი; ეკონომიკური, საწარმოო, ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და სასოფლო-სამეურნეო და სხვა არსებული დონე; დემოგრაფიული სურათი და, რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია — დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა [3] [4] [5].

საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო ქვეყანათმცოდნეობის უმთავრეს პირობებს განსაზღვრავს მისი მოსაზღვრე სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური და მილიტარისტული გარემო და მათი დაპირისპირება თუ შეთავსებადობა, ან სხვა პროგნოზირებადი, ნაკლებად პროგნოზირებადი და არაპროგნოზირებადი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს და ასევე ერთმანეთის მიმართ.

ყოველივე ეს აყალიბებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ძირითად პარამეტრებს, რომლის სრულყოფილი სახით ფორმირებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მდებარეობას მსოფლიო და რეგიონალური მასშტაბის სამხედრო პასუხისმგებლობის და ინტერესთა კონტროლის არეალში და სამხედრო სხვადასხვამასშტაბიან შესაძლო ქმედებათა დინამიკური პროცესების გავრცელების აქტუალობას, ინტენსიობას და მიმართულებებს საქართველოს ტერიტორიასთან მიმართებით.

სამხედრო უსაფრთხოების იდეოლოგია, კონცეფცია, ამოცანები და მისი კონკრეტული რეალიზაცია სამხედრო პოლიტიკური ვითარების სრულ სპექტრზეა დამოკიდებული, რომელზეც, ერთის მხრივ, რა თქმა უნდა გარკვეულწილად ზემოქმედებს სახელმწიფო პოლიტიკა, მაგრამ, რომელიც უკუკავშირით ასევე განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს სახელმწიფო პოლიტიკის ყველა შემადგენელ მიმართულებებზე, მის საშინაო და საგარეო სპექტრზე.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს, როგორც გლობალური და რეგიონალური, ასევე საკუთრივ მისი და მის მისადგომებთან განვითარებული ვითარებები და მოვლენათა განვითარების პერსპექტივები. მათ შორის სახასიათოა ის, რომ XX საუკუნის ბოლოს ობიექტურად შემცირდა მსხვილმასშტაბიანი, ეგრეთწოდებული მსოფლიო ომის საფრთხე მასიური განადგურების იარაღის გამოყენებით, მაგრამ XXI საუკუნის რეალობები არ გამორიცხავენ ლოკალურ, მცირემასშტაბიანი და რეგიონალური კონფლიქტების მსხვილმასშტაბიან ომში გადაზრდას. ამ ახალი, მეტად საფრთხილო ტენდენციების უმნიშვნელოვანესი ეპიცენტრები საქართველოსთან ახლოს და მის გეოპოლიტიკურ ვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რაც ჩვენი სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ურთულეს და ყველაზე არახელსაყრელ, მაგრამ შესაძლო სცენარად უნდა განვიხილოდ.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვლილება დამოკიდებულია იმ ტენდენციებზეც, რომელიც მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსათვის, და რამაც თავისი უარყოფითი გამოვლენით შეიძლება ზეგავლენა იქონიოს საქართველოზეც. ეს არის მასიური

განადგურების და განსაკუთრებით საშიში იარაღის და მისი კომპონენტების გავრცელება მსოფლიოში.

და ბოლოს, სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას და მის ხასიათს, მოცემულ ეტაპზე, დიდი წილით განსაზღვრავს ლოკალური, რეგიონალური და გლობალური მასშტაბით გამძაფრებული ინფორმაციული დაპირისპირება არა მარტო კონკრეტული სახელმწიფოსადმი, არამედ სახელმწიფოების იდეოლოგიებისადმი.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პარამეტრია მისი ცვალებადობის დრო. ის პროცესები, რომლებიც დამოკიდებულია სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერების ცვლით წარმოქმნილი, პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის სამზადისით და რეალიზაციით, როგორც წესი ინერციულია და ხორციელდება დიდი დროის ინტერვალში. ასეთ ვითარებაში, მათდამი შეხებაში მყოფი სხვა სახელმწიფოების ადაპტაციის პროცესები ჯერ ერთი, პროგნოზირებადია და, მეორეს მხრივ, დროის ფაქტორის ცაიტნოტს ნაკლებად იწვევს.

გაცილებით მყიფეა სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სტაბილურობა და მისი ცვლილება უსწრაფესად ხდება, როცა ეს გამოწვეულია საერთაშორისო სტრუქტურების, ცალკეული სახელმწიფოების და სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების გადაწყვეტილებების, დეკლარაციების, კონვენციების, ხელშეკრულებებისა და სხვა შეთანხმებების, ასევე პოლიტიკური ქცევის დამყარებული პრინციპების დარღვევით.

თანამედროვე კომუნიკაციების პირობებში, განსაკუთრებული და ხშირად წინასწარ ნაკლებად პროგნოზირებად ცვლილებებს სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისა იწვევს საერთაშორისო ტერორიზმის, დანაშაულებრივი ქმედებების, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო გავრცელება, რასაც აძლიერებს ექსტრემისტული, ნაციონალისტური, რელიგიური, სეპარატისტული და ტერორისტული ორგანიზაციების ფართო ქსელი და ქმედებათა ინტენსიობის სწრაფი ზრდა. სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ასეთ სახასიათო სივრცეში, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს სამხედრო უსაფრთხოებისადმი მიმართული მუქარა.

მუქარის პრაქტიკულად განხორციელებისას, საქართველოს სამხედრო სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით

განსაზღვრულ ისეთ საომარ მოქმედებებს, საბრძოლო მოქმედებებს და ოპერაციებს, რომელიც არის სამართლიანი და მისი განხორციელება დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს, საკუთარი ტერიტორიის მთლიანობას, აღკვეთას მისი ხელყოფისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას.

შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებით და არსებული საფრთხეებითა და მუქარებით საქართველოს მიმართ არ გამოირიცხება არცერთი მასშტაბები შეიარაღებული კონფლიქტებისა – ლოკალური, რეგიონალური და ფართომასშტაბიანი. სრულებით არ არის აუცილებელი და ეს, რიგ შემთხვევაში, შეუძლებელიცაა, რომ საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული შეიარაღებული კონფლიქტი ჩაეტიოს ჩვენი სახელმწიფოს საბრძოლო მოქმედებების თეატრში. მოსალოდნელია, საქართველო, საკუთარი ინტერესების დასაცავად, ჩართული ან ზეწოლით, აღმოჩნდეს მონაწილე რეგიონალური და ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტისა.

მიუხედავად იმისა, შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც საქართველო აღმოჩნდება ჩართული, იქნება ლოკალური, რეგიონალური თუ ფართომასშტაბიანი, ჩვენი სახელმწიფო შეიძლება აღმოჩნდეს მცირე ინტენსივობის კონფლიქტების საფრთხის, საშუალო ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებების საფრთხისა და, ბოლოს, სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების საფრთხის წინაშე.

საერთოდ იმ გეოპოლიტიკური სივრცისათვის, რომელშიც საქართველოა განთავსებული, ცალკეული სახელმწიფოების სამხედრო მუქარები შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

- ტერიტორიული პრეტენზიები;
- შეიარაღებული კონფლიქტების არსებობა საკუთარ ტერიტორიაზე, მეზობელ სახელმწიფოებში და უპირატესად მაშინ, როდესაც ისინი სახელმწიფოს საზღვართან ახლოს არის;
- რეგიონის მძლავრი სამხედრო პოტენციალის მქონე სახელმწიფოების ინტერესების საწინააღმდეგო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის გავლენის სფეროს გაფართოება ან რეგიონში რომელიმე სხვა ქვეყნის ჯარების შეყვანა;

- მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირების შექმნა, მეზობელი ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს დასაპირისპირებლად ან მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ;
- საერთაშორისო ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული;
- კონსტიტუციური წყობის დამხობა;
- სახელმწიფოს დესტაბილიზაციისათვის და შესუსტებისათვის მის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის და კომუნიკაციების, ენერგეტიკული და საინფორმაციო სისტემების, სასიცოცხლო ობიექტების, სამხედრო ობიექტებისა და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების მოშლისაკენ მიმართული პირდაპირი და არაპირდაპირი ქმედებები;
- ექსტრემისტული, სეპარატისტული, ნაციონალისტური, რელიგიური და ტერორისტული ორგანიზაციები და მოძრაობები, რომელთა შეიარაღებული ქმედება მიმართულია სახელმწიფოს ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და სახელმწიფოში დესტაბილიზაციისაკენ;
- სახელმწიფოს შიგნით არაკანონიერი ფორმირებების შექმნა, აღჭურვა და მომზადება კონკრეტული ან მადესტაბილიზებული უნივერსალური ამოცანებისათვის;
- ორგანიზებული დანაშაულის, დივერსიის, ტერორიზმის, კონტრაბანდის, მათ შორის, იარაღის და საბრძოლო მასალების გავრცელების მცდელობები.

მართალია აღნიშნული პარამეტრები გეოპოლიტიკური სივრცისა, რომელშიც საქართველოა მოქცეული, რეალობაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თვით გეოპოლიტიკური პროგნოზი, როგორც შედეგი მწყობრი მეცნიერული სისტემის ანალიზური აპარატისა, სრულყოფილი სახით არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „გეოპოლიტიკა“ გამოიყენება საქართველოს სახელმწიფო და სახელმწიფო-სამხედრო პოლიტიკურ სპექტრში.

საერთოდ, სახელმწიფოების პოლიტიკურ შეფასებებში და მათ შორის, სამხედრო უსაფრთხოების სისტემებში, ცნება „გეოპოლიტიკა“ გამოიყენება ძალიან ფართოდ [6]. შედეგად, ხშირ შემთხვევებში, ეს მეცნიერება კარგავს თავის სახასიათო ზღვრებს და

გადაინაცვლებს უშუალოდ ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სამხედრო სტრატეგიაში და სხვა დისციპლინებში, ისეთებშიც კი, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკა და ა.შ.

რეალურად გეოპოლიტიკა უნდა განვიხილოთ, როგორც ცოდნა სივრცის კონტროლის შესახებ. იგი გაცილებით დინამიკურია, ვიდრე პოლიტიკური გეოგრაფია და მას, როგორც მეცნიერებას, გააჩნია ორი ძირითადი მიმართულება – დოქტრინალურ-ნორმატიული და შეფასებით-კონცეპტუალური. სწორედ ამ მიმართულებით გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება, დიდ სივრცეებში მოიცავს გლობალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ და სხვა პროცესებს და, რაც მთავარია, ფლობს ხელოვნებას მათი მართვისა.

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, თავისი ფორმირებისას აუცილებლად უნდა იყოს ურთიერთკავშირში გეოპოლიტიკასთან, როგორც სამეცნიერო დისციპლინასთან, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი ფუნქციური ანალიზის რთული სისტემა ცალკეული სახელმწიფოების, სახელმწიფოთა კავშირების და ურთიერთდაპირისპირებული ბლოკების დინამიკისა.

საქართველოს სამხედრო უსაფრთხოება, მისი დოქტრინალური და კონცეპტუალური ბაზა, არა ზოგადად უნდა იყენებდეს ტერმინს „გეოპოლიტიკა“-ს, როგორც საქართველოსადმი სამხედრო-პოლიტიკური დამოკიდებულებების ფუნქციონალური ასახვის ტერმინს, არამედ მათში კონკრეტული მიზნით უნდა იყოს განსაზღვრული გეოპოლიტიკის ყველა ცნობილი ფუნქციები: შემეცნებითი ფუნქცია; პროგნოსტიკური ფუნქცია; მართვის ფუნქცია, იდეოლოგიური ფუნქცია სხვა.

ამდენად, საკითხი შეეხება იმას, რომ საქართველოს უსაფრთხოების ცალკეული სტრუქტურული მიმართულებით, გეოპოლიტიკური სიტუაციური სცენარი გაკეთდეს არა იმდენად საქართველოს გეოგრაფიული განთავსების არეალში მყოფი სახელმწიფოთა ინტერესების თანხვედრისა და დაპირისპირების და მათი რესურსებისა და პოტენციალის მიხედვით, არამედ უპირატესად თვით საქართველოს გეოპოლიტიკის

შემეცნებითი, პროგნოსტიკური, მართვისა და იდეოლოგიური ფუნქციების მოდელის შექმნით.

ამ მხრივ არსებული მეთოდების არსენალი, რომელიც მოიცავს: სისტემურ, შედარებით, ისტორიულ, ნორმატიულ ფასეულობათა, სტრუქტურულ-ფუნქციურ, ანთროპოლოგიურ, საერთო ლოგიკურ და ემპირიულ კვლევებს, ასევე ფუნქციონალურ მეთოდებს, მთლიანად უნდა იქნას ამოქმედებული საქართველოს მოვლენათა და მისი პერსპექტივების მოდელირების მიმართ.

ეს კომპლექსური, სხვადასხვა სამეცნიერო მონაცემთა ბაზის მქონე განსაკუთრებული ამოცანაა და მისი სრული წარმოჩენა იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც საინტერესო და მრავალფეროვანია საქართველოს მოსახლეობის, გეოგრაფიული გარემოს, მსოფლმხედველობის, ადათ-ჩვეულებების, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ინტერესების, ისტორიული პროცესების, კულტურული განვითარების, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების და მისი სტრატეგიული ფუნქციის მდიდარი და მრავალმხრივი სპექტრი.

რაც მთავარია, ასეთი კომპლექსური მიდგომა აუცილებელია უმთავრესი მიზნის მისაღწევად – პროგრესული და მდგრადი უსაფრთხო განვითარების პროცესის პროგნოზირებისა და მართვისათვის.

და მაინც, როდესაც საქართველოს გეოპოლიტიკური პარამეტრებით ვსაზღვრავთ, კვლევის და შეფასებების ორიენტირებს უკვე გააჩნია პრიორიტეტები, რომლებიც მოიცავს:

- რუსეთის მიერ ადგილის ძიებას გეოპოლიტიკური ურთიერთობების თანამედროვე სისტემაში;
- ამერიკის შეერთებული შტატების როლს გეოპოლიტიკური ურთიერთობის სისტემაში მოცემულ ეტაპზე და პერსპექტივაში;
- აზერბაიჯანის და სომხეთის გეოპოლიტიკური პროცესები და პრეტენზიები;
- თურქეთის, ირანის, ერაყის, ავღანეთის, არაბული სახელმწიფოების და კასპისგაღმა მუსულმანური სამყაროს გეოპოლიტიკა, მათი ინტერესთა დამოკიდებულება რუსეთისადმი და ამ მიმართულებებში საქართველოს როლი;
- ევროპაში და უწინარეს აღმოსავლეთ ევროპაში გეოპოლიტიკური პროცესების განვითარების სცენარი;
- ურთიერთობა თურქეთსა და სომხეთს შორის;

- თურქეთის და სომხეთის დამოკიდებულება „თურქი მესხებისადმი“ და ამ საკითხში რუსეთის პოზიცია;
- თურქეთის საშინაო ინტერესთა სპექტრი და მისი გავლენა თურქეთის მეზობლებზე;
- თურქეთისა და საბერძნეთის ინტერესთა დაპირისპირების გეოპოლიტიკა;
- ისრაელის ფაქტორი და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური პროგნოზის ყველა პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ემატება ჩამოცილებული ტერიტორიები, საშინაო სპექტრი და ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორი თავისთავად არის ურთულესი, წინააღმდეგობრივი და ძნელად პროგნოზირებადი.

მიუხედავად ყველა პრიორიტეტული მიმართულების აქტუალობისა, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო შემოსვლით საქართველოს ინტერესებთან დაკავშირებულ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკურ გარემოში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და, რაც მთავარია, მისი არა მარტო სახელმწიფო-სამხედრო, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათის და მიმართულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რუსეთის გეოპოლიტიკა. გეოპოლიტიკა იმ სახელმწიფოსი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა მეტწილად კონტინენტური სახელმწიფო, რომელსაც შეზღუდული გასასვლელი აქვს შავ და ბალტიის ზღვებზე და, რაც მთავარია, შემოიფარგლა ახლადშექმნილი, სხვადასხვა ინტერესების ბევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოებით და უშუალო კონტაქტი ნაკლებად გააჩნია ცენტრალურ ევროპასთან.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი, რომელიც განაგებდა საბჭოთა კავშირს და იყო სუპერსახელმწიფო გლობალური მასშტაბით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეალურად აღმოჩნდა სამი არჩევანის წინაშე:

- კვლავ შემოატრიალოს ისტორია და მიაღწიოს „ზესახელმწიფოს“ დონეს უკვე რუსეთის რესპუბლიკამ და არა საბჭოთა კავშირმა;
- გახდეს ევროპის სახელმწიფო;
- ან იყოს აღმოსავლეთის მსხვილი, მაგრამ რეგიონალური სახელმწიფო.

თუ გავითვალისწინებთ, რუსეთის მიერ განვლილ გზას, ბუნებრივ რესურსებს და დიდ პოტენციალს, განსაკუთრებით ბირთვული შეიარაღების მხრივ, რუსეთი, თავისი არჩევანის პრიორიტეტებით, რომლებიც მას „ზესახელმწიფოთ“ წარმოაჩენს, დიდ პრობლემებს უქმნის თავის ყველა მეზობელს და განსაკუთრებით საქართველოს.

რუსული სცენარები საქართველოს მიმართ, მათ შორის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს, განპირობებულია არა მარტო რუსეთის რეალური ინტერესებით და მიზნებით ჩვენი სახელმწიფოს მიმართებაში, არამედ მრავალი საერთაშორისო პროცესებით, ნატოს და უმეტესად ამერიკის შეერთებული შტატების როლით და, ჩვენს რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ურთიერთდამოკიდებულებითაც, მათი ინტერესების დაპირისპირებით თუ ბალანსირებით. რუსეთ-თურქეთის ფაქტორი არა მარტო პირდაპირ ზემოქმედებს, მათ შორის მოთავსებულ საქართველოზე, არამედ საქართველოს მიმართ თავის მხრივ ნაწილობრივ განაპირობებს ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოკიდებულებას. ინტერესთა ფორმულირება მეტწილად ასევე უკავშირდება რუსეთისა და თურქეთის, რუსეთისა და ირანის, ირანისა და თურქეთის სახელმწიფოებრივ პრიორიტეტებს და ემყარება რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობათა ტრადიციებსა და პერსპექტივებს, რომელიც მართალია „რუსული დატვირთვით“, „რუსული სიმწვავით“, მაგრამ მაინც მეტად თანმიმდევრულად ხორციელდება და იგი გადმოცემულია ნ. ა. ნარტოვის მიერ, თავის წიგნში „გეოპოლიტიკა“.

საქართველოს გეოპოლიტიკაზე, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ურთიერთდამოკიდებულების და მათ უშუალოდ საქართველოსთან მიმართების გარდა, ასევე, განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს საბერძნეთისა და თურქეთის დაპირისპირების გარკვეული ალბათობა.

საქართველოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების და საერთოდ ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კონტექსტში, ფუნქციონალური მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ განხილულ იმ საკითხებს, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე უკავშირდება თეირანის ინტერესებს – კავკასიაში ამოქმედდეს სატრანსპორტო დერეფანი ჩრდილოეთიდან სამხრეთით, რომელიც, რიგ შემთხვევაში, თურქეთზეც გავა, ამას ემატება საერთაშორისო, ფართომასშტაბიან

ინტერესებთან დაკავშირებული, დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო მარშრუტები, რომელშიც საქართველოს საკვანძო პოზიცია უკავია.

აღნიშნული მარშრუტების ფუნქციონირება უშუალოდ უკავშირდება, ამ მიზნით შექმნილ და ფუნქციონირებად საქართველოს საინჟინრო ინსფრასტრუქტურის, კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების სტრატეგიულ როლს და კავკასიის გეოპოლიტიკურ შემეცნებით ფუნქციას, სათანადო იდეოლოგიური და ფუნქციონალური დატვირთვით.

საქართველოს ენერგეტიკული და სატრანსპორტო მაგისტრალების ეკონომიკური, სტრატეგიული და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბების ცვლილებაზე ზეგავლენას იქონიებს ისიც თუ, როგორ განვითარდება მოვლენები ერაყში და მის ირგვლივ.

არ გამოირიცხება, რომ კასპიის მიღმა და კასპიის გამოღმა ნავთობისა და გაზის საბადოების სათბობ-ენერგეტიკული ნედლეულის იმპორტის ნაკადების მაგისტრალების ინტენსივობამ გადაინაცვლოს ერაყის მიმართულებით და სამხრეთით გავიდეს ოკეანეზე, მით უმეტეს, რომ ამ რეგიონიდან გაიზიდება ქუვეითის და ერაყის ნავთობის ნედლეულები.

ამ შემთხვევაში საერთო სცენარში მსოფლიო მასშტაბით შეიძლება დაიკლოს საქართველოსა და თურქეთის მიმართულების მაგისტრალების ეკონომიკური და სტრატეგიული ფუნქციის მნიშვნელობამ, ხოლო ევროპისათვის გაძლიერდეს ენერგომატარებლების სხვა მარშრუტების სტრატეგიული პოზიცია.

ასეთ ვითარებაში, მართალია ნაწილობრივ, შემცირდება საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბები დაკავშირებული ნავთობგაზსადენების ფაქტორებთან, მაგრამ გაცილებით მოიმატებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბები, როგორც ოპერაციული ზონისა, დასავლეთის სახელმწიფოების სამხედროყოფნისა ახლო აღმოსავლეთის საომარი მოქმედების თეატრზე, საიდანაც ოპერატიულად იქნება უზრუნველყოფილი საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთის შესაძლო საომარი მოქმედებების მიმართულება.

თავისთავად ასეთი შესაძლო სცენარი გარკვეულ ეტაპზე გაართულებს საქართველოს მიმართ რუსეთის დამოკიდებულებას, მაგრამ

პროგნოზირებადია ისიც, რომ ნავთობის ბაზრის ამერიკისა და რუსეთის მიერ გადანაწილების შემდეგ, საქართველო დასავლეთის სამხედრო კონტროლის უფრო სტაბილურ გარემოში მოექცევა.

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტერიტორიის მთელი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და სატრანსპორტო მაგისტრალები, დაკავშირებული სამხედრო უსაფრთხოების სფეროსთან, წარმოადგენს ასევე სამხედრო ინფრასტრუქტურას, კომუნიკაციებს და მაგისტრალებს, როგორც სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს კომპლექსს, გასაგები ხდება ის, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვის სისტემის და კონკრეტულად სამხედრო უსაფრთხოების სტრატეგია, მნიშვნელოვნად რეაგირებს და დამოკიდებულია საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიაზე.

ერთ შემთხვევაში, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია და მისი უკვე მიღწეული გლობალური მნიშვნელობის შედეგები, პირდაპირ ზემოქმედებს სამხედრო უსაფრთხოების პარამეტრებზე — საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადების და ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ. მეორე შემთხვევაში, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიის აღნიშნული შედეგები არაპირდაპირი გზით ცვლის საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების პარამეტრებს, რაც მიიღება საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების დინამიკის სახეცვლილებით და წონასწორობის ახალი ფორმის ჩამოყალიბებით.

პირველი შეფასებით საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების ისეთი განვითარება და ფუნქციის მინიჭება, რომელიც მეზობელი, და ამასთან დაპირისპირებული, სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების საწინააღმდეგოა, ზრდის იმ საფრთხეების, მუქარების და შესაბამისი რისკების ფაქტორს, რომელიც საქართველოსკენ არის მიმართული. ამასთან სამხედრო უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის მარტო მუქარების, საფრთხეებისა და სათანადო რისკების სიმძაფრე, ინტენსივობა და სიძლიერის ზრდა არ არის საკმარისი. სამხედრო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პარამეტრია მისი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების მასშტაბი.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის მასშტაბები, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო, სიდიდით მინიმუმამდე დაეცა. მისი მასშტაბი გავრცელების მიხედვით შეესაბამებოდა სახელმწიფოს მხოლოდ ნაწილის სივრცეს და უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფოს სივრცეს, რომლის მთლიანობა ფაქტობრივად უკვე დარღვეული იყო.

მოცემულ ეტაპზე, როდესაც საქართველომ თავის ტერიტორიაზე მიაღწია ტრანსკონტინენტური ნავთობგაზსადენის გატარებას, რომელიც დასავლეთის სტრატეგიულ ინტერესებში შედის; ამოქმედდა დასავლეთ-აღმოსავლეთის სატრანსპორტო მარშრუტები; სტრატეგიული პრინციპების თანხედრით დაიწყო აშშ და საქართველოს თანამშრომლობა სამხედრო სფეროში; საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი, ასევე, ანტიტერორისტული კოალიციის წევრი, და, რაც მთავარია, მიღწეულია შეთანხმება NATO-ში საქართველოს ინტეგრირებისა, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების მასშტაბმა გადალახა რეგიონული სივრცე და

მიაღწია უმაღლეს დონეს — გლობალურ და საერთაშორისო სივრცეს (ფიგ. 1).

თავისთავად სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების მასშტაბის ზრდა იწვევს იმას, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელ საფეხურზე იმყოფება სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სიმძაფრის მხრივ, მნიშვნელოვნად იზოკება კინეტიკა უმაღლესი დამაბულობის მიღწევისა, რომელიც შეესაბამება სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის ისეთ საფეხურებს, როგორებიცაა: „კონფლიქტური“, რომელიც ხასიათდება შეიარაღებული კონფლიქტების შეზღუდული მასშტაბებით; და, განსაკუთრებით, „საომარი“, როდესაც შეიარაღებული შეტაკების შეზღუდვები ფაქტობრივად მოხსნილია. სწორედ ამ ფაქტორების გამო მოხდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის სწრაფი ლოკალიზება და შეჩერება.

სახელმწიფოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა და სახელმწიფოს ტერიტორიის მომზადება, იმდენად არის მნიშვნელოვანი და წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიას, რამდენადაც

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მასშტაბები და გეოპოლიტიკური ველის მახასიათებლები

სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის საფეხურები	სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გავრცელების სივრცის მასშტაბები	სამხედრო-პოლიტიკური ვითარების განვითარების პირობები
<ul style="list-style-type: none"> • სტაბილური • მდგრადი • თავდაცვის საკმარისობაზე დამოკიდებული • დაძაბული • წინასაომარი • კრიზისული • კონფლიქტური • საომარი 	<p>I. მსოფლიო მასშტაბები</p> <ul style="list-style-type: none"> • გლობალური • საერთაშორისო 	<ul style="list-style-type: none"> • მშვიდობიანობის დრო • ომის დრო
	<p>II. რეგიონალური მასშტაბი</p> <p>გავრცელების სივრცეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საომარი მოქმედების თეატრი • სტრატეგიული და ოპერაციული მიმართულებები 	<p>სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვლილებები დროის მიხედვით</p>
	<p>III. სახელმწიფო მასშტაბი</p> <ul style="list-style-type: none"> • მთლიანად სახელმწიფო • სახელმწიფოს ნაწილი 	<ul style="list-style-type: none"> • ინერციულ-ხანგრძლივადიანი • სწრაფი ცვლადობა

საქართველოს გეოპოლიტიკური ველის მახასიათებლები

საქართველოს „ტოტალურ ველთან“ „ენდემური ველის“ სიდიდეთა ფარდობის მნიშვნელობა ბუნებრივად იწვევს სამხედრო დაძაბულობის ფაქტორს, რაც ძლიერდება საქართველოში „სასაზღვრო ველის“ საკმაოდ დიდი სივრცით. „სასაზღვრო ველი“ მთლიანად უტოლდება „ჯვარედინ ველს“. ეს სწორედ ის სივრცეებია ჩვენს სახელმწიფოში, რომლებთანაც მრავალი პრეტენზიებია დაკავშირებული.

ამდენად, საქართველოს გეოპოლიტიკის კატეგორიებით შედგენილი ფორმულა, საკმაოდ მძაფრია, რომელსაც ემატება დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა.

ფიგ. 1

განსაზღვრავს ძირითად პარამეტრებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრისა და მისი გავრცელების მასშტაბისა, როგორც მშვიდობიანობის, ასევე, განსაკუთრებით საომარი მდგომარეობის დროს, რომ არაფერი ვთქვათ სამხედრო-საინჟინრო სტრატეგიის მიერ ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფისა და ტერიტორიული დაცვის განსაკუთრებული პირობის შექმნის და შესრულების ფუნქციაზე – ოპერატიულ დონეზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ტერიტორიის მომზადება თავდაცვისათვის და სახელმწიფოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის კარდინალურ, სტრატეგიულ მიმართულებას და იგი ქვეყნის სამხედრო დოქტრინით დაწყებული ჯეროვან ასახვას მოითხოვს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში, სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობაში, შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში და სამხედრო-სამრეწველო და საგანმანათლებლო-სამეცნიერო კომპლექსში, როგორც სამხედრო-საინჟინრო დარგის ერთიანი მწყობრი სისტემა.

საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადების და მისი ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის შექმნის ხასიათზე, ფორმაზე და ფუნქციონირების შინაარსზე, ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიული საბაზრო მონაცემების გარდა, ასევე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას ახდენს მისი ტერიტორიის სტრუქტურული ანალიზი გეოპოლიტიკური კატეგორიების, საბრძოლო, საკომუნიკაციო ზონებისა და, რა თქმა უნდა, საბრძოლო მოქმედებების მიმართულებების მიხედვით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, და, რა თქმა უნდა, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, სათანადოდ უნდა პასუხობდეს და შეესაბამებოდეს იმ სიტუაციებს, რითაც ხასიათდება საქართველოს გეოპოლიტიკური ველის კატეგორიები [7].

საქართველოს სახელმწიფოს „ტოტალური ველი“ – უწყვეტი სივრცე, რომელიც სრულ ნაციონალურ კონტროლს ექვემდებარება, საკმაოდ ნაკლებია, ვიდრე მისი „ენდემური ველი“, ანუ ის სივრცე, რომელსაც ისტორიულად ფლობდა ერი და რომელიც ისტორიული წყაროებით,

ცივილიზაციის და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია საქართველოს საკუთრებად. საქართველოს „ტოტალურ ველთან“ „ენდემური ველის“ ნაკლებობა ბუნებრივად იწვევს სამხედრო დაძაბულობის ფაქტორსაც, რაც ძლიერდება საქართველოში „სასაზღვრო ველის“ საკმაოდ დიდი სივრცით. „სასაზღვრო ველის“ ათვისება ნაციონალური უმცირესობის და სხვა ეთნიკური ჯგუფების დასახლებით და ასევე სხვა სახელმწიფოების მოტივირება დაასაბუთოს მათი დისტრუქციული და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედების ისტორიული სამართლიანობა, საქართველოში განაპირობებს იმას, რომ „სასაზღვრო ველი“ მთლიანად უტოლდება „ჯვარედინ ველს“. ეს სწორედ ის სივრცეებია ჩვენს სახელმწიფოში, რომელზეც ბევრი სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიებს.

ამდენად, საქართველოს გეოპოლიტიკის კატეგორიებით შედგენილი ფორმულა, საკმაოდ მძაფრია, რომელსაც ემატება დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა და ისიც რომ რუსეთი თავის „სასაზღვრო ველში“ განიხილავს კავკასიას, ხოლო რიგ შემთხვევებში სომხეთის და აზერბაიჯანის სხვადასხვა ძალები, სიტუაციების მიხედვით, ასევე, „სასაზღვრო ველს“ მიაკუთვნებს შესაბამისად ჯავახეთის და მარნეულის მხარეს. ამას ემატება საბჭოთა ეპოქამდე, რთულ ისტორიულ პერიოდებში დაკარგული ტერიტორიები, რაც საბოლოო ჯამში საქართველოს გეოპოლიტიკურ ველს ურთულესი კატეგორიებით ახასიათებს.

მეზობელი სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური მიზნები და ამით განპირობებული საქართველოს გეოპოლიტიკური ველის ურთულესი კატეგორიების სურათი, განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, სიმძაფრის მხრივ ყოველთვის მაღალი იყო და თვით მისი ისტორიული აღმავლობის ეპოქაშიც, იგი არასდროს ყოფილა სტაბილური. ეს ისტორიული მემკვიდრეობა და თანამედროვე ეპოქის რეალობები, საქართველოს, სამხედრო-პოლიტიკური ვითარებების მხრივ, მძაფრი ვითარების ქვეყნებს შორის აყენებს, რაც აუცილებლად უნდა აისახოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში და, კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების თავდაცვისათვის მომზადების იდეოლოგიაში, პრინციპებში და აქტუალურ ორიენტირებაში.



სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პრინციპები საქართველოში

ჯონი ხეცურიანი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რეზიუმე

საქართველოში ყველაზე ხანგრძლივად მონარქიული მმართველობა იყო, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს და 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიამდე გაგრძელდა. ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მმართველობის შეწყვეტა.

1801 წლამდე საქართველოში მონარქიული მმართველობა აბსოლუტური მონარქიის სახეს ატარებდა. საქართველოს აგრესიულ გეოპოლიტიკურ გარემოში უწევდა არსებობა. ქართველი მეფეების მთავარ ამოცანას მუდმივად წარმოადგენდა ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი რეგიონული სეპარატიზმის, ისე სხვა სახელმწიფოების აგრესიისაგან. ამ ამოცანის შესრულება კი მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც პასუხობდა მმართველობის აბსოლუტური მონარქიის ფორმა. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, საქართველოს მეფის ხელისუფლება არასდროს ყოფილა დესპოტური ერთმმართველობა.¹ უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიაში იყო მცდელობა მონარქიული მმართველობის სხვა სახეობის

შემოღებისა. კერძოდ, მე-12 საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 1185 წელს, თამარ მეფის დროს მოხდა მეფის ერთ-ერთი ვაჟირის მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სახელმწიფო მმართველობის შეცვლის სავსებით გამოკვეთილი პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა.² ყუთლუ-არსლანის პროგრამით გათვალისწინებული იყო წარმომადგენლობითი ორგანოს – “კარავის” შექმნა, რომელსაც კანონების მიღების და უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების განსაკუთრებული უფლებამოსილება ექნებოდა, მეფის ხელში კი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. თანამედროვე სამეცნიერო კრიტერიუმებს თუ მოვიშველიებთ, ცხადი ხდება, რომ ამ პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტური მონარქიის დამყარება ჰქონდა განზრახული. ეს ისტორიული ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც იმდროინდელ მსოფლიოში არც იდეის და მით უმეტეს, არც პრაქტიკის თვალსაზრისით პარლამენტურ მონარქიას ანალოგი არ მოეძებნება. ინგლისში, რომელიც პარლამენტარიზმის აკვნად ითვლება, “თავისუფლების დიდი ქარტია” ზემოაღნიშნული ფაქტიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1215 წელს მიიღეს, ხოლო პირველი პარლამენტი – 80

წლის შემდეგ, 1265 წელს შეიქმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ცნობილ თეორეტიკოსებს ჯ. ლოკს (ინგლისი) და შ. მონტესკიეს (საფრანგეთი), ისინი ამ ფაქტიდან თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ დაიბადნენ.

მართალია, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა არ განხორციელებულა, ორივე მხარემ დათმო: ყუთლუ-არსლანი არ დაუსჯიათ, ხოლო დიდგვაროვანთა ცალკე „კარავი“ უარყოფილი იქნა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებისა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის მომხდარი შეთანხმების თანახმად, მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დარბაზის „თანაზიარობითა და ერთნებობით“, ე.ი. ქვეყნის მართვა-გამგეობას მეფესთან ერთად დარბაზიც ახორციელებდა.³ რადგანაც აქ მეფის ხელისუფლების მხოლოდ გარკვეული შეზღუდვა მოხდა და მას არ მოჰყოლია ხელისუფლების რაიმე სახით დანაწილება მონარქსა და დარბაზს შორის, ამიტომ სახელმწიფო მმართველობაში განხორციელებული ეს ცვლილება არ შეიცავს დუალისტური მონარქიის ნიშნებს. საქართველოში კვლავ აბსოლუტური მონარქიული მმართველობა გაგრძელდა, ოღონდ მეფის ხელისუფლების გარკვეული შეზღუდვით.

1801 წლიდან საქართველო იძულებით იქნა ინკორპორირებული რუსეთის იმპერიაში, რომელიც თავის მხრივ, მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამდენად, ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, უცხო ქვეყნის მონარქიულ სახელმწიფოში მოუწია არსებობა 1917 წლამდე, როდესაც რევოლუციების შედეგად რუსეთის მონარქია დაემხო.

1918-1921 წლებში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის თანახმად, „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ მოჰყოლია მონარქიული მმართველობის აღდგენა. პირიქით, სახელმწიფოს მმართველობის ფორმად განისაზღვრა რესპუბლიკური წეს-წყობილება. უფრო მეტიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით

მმართველობის ამ ფორმის არჩევამ კიდევ უფრო კატეგორიული და ამასთანავე უპრეცედენტო ხასიათი შეიძინა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველ მუხლში სახელმწიფო მმართველობის ფორმის განსაზღვრისას ასეთი დებულებაა გადმოცემული: „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. აქ რომ შემთხვევით არ არის გამოყენებული სიტყვები „მუდმივი და უცვლელი“, ე.ი. ის, რაც გადასინჯვას არ ექვემდებარება, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ამავე კონსტიტუციის 148-ე მუხლში გამყარებულ ამკრძალავ ნორმას მოვიშველიებთ. მასში იმპერატიულად არის ნათქვამი: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“.

აი, რას ამბობდა ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ.საყვარელიძე თავის მოხსენებაში, რომელიც მან დამფუძნებელ კრებას წარუდგინა 1920 წლის 24 ნოემბერს: „მუდმივი არაფერია. მომავალ თაობას შეიძლება ჩვენი კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი არ მოეწონოს, სავსებით ბუნებრივია მათი შესწორება, შეცვლა. მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოს. შეიძლება ახალი საზოგადოებრივი წყობა დამყარდეს, ახალი კონსტიტუციაც შემუშავდეს, მაგრამ ეს მუხლი უცვლელად უნდა გადავიდეს ახალ კონსტიტუციაში.“⁴

როგორც ვხედავთ, ჩვენმა წინაპრებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმად „მარადიული რესპუბლიკა“ დავიტოვეს პოლიტიკურ ანდერძად. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ იმ პერიოდის დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომლებიც თავგამოდებით ებრძოდნენ რუსეთის ცარისტულ რეჟიმს და მათთვის მონარქიული მმართველობა საერთოდ მიუღებელი იყო, უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიური თვალსაზრისით.

კონსტიტუციამ სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა

დაამკვიდრა, ოღონდ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. მართალია, სახელისუფლებო სტრუქტურები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში არ არსებობდა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. მის მოვალეობებს გარკვეული თვალსაზრისით ავსებდა მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად ენიჭებოდა „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა“, თუმცა იგი მაინც არ იყო საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ტოლფასი ინსტიტუტი. საპარლამენტო რესპუბლიკის ასეთი ორიგინალური მოდელი სოციალ-დემოკრატების შემოქმედების ნაყოფია. მათგან განსხვავებით ეროვნულ-დემოკრატები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრეები იყვნენ და ამიტომაც აკრიტიკებდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩანაცვლებას გაფართოებული უფლებამოსილებების მქონე პრემიერით. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გ. გვაზავა დამფუძნებელ კრებაში საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვისას აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო „პრეზიდენტი და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ნ. ჟორდანიას კი ცდილობს გამოიხატოს რაღაც საშუალო, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ჯერ არსად ყოფილა. ამით ევროპას ვერ გავაკვირვებთ, საქართველოს კი ზიანს მივაყენებთ.“⁵

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში 1918 წლიდან 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე შემოღებული იყო სახელმწიფოს მმართველობის რესპუბლიკური ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკის სახით, სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის გარეშე, ე.ი. ისეთი, როგორც ამას 1921 წლის კონსტიტუცია ადგენდა. ამიტომ საფუძველს მოკლებულია ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება თითქოს ნ. ჟორდანიას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის შემდეგ (1921წ), საქართველოში სოციალისტური ტიპის სახელმწიფო ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა

სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა იძულებით ინკორპორირებული ამ კავშირიდან გასვლის ფორმალური უფლებით. საბჭოთა საქართველოს ოთხივე კონსტიტუცია (1922, 1927, 1937, 1978 წ. წ.) ხელისუფლების ერთიანობის პრინციპზე იყო აგებული, მართალია, ძირითადი კანონებით განსაზღვრული იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ფუნქციონირება, მაგრამ ამავე კონსტიტუციებით საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბირთვის კომპარტია წარმოადგენდა, რომელიც მოქალაქეთა ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემაში. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო შესასრულებლად ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის. ამიტომ ხელისუფლების დანაწილება ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფიქცია იყო.

მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, საქართველო 1921-1990 წლებში ტოტალიტარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა (ტერმინი „რესპუბლიკა“ აქ გამოყენებულია მხოლოდ როგორც „მონარქიის“ ანტიპოდი).

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. აუცილებელი გახდა სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება. გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება შეუდგა, ერთი მხრივ, 1978 წლის საბჭოური კონსტიტუციის მოდერნიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ძირითადი კანონის მომზადებას.

1978 წლის საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შედეგად, ქვეყნის მმართველობა საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით ჩამოყალიბდა, ოღონდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, ანუ, დაახლოებით ისეთი სახით, როგორც ეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ამ მოდელის უდავოდ ნაკლოვანი მხარე

მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს არ ჰყავდა მეთაური, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ამ ხარვეზს მთავრობის თავმჯდომარის, ხოლო 1978 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გაზრდილი უფლებამოსილებებით ავსებდა. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს მეთაურის მხოლოდ სუროგატს წარმოადგენდნენ.

ამ ხარვეზის შესავსებად 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების მიზნით. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მსგავსად. მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მექანიზმების ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენს. მართალია, ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტის ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ამასთანავე, არსებობს ძლიერი მთავრობის მეთაურიც. მთლიანად მთავრობა უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით. პრეზიდენტის მიერ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა უაღრესად მოქნილს ხდის ამ მოდელს.

კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, 1991 წელს 26 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ და გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

1991 წლის მიწურულს საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას არალეგიტიმური სამხედრო საბჭო დაეუფლა, რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაიქვემდებარა. საქართველოში დამყარდა სამხედრო დიქტატურა.

1992 წლის 6 ნოემბერს ახლადარჩეულმა პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“,

რომელსაც საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა განესაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესი. გ. გვაზავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ კიდევ ერთხელ შევეცადეთ ევროპის გაკვირვებას, რადგანაც დღემდე გამოცანად რჩება, სახელმწიფოს მმართველობის რომელ სისტემას ამკვიდრებდა „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონი. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი შედგებოდა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან, რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ხალხი. შემდეგ, პარლამენტი ორი მესამედის უმრავლესობით ირჩევდა პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა იგი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ინარჩუნებდა. პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. ერთი სიტყვით, ეს იმდენად უპრეცედენტო რამ იყო, რომ იგი სახელმწიფოს მმართველობის ფორმებისა თუ სახეობების დღემდე ცნობილ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს საერთოდ არ ექვემდებარება. ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, საქართველოში 1992-1995 წლებში სახელმწიფოს მმართველობის რა მოდელი არსებობდა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი რიგით მეორე ძირითადი კანონია. ახალი კონსტიტუციით მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა დამყარდა. ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ირჩევს ხალხი, არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მინისტრთა კაბინეტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოლეგიური და პასუხისმგებელი რგოლი, არ არსებობს. მთავრობა პრეზიდენტის მხოლოდ სათათბირო ორგანოა და მის წინაშეა პასუხისმგებელი. პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებამოსილებები, მაგრამ არა აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. სახელმწიფოს მმართველობის ეს მოდელი მრავალი ნიშნის მიხედვით ძალზედ წააგავდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს

მმართველობის სისტემას, რომელიც წმინდა ანუ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელითაა ცნობილი.

სახელმწიფოს მმართველობის საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, რომელიც ამ კონსტიტუციით იყო დადგენილი, საბოლოო ანგარიშში, არაეფექტიანი გამოდგა გარდამავალ პერიოდში მყოფი ახალი დემოკრატიის ქვეყნისათვის. ამის ნათელი დადასტურება იყო 2003 წლის ნოემბერში საქართველოში სახელისუფლებო კრიზისი, რომლის შედეგად სახელმწიფოს მეთაური პოსტიდან გადადგა, ხოლო 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით საპრეზიდენტო მმართველობა ნახევრადსაპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეიცვალა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს მთავრობამ, როგორც კოლექტიური ორგანომ, ქვეყნის პრეზიდენტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მოვალეობებისაგან, იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. მთავრობა პასუხისმგებელია როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის წინაშე. ამასთანავე, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი.

მართალია, ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან ნახევრად-საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა, მაგრამ კონტროლისა და შეკავების მექანიზმები ისე ჩამოყალიბდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ბალანსი აშკარად პრეზიდენტის ძალაუფლების სასარგებლოდ დაირღვა. ამის გამო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად დაკნინდა, რაც მორიგი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოს მმართველობის თითქმის ყველა ფორმა და მათი სახეობები იყო გამოყენებული. რესპუბლიკური მმართველობიდან გამოიცადა მისი ყველა სახეობა: საპრეზიდენტო, ნახევრად-საპრეზიდენტო (შერეული), საპარლამენტო მმართველობა. მონაქიული მმართველობიდან კი მხოლოდ მისი ერთ-ერთი სახეობა –

აბსოლუტური მონარქია. რაც შეეხება პარლამენტურ მონარქიას, მისი გამოყენების პრაქტიკა ჩვენ ქვეყანას არ გააჩნია.

საქართველოში მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ყველა სახეობის მონაცვლეობა უკანასკნელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე მოხდა, რაც დამახასიათებელია ტრანსფორმირებადი ქვეყნისათვის, რომელიც ტოტალიტარული (სოციალისტური) რეჟიმიდან გამოსვლასა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას ცდილობს.

სახელმწიფოს მმართველობის ფორმის სახეობათა ასეთი ხშირი ცვლილება ქვეყნის ისტორიის უაღრესად მოკლე პერიოდში, ჩვენი აზრით, გამოწვეულია სახელმწიფოს მმართველობის ინსტიტუტის შესაძლებლობების გადაჭარბებული გაგებით, მასზე იმ ამოცანების დაკისრებით, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ მმართველობის თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სისტემის შემოღებით შეუძლებელია. არსად მომხდარა, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმის თუ მისი სახეობების შეცვლას (თუნდაც ყველაზე დემოკრატიულით) მყისიერად გამოეწვიოს საყოველთაო კეთილდღეობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიული წყობილების დამყარება. მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია როგორც რესპუბლიკური (საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო, საპარლამენტო) ასევე მონარქიული (პარლამენტური მონარქიის) მმართველობის პირობებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და სახეობები განსხვავებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიაში (საპარლამენტო რესპუბლიკები), აშშ და არგენტინაში (საპრეზიდენტო რესპუბლიკები), დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში (პარლამენტური მონარქიები), ამ ქვეყნებში დამკვიდრებულია დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმი. მამასადამე, მთავარია სახელმწიფოს მმართველობის სისტემა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული, ხოლო თუ რა ფორმის ან სახეობის იქნება იგი, ეს სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებზე.

იმის გამო, რომ საქართველოში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკური მმართველობის ყველა სახეობა გამოიცადა და მან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, კერძოდ, ვერ უზრუნველყო ქვეყნის სტაბილური, მდგრადი განვითარება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციით დადგენილი წესით, არჩევნების გზით მონაცვლეობა, ტერიტორიული მთლიანობა, ხალხის კეთილდღეობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ., საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება ქვეყანაში პარლამენტური მონარქიის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ.

ამ იდეას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, აგრეთვე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის არგუმენტები, რომლებიც საქართველოში მონარქიული მმართველობის (რა თქმა უნდა, პარლამენტური მონარქიის) აღდგენის სასარგებლოდ შეიძლება იქნას გამოყენებული.

საქართველოში მონარქიის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. ქართველ ხალხს არასოდეს უთქვამს უარი მონარქიულ მმართველობაზე. ამ საკითხზე საქართველოში რეფერენდუმი არ ჩატარებულა და შესაბამისად, არც ხალხის ნება გამოხატულა იმ ფორმით, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა ექნებოდა. საქართველოში მონარქიული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა უცხო ქვეყნის – რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად. ამიტომ მონარქიული მმართველობის აღდგენა გარკვეულ სამართლებრივ კავშირს აღადგენდა დღევანდელ და 1801 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას შორის, შექმნიდა ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის განცდას.

მონარქიის აღდგენის შემთხვევაში აღარ იქნება სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ავტორიტარულ მმართველობაში გადაზრდის მომეტებულ საფრთხეს შეიცავს. ჩვენ ქვეყანაში კონსტიტუციით დადგენილი წესით, არჩევნების გზით პრეზიდენტის შეცვლის პრეცედენტი ჯერ

არ ყოფილა. პრეზიდენტის შეცვლას წინ უძღოდა სამოქალაქო ომი, სახელმწიფო გადატრიალება და რევოლუცია.

პარლამენტური მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაური მონარქია, რომელიც უვადოდ იკავებს ამ პოსტს და მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ ტახტის მემკვიდრეობის წესით. ამასთანავე, ტახტის მემკვიდრეს, მომავალ მონარქს ყოველმხრივ ამზადებენ სახელმწიფოს მართვისათვის, ზრდიან ეროვნული სულისკვეთებითა და ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურისათვის. მონარქი არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე და უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობას. მონარქი უშუალოდ არ ახორციელებს მმართველობას, მას ძირითადად მორალური გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. რეალურად ქვეყანას მართავს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პარლამენტში უმრავლესობის მქონე მთავრობა. მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა და ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გამომდინარე აქედან, პარლამენტური მონარქიის პირობებში გამორიცხულია სახელმწიფოს მეთაურის დიქტატორულ ან ტირანულ მმართველად გადაქცევა. პირიქით, სახელმწიფოს მეთაური – მონარქი მოწოდებულია არ დაუშვას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ მითვისება.

მონარქი ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების საფუძველზე იქმნებიან, მონარქი წარმოადგენს მთელ ერს, მთელ ხალხს, თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. ამდენად, მონარქი ერის კონსოლიდაციისა და მთლიანობის გარანტია.

პარლამენტური მონარქიის პირობებში მეტი შესაძლებლობებია ქვეყნის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთიანი

სამეფოს ფარგლებში თანაარსებობისათვის, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და სეპარატისტული ტენდენციების დამლევისათვის, რაც მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, რომელსაც ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არა აქვს და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია სრულად არ აღუდგენია.

მონარქია თვალსაჩინოდ განსახიერებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეას. იგი უზრუნველყოფს ეროვნული ტრადიციების, ენისა და სარწმუნოების, კულტურული მემკვიდრეობისა და საერთოდ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებას. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირერიცხოვანი ერებისათვის თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღებას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს სახელმწიფოს მმართველობის სისტემის შემდგომ სრულყოფასა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემების გადაჭრაში. ამასთანავე, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მონარქიის აღდგენა ისევე იოლი საქმეა, როგორც, მაგალითად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნაცვლად საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღება. საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტოთი შეცვლა სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფორმის – რესპუბლიკის შიგნით ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს, ამიტომ რესპუბლიკური მართვა – გამგეობისათვის დამახასიათებელი ზოგადი ასპექტები არ იცვლება და ძალაში რჩება. შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება და საზოგადოებრივი ცნობიერება გარკვეული მოთმინებით ხვდება ასეთ რეფორმებს. რაც შეეხება რესპუბლიკის მონარქიით შეცვლას, ეს უკვე სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს და სახელმწიფოს მმართველობის ისეთ ღრმა, თვისებრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რომ მისი წარმატებით განხორციელება გარკვეულ დროსა და საზოგადოებრივი ცნობიერების

სათანადო მომზადებას მოითხოვს. გავიხსენოთ თუნდაც უკუპროცესი, კერძოდ, რამდენი დრო და რევოლუციები დასჭირდა სხვადასხვა ქვეყანაში აბსოლუტური მონარქიების დამხობასა და მათ შეცვლას რესპუბლიკური მმართველობით.

იმ ქვეყნებში კი, სადაც პარლამენტური მონარქიები დღემდე შემორჩენილია და წარმატებით ასრულებენ სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის ფუნქციებს, სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება განხორციელდა, ერთი მხრივ, აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვისა და მეორე მხრივ, ხალხის ძალაუფლების გაძლიერების მეოხებით, ე.ი. სახელმწიფოს მმართველობის ფორმა კი არ შეიცვალა, არამედ – ერთი ფორმის შიგნით მისი სახეობა. შედეგად, მონარქიული მმართველობა გახდა დემოკრატიული, ხალხისათვის მისაღები და გააგრძელა არსებობა. საზოგადოების ცნობიერებაში ეროვნული სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობა და მონარქიული მმართველობა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და თაობების აღზრდაც სწორედ ამ რეალობაში და ამ სულისკვეთებით მიმდინარეობს.

ქართველი ერის თანამედროვე თაობას ძალზედ დიდი დრო აშორებს ქართული მონარქიული სახელმწიფოსაგან. 1801 წლიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ჩვენ ქვეყანაში მრავალი თაობა აღიზარდა არა მარტო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდის გარეშე, არამედ მონარქიისადმი შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში (განსაკუთრებით ბოლშევიზმის პერიოდში). ამიტომ ქართული ეროვნული ცნობიერება არა გვგონია დღეს მზად იყოს რესპუბლიკასა და მონარქიას შორის არჩევანის გასაკეთებლად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუშლის აგრეთვე ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა. შეუძლებელია მონარქიის შემოღება იმ ქვეყანაში, სადაც სიღარიბის დამლევა ხელისუფლების ერთ – ერთი მთავარი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ხელისშემშლელი გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი და კვლავ საკამათოა ბაგრატიონთა დინასტიიდან ვინ შეიძლება

გახდეს მონარქი საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ხელისშემშლელი გარემოებების დაძლევა, რასაკვირვლია, შეიძლება, თუმცა იგი დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. მთავარია, არსებობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანხმობა ამ საკითხში და ამის შესაბამისად ტარდებოდეს მიზანმიმართული ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რათა ხალხი დარწმუნდეს, რომ მონარქიული მმართველობის შემოღება ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას.

ამის შემდეგ, არჩევანი რესპუბლიკასა და მონარქიას შორის თავად ხალხმა უნდა გააკეთოს რეფერენდუმით, რადგან სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შეცვლა, ვფიქრობთ, არ შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, თუნდაც არჩევნებში გამარჯვებულის, გადასაწყვეტი საკითხი.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საქართველოში XII საუკუნეში დაწყებული პარლამენტური მონარქიის შემოღების მცდელობის დასრულება XXI საუკუნეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იხ. შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია. 11, 1958, გვ. 9-10.
2. ამ მოვლენის თარიღის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბილისი, 1998, გვ. 238.
3. იხ. ივანე სურგულაძე. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1985., გვ. 96-124.
4. იხ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2001, გვ. 174.
5. იხ. ალექსანდრე ბენდიანიშვილი. მით. ნაშრომი, გვ. 177.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



საქართველოში შაქნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების ხონსტიტუსიური ჰიოქსია

ოთარ მელქაძე

იურდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეზიუმე

საქართველოში სადღეისოდ შექმნილი მწვავე პოლიტიკური ვითარების შესაფასებლად მიზეზ-შედეგობრივ კონტექსტში უნდა გაანალიზდეს ორი ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფო მმართველობის სისტემის პროცესებისას გადადგმული დანაშაულებრივი ნაბიჯები. მთელს ამ საკანონმდებლო პროცესში ჩართული უცხოელი ექსპერტების რჩევებისა თუ შენიშვნების აბსოლუტური იგნორირებით, ქვეყნის საკონსტიტუციო მშენებლობის დაუსრულებელი რეფორმირების განმაპირობებელ ფაქტორად ერთპიროვნულ ინტერესებზე მორგებულმა ერთპარტიული ეგოიზმის სინდრომმა იმძლავრა. შედეგად, მოქმედი კონსტიტუცია არაკონსტრუქციული, ხშირად ნეგატიური გამოვლინებებით გამოირჩევა.¹

ქართულ კონსტიტუციონალიზმში დესტრუქციულ ტრადიციად დამკვიდრდა სახელმწიფო მეთაურის მიერ ქვეყნის მმართველობის სისტემის პირად პოლიტიკურ ამბიციებზე მორგება. ამგვარი ორიენტაციით იყო წარმართული ყოველი კონსტიტუციური რეფორმა (1992, 1995, 2004, 2010 წწ.), რომლებიც კონსტიტუციონალიზმის კონცეპტუალური პრინციპების იგნორირებით ხორციელდებოდა

და მმართველი გუნდის აქტიურ პოლიტიკად ჩამოყალიბდა. ყოველი ასეთი მცდელობა ინიციატორთა წარმოდგენაში ფორმირებულ ე.წ. სამართლებრივ კონფიგურაციაზე ახალი საავტორო მოდელის მორგებით მთავრდებოდა. ასე მოხდა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური რეფორმების დროსაც და ამას ყველაფერს საერთო ისა აქვს, რომ ყოველ ჯერზე ერთპიროვნულ ინტერესებზე მორგებული, ერთპარტიულ სისტემაზე აპრობირებული იდეოლოგიური პროდუქტი ყალიბდებოდა:

–ქართული კონსტიტუციონალიზმისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი სამართლებრივი ხარვეზების თავფურცლის როლი იტვირთა 1992 წელს მცირე კონსტიტუციის სტატუსით მიღებულმა კანონმა “სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ”. იგი ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ იქნა შემუშავებული და, საერთოდ, განხილვის გარეშე იქნა დამტკიცებული საქართველოს მაშინდელი პარლამენტის მიერ;²

მოცემული კანონი ძალაში მხოლოდ მაშინ შევიდა, როცა ამ კანონის დადგენილებით, ამომრჩეველთა მიერ პირდაპირი წესით არჩეული პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურად აირჩია და მან აღნიშნულ კანონს ხელი მოაწერა.

– 1995 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია წლების განმავლობაში მუშავდებოდა. ამ პროცესს წინ უსწრებდა კენჭისყრა პარლამენტში ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის მოდელის შერჩევის თაობაზე, რომლის შედეგადაც სახელმწიფო მმართველობის საპრეზიდენტო მოდელმა ყველაზე მცირერიცხოვანი მხარდაჭერა მოიპოვა;

კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი ევროპელი და ამერიკელი კონსტიტუციონალისტები. პარლამენტში განსახილველად იქნა წარმოდგენილი შერეული მმართველობის – საპარლამენტო-საპრეზიდენტო მოდელის – პროექცია, რომელიც 26 თვის განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა. აღნიშნული სპეციალისტებისა და ქართული დელეგაციების მონაწილეობით საქართველოს კონსტიტუციის პროექტი საგანგებოდ იქნა განხილული ჩიკაგოს კონფერენციაზე. ამას მოჰყვა განხილვები საქართველოს პარლამენტის სხდომებზე. მაგრამ ერთ დღეს აღნიშნული პროექტი მავანთათვის მიუღებელი აღმოჩნდა და სხდომები შეწყდა. ე.წ. სამუშაო ჯგუფმა, უმაღლესი დონის სპეციალისტების თანამონაწილეობით მომზადებული კონსტიტუციური პროექტის „გადაკემსვა“ დაიწყო საპრეზიდენტო რესპუბლიკის „მაგვარი“ ქართული ნოვაციებით, რომლებშიც ამერიკელი პარტნიორები უფრო მეტ სხვაობას ხედავდნენ, ვიდრე საერთოს.

ათიოდ დღეში, 1995 წლის 24 აგვისტოს, ყოველგვარი წინასწარი სახალხო განსჯა-განხილვის გარეშე მიღებული იქნა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე გადმოქართულებული კონსტიტუცია. როგორც ჩანს, მის მიღებას კულუარულად არანაკლები შრომა დასჭირდა. ამაზე თავად კენჭისყრის შედეგები მეტყველებს. 235 წევრისაგან შემდგარ პარლამენტში კონსტიტუციის მიღებას 2/3-ის, ანუ პარლამენტის წევრთა 156,6 წევრის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. მეათედებზე ხაზგასმა იმის ნიშანია, რომ პარლამენტში ასეთი წევრების წილი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. გადამწყვეტი როლი შეასრულეს პარტიებმა, რომელთა პოლიტიკური ორიენტაცია აბსოლუტურად განსხვავდებოდა (და დღესაც განსხვავდება) საპრეზიდენტო მმართველობის კონცეფციისაგან. მოცემული გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი

„წვლილი“ შეიტანეს „რესპუბლიკელებმა“ – 13 ხმა და „ტრადიციონალისტებმა“ – 10 ხმა. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. გადამწყვეტი აღმოჩნდა ორი დეპუტატის ხმა, რომელთაც ავადმყოფობის გამო საკონსტიტუციო პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამ ხმების მოსაპოვებლად მათი მონახულება აღმოჩნდა საკმარისი. შედეგად, 157 დეპუტატის „კოლექტიურმა მონდომებამ“ ბარიერი დაძლია და კონსტიტუცია ამოქმედდა.

– 1995 წელს მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ, საპრეზიდენტო მმართველობის კომპეტენციური თავისებურებების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მეთაურს ხელისუფლების მეთაურობაც შეუთავსა. ამას გარდა, საკანონმდებლო ორგანოზე მაქსიმალური ზეგავლენის უფლებამოსილების კონტექსტში, პრეზიდენტს იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეობაც შეჰმატა. მართალია, იუსტიციის საბჭო პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოდ გამოცხადდა, მაგრამ – სამართლებრივად და ფაქტობრივად მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში, იუსტიციის საბჭოს არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების რეფორმის ორგანიზება ევალებოდა, მისი ფორმირების ბერკეტებიც აღნიშნული საბჭოს ხელში აღმოჩნდა;

– 1995 წლის კონსტიტუციაში პირველი ცვლილება მომავალი არჩევნების მოახლოებით იყო განპირობებული. 1999 წლის კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნებისთვის ივლისში, პროპორციული არჩევნებისათვის 7%-იანი ბარიერის შემოღებით მმართველმა პარტიამ – „მოქალაქეთა კავშირმა“, სხვათა მიერ ბარიერის დაუძლეველობით შექმნილი ე.წ. დაკარგული ხმების „რეზერვის“ ხარჯზე 129 მანდატი მოიპოვა. შედეგად, საქართველოში ერთპარტიული სისტემის განმტკიცებას ჩაეყარა საფუძველი. „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელთათვის ამიტომ იყო მიუღებელი აღნიშნული ბარიერის შეცვლის თაობაზე ევროსაბჭოს ჯერ რეკომენდაცია და შემდეგ – მოთხოვნაც;

პროპორციული არჩევნებისათვის დადგენილი 7%-იანი ბარიერი შენარჩუნებულ იქნა 2004 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებისთვისაც. რვა წლის განმავლობაში რეაგირების გარეშე რჩებოდა ვენეციის კომისიის არაერთჯერადი რეკომენდაცია და, შემდეგ, ევროსაბჭოს მითითება

პროპორციული არჩევნების ბარიერის 3-4%-მდე შემცირების თაობაზე. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ბარიერის შემცირების საკითხი ერთგვარად თითქოს გათვალისწინებულიც იქნა, ოღონდ 5%-იანი ბარიერის დონეზე, მაგრამ მმართველმა პარტიამ ამ დანაკლისის გადაფარვა სხვა ნოვაციების ხარჯზე „მოახერხა“.³

– 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი წარადგინა პარლამენტში და მისის თვეში პროექტის ტექსტი „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ გამოქვეყნდა. მოსალოდნელ კონსტიტუციურ ცვლილებებს ოფიციალურად გამოეხმაურნენ ადრე ჩიკაგოს კონფერენციაში ჩართული კონსტიტუციონალისტები. ცალსახად იყო ხაზგასმული, რომ ჩაფიქრებული კონსტიტუციური ცვლილებების რეალიზაცია საქართველოში სუპერ-საპრეზიდენტო სისტემის დამკვიდრებას განაპირობებდა. შედეგად, პროექტის საპარლამენტო განხილვა არ მომხდარა;

– 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. მთელი ეს პროცესი „მოქალაქეთა კავშირიდან“ გამოყოფილი მ. სააკაშვილის მხარდამჭერი გუნდის ნების კარნახით წარიმართა. არჩევნებამდე ორიოდ თვით ადრე, მათ საკუთარი პარტიის დაბადების აქტი პოლიტიკური კრიმინალის მეშვეობით გააფორმეს და მთელი შემდგომი საქმიანობაც ამავე კურსით წარმართეს: დააარსეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მოქმედი პოლიტიკური პარტია და მიითვისეს 1999 წლიდან მოქმედი ანალოგიური დასახელების პარტიის სტატუსი. როცა ეს გამჟღავნდა, გამოსავლის სახით, იუსტიციის მინისტრის იმჟამინდელმა მოადგილე კოტე კუბლაშვილმა, მეორე მხარის თანხმობის გარეშე გამოსცა „ბრძანება“ მათი გაერთიანების შესახებ. ამგვარ მანიპულაციას გარკვეული შედეგები მოჰყვა. 23 ნოემბერს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე გადადგა. „განაცონალებული – მოქკავშირელები“ გალადდნენ. მათივე ჩარევით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა უზენაეს სასამართლოს მიეკუთვნა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტის პროპორციული არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ. „ნათლიაობის“ ამაგი კ.კუბლაშვილსაც დაუფასდა. მოკლე ხანებში იგი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ მოგვევლინა და მას შემდეგაც „პირნათლად“ ემსახურება „ნაციონალებს“;

2004 წლის 4 იანვარს ოპერატიულად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და მ. სააკაშვილმა, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ განწყობილების ფონზე არჩევნები სრულად მოიგო. ერთი თვის თავზე – ძველმა პარლამენტმა ყოველგვარი საკონსტიტუციო პრეცედურების დარღვევით განახორციელა ე.წ. რეფორმა. მთავარი ის არის, რომ მას საფუძვლად დაედო საპარლამენტო განხილვებიდან 2001 წელს მოხსნილი კონსტიტუციური კანონპროექტი. ძველმა კონსტიტუციურმა პროექტმა მნიშვნელოვანი რაოდენობრივი ცვლილებები განიცადა, მაგრამ სრულიად შეინარჩუნა ის პუნქტები, რომლებიც გახდა საპარლამენტო განხილვიდან მისი მოხსნის საფუძველი.

– 2004 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო რეფორმამ საპრეზიდენტო მოდელს თითქოსდა შერეული მოდელი ჩაუნაცვლა, მაგრამ ამჯერადაც – კლასიკური მოდელისაგან პრინციპულად განსხვავებულ შტოთა დისპროპორციული ბალანსით. საქართველოს პრეზიდენტმა სრულად შეინარჩუნა პარლამენტზე ზეგავლენის ბერკეტები და ის კომპეტენციური პაკეტი, რომელთა აღკვეთას ვითომდა ემსახურებოდა მოცემული რეფორმა;

ამ დროს არსებობდა შესაძლებლობა, მთელი ეს პროცესი კანონიერ ჩარჩოებში მოქცეულიყო და უამრავი შემდგომი სამართლებრივი დეფექტი თავიდან აგვეცილებინა. ამ თვითნებობას კონკრეტული მიზანი ედო საფუძვლად – ახალმა პრეზიდენტმა მისთვის სასურველი კონსტიტუციური რეჟიმი დაამკვიდრა. ამიტომ საგანგებოდ დააჩქარა რეფორმაციის პროცესი და არ დაელოდა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის შენიშვნებითა და პოზიტიური წინადადებებით დატვირთულ საექსპერტო დასკვნას.

– 2004 წლის 4 იანვარს არჩეული საქართველოს პრეზიდენტისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მისი უფლებამოსილებები სრული ხუთწლიანი ვადისა ვერ იქნებოდა. კონსტიტუციით დადგენილი იყო, რომ „პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური ეწყობა წინა არჩევნების მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირადღეს“ (მუხლი 70-9), ანუ მორიგი არჩევნები 2008 წლის აპრილში უნდა გამართულიყო;⁴

მ. სააკაშვილმა გადაწყვიტა უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება. გამოსავლის სახით გახშირდა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის ერთობლივი არჩევნების ჩატარების ინიციატივა. მოცემული იდეის კონსტიტუციური გაფორმება იურიდიული ტექნიკისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების კიდევ ერთი ნიმუშია. 2006 წლის 27 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულთან დაკავშირებით ორ პუნქტში იქნა შეტანილი ცვლილება-დამატებები. ერთ შემთხვევაში დადგინდა, რომ „პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში“ (მუხლი 70-9), ხოლო მეორე შემთხვევაში დადგინდა, რომ „2004 წელს არჩეული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ჩატარდეს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე“ (მუხლი 104¹)?!

მოცემული ინიციატივა ნიშნავდა პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით დადგენილი უფლებამოსილების ვადის 6 თვემდე, ხოლო პარლამენტის წევრთათვის 7 თვემდე გახანგრძლივებას. პარლამენტის ასეთი უსამართლო პროექტის წინააღმდეგ არც ოპოზიციას გამოუხატავს აღშფოთება. როგორც ჩანს, მათ უფლებამოსილებების გახანგრძლივების „პრემიალობის“ გამო დათმეს პრინციპული პოზიცია. მაგრამ გათვლამ არ გაუმართლათ. კონსტიტუციური პრინციპების ხელყოფით ამოქმედებული იდეის მხარდამჭერმა პარლამენტარებმა აღნიშნული „სიკეთით“ ვერ ისარგებლეს.

უკანასკნელი წლების პრაქტიკა იმის დასტურია, რომ საქართველოს პარლამენტი ერთპარტიული უმრავლესობის ნების კარნახით ხშირად გამოდის კონსტიტუციური პრინციპების ხელყოფის ინიციატორად. ზემოთ აღნიშნულ ორ შესწორებას სხვადასხვა ბედი ეწია. კონსტიტუციის 104¹ მუხლი დაზუსტდა და ახალი ცვლილებით საქართველოს პარლამენტის არჩევნების მორიგ თარიღად 2008 წლის მაისი გამოცხადდა. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტისათვის უფლებამოსილებების გახანგრძლივების ნორმას, მ. სააკაშვილმა თანამდებობიდან მისი გადადგომის გამო ვერ აითვისა. მაგრამ პარლამენტის ნაციონალურმა უმრავლესობამ

მოცემული ნორმა ხელუხლებლად დატოვა და მისცა მას შანსი მეორე უფლებამოსილების ვადის გასახანგრძლივებლად გამოეყენებინა. ასეც მოხდა – ამჟამად საქართველოს მომავალს, ფაქტობრივად, ვადაგასული პრეზიდენტი „განაგებს“.

კონსტიტუციის მოქნილობა ანუ მასში შესწორებების განხორციელების შეუზღუდავი პირობები ზოგადად სახელმწიფო მმართველობის სისტემის დემოკრატიულობის მახასიათებლად არის მიჩნეული. მოცემული თეზა საქართველოს მაგალითზე შეიძლება თეორიულ დეფინიციად მივიჩნიოთ. 2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული რეფორმაციები არამართლზომიერი, არადემოკრატიული კურსის მაჩვენებელია და ამას მისი თანმიჯნო შედეგები ადასტურებს. 2004 წლის შემდგომმა პერიოდმა დაგვარწმუნა, რომ ინიციატორთათვის აპლიკატიური მეთოდებით ცალკეული კონსტიტუციური ცვლილება-დამატებების განხორციელება სასურველ შედეგს იძლევა და ამგვარი აჩქარებებით მრავალი მწარე გაკვეთილი მივიღეთ.

1995 წლიდან 8,5 წლის განმავლობაში ხუთჯერ, წელიწადში თითო საკონსტიტუციო-საკანონმდებლო ინიციატივა განხორციელდა. მთლიანობაში ცალკეულ ნორმებში 12 ცვლილება-დამატება იქნა გათვალისწინებული. 2004 წლის არჩევნების შემდეგ, 5 წლის განმავლობაში, თორმეტმა საკანონმდებლო ინიციატივამ 77 ცვლილება-დამატება მოიცვა. ეს არ არის უბრალოდ აქტივობის სტატისტიკა. იგი სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობისადმი ზედაპირული, არაორგანიზებული დამოკიდებულების, მთლიანობაში საკანონმდებლო საქმიანობის არამიზანმიმართული სამართლებრივი ლოგიკით ფორმირებული სტილის გამოხატულებაა.

არ შეიძლება სხვანაირი შეფასება მიეცეს კონსტიტუციური რეფორმაციების რეჟიმს. მაგალითად, 2005 წელს ორჯერ – 23 და 27 დეკემბერს განხორციელდა ცვლილებები, ხოლო 2008 წელს, 11 მარტს განხორციელებულ 5 შესწორებას, 12 მარტს კიდევ 4 შესწორება მოჰყვა. ხშირად ეს ხდება კონსტიტუციის მთლიან სამართლებრივ სივრცესთან

მიმართებაში გაუაზრებლად, რაც შემდგომში ახალ-ახალი რედაქტირებისა თუ ცვლილებების აუცილებლობას ბადებს. ამიტომ, 2004 წლიდან მოყოლებული, მთელმა რიგმა მუხლებმა რამდენჯერმე განიცადეს ცვლილებები (მუხლები: 3, 50, 70). კონსტიტუციური ცვლილებების სიხშირით და სიმრავლით გამოირჩევა თავი – „საქართველოს პრეზიდენტი“.⁵

– 2010 წლის კონსტიტუციური რეფორმის ერთი არსებითი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მან მთელი წინარე რეფორმაციული კურსის საწინააღმდეგო ორიენტაცია მიიღო. მოცემული რეფორმის ძირითადი აქტივები საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუციის მიერ, 2004 წლის რეფორმითა და შემდგომი ცვლილებებით მითვისებული იმ უფლებრივი წამონაზრდების შეკვეცაზე იყო მიმართული, რომლებიც კომპეტენციურად შეუთავსებელი იყო მთავრობის დამოუკიდებელი ინსტიტუტის თანაარსებობის პირობებში;

მოცემული რეფორმის ფარგლებში კონსტიტუციის „საქართველოს პრეზიდენტის“ 9 მუხლიან თავში 11 ცვლილება განხორციელდა. მათი ამოქმედება ორ პაკეტად გაიყო. 4 პუნქტში განხორციელებული ცვლილებები 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და მას არც არანაირი წარმოდგენა არ შეუქმნია იმაზე, თუ რა გველის 2013 წლის ოქტომბრიდან. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედდეს 1 ახალი და 3 არსებითად შეცვლილი მუხლი, აგრეთვე, თითო პუნქტი 3 მუხლში. ცვლილება-დამატებების აღნიშნული პაკეტის ამოქმედებით არსებითად იცვლება საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთმიმართება საქართველოს მთავრობასა და პარლამენტთან.

2010 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად ქართული კონსტიტუციონალიზმის საბოლოო ფორმირების ვარიანტამდე, ფაქტობრივად, გარდამავალი პერიოდის რიგით უკვე მეოთხე მოდელი მივიღეთ. იმ განსხვავებით, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მოცემული ცვლილებების ბლოკის სრულ ამოქმედებამდე, მომავალი მიზანსცენის განმუხტვისათვის საჭირო ცვლილებების საკითხი დადგა.

მთელი შემოთავაზებული რეფორმა, ფაქტობრივად, საქართველოში მ. სააკაშვილის

„პირველკაცობაზე“ იყო ორიენტირებული, ამჯერად უკვე პრემიერ-მინისტრის რანგში. ამ მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებებია გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთმიმართების სფეროში. პრეზიდენტს არა მხოლოდ ჩამოერთმევა მთელი რიგი უფლებამოსილებებისა, არამედ კონსტიტუციური დანაწესით მასზე კუთვნილი სხვადასხვა ქმედების სარეალიზაციო აქტები პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას საჭიროებენ, გარდა იმ 12 პოზიციისა, რომლებიც კონსტიტუციაშია მინიშნებული.

მოცემული რეფორმის მთავარი პრიორიტეტი – 2004 წელს განხორციელებული რეფორმის ესტაფეტის სახით – მთავრობის ინსტიტუტის გაძლიერებისაკენ მიმართული კურსია. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ რეფორმირებული სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, მთავრობის ახლებური სამართლებრივი აღნაგობიდან გამომდინარე, ხელისუფლების შტოთა ურთიერთმიმართებაში ახალი ეპიცენტრის რანგში პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი გამოიკვეთება. ასეთ მოსაზრებას საქართველოს კონსტიტუციის მთავრობის თავში განხორციელებული რეფორმაციის სტატისტიკა და მ. სააკაშვილის ნება-სურვილზე მორგებული სამართლებრივი ბუნებაც ადასტურებს. გამორიცხული არ არის, რომ მოცემული რეფორმის მიზნების სრული დაცულობით საქართველოში მოქმედ სუპერსაპრეზიდენტო მოდელს სუპერსაპრემიერმინისტრო მოდელი ჩაენაცვლოს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი განწყობით განხორციელდა ნაციონალთა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პროცირებული რეფორმა.

კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში არსებობს კონსტიტუციების რეფორმირების მიზანმიმართული და ზედაპირულ-პროცედურული მეთოდები. ქართულ კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებული პრაქტიკიდან უპირატესობა პროცედურულ მეთოდოლოგიას ენიჭება, ვინაიდან ასეთი ორიენტაციის აქტუალიზაციას სწორედ კონსტიტუციაში რეფორმირებისა და ცალკეული ცვლილება-შესწორებებისადმი დასმული ამოცანის მიზანმიმართული არგუმენტაცია და მისი სამართლებრივი სისტემური რეგულაცია

არ ესაჭიროება. მიზეზი ხშირად ის არის, რომ კონსტიტუციური დანაწესების შემუშავებისას წინასწარ არ არის გააზრებული მოდელის პროექცია, ან კიდევ – კონკრეტული წინადადება მისი შეუსაბამოა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ისეთ შედეგს ვღებულობთ, რომელიც არათანამიმდევრული საკანონმდებლო პროცესის პროდუქტია – თავისი თანმდევით პრობლემებით.

ქართულ კონსტიტუციონალიზმში ნაცადი სახელმწიფო მმართველობის მოდელების სამართლიანობისა და დემოკრატიულობის განმაპირობებელი ფაქტორი პრეზიდენტის უფლებამოსილებები და მმართველი პარტიის პოლიტიკური ორიენტაციაა. კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა იმაზე მიგვანიშნებს, რომ საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში მმართველია პარტია, რომელსაც პრეზიდენტი წარმოადგენს. საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკური ცენტრი პარლამენტია და მმართველობის სტატუსი პარლამენტში უმრავლესობით წარმოდგენილ პარტიას ეკუთვნის. შერეული მმართველობის რესპუბლიკის მოდელის ჰიბრიდულობა ამ შემთხვევაშიც სახეზეა. ყველაფერი კი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის პარტია უმრავლესობითაა წარმოდგენილი, სახელმწიფოს მეთაური სრულძალოვანი ინსტიტუციაა. მეორე შემთხვევაში, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის ოპონენტი პოლიტიკური პარტია იმარჯვებს, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ობიექტური სისტემა იწყებს მოქმედებას. სწორედ ასეთ ვითარებაში იძენს საფრანგეთის შერეული მმართველობის მოდელი არსებით სტატუსს – ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში მოდიფიცირებული საპრეზიდენტო მმართველობის კონცეპტუალურ აქცენტს უღალატა. ეს ნაციონალების ახალი „მიღწევაა“. ყველაფერი უნდა დავუკავშიროთ 2010 წლის კონსტიტუციურ რეფორმას, რომელიც საქართველოში დამკვიდრებული ერთპიროვნულ ინტერესებზე მორგებული არაკლასიკური რეფორმაციების გვირგვინს წარმოადგენს. მ. სააკაშვილს სურდა, განხორციელებული

რეფორმის მეშვეობით სუპერპრეზიდენტის უფლებამოსილებები სუპერპრემიერ-მინისტრის რანგში სამემკვიდრეოდ მიეთვისებინა. ამგვარად, „მოქავშირულმა“ სენმა თავის უმაღლეს სიმწვავეს „განაცინალების“ შედეგად მიაღწია. როგორც ჩანს, ამომრჩეველმა, განვილ გზასთან ერთად, ახლებურად პროეცირებულ მოდელთან მიმართებაში, არჩევნების შედეგებში გამოხატა თავისი პოზიცია.

“ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, 9 წლის განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკით, ქვეყნის უბედობის ინიციატორისა და ორგანიზატორის როლი „ბრწყინვალედ“ შეასრულა. ახლა, როცა მათი პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გამოიკვეთა, დანაშაულებრივი ქმედებების მონანიების ექსკლუზიური გზა აირჩიეს. მათ ჯერ ისარგებლეს „ქართული ოცნების“ დამთმობი პოლიტიკით, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების სურვილითაა განპირობებული. შედგა გარკვეული შეთანხმება, ამას კი მოჰყვა ნაციონალების ახალი განცხადება, რამაც სრულად წარმოაჩინა მათი სახე და სამართლებრივი თავდაცვის ზრახვები. გახშირდა ინიციატივა საჯარო პირთა ამნისტირების თაობაზე, დამნაშავეთა პასუხისმგებლობის უცნაური გრადაციის მოდელით.

ნაციონალების ამ ინიციატივაში, ერთი შეხედვით, „სინდისიერებამ“ გაიღვა. ისინი მოითხოვენ „საყოველთაო ამნისტია“ გავრცელებულ საშუალო და დაბალი რანგის ნაციონალ „ცოდვილებზე“. ამასთან, განაცხადეს, რომ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები მზად არიან პასუხისმგებლობისათვის. აღნიშნული ამნისტიის იდეის ნაციონალთა შტაბის მიერ ინიცირება, პირველ რიგში, მათივე ცოდვების თვითდაზღვევაზეა ორიენტირებული. მათი დანაშაულებრივი პოლიტიკის რეალიზაციაში ჩართული ე.წ. „მასოვკის“ ამნისტირება დამნაშავეთა შტაბის პასუხისმგებლობის ნიველირების იდეის მატარებელია, შეწყალებულთა მდუმარების შედეგად – საბრალდებულო მტკიცებულებების ბლოკირების ხარჯზე.

ამაზე გათვლილი „განაცინალებული მოქავშირლების“ კოჰაბიტაციური პოლიტიკის

საბოლოო ნაბიჯიც. ისინი საპანაშვიდო მიტინგის ფორმით ცდილობენ, დასაბამი მისცენ მათი პოლიტიკური ავტობიოგრაფიის მესამე ფაზას. ნაციონალების მიერ 19 აპრილს დაგეგმილი მიტინგი თავისი ორგანიზაციული მუხტით მათი ავანტიურისტული პოლიტიკის კიდევ ერთი გვირგვინია. ავანტიურა იმაზეა გათვლილი, რომ მთელს საქართველოში შემორჩენილ ნაციონალ-აქტივისტებსა და თბილისის მერიის კოორდინატორთა მობილიზებულ ბატალიონს დაემატოს არანაკლები რაოდენობის ცნობისმოყვარეები და, ამგვარად, ნაციონალების არსებობის შთამბეჭდავი სურათი დაფიქსირდეს. ეს იქნება ბოლო უშედეგო მცდელობა, როგორც შეინარჩუნონ „სახე“ ისტორიულ წარსულში.

პოლიტიკურ ჩიხში მოქცეულ ქართულ რეალობაში, სახელმწიფო მმართველობის სისტემის მოდელთა მონაცვლეობით განვლილმა ე.წ. რეფორმაციულმა კურსმა არ გაამართლა. მთავარი მიზეზი ის არის, რომ კანონმდებლები შერჩეული მოდელისთვის დამახასიათებელი კლასიკური პრინციპების აბსოლუტურ იგნორირებას ახდენდნენ. ხელისუფლებამ თავის გემოზე მოიწყო ცხოვრება და არც ერთხელ არ დაინტერესებულა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით, სეზონურად ცვალებადი სახელმწიფო მმართველობის მოდელების პერსპექტიულობაზე. კონსტიტუციის შემუშავებისას თუ მისი რეფორმირების პროცესში, ყველა შემთხვევაში, პროექტების საბოლოო სახის ფორმირებისას აქტუალური აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივები. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო კომისიების მიერ წინასწარ შემუშავებული პროექტები საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკურ ინტერესებზე მოდიფიცირებას ვერ გადაურჩა.⁶

მიგვაჩნია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პირველ რიგში სახელმწიფო მმართველობის სისტემის სრულყოფაზე კაპიტალურ კონტექსტში უნდა იზრუნოს და სახელმწიფოს კონსტიტუციური მოდერნიზაციის პოლიტიკა კვლავაც სეზონური ცვლილება-დამატებების კურსით არ წარმართოს. იქნებ არც ე.წ. კოჰაბიტაციის დონეზე ამდენ დათმობებზე წასვლა იყო საჭირო. ნაციონალებისთვის, მათი 9 წლიანი მსხვერპლიანი პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებული სახალხო ომებისა

და ციხეებში ტუსადებზე განხორციელებული „აღმზრდელობითი“ ღონისძიების დემონსტრირებით, საერთაშორისო დონეზე უნდა შეგვექმნა ობიექტური სურათი მ. სააკაშვილის პოლიტიკური სახის თვითმკვლელობის თაობაზე, მის მიერვე კონსტიტუციაში შავი დღისთვის გათვლილი საპრეზიდენტო მოდელის სამთავრობო პრეროგატივებით შეცლის ბოლო გასროლის სახით.

დრო დადგა, სერიოზულად ვიფიქროთ სახელმწიფო მოდელის შერჩევაზე და ახალი კონსტიტუციის შექმნაზე. ძველ კონსტიტუციაში უკვე ცალკეული მუხლები ჭამენ ერთმანეთს და კონსტიტუციამაც ცოდვიანი პერიოდი სრულად მოჭამა. ამიტომ, „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფოს კონსტიტუციური პოლიტიკა კვლავაც დროში გაჭიანურებული ცვლილება-დამატებების კურსით არ უნდა წარმართოს. ქვეყანაში დემოკრატიულ-პროგრესისტული იდეებით გაჯერებული ახალი კონსტიტუცია უნდა შეიქმნას, რათა ქვეყნის მოსახლეობამ, ბოლოს და ბოლოს, ირწმუნოს, რომ მომავალი რეფორმა მათ ინტერესებზე იქნება მორგებული. კარგი იქნება, თუ თავად მოსახლეობაც აქტიურად ჩაერთვება კონსტიტუციის მომზადებისა და მიღების შემდგომ პერიოდშიც – მისი შესრულების კონტროლის პროცესში.

ამისათვის, პირველ რიგში, საქართველოს ახალი კონსტიტუციის ორიენტაციის განსაზღვრის მიზნით, საჭირო იქნება მოსახლეობასთან წინასწარი განმარტებითი სამუშაოების ჩატარება მოდელთა ნაირსახეობების დამახასიათებელ თავისებურებებზე და შემდეგ – მოდელის შერჩევის მიზნით საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება.

მიგვაჩნია, რომ უთუოდ აქტუალურია ქართული კონსტიტუციონალიზმის არქივში შემონახული ორი მნიშვნელოვანი ნორმა, რომლებიც იმთავითვე ორიენტირებული იყო მოსახლეობის აქტივიზაციაზე – საკანონმდებლო პროცესში ჩართულობისა და სახალხო კონტროლის გაძლიერების კონტექსტში. 1921 წლის კონსტიტუცია მისი მიღების პერიოდში ორ ნოვაციურ და სადღეისოდაც უნიკალურ ნორმებს შეიცავდა. შეეხებოდა იგი საკანონმდებლო ინიციატივასაც (მუხლები: 63, 64) და კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის მექანიზმსაც (მუხლი 145).

1921 წლის კონსტიტუციაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნოდა 5 000 ამომრჩეველს, რომელიც მოქმედ კონსტიტუციაში, ფაქტობრივად, 30 000 ამომრჩევლით დაიბლოკა (მუხლი 67). იგივე დაემართა კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმს, რომელიც 50 000-ის ნაცვლად არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის უფლებად გაფორმდა (მუხლი 102). ქართული კონსტიტუციონალიზმიდან გაქრა უნიკალური ნორმა, რომელიც ავალდებულებდა პარლამენტს, ახალმიღებული კანონი 30 000 ამომრჩევლის

წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სარეფერენდუმოდ ხალხისთვის წარედგინა (მუხლი 64). ქვეყნის კანონმდებლობაზე სახალხო კონტროლის იდეა ორპლანიანი აქტივია: მოსახლეობის აქტივიზაციის გარდა, მას ხელისუფლების საქმიანობაზე პროფილაქტიკური დატვირთვაც გააჩნდა. ასეთი ნორმის არსებობა უთუოდ დაიცავდა ქვეყანას მ. სააკაშვილის ახირებული, ძვირადღირებული იდეებისაგან, რა თქმა უნდა, თუ მასში როგორმე კანონმორჩილებასაც აღვზრდიდით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია – ქვეყნის ავადმყოფობის ისტორია, ო. მელქაძე, ქართული კონსტიტუციონალიზმი, წიგნი პირველი, თბილისი, „უნივერსალი“, 2009, გვ. 313-352.
2. მცირე კონსტიტუცია – კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, ო. მელქაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი (რეფორმიდან-რეფორმამდე), თბილისი, „უნივერსალი“, 2011, გვ. 67-82.
3. ქართული საარჩევნო სამართალი, ნეგატიური პრაქტიკა და პოზიტიური იგავი, ქართული კონსტიტუციონალიზმი, წიგნი მეორე, თბილისი, „უნივერსალი“, წიგნი მეორე, 2011, გვ. 59-76.
4. მირიან მირიანაშვილი, „სკანდალური ინტერვიუ კაცთან, რომელსაც სააკაშვილმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წაართვა“, „ასავალ დასავალი“, 2013 წლის 4-10 მარტი, N 9, გვ. 4-6.
5. დეტალურად იხ.: ო. მელქაძე, საარჩევნო სამართალი – თეორია და ქართული პრაქტიკა, თბილისი, „უნივერსალი“, 2012, გვ. 210-213.
6. 2010 წლამდე განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების ბუნება განხილულია ო. მელქაძის საავტორო კრებულებში: საკონსტიტუციო ქართველოლოგიის საშიშროება, თბილისი, 2005; ქართული კონსტიტუციონალიზმის შავი ყუთი, თბილისი, 2007.
7. რეფორმირებული კონსტიტუცია ქრონიკული სიმპტომებით, ო. მელქაძე, ქართული კონსტიტუციონალიზმი, წიგნი მეორე, თბილისი, „უნივერსალი“, 2011, გვ. 501-564.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ხუსათთან ომის შედეგად საქართველოში ბახახაუდი ეკონომიკური ზონის ზოგიერთი თავისებულების შესახებ

ვლადიმერ პავლვა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი

რეზიუმე

2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისისა და რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის ნიშნები გამოიკვეთა, როცა მთლიანი შიგა პროდუქტის კლება დაფიქირდა [1]. ამ კრიზისს როგორც ეროვნული ფესვები აქვს, ისე გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენითაც არის განპირობებული. კერძოდ, თავი იჩინა წლების განმავლობაში დაშვებულმა შეცდომებმა.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი საერთაშორისო ფინანსური დახმარება

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, გლობალური ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით საქართველოს წინაშე ახალი ეკონომიკური გამოწვევები დადგა. კერძოდ, ესენია – ომით მიყენებული ეკონომიკური ზარალის ლიკვიდაცია, საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, ინფლაციის შედარებით მაღალი დონის შემდგომი ზრდის პრევენცია, ეროვნული ვალუტის – ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება [2, 3].

2008 წლის 22 ოქტომბერს ქ. ბრიუსელში მოწყობილ დონორთა კონფერენციაზე მიღებულ

იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველომ ფინანსური დახმარების სახით შეიძლება მიიღოს 4,55 მილიარდი აშშ დოლარი, საიდანაც 2 მლრდ გრანტია, 2,55 მლრდ კი კრედიტი [4]. საქართველომ ამ დახმარების მიღება დაიწყო 2008 წელს. ამ დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა იმ უშუალო ეკონომიკური ზარალის აღმოსაფხვრელად, რაც საქართველოს რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად მიადგა, ნაწილი კი ქვეყნის ეკონომიკურ რეაბილიტაციას მოხმარდა.

ყურადსაღებია, რომ 4,55 მლრდ აშშ დოლარის დახმარება გათვალისწინებული იყო, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო (განასკუთრებით საბანკო) სექტორზე.

რუსული აგრესიის შედეგად კონფლიქტური რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქმნა გაეწია დამატებითი ხარჯები. უწინარეს ყოვლისა, მთავრობა ამ ადამიანებს დროებით საცხოვრებელ სახლებს უშენებდა, რამაც, ერთი მხრივ, ეკონომიკა გამოაცოცხლა – გააჩინა დამატებითი მოთხოვნა სამშენებლო მასალებზე, დაასაქმა მუშახელი, მაგრამ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები საბოლოო ჯამში მოკლე ვადიან

პერიოდში მაინც ინფლაციური ხასიათის იყო, რადგანაც ამ სახლებს მთავრობა ყიდულობდა და არა კერძო პირები. მიუხედავად ამისა, მთავრობას სხვა არჩევანი არ ჰქონდა.

ომის შემდგომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ინვესტორები ცდილობდნენ უფრო მეტად უსაფრთხო ქვეყნებში განახორციელებინათ ინვესტიციები, ვიდრე ეს რუსული აგრესიის ქვეშ მყოფი საქართველო იყო. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ თავის ნათესავებთან გადმორიცხული ფულადი გზავნილებიც. თუ კი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს უკიდურესად უარყოფითი საგარეო სავაჭირო ბალანსი აქვს, სადაც იმპორტი ექსპორტს ოთხჯერ აღემატება გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას საფრთხე დაემუქრა.

ავვისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად სარეზერვო კრედიტის პროგრამით (შტანდ-By Arrangement) 750 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოუყო, რომლიდანაც 250 მლნ უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა ეროვნული ბანკის რეზერვებში. 2009 წლის 6 აგვისტოს იმავე პროგრამის ფარგლებში ფონდმა საქართველოს დამატებით გამოუყო 420 მლნ აშშ დოლარი, ხოლო თავად პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2011 წლი 14 ივნისამდე. ეს თანხები ზემოხსენებულ 4, 55 მლრდ დოლართან ერთად იმის გარანტია გახდა, რომ საქართველოს თავიდან აეცილებინა სავალუტი კრიზისი [5].

ეკონომიკური კრიზისის ეროვნული ფესვები და „ომის პარადოქსი“

საქართველოს ფინანსური ბაზრის განუვითარებლობამ ხელი შეუწყო იმას, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა არ ყოფილიყო იმდენად მძიმე, რომ მას გამოეწვია საქართველოს ეკონომიკის ნგრევის პროცესი. იმავდროულად

იმის თქმაც, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს არანაირი ზეგავლენა არ ჰქონია საქართველოს ეკონომიკაზე არ არის გამართლებული. კერძოდ, შემცირდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა, იკლო საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა, ხოლო საქართველოს ბანკებისათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა ევროპული ფინანსური ბაზრებიდან შედარებით დაბალპროცენტისანი სესხები, მათი გლობალური კრიზისით გამოწვეული გაძვირების გამო [6, გვ. 117-118; 7].

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საქართველოში ეკონომიკურ კრიზისს წმინდა ეროვნული ფესვებიც ჰქონდა [8]. მათგან უმთავრესი კი შემდეგია:

1. ქვეყანაში შემოსული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული იყო საკუთრების უფლების შექმნაზე, მათ შორის პრივატიზაციის გზით, და ნაკლებად იყო განკუთვნილი ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე. შედეგად შეიქმნა აშკარა დისბალანსი ქვეყანაში შემოსულ ფინანსურ რესურსსა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას შორის.
2. მთავრობის მხრიდან სამშენებლო ბიზნესზე მარეგულირებელი ფუნქციის გაუქმების პირობებში ეკონომიკის ამ სექტორში არაერთმა კომპანიამ დაიწყო „ფინანსური პირამიდის“ პრინციპით საქმიანობა, როცა ძველი ვალდებულების შესასრულებლად აღებული საფასური უკვე გახარჯულია, და კომპანია იღებს ახალ ვალდებულებას, რათა ამ გზით შეავსოს ხსენებული დანაკლისი. ადრე თუ გვიან „ფინანსური პირამიდა“ აუცილებლად ჩამოიშლება ხოლმე.
3. საქართველოს ბანკების უდიდესი ნაწილი ევროპის საფინანსო ბაზრებზე მოპოვებული შედარებით იაფი საკრედიტო რესურსის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც წესი, განათავსებდა სამშენებლო ბიზნესსა და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. ამით, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა ზემოხსენებული „ფინანსური პირამიდის“ მექანიზმის შენარჩუნებას, ხოლო, მეორეს მხრივ, აკრედიტებდა არა

ეროვნულ ეკონომიკას, არამედ იმპორტს. ეს უკანასკნელი, კი აძლიერებდა არსებულ დისბალანსს ქვეყანაში შემოსულ ფინანსურ რესურსსა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას შორის.

ეკონომიკური კრიზისი უშუალოდ აისახა როგორც მთლიანი შიგა პროდუქტის, ისე საგადასახადო შემოსავლების კლებაზეც, რის გამოც 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 2009 წლის ივლისში შევიდა ცვლილება და საგადასახადო შემოსავლები შემცირდა 500 მლნ ლარით, რაც დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების 10, 5%-ს შეადგენდა. თუმცა ბიუჯეტი მაინც გაიზარდა 312 მლნ ლარით, რაც ძირითადად ხსენებული უცხოური დახმარებებით იყო განპირობებული.

საქართველოს ბანკებს 2009 წლის გაზაფხულზე დაუდგათ 500 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საგარეო ვალის დაბრუნების ვადა, რისი რესურსიც საკუთრივ ამ ბანკებს არ გააჩნდათ. ქვეყანას საბანკო კრიზისი თავიდან ააცილა ხსენებულმა უცხოურმა დახმარებებმა, საიდანაც ბანკებმა მიიღეს 636 მლნ აშშ დოლარი, რაც არა მარტო ეყო საგარეო ვალდებულებების გასტუმრებას, არამედ ბანკებს მიეცა სტაბილურობისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსი [9, გვ. 11].

ის, რომ საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა შეინარჩუნა ეს, უწინარეს ყოვლისა, დონორთა დახმარების დამსახურება იყო, რისი მიღებაც ქვეყანას „გაუადვილა“ რუსულმა აგრესიამ. ომი, და თანაც წაგებული, თავისთავად უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ რომ არა ის, საეჭვოა, რომ საქართველოს გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში მიეღწია მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების ოპერატიულად მიღებისათვის, რაც ქმნის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის საფუძველს. მაშასადამე სახეზეა ე.წ. „ომის პარადოქსი“, როცა საქართველოსათვის ძალზედ უარყოფითმა მოვლენამ – ომმა მოგვცა საშუალება თავიდან აგვეცილებინა ეკონომიკური კოლაფსი [10, გვ. 47].

ანტიკრიზისული ღონისძიებები

გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობა, როგორც წესი,

ცდილობს შეიმუშავოს ანტიკრიზისული პროგრამა. იმის გათვალისწინებით, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს მთავრობის არცერთ შემადგენლობას ეკონომიკის განვითარების სრულყოფილი პროგრამა არ მოუშადავია, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არც კრიზისულ ვითარებაში ქვეყანას, სამწუხაროდ, არ გააჩნდა რაიმე პროგრამა.

ის, რისი გაკეთებაც შეძლო მთავრობამ ეს იყო ე.წ. „ახალი ფინანსური პაკეტი“, რომელიც ძირითადად საბანკო და სამშენებლო სექტორებს მოიცავდა.

საბანკო სექტორთან მიმართებაში გადაიდგა ურთიერთ საწინააღმდეგო ნაბიჯები. კერძოდ, ერთი მხრივ, ბანკების მარეგულირებელი ნორმატივების შემსუბუქებით ეროვნული ბანკმა ხელი შეუწყო ქვეყანაში დამატებითი საკრედიტო რესურსის გაჩენას, ხოლო მეორე მხრივ, იმ მიზეზით, რომ კრიზისის პირობებში ბანკებს უჭირდათ კრედიტების განთავსება, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 260 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულებათა ემისიის შესახებ. სხვა სიტყვებით მთავრობამ 260 მლნ ლარით შეამცირა ის საკრედიტო რესური, რომელიც შეიძლება წარმართულიყო რეალური სექტორის დასაკრედიტებლად. ამ გზით მოპოვებული ფინანსური რესურსი მთავრობამ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯა.

სახაზინო ვალდებულებათა ემისია ნამდვილად ვერ გამოდგებოდა ანტიკრიზისულ ღონისძიებად – პირიქით საკრედიტო რესურსის შემცირებით მან შეზღუდა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების შესაძლებლობა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის, რომ სახაზინო ვალდებულებათა ემისიის გადაწყვეტილების გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ხაზინის ანგარიშზე მას აქვს თავისუფალი თანხა 50 მლნ ლარის ოდენობით და მისი უკეთ გამოყენების მიზნით გამოაცხადა ტენდერი ბანკებს შორის, რის შედეგადაც ეს თანხა ასესხა ტენდერში გამარჯვებულ ბანკს. საყურადღებოა, რომ ტენდერში გაიმარჯვა ერთ-ერთმა ყველაზე პრობლემურმა ბანკმა, რომელსაც ამ ფულით მიეცა შესაძლებლობა ეყიდა სახაზინო

ვალდებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობა საკუთარ ფულშივე მოცემულ ბანკს პროცენტებს შორის სხვაობა გადაუხადა. ეს ოპერაცია აშკარად საეჭვო ხასიათის იყო.

რაც შეეხება სამშენებლო სექტორის მხარდაჭერას, ამ მიზნით თბილისის მერიის გარანტიის ქვეშ სამშენებლო კომპანიებს შეეძლებათ საბანკო სესხების აღება ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის გასანახლებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო კომპანიებს შორის არაერთი მათგანი ფუნქციონირებდა და ჯერ კიდევ ფუნქციონირებს „ფინანსური პირამიდის“ მექანიზმით, მთავრობის მიერ ხსენებული ღონისძიების გატარებას წინ უნდა დართვოდა ამ ტიპის კომპანიების მიმართ გაკოტრების პროცედურების ინიცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამშენებლო სექტორისადმი ხსენებული მხარდაჭერა „ფინანსური პირამიდების“ მხარდაჭერაცაა, რაც საბოლოო ჯამში მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია არა მარტო სამშენებლო, არამედ საბანკო სექტორისთვისაც, რომ არაფერი ვთქვათ თბილისის ბიუჯეტის შეაბამისი ნაწილის არამიზნობრივ ხარჯვაზე [9].

სამწუხაროდ, ხსენებული „ახალი ფინანსური პაკეტი“ საერთოდ არ ითვალისწინებდა რაიმე ღონისძიებებს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რაც, როგორც წესი, რეკომენდებულია კრიზისის პირობებში მოთხოვნის სტიმულირების მიზნით.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსის შეცვლა

2008 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა, ხოლო თვით ეროვნულ ბანკს ერთადერთი ფუნქცია – ინფლაციის რეგულირება დაუტოვა. ამასთან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობა დაუკავშირა ინფლაციის წლიურ დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევას, რამაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მთავრობაზე დამოკიდებული გახადა, რამეთუ მთავრობის ხელთაა წლიური ინფლაციის დონეზე ზეგავლენის არანაკლები ძალის მქონე საბიუჯეტო ინსტრუმენტები, ვიდრე ეს ეროვნული ბანკის განკარგულებაშია.

სამწუხაროა, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს საქართველოს ეროვნული ბანკი აშკარად დასუსტებული შეხვდა.

2009 წელს მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ეროვნული ბანკის შესახებ ახალი კანონი, რომლის დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამოღებულია ინფლაციის წლიური დონეზე დაწესებული ზედა ზღვარის დარღვევაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხსენებული პასუხისმგებლობის საკითხი. კანონის თანახმად ეროვნულ ბანკში დაბრუნდა ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, რაც აბსოლუტურად გამართლებულია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას არ უღიარებია ეროვნული ბანკის ინსტიტუციურ დასუსტებაში დაშვებული შეცდომა, მისასალმებელია ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგმება 2009 წელს ამ შეცდომების გამოსწორების მიმართულებით.

ევროობლიგაციების ემისია

2008 წლის აპრილში მთავრობამ ხუთწლიანი ევროობლიგაციების გამოშვებით საქართველოს საგარეო ვალი 500 მლნ. აშშ დოლარით გაუზარდა. ამ ვალის მომსახურების წლიური პროცენტი 7, 5 შეადგენს, ხოლო დაფარვის ვადა 2013 წელია. სამწუხაროდ, თავიდანვე არ ყოფილა მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხი იმის შესახებ, თუ რისთვის გაზარდა საქართველოს მთავრობამ ქვეყნის საგარეო ვალი. ჯერ ითქვა, რომ მთავრობა აპირებდა ამ თანხის ენერგეტიკულ პროექტებზე (გაზსაცავისა და მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა) დახარჯვას, მოგვიანებით კი მთავრობამ გააჟღერა, რომ 250 მლნ აშშ დოლარი აკუმულირებულ იქნა მომავალი თაობების ფონდში, თუმცა მეორე 250 მლნ აშშ დოლარის ბედზე რაიმე კომენტარი არ გაკეთებულა.

იმის გამო, რომ 2013 წელს საქართველოს მთავრობას ამ ვალის გასტუმრების შესაძლებლობა არ ექნებოდა 2011 წელს საქართველოს მთავრობამ კვალვ გამოუშვა ევროობლიგაციები, უკვე ათწლიანი ვადით, რითაც მოხდა 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების 85 პროცენტის დაფარვის ვადის გადაწევა 2021 წლისათვის. 2011 წელს გადადმული ნაბიჯი პოზიტიურად უნდა

იქნეს შეფასებული, რადგანაც ის ემსახურება 2008 წელს დაშვებული შეცდომის გასწორებას.

2011 წელს ევროობლიგაციების ემისიის საკითხის პარლამენტში განხილვისას ითქვა, რომ 2008 წელს ემისირებული ევროობლიგაციებით მოხდა ომით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შემსუბუქება, თუმცა დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა იმის შესახებ, თუ სად იყო სულ ცოტა 250 მლნ აშშ დოლარი 2008 წლის აპრილიდან (როცა მოხდა ევროობლიგაციების ემისია) 2008 წლის აგვისტომდე (რუსეთ-საქართველოს ომამდე).

„მწვანე პარასკევი“

2008 წლის 7 ნოემბერს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კომერციული ბანკების მოთხოვნამ აშშ დოლარზე, მათი მხრიდან ნულოვანი მიწოდების პირობებში (როგორც ეს იყო ბოლო ერთ თვეზე მეტი დროის განმავლობაში) 31 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. ეროვნულმა ბანკმა ეს მოთხოვნა მხოლოდ 270 ათასი აშშ დოლარით დააკმაყოფილა და შემდეგ საბირჟო ვაჭრობა შეწყვიტა ვითომდა ტექნიკური მიზეზების გამო. ამან კი იმავე დღესვე შექმნა პანიკა: ბანკომატები ფულისაგან მყისიერად დაცარიელდა, ხოლო გადამცვლელმა ჯიხურებმა დოლარის კურსი მნიშვნელოვნად აწიეს, თანაც ხშირ შემთხვევაში უარს ამბობდნენ დოლარის გაყიდვაზე. ასე, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ქვეყანას „მწვანე პარასკევი“ მოუწყო [12]. საქართველოს სავალუტო ბაზარზე პანიკური დაბნეულობა შაბათ-კვირასაც გაგრძელდა. საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვები და მათი შევსების გარანტირებული წყარო დონორთა დახმარების სახით იძლეოდა იმის ობიექტურ საფუძველს, რომ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრის პროცესში ნახტომები გამორიცხული ყოფილიყო.

სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობისა და მთავრობის კომენტარები „მწვანე პარასკევთან“ დაკავშირებით არ იყო დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, ითქვა, რომ ლარის ნახტომისებურ გაუფასურებას ფასების ზრდა არ მოჰყოლიაო, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ფასების ზრდა კი განპირობებული იყო იმით, რომ იმპორტი ოთხჯერ აღემატება ექსპორტს და ამ ვითარებაში ლარის ნახტომისებური გაუფასურება იმპორტული საქონლის გაძვირებაზე მყისიერად აისახა.

2009 წლიდან ეროვნულმა ბანკმა შეწყვიტა ოპერაციები ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და ის ჩაანაცვლა სავალუტო აუქციონის მექანიზმით, რომელსაც ატარებს ბლუუმბერგის სისტემით. სამწუხაროდ, ამის შემდეგ პრაქტიკულად ძნელად მოსაპოვებელი გახდა ინფორმაცია სავალუტო რეზერვების დინამიკის შესახებ, რაც ქმნის იმის საფრთხეს, რომ კვლავ არ იქნეს გამეორებული „მწვანე პარასკევის“ მწარე გაკვეთილი.

დასკვნა

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში საბოლოოდ გამოიკვეთა ეკონომიკური კრიზისისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. ის, რომ ეკონომიკამ შეინარჩუნა მდგარდობა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი არ მცირდება ეს უწინარეს ყოვლისა დონორთა იმ ფინანსური დახმარების შედეგია, რომლის საქართველოსათვის, როგორც რუსეთის აგრესიის მსხვერპლისათვის გამოყოფაც 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში ჩატარებულ კონფერენციაზე გადაწყდა. სამწუხაროდ, კრიზისის დროს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული და გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა, ვ. „ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები“. წიგნში: ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.
2. კაკულია, მ. „ომის შემდგომი ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალიზაციის გზები“. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, 2008, ოქტომბერი, <http://www.geplac.com/newfiles/GeorgianEconomicTrends/2008/October%202008%20%20%28geo%29.pdf>.
3. Papava, V. „Post-War Georgia’s Economic Challenges“. Central Asia-Caucasus Analyst, 2008, Vol. 10, No. 23, November 26, <http://www.cacianalyst.org/?q=node/4991>.
4. პაპავა, ვ. ბრიუსელის კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფარგლებში დონორთა ფინანსური დახმარების ასახვა საქართველოს 2008 და 2009 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებში. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, 2009.
5. Aris, B. „Donor Money Keeps Georgia Afloat“. bne – businessneweurope, 2009, July 22, http://www.bne.eu/story1693/Donor_money_keeps_Georgia_afloat.
6. Narmania, D. „Economic Policy in Georgia: Liberalization, Economic Crises and Changes“. Turkish Policy Quarterly, 2009, Vol. 8, No. 2, http://www.ciesr.org/uploads/publications/tpq_davitnarmania.pdf.
7. Silagadze, A., 2010. „Current Financial and Monetary Trends in Georgia“. The Caucasus & Globalization, Vol. 4, Iss. 1-2.
8. პაპავა, ვ. „საქართველოს ეკონომიკა: შეცდომები, საფრთხეები, მათი დაძლევის გზები“. წიგნში: 2008 წლის კრიზისი საქართველოში: წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივა. რედ. ს. ცისკარიშვილი. თბილისი: დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2009.
9. Georgia Joint Needs Assessment. Donor Funding in Support of Post-Conflict Recovery and Reconstruction. Progress Report, June 30. New York and Washington D. C. : The United Nations and The World Bank, 2009, http://www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=5994.
10. Papava, V. The Economic Development Complex in the Black Sea Area: The Impact of the Global Financial and Economic Crisis. Xenophon Paper, No. 9. Athens: ICBSS, 2010, http://icbss.org/images/papers/xenophon_paper_no9.pdf.
11. ჯიბუტი, მ., ი. მესხია, ვ. პაპავა, დ. ბასიაშვილი, და მ. თოქმაზიშვილი. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი: მონიტორინგის ანგარიში. თბილისი: ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2011.
12. Papava, V. „Georgia’s Green Friday“. The Georgian Times, 2008, November 17, <http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=13663>.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

- http://books.ge/product_id.php?code=3149
- http://books.ge/product_id.php?code=10608
- http://books.ge/product_id.php?code=10603
- http://books.ge/product_id.php?code=10601
- http://books.ge/product_id.php?code=10904
- http://books.ge/product_id.php?code=3072
- http://books.ge/product_id.php?code=10604
- http://books.ge/product_id.php?code=10609
- http://books.ge/product_id.php?code=10599
- http://books.ge/product_id.php?code=10606



ქართული ახლოსახსათო ჰოლდინგების ხონაუხენსუნაიანობა და სოფლის მეურნეობის ბანკითაიხების ჰიოიიხებები

ეთერ ხარაიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ სრული პროფესორი

რეზიუმე

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგი და ადამიანებისათვის საცხოვრებელი გარემოა. „ყოველი ქვეყანა თავისი ნიადაგის, წყლისა და ნაყოფიერების თვისებების მიხედვით ფასობს... ამას გარდა, ნაყოფიერი ქვეყანა იმდენად ფასობდა, რამდენად კარგი და სალი ჰავა ჰქონდა და საამო სასმელი წყალიც საკმაოდ მოეპოვებოდა: „ჰაერი კეთილი“ და „წყალნი ტბილნი“ გააჩნდა. თუ ამ სამ თვისებას ზედ ამ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობაც ერთვოდა და „იეფობა ნაყოფთა“ , ყოველგვარი სახმარის იაფობა ადამიანს ცხოვრებას უადვილებდა, მაშინ ის საუკეთესოდ ითვლებოდა“.¹

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის საქართველოში ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი არსებობს. ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია იმ ალტერნატიული კულტურების განსაზღვრა, რომლებიც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კონკურენტუნარიანი იქნება და პერსპექტივაში თვითონვე შეძლებს საინვესტიციო რესურსების შექმნას.²

თუ საქართველოს მოსახლეობას 4. 4 მლნ კაცად მივიჩნევთ, შესაბამისი გათვლებით მოსახლეობის მიერ მოხმარებული ეროვნული სასურსათო პროდუქტების მოცულობა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე 49%-ით ნაკლებია ფიზიოლოგიური ნორმებთან შედარებით. სოფლად ეს მაჩვენებელი უკეთესია და 10-15 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებელს.³ ბოლო წლების მონაცემებით აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება უმნიშვნელოდ გაიზარდა, ზოგ შემთხვევაში კი კვლავ შემცირების ტენდენციები აღინიშნება. 2000-2010 წლებში თითქმის 6-ჯერ შემცირდა მარცვლეულის ნათესი ფართობები და მოსავალი, ასევე შემცირებულია ხილის, ყურძნისა და სხვა ტრადიციული პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები.⁴ ამით არის გამოწვეული, რომ საქართველოს ლოკალური სასურსათო ბაზრები იმპორტული კვების პროდუქტებითაა გაჯერებული. ექსპერტული გათვლებით ბაზრის 15-20% ოჯახურ მეურნეობებში წარმოებული პროდუქტით არის შევსებული, დაახლოებით ამდენივე ფერმერული მეურნეობებიდან მიეწოდება. მაშასადამე, ადგილობრივი სასურსათო ბაზრები იმპორტის ძლიერ ზეგავლენას განიცდის.

საქართველოსთვის, ისე როგორც ნებისმიერი ქვეყნისათვის, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება სტრატეგიული მნიშვნელობისაა. „სოფლის მეურნეობის დარგების მდგომარეობა, მათი ეფექტიანობა და მდგრადობა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, აგროპროდუქციის წარმოების მდგრადობაზე გამდიერებული კონტროლი აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმ ქვეყნისათვის, რომლებიც აგრარულ პოლიტიკას განიხილავენ, როგორც პრიორიტეტულსა და სტრატეგიულს“. ⁶

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება შიდა რესურსული პოტენციალისა და კონკურენტული უპირატესობების ეფექტიანი გამოყენებით მიიღწევა, რაც, თავის მხრივ, საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასაც გამოიწვევს.

სხვა ქვეყნებთან მიმართებაში საქართველოს სოფლის მეურნეობას გარკვეული კონკურენტული უპირატესობები გააჩნია: ა/ ქვეყანაში არსებობს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილია შესაბამისი გამოცდილება;

ბ/ გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების აბორიგენული ჯიშები ორიგინალური ნიშან-თვისებებით ხასითდება;

გ/ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის განსაკუთრებულ საფუძველს ქმნის ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის, განსაკუთრებით მიკროზონების, არსებობა;

დ/ კონკურენტუნარიან პროდუქტებს შეუძლია ეროვნული რესურსებისა და საექსპორტო შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება და სხვა.

კონკურენტული უპირატესობის გამოსავლენად აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგის რესტრუქტურისა და პროგრამის შემუშავება და განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა. ადგილობრივ და მსოფლიო ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდება მათი კონკურენტული უპირატესობებისა და კონკურენტუნარიანობის დონის შეფასებასაც მოითხოვს.

განვითარებული და ბუნებრივი კონკურენტული უპირატესობების ანალიზით დადგინილია, რომ პირველი მათგანის მიხედვით საქართველოს აგროსასურსათო სექტორი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს წამყვან პოზიციებს, თუმცა, ბუნებრივი უპირატესობებით ქვეყანას შეუძლია კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება. ⁷

მკვლევარების მიერ დღეს შეუსწავლელია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე, დაუსაბუთებელია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მისი ხელშემშლელი ფაქტორები (სექტორის განვითარების სტრატეგიის უქონლობა, შეზღუდული კონკურენცია, ფრაგმენტული მიწოდების ჯაჭვი, კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, საერთაშორისო სტანდარტების შეზღუდული ცოდნა და გამოყენება, ეკონომიკურად არაეფექტიანი მასშტაბები და სხვ.), კვლევის საფუძველზე არ არის დადგენილი სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანი იყო ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე მათი როლის შეფასება საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, აგროსასურსათო წარმოების სოციო-ეკონომიკური ასპექტების გამოვლენა, საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქტების საექსპორტო პოტენციალისა და სამომავლო დივერსიფიკაციის განსაზღვრით სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტების დადგენა.

კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ეკონომიკური ანალიზის მეთოდები; რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისათვის ვისარგებლეთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური აღრიცხვის მასალებით (1996-2011 წწ.), სტატისტიკური წელიწადწლეულებით, შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზითა და პუბლიკაციებით; ანალიტიკურ და სტატისტიკურ მონაცემებს შორის ჩატარდა შედარებითი ანალიზი; პროდუქტის კონკურენტუნარიანობის

დონე დავითვალეთ „ex-post“ მეთოდით, კონკურენტული უპირატესობის შესაფასებლად და სასურსათო ბაზრის მიკროგარემოს ანალიზისათვის გამოვიყენეთ „ex-ante“ მეთოდი.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების შესაფასებლად გამოვიყენეთ არასტანდარტული გამოკითხვის მეთოდი (ინტერვიუები ექსპერტებთან და სპეციალისტებთან) ასევე, ვისარგებლეთ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის, მეწარმეობის მხარდამჭერი საერთაშორისო ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ამ პრობლემებზე ჩატარებული კვლევის მასალებით.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სოფლის მეურნეობის დარგის SWOT ანალიზი, რომელმაც სისტემური ხედვით გამოავლინა დარგის განვითარებაზე მოქმედი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები, შეფასდა ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგინდა შესაძლებლობების რეალიზაციისა და საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანის ალტერნატივები.

საერთაშორისო ბაზარზე არსებული სიტუაციისა და ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ამ ბაზარზე შესვლის სტრატეგიების განსაზღვრისათვის ჩატარდა მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორის ანალიზი.

კვლევისათვის ინფორმაცია მოვიპოვეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, ბიბლიოთეკებში, კვლევით დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ასევე ინტერნეტის საშუალებით. პირველადი წყაროებიდან ინფორმაციები შეფასდა რაოდენობრივი კითხვარის საშუალებით, ხარისხობრივი ინფორმაცია კი დადგინდა დისკუსიებითა და ინტერვიუებით; ღია შეკითხვების საშუალებით მოხდა ხარისხობრივი მონაცემების კონცენტრაცია და მიღებული შედეგებით გადამოწმდა რაოდენობრივი მონაცემების სარწმუნოება.

კვლევისათვის განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასება;

- ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შედარებითი უპირატესობების გამოვლენა;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის გაანგარიშება;
- აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ტენდენციების ანალიზი საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე;
- საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების პოტენციალისა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობის დადგენის შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.
- კონკურენციის ხუთი ფაქტორის ანალიზი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დასახვა;

პრობლემაზე არსებული პუბლიკაციებისა და კვლევების ანალიზი.

აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემებზე, კონკურენციისა და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის სტრატეგიებზე გამოკვლევები ჩატარებულია კლასიკოსთა ნაშრომებში. გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში შეფასებულია სტატიკური და დინამიკური კონკურენტუნარიანობის თეორიები, დასაბუთებულია კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სტრატეგიები, გაანალიზებულია კონკურენციის მამოძრავებელი ძალები, შესწავლილია კონკურენტულ გარემოში კლასტერების როლი და მნიშვნელობა, მოცემულია კონკურენტუნარიანობის შეფასების კრიტერიუმები და სხვ.

საქართველოში კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემებზე არსებულ გამოკვლევებში ძირითადად შესწავლილია ბიზნესის კონკურენტული გარემო, გამოვლენილია კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების შემაფერხებელი ფაქტორები.

ნაშრომებში მხოლოდ თეორიულ დონეზეა გაანალიზებული კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ფორმირების თავისებურებებსა და წინაპირობებზე, კონკურენციის მოდელებზე, სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის ხარისხის მახასიათებლებსა და კრიტერიუმებზე, გლობალურ კონკურენტუნარიანობაში საქართველოს პოზიციების შეფასებაზე, კონკურენტული ურთიერთობების მიმართულებებზე, კონკურენციის საკანონმდებლო რეგულირების ბერკეტებზე, კონკურენტუნარიანობის ხელშემშლელი ფაქტორების დახასიათებაზე, კონკურენტული უპირატესობების მოპოვების ბერკეტებზე, თეორიული მსჯელობების საფუძველზე გამოვლენილია კონკურენტუნარიანობის დაბალი დონით გამოწვეული ნეგატიური შედეგები, შემოთავაზებულია კონკურენტული გარემოს სრულყოფის რეკომენდაციები და სხვ.

შიდა და საერთაშორისო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების დამკვიდრებისა და სასურსათო უსაფრთხოების პროცესებმა ახლებურად მოითხოვა ფირმის (პროდუქტის) კონკურენტუნარიანობის პრობლემის კვლევა. კონკურენტუნარიანობის დონე ძირითადად გლობალური კონკურენტუნარიანობის, ბიზნესის კონკურენტუნარიანობისა და გლობალური საინოვაციო ინდექსების საფუძველზე განისაზღვრა⁸ და ამით უპირატესად კონკურენტუნარიანობა ქვეყნებმა და კორპორაციებმა ისარგებლეს. მ. პორტერის თვალსაზრისით ფირმის კონკურენტუნარიანობა ეკონომიკურ მახასიათებელთა კომპლექსია, რომელიც განაპირობებს ფირმის მდგომარეობას დარგობრივ, ეროვნულ ან მსოფლიო ბაზარზე.⁹ მეცნიერის აზრით პროდუქტისა და ფირმის კონკურენტუნარიანობა მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებაა. მოცემული შეფასების მიხედვით ფირმის კონკურენტუნარიანობა ბაზარზე თვით პროდუქტის კონკურენტუნარიანობით ვლინდება.

კონკურენტუნარიანობის შესწავლისას მკვლევარების ძირითადი ამოცანა მისი კრიტერიუმების ძიებაში, ასევე,

კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი წყაროებისა და ფაქტორების გამოვლენაში მდგომარეობს. მეცნიერთა ნაწილის მიერ მიჩნეულია, რომ ფირმისა და პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ერთიდაიგივე კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს და ნაკლები ყურადღება გამახვილდეს კონკურენტუნარიანობის წყაროებსა და ფაქტორებზე.

თანამედროვე ეტაპზე პროდუქტის კონკურენტუნარიანობის დონის განსაზღვრისათვის აქტუალურია როგორც კრიტერიუმების, ასევე კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებაც.

მიმდინარე პერიოდში პროდუქტის (ფირმის), სექტორის ან ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის „ex-post“ მეთოდი გამოიყენება. აღნიშნულისათვის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის საფუძველზე სხვადასხვა ინდექსებია შემუშავებული:¹⁰

„ex-post“ მეთოდით ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონე განვსაზღვრეთ: ექსპორტის შედარებითი უპირატესობის (RXA), გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) იმპორტის შედარებითი შემოღწევადობის (RMP), ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის (RTA) ინდექსებით.¹¹ დასახელებული ინდექსები დავითვალეთ მემცენარეობიდან ხორბალზე, თხილზე, ღვინოსა და ვაშლის წვენზე, ხოლო მეცხოველეობიდან რძეზე. გაანგარიშებები ჩატარდა FAO-ს მონაცემების საფუძველზე.

ზემოთ დასახელებული პროდუქტებიდან ექსპორტის შედარებითი უპირატესობის ინდექსი მაღალი აღმოჩნდა ღვინოსა და თხილზე, ხოლო მნიშვნელოვნად დაბალი ხორბალსა და რძეზე. მაჩვენებლების დინამიკაში შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2000-2009 წლებში ეს ინდექსი ღვინოსა და თხილზე ზრდადია, მათგან თხილზე ინდექსის შოკური ზრდა გამოვლინდა. იმპორტის შემოღწევადობისა და ვაჭრობის შედარებითი უპირატესობის ინდექსებიც განსხვავებულია აგროსასურსათო პროდუქტების მიხედვით.¹² შედარებითი ანალიზის საშუალებით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საერთაშორისო

ვაჭრობაში კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე დამახასიათებელია თხილისათვის, ასევე კონკურენტუნარიანია ღვინო, ხოლო ხორბალი და რძე არაკონკურენტუნარიანია.¹³ ექსპერტული შეფასებით ქართული აგროსასურსათო პროდუქტების უმეტესობა, ასევე არაკონკურენტუნარიანია.

სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტების გამოსავლენად აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის დონის დადგენასთან ერთად საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგის კონკურენტუნარიანობის შეფასება. დარგის კონკურენტუნარიანობა შეფასდა პორტერის „აღმასის მოდელით“ ოთხი ძირითადი (ფაქტორული პირობები; რესურსებისა და მოთხოვნის პირობები; ფირმის სტრატეგია, სტრუქტურა და კონკურენცია; მონათესავე და მხარდამჭერი სექტორები) და ორი დამატებითი (სახელმწიფო და შანსის) ფაქტორის მიხედვით.

ოთხი ძირითადი ფაქტორით შეფასებამ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში შემდეგი პოტენციური უპირატესობები გამოავლინა: წარმოების ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, იაფი სამუშაო ძალა, ზრდადი შიდა და საერთაშორისო ბაზრები, ხარისხიან პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, რუსული ბაზრის გახსნის შესაძლებლობა, დიფერენცირებული პროდუქტების მიწოდების ალტერნატივები, ბაზარზე შესვლის დაბალი ბარიერები, წარმოების ტრადიციული სტრუქტურები, გადამამუშავებელი დარგების განვითარების შესაძლებლობა, ტურიზმის, მათ შორის აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივა, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების პერსპექტივა. ორი ძირითადი ფაქტორით კონკურენტული გარემოს შეფასებამ აჩვენა, რომ პოტენციური უპირატესობებია დაბალი გადასახადები, მაღალმთიანი რეგიონების მხარდამჭერი პოლიტიკა, გეოგრაფიული მდებარეობა, უძველესი ცივილიზაცია და მდიდარი ტრადიციები.

პორტერის „აღმასის მოდელით“ ასევე გამოვლინდა პოტენციური ნაკლოვანებები. ოთხი ძირითადი ფაქტორის მიხედვით ეს ნაკლოვანებებია: ინვესტირების დაბალი

დონე, კომუნიკაციური სახის სირთულეები, მაღალკვალიფიციური კარდების დეფიციტი, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოების პრობლემები, ფორმირების პროცესში მყოფი სასურსათო ბაზრის სტრუქტურები, შემოსავლების დაბალი დონე, სეზონურად არასაკმარისი საწარმოო სიმძლავრეები, ძირითადად მოკლევადიან მიზნებზე ორიენტაცია, სტრატეგიული მიზნების გაუთვითცნობიერება, წარმოების მცირე მასშტაბები, მცირე დანახარჯები სამეცნიერო კვლევებზე, წარმოებაში მაღალი დანახარჯები, კომუნალური მომსახურების დაბალი დონე და სხვ. ორი დამატებითი ფაქტორით შემდეგი პოტენციური ნაკლოვანებები გამოიკვეთა: არასრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები და მათი ხშირი ცვლილება, ქვეყანასა და რეგიონში არასტაბილურობა, სუბსიდიებისა და მიზნობრივი მხარდაჭერის დაბალი დონე და სხვ.

სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტებისა და საერთაშორისო ბაზარზე ქართული აგროსასურსათო პროდუქტების შეღწევის პირობების გამოსავლენად გაანალიზდა მ. პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორი, კერძოდ, შეფასდა მიმწოდებლების ძალაუფლება, მომხმარებლების ძალაუფლება, ბაზარზე შესვლის ბარიერები, პროდუქტის შემცვლელები, კონკურენციის დონე.¹⁴

ბაზარზე მიმწოდებლების ძალაუფლებას განსაზღვრავს: ბაზარზე მასალის რაოდენობის ან მომსახურების შეზღუდულობა; მომხმარებლისთვის განსაკუთრებული პროდუქტის შეთავაზება; სხვა მიმწოდებელზე გადასვლის სირთულე და მასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები; მომხმარებლის პროდუქტზე მოთხოვნის სიდიდე; მომხმარებლის ინფორმაციული შეზღუდვა მიმწოდებლის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ.

აგროსასურსათო პროდუქტების მწარმოებლებზე მიმწოდებლის ძალაუფლება განსხვავებულია წარმოებისათვის საჭირო მასალებისა და მომსახურების სახეობების მიხედვით. კერძოდ, ქვეყანაში აგროქიმიკატების მიმწოდებელი რამდენიმე კომპანიაა და მაღალი კონკურენციის გამო მიმწოდებელს მყიდველზე გავლენის

ძალაუფლება უმნიშვნელოა. სანერგე მასალების მიწოდების მხრივ კი საქართველოში მძიმე მდგომარეობაა. ადგილობრივი მაღალტექნოლოგიური სანერგე მეურნეობები ქვეყანაში მცირეა და ბაზარზე ადგილობრივი ნერგების მწარმოებლის გამოჩენის შემთხვევაში გაჩნდება საფასო ფაქტორის გამოყენებით მომხმარებელზე უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა.

საქართველოში ამ ეტაპზე ძალიან შეზღუდულია სამაცივრო სისტემების, ხილის დახარისხებისა და დამუშავების ხაზების ტექნოლოგიების მიმწოდებელი კომპანიების რიცხვი, ასევე განუვითარებელია მოთხოვნების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მცირეა საერთაშორისო ბაზრებზე გადამზიდავი კომპანიების რაოდენობაც. დასახელებული კომპანიების გაჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი საფასო ფაქტორის გამოყენებით შეძლებს მომხმარებელზე ძალაუფლების გავლენის მოპოვებას. საქართველოს სოფლის მეურნეობაში სარწყავი სისტემების მხრივ მონოპოლიური მდგომარეობაა, ამის გამო მწარმოებელი აწესებს ფასებს და შესაბამისად მას უპირატესი ძალა აქვს მომხმარებელზე.

ბაზარზე მყიდველის ძალაუფლებას განაპირობებს: მცირე მწარმოებლის დიდი რაოდენობა; მსხვილი მყიდველის მცირე რაოდენობა; ძვირადღირებული პროდუქტის ან მომსახურების არსებობა; მყიდველის ხელმიუწვდომლობა მარკეტინგულ ინფორმაციაზე (ფასები, მოთხოვნა, წარმოების დანახარჯები); პროდუქტის ნაკლები დიფერენციაცია და მისი შექმნა სხვა მიმწოდებლისგანაც შექმნის შესაძლებლობა; მყიდველის მიერ ანალოგიური პროდუქტის ადვილად წარმოება; მყიდველის ადვილად და დანახარჯების გარეშე სხვა პროდუქტზე გადაერთვის შესაძლებლობა.

მიმწოდებლებზე მყიდველის ძალაუფლების ფაქტორის შესწავლით გამოვლინდა, რომ აგროსასურსათო პროდუქტების არსებული ან პოტენციური მყიდველები არიან სავაჭრო ქსელები და მომხმარებლები. მიმწოდებლები ძირითადად დამოკიდებულია მყიდველის მიერ დადგენილ პირობებზე.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ბაზარზე შესვლის შესაძლო ბარიერებია:

- ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო კაპიტალზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;
- კანონით გასაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება (ნებართვები, ლიცენზიები, კვოტები);
- არაპირდაპირი ბარიერები, მაგალითად მყიდველების მიერ ფორმირებული მოთხოვნები და სტანდარტები.

ბაზარზე ერთ-ერთი მთავარი საკითხია აგროსასურსათო პროდუქტების შესაძლო შემცვლელების შესწავლა. გასათვალისწინებელია, რომ პროდუქტის შესაძლო შემცვლელები პირდაპირ გავლენას ახდენს გაყიდვების რაოდენობაზე. ამასთან, შემცვლელები პროდუქტები სახეობების მიხედვით უნდა განისაზღვროს. ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის ძლიერი საფრთხეა იაფი იმპორტული პროდუქტები. მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, ასევე, კარგი იმიჯის მქონე პროდუქტები. ექსპერტულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ საქართველოში ჯერჯერობით არ არის ფორმირებული მომხმარებელთა ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევა რომელიმე ბრენდის მიმართ. ასეთ პირობებში ადვილია კონკურენტ პროდუქტებზე გადართვის შესაძლებლობები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შეიძლება არსებობდეს ბრენდის მიმართ ერთგული მომხმარებელთა მცირე ჯგუფი, მათთვის კონკურენტების ცვლილება გაუმართავი ინფრასტრუქტურისა და ჩამოუყალიბებელი საბაზრო სტრუქტურების გამო, დამატებით სიძნელეებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულის გამო არჩევანი კონკურენტების სასარგებლოდ ადვილად ვერ კეთდება.

პორტერის ხუთეულში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურენციის დონე. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარი გაჯერებულია მწარმოებლებით, კონკურენცია მძაფრდება. ეს აიძულებს მწარმოებელს გამოიყენოს მის ხელთარსებული ყველა მეთოდი პოზიციისა და ბაზრის კუთვნილი წილის შესანარჩუნებლად. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია: ფირმის ან ფირმათა

ჯგუფის ინიციატივა ლიდერობისკენ, ბაზრის ზრდის ტენდენცია, მალფუჭადი პროდუქტის ბაზარზე კონკურენციის დონის, დანაკარგების რისკისა და შენახვის დანახარჯების შეფასება, საფასო კონკურენციის ანალიზი მსგავს პროდუქტებს შორის და სხვ.

ნებისმიერ დარგში მსგავსი კომპანიები წარმოადგენს კონკურენტებს. თუ კონკურენცია სუსტია, კომპანიებს შეუძლიათ გაზარდოს ფასები, შეამციროს მიწოდება და შესაბამისად მიიღოს მეტი მოგება. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურენცია ინტენსიურია, მომხმარებლების შენარჩუნების მიზნით, იზრდება წარმოების ეფექტიანობა და ჩნდება ინოვაციები. ფირმას აქვს კონკურენტული უპირატესობა იმ შემთხვევაში თუ მისი მოგება აღემატება იმავე სექტორში და ბაზრის იმავე სეგმენტზე მოქმედი კონკურენტების შემოსავლებს. კონკურენცია შესაძლებელია ემყარებოდეს ფასების ცვლილებას, ახალი პროდუქტის შეთავაზების ფორმას, გაყიდვების შემდგომ მომსახურებას, კონკურენტებზე უფრო ძლიერი ბრენდის შექმნას და ა.შ.

აგროსასურსათო პროდუქტების ბაზარზე არსებული კონკურენციის შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ სფეროში საშუალო დონის კონკურენცია და ქართულ პროდუქტებს რესურსული პოტენციალის ეფექტიანად ამოქმედების შემთხვევაში შეუძლია ევროპის ბაზარზე წარმატებით გასვლა.

სასურსათო ბაზრის სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ბაზარი სამი მიმართულებით ვითარდება. სტრუქტურაში წამყვანი პოზიციები უჭირავს სადისტრიბუციო კომპანიებს, მომდევნო პოზიციაზეა გადამამუშავებელი ქარხნები და ბოლოს ფერმერები.¹⁵ პირველი სეგმენტისათვის ძირითადი მიმწოდებელია წვრილი ფერმერები, რომლებიც სავარგულების მთლიანი ფართობის 95%-ს ფლობს. ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ საქართველოში ძირითადად მცირე ზომის ინტეგრირებული ფირმები ფუნქციონირებს.

მსხვილი ფირმების წილი ბაზარზე ჯერჯერობით უმნიშვნელოა. უახლოეს პერსპექტივაში ბაზრის სტრუქტურის ნაწილობრივ შეცვლა მოსალოდნელია მხოლოდ ინვესტირებისა და სუბსიდიების განხორციელებით. ბაზრის მეორე და მესამე სეგმენტზე ნელა, მაგრამ თანმიმდევრულად ვითარდება. ამ სეგმენტებისთვის მთავარი პრობლემაა საბანკო სესხების დეფიციტი და სარგებლის განაკვეთის მაღალი დონე.

ამრიგად, საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების ინტენსიური წარმოებისათვის ხელსაყრელი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არსებობს. კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებისა და კონკურენციის დონის შეფასების საფუძველზე მიმდინარე ეტაპზე საქართველოსათვის სტრატეგიული აგროსასურსათო პროდუქტებია თხილი, ყურძენი, ნედლი ხილი და ბოსტნეული. თანამდეროვე ტექნოლოგიური ხაზების ამოქმედებისა და პროტექციონისტური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში კი გადამამუშავებელი ხილი და ბოსტნეული. ამ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნა და ფასების ზრდის ტენდენცია ექსპორტის გადიდების პერსპექტივას ქმნის. აუცილებელია ქართული პროდუქტის ცნობადობის გაზრდა ისეთი ფაქტორების გამოყენებით, როგორცაა: ხარისხი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, სარეკლამო და პიარ-კამპანიის განხორციელება (გამოფენა-გაყიდვები, პრეზენტაციები, ქართული პროდუქციის დღეები და სხვ.).

მიზანშეწონილია ქართული აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდიკაზე სამეცნიერო წრეებისა და ექსპერტების, ასევე, უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა. აუცილებელია შესაბამისი უწყების მიერ ყოველწლიური ანგარიშების მომზადება ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შესახებ, მნიშვნელოვანია სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზაციაც ამ პრობლემაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009, თბილისი, 2010.
2. ხრაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., თბილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „აგროინფო“ , (აშშ საერთაშორისო სააგენტოს US-AID-ის მხარდაჭერა), 2008, No 1(15).
3. ხრაიშვილი ე., მამარდაშვილი ფ., საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა“ , მაისი, 2009.
4. Baade, D. (2007): Demographischer Wandel und internationale Wettbewerbsfähigkeit Deutschlands. Eine Analyse basierend auf Porters Ansatz.
5. Klump, R. (2006): Wirtschaftspolitik. Instrumente, Ziele und Institutionen. Verlag Pearson Studium, München
6. Porter, M. E. (1993): Nationale Wettbewerbsvorteile. Erfolgreich konkurrieren auf dem Weltmarkt. Sonderausgabe. Wirtschaftsverlag Ueberreuter, Wien.
7. Weindlmaier, H. (1999): Die Wettbewerbsfähigkeit der deutschen Ernährungs-industrie: Methodische Ansatzpunkte zur Messung und empirische Ergebnisse. Referat. Vierzigste Jahrestagung der Gesellschaft für Wirtschafts- und Sozialwissenschaften des Landbaues e. V. vom 4. bis 6. Oktober 1999 in Kiel.
8. Майкл Портер, Конкуренция, 2002.
9. FAO (2010): FAOSTAT. Food and Agricultural Organisation of United Nations (FAO)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

3. <http://faostat.fao.org/default.aspx>
4. <http://www.springerlink.com/content/pm-8wg8/?p=92534682e04f414da98a16342447b957&pi=0> 07. 10. 2008.
10. www.agvantage.org.ge
11. www.maf.ge
12. www.geostat.ge



დემოგრაფიული დაბრუნება და მისი ზღვის ნებაბიური ასპექტები

ლეო ჩიქავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ნევრ-კორესპონდენტი

რეზიუმე

დემოგრაფიულ დატვირთვას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის [შსო] რეკომენდაციითა და აღრიცხვის მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდით, სრულ შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველ [<15] და ამ ასაკს გადაცილებულ [65+], ანუ სხვის კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობის სრული შრომისუნარიანი [15-64] ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან შეფარდებით განსაზღვრავენ. იგი წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რამდენი ადამიანი იმყოფება თითოეული შრომისუნარიანი პიროვნების კმაყოფაზე. ამ მაჩვენებლის ზრდა ნეგატიური, ხოლო შესაძლო მინიმუმამდე დაყვანა პროგრესული მოვლენაა.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარების მეცნიერულ ანალიზს. განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას იმ გარემოებაზე, თუ მასობრივი და ქრონიკული უმუშევრობა რაოდენ უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ დატვირთვაზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის [„საქსტატი“] მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში სრულ შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი იყო 750 ათ., ამ ასაკს გადაცილებული – 630 ათ., ხოლო სრული

შრომისუნარიანი ასაკისა – 3005 ათ. ადამიანი [1. 22]. ამ უკანასკნელთა დემოგრაფიული დატვირთვა, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, გამოვიდა 459 ადამიანი [750 ათ. + 630 თ. : 3005]. როგორც ჩანს, სრულ შრომისუნარიან ასაკში მყოფთა რიცხოვნობა ისე შეეფარდება ამ ასაკს მიუღწეველ და გადაცილებულთა რიცხოვნობას, როგორც 1: 0,5 [მცირეოდენი დამრგვალებით].

ჩვენი დასკვნით, ასეთი გათვლებისას ცდომილება ძალიან დიდია და აი რატომ. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ხომ სხვის კმაყოფაზე მყოფი პირებიც შედიან. მათ გამოსარიცხად და რეალობასთან მიახლოებულ მიაჩვენებლების მისაღებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვთვალოთ ფაქტიურად დასაქმებული [საზოგადოებრივი დოვლათის შემქმნელი] ნაწილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა. ამისთვის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას პირველ რიგში უნდა გამოვაკლოთ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, ანუ მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ [ინვალიდები, ქრონიკულად სნეულები, მსჯავრდებულები, მოსწავლეები, სტუდენტები, დიასახლისები, ჩვილბავშვიანი დედები და შრომისუნარიანი ასაკის სხვა პირები, რომლებიც, სხვადასხვა გარემოების გამო, ვერ აცხადებენ

პრეტენზიას დასაქმებაზე]. მივიღებთ სრული შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, ანუ სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობას, რომელსაც უნდა გამოვაკლოთ უმუშევრები, რამეთუ ისინი თვითონვე არიან სარჩენი და დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა ხარჯზე მყოფნი. ამ მომენტების გათვალისწინებითა და საქართველოში უმუშევრობის დონის ოფიციალურ მონაცემებზე [16,9%-2009 წ.] დაყრდნობით, დემოგრაფიული დატვირთვა ასეთ სახეს მიიღებს: სრული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას [3005 ათ.] ვაკლებთ ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას [1139 ათ.] და ვღებულობთ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას [1866 ათ.]. ამას ვაკლებთ უმუშევრებს [336 ათ.] და ვადგენთ საზოგადოებრივი დოვლათის შემქმნელთა რიცხოვნობას [1530 ათ.]. სხვის კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობა უდრის 2855 ათ. [მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას [4385 ათ.] მინუს 1530 ათ.]. დემოგრაფიული დატვირთვა გამოდის 1866 [2855 ათ. : 1530], ასეთი თანაფარდობით 1 : 1,9] [2.93].

ვნახოთ მესამე ვარიანტიც, რომელიც ემყარება უმუშევრობის დონის რეალობასთან უფრო მიახლოებულ ექსპერტულ გათვლებს. თუმცა, მანამდე, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ მაინც განხილვა იმისა, თუ რატომ მიგვაჩნია საქართველოში, მაგალითად, 2010 წლის უმუშევრობის რიცხოვნობისა [316,9 ათ. კაცი] და უმუშევრობის დონის [16,3%], მაჩვენებლები ხელოვნურად შემცირებულად და რეალობისგან მოწყვეტილად?

– ჯერ ერთი, ამ მაჩვენებელთა გათვლებს, ჩვენი ღრმა რწმენით, საფუძვლად უდევს არასრულყოფილი მეთოდოლოგია და მეთოდოლოგია. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, „დასაქმებულის“ სტატუსის განსაზღვრა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური დასაქმებულთა რიცხოვნობის განსაზღვრისას შსო-ის ასეთი რეკომენდაციით სარგებლობს : „დასაქმებული – 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში მინიმუმ ერთი საათით მაინც იყო დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით“ [3.15].

აქედან გამომდინარე, აი, როგორი შინაარსისაა კითხვარები, რომლითაც

სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს შინამეურნეობათა გამოკვლევას*:

1. ასრულებდით თუ არა ბოლო 7 დღის თუნდაც ერთი საათის განმავლობაში რაიმე სამუშაოს დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, ხელფასის, მოგების ან სხვა შრომითი შემოსავლების [ფულადი ან ნატურის სახით] მისაღებად ქვეყნის ფარგლებს შიგნით?
2. შეიძლება ბოლო 7 დღის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით ასრულებდით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ან ნადირობდით, თევზაობდით, აგროვებდით ტყის ხილს, სოკოს, სამკურნალო მცენარეებს და ა.შ. საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად ქვეყნის ფარგლებს შიგნით“?
3. ხომ არ ეწეოდით საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავებას [მარცვლეულის დაფქვა, ღვინის დაყენება, ყველის, კარაქის, კონსერვების დამზადება და სხვ.], კალათების, ქუდების დაწვნას, ცოცხების დამზადებას, ქსოვას, კერვას და ა.შ. ქვეყნის ფარგლებს შიგნით“?
4. ასრულებდით თუ არა უსასყიდლოდ რაიმე სამუშაოს საწარმოში ან მეურნეობაში, რომელიც ეკუთვნის თქვენს ოჯახს ან ასრულებდით რაიმე სამუშაოს მეზობლური ან ნათესაური ურთიერთდახმარების სახით, ხელობის სწავლებას და სხვა საქმიანობას [საზღაურის გარეშე] ოჯახის სხვა წევრებისთვის ქვეყნის ფარგლებს შიგნით და ა.შ.

ჩვენი აზრით, ამ სახელმძღვანელო დებულებებს ბევრი ნაკლი აქვს. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს გამოკვლევის წინა კვირის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობის ადამიანის დასაქმებულად ჩათვლის საკმაო პირობად მიჩნევა. ეს სრულიად გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ მრუდე წარმოდგენას რეალურად არსებული ვითარების შესახებ. რატომ? – იმიტომ, რომ ამ კითხვებზე [განსაკუთრებით მინიმუმ ერთსაათიანი მუშაობის შესახებ კითხვაზე] თითქმის გამორიცხულია ცოცხალმა ადამიანმა [მით უმეტეს სოფელში მცხოვრებმა] უარყოფითი პასუხი გასცეს და არ დაადასტუროს მინიმუმ ერთი საათით მუშაობის ფაქტი. განა შეიძლება ადამიანმა, თუ ის ხეივანი

არ არის და შესწევს თუნდაც გადაადგილების უნარი, ხელი არ წაკრას რაიმე სამუშაოს [მაგალითად, შეშის დაპობა, პირუტყვის მოვლა, ყურძნის მოკრეფა, თევზაობა, ნადირობა და ა.შ.] ერთი საათით კი არა, მეტი ხნითაც.

გარდა ამისა, დასაქმების მანიშნებლად ზემოთ დასახელებულ პირობებში სავსებით უგულვებელყოფილია საკითხი შრომის ანაზღაურების შესახებ. მეტიც, აშკარადაა მითითებული, რომ დასაქმებულის სტატუსის მინიჭებისთვის არაა აუცილებელი მომუშავემ რაიმე საზღაური მიიღოს ფულადი ფორმით ან ნატურით. იგი დასაქმებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუკი თუნდაც მეზობელს ან ნათესავს წახმარება უსასყიდლოდ. არადა, წარმოების მუშაკი, უწინარეს ყოვლისა, ხომ იმისთვის დებს კონტრაქტს დამკირავებელთან და იწყებს მუშაობას, რომ მიღებული საზღაურით [შემოსავლით] თავისი პირადი და ოჯახის წევრების მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ამის მიღწევა ერთ საათში მიღებული შემოსავლით, როგორი მაღალიც უნდა იყოს იგი, შეუძლებელია.

საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ ასეთი ზერელე დამოკიდებულებით გაანგარიშებული მაჩვენებლები ვერ გამოდგება ჭეშმარიტების დასადგენად და დიდი ცდუნების მატარებელია. „დაქირავებით დასაქმებულის“ სტატუსის მინიჭებისთვის კვირაში მუსაობის მინიმუმ 20 საათიანი რეგლამენტისა და შრომის ანაზღაურების არანაკლებ საარსებო მინიმუმის ოდენობით განსაზღვრის მოთხოვნის წაყენება, ასევე, „თვითდასაქმებისადმი“ წაყენებული მოთხოვნების თუნდაც ოდნავ გამკაცრება, დასაქმებულთა რიცხოვნობას მკვეთრად შეამცირებს, ხოლო უმუშევართა რიცხოვნობას შესაბამისად გასრდის;

– როგორც ცნობილია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შსო-ის რეკომენდაციით, წლების განმავლობაში უმუშევრებს აღრიცხავდა ე.წ. მკაცრი და შერბილებული კრიტერიუმებით. მკაცრი კრიტერიუმით უმუშევრებად ითვლებიან მხოლოდ ის შრომისუნარიანი პირები, რომლებიც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების

გამო, არ მუშაობენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ სამუშაოს, მზად არიან მუშაობისთვის და სასურველი სამუშაოს შოვნისთანავე შეუძლიათ შეუდგნენ მის შესრულებას. შერბილებული კრიტერიუმით კი, უმუშევრებად ითვლებიან არა მარტო ის შრომისუნარიანი პირები, რომლებიც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მუშაობენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ მას, არამედ ისინიც, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ სამუშაოს, ვერ იპოვეს იგი და, ამ უშედეგო პროცესის მობეზრების შედეგად, უკვე არ აქტიურობენ დასაქმებაზე.

დაახლოებით ოთხი წელიწადია, რაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შეწყვიტა შერბილებული კრიტერიუმით განსაზღვრულ უმუშევართა აღრიცხვა [4]. მათი რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 2005 წელს 56, 2 ათ. კაცს შეადგენდა [5. 15]. უმუშევრობის ეს ფორმა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „ჩახშობილი უმუშევრობის“ სახელწოდებით.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევართა არმიის ამ ტიპურ წარმომადგენელთა რიცხოვნობა დღეისთვის კიდევ უფრო გაზრდილია [ზუსტი ოდენობის დადგენა შეუძლებელია, რამეთუ სრულიად მოშლილია ამ კატეგორიის უმუშევართა აღრიცხვის სისტემა], იგი არაა შეტანილი უმუშევართა საერთო რიცხოვნობაში, რაც არასრულად წარმოგვიდგენს ამ მაჩვენებელს;

– გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების კვალობაზე ბევრმა სახელმწიფო საწარმომ ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვიტა ფუნქციონირება, მაგრამ პერსონალი მეტწილად ოფიციალურად არ განთავისუფლებულა, ითვლება დასაქმებულად, თანამშრომლები იმყოფებიან უვადო და უხელფასო შვებულებაში. ე.ი. ისინი ფორმალ ურად დასაქმებულები, რეალურად კი უმუშევრები არიან. უმუშევრობის ეს ფორმა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „ფარული უმუშევრობის“ სახელწოდებით. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის არც ეს ნაწილია შესული უმუშევრობის ზემოთ დასახელებულ მაჩვენებლებში;

– უმუშევრობის ერთ-ერთი ფორმაა სეზონური უმუშევრობა. მას ადგილი აქვს

ე.წ. სეზონურ დარგებში [ჩაისა და ღვინის პირველადი დამუშავების, ხილბოსტნეულის კონსერვის მრეწველობა და სხვ.], რომლებიც წლის ფანმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვე ფუნქციონირებენ და შემდეგ ახალი სეზონის დაწყებამდე არსებითად წყვეტენ მუშაობას. ცხადია, სეზონთაშორის პერიოდში თანამშრომლები [ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა მაინც] უმუშევრებად რჩებიან, მაგრამ იმის გამო, რომ ფორმალურად დასაქმებულებად ითვლებიან, უმუშევრებს ოფიციალურად არც ესენი განეკუთვნებიან;

– ოფიციალური აღრიცხვის მონაცემებით, საქართველოში 2000 წელს დასაქმებული იყო 1837,2 ათ., ხოლო 2010 წელს – 1628,1 ათ. კაცი, ე.ი. 209, 1 ათ. კაცით ნაკლები. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა მხოლოდ 104,8 ათ. კაცით გაიზარდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: სად წავიდა სამუშაოდან გამონთავისუფლებული 104,3 ათ. კაცი? რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის არც გარე მიგრაციაში და არც ბუნებრივ მოძრაობაში მომხდარა მკვეთრი ცვლილებები, ადამიანთა ეს კატეგორია, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც უმუშევრებს უნდა დამატებოდა, მაგრამ ეს არ ჩანს, რაც უმუშევართა საერთო რაოდენობას ამცირებს;

– უმუშევრობის მიმდინარე ოფიციალური აღრიცხვის მონაცემებში ერთგვარი ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა მისი საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღრიცხვის შედეგებთან შედარებაც. 2002 წელს, აღწერის მიხედვით, რომელიც ემყარება რესპონდენტთა გამოკითხვის ანკეტურ მონაცემებს და გაცილებით სარწმუნოა, ქვეყნის მასშტაბით უმუშევართა რიცხოვნობა 619 ათ. კაცს და უმუშევრობის დონე 33 პროცენტს შეადგენდა [6.387], ხოლო მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, რომელიც ემყარება შინამეურნეობათა სტატისტიკური შერჩევითი გამოკვლევის შედეგებს და ნაკლებად სარწმუნოა, რიცხოვნობა 265 ათ. კაცს და უმუშევრობის დონე 12, 6 პროცენტს არ აღემატება. ესოდენ დიდი სხვაობა – რიცხოვნობაში 354 ათ. კაცი და დონეში 20, 4 პროცენტული პუნქტი 2010 წლისა და მომდევნო წლების მიმართაც გვიძლიერებს ეჭვს;

– ფრიად ანგარისგასაწევია ჩვენი კოლეგის ი. არჩვაძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ

„აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიაზე უმუშევართა კონტინგენტს დაემატოს ქვეყნიდან გასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობაც, ... ვინაიდან ეს უკანასკნელი იმიტომ გახდნენ მიგრანტები, რომ საქართველოში ვერ იშოვეს სამუშაო“. მისი ვარაუდით, ამ კატეგორიის უმუშევართა რიცხოვნობა 800 ათ. კაცს შეადგენს [7.52].

შეიძლება ამ მაჩვენებლის რაოდენობრივ ასპექტებზე ვიკამათოთ, მაგრამ პრინციპში თვით საკითხის ასეთნაირად დასმა მართებული და საგულისხმოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტული შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში არანაკლებ 50 პროცენტს შეადგენს. ასეთ შემთხვევაში დემოგრაფიული დატვირთვა, 2009 წლის მონაცემებით, ასეთ სახეს მიიღებს: ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას [1866 ათ. კაცი] ვაკლებთ უმუშევრებს [933 ათ. კაცი], რომელიც მიღებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 2-ზე გაყოფით. ამით ვადგენთ საზოგადოებრივი დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა რიცხოვნობასა [933 ათ. კაცი] და სხვის კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობას – 3452 ათ. კაცს [მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას – 4385 ათ. კაცს მინუს 933 ათ. კაცი]. ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა რიცხოვნობასთან შეფარდებით კი ვღებულობთ დემოგრაფიულ დატვირთვას – 3700 კაცს, რაც იმას ნიშნავს, რომ დოვლათის რეალურად შემქმნელთა რიცხოვნობა ისე შეეფარდება მათ კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობას, როგორც 1:3, 7 [2.93].

ასეთი მაღალი და მზარდი დემოგრაფიული დატვირთვა არა მარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტიული თვალსაზრისით, პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება ჩაგვეთვალოს, რომ მასში შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა ზრდის, ხოლო შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულებისა – შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდეს.

სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ ამის საწინააღმდეგო, ანუ ნეგატიურ ტენდენციებთან გვაქვს საქმე. დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში კლებულობს [თანაც მკვეთრად] შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველთა

ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, სრული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ [ზემოთ განხილული პირველი ვარიანტის მიხედვით] 1990-2009 წლებში ასეთი ცვლილებები განიცადა: 15 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წონა 72,7-დან 54,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 65 წელს გადაცილებული მოსახლეობისა – 27,3-დან 45,7 პროცენტამდე გაიზარდა.

ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს მნიშვნელოვანწილად შობადობის კლება და მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება განსაზღვრავენ. შობადობის დინამიკა საქართველოში, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, ასეთ სურათს იძლევა [პრომილებში]: 1960 წელი – 24,7, 1990 წელი – 17,1, 2010 წელი – 13.

ასეთი ტენდენცია მხოლოდ ქართული მოვლენა კი არა, გლობალური კანონზომიერებაა, რაც დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებით. 1960-2010 წლებში, მსოფლიოში საშუალოდ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 15 პრომილით შემცირდა და დღეისთვის 20 პრომილეს შეადგენს [8. 263; 06].

მყარი, მუდმივგანმეორებადი, უცილობელი ხასიათისა და ძირითადად ობიექტური ფაქტორებით განპირობებულობის გამო, ვთვლი შობადობის კლების ესოდენ გამოკვეთილ ტენდენციას ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ [დემოლოგიურ] კანონად. რაც შეეხება იმას რომ, შობადობის კლების ტენდენცია დამახასიათებელია კაცობრიობის განვითარების არა ყველა საფეხურისთვის, არამედ მხოლოდ დღევანდელი ეტაპისთვის, როცა განვითარებულ რეგიონში [ევროპა] უკვე დამკვიდრებულია, ხოლო განვითარებადში სულ უფრო ინტენსიურად მკვიდრდება მოსახლეობის გამრავლების თანამედროვე ტიპი, სრულ საფუძველს მაძლევს განვასხვავო ეს კანონი ზოგადი [საერთო] დემოგრაფიული კანონებისგან და მივაკუთვნო სპეციფიკურ დემოგრაფიულ კანონთა ჯგუფს [9.144-145].

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც საქართველოში [და არა მარტო საქართველოში] განსაზღვრავენ შობადობის კლებასა და დემოგრაფიული

დატვირთვის ზრდას, აღსანიშნავია: წინა ეტაპებთან შედარებით, ოჯახის ფუნქციების ძირეული ტრანსფორმაცია, ქალთა ემანსიპაცია, ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია და, რაც მთავარია, დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობისა და მისი შესაბამისი რეპროდუქტიული ქცევის ჩამოყალიბება, ბავშვთა შობის შიგაოჯახური გაცნობიერებული რეგულირება და ბავშვთა ყოლის მოთხოვნის [ოჯახში შვილების სასურველი ოდენობის] შემცირება.

შობადობაზე ამ ფაქტორთა გავლენა იმდენად ძლიერია, რომ მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერულ საწყისებზე შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით შეიძლება მიღწეულ იქნას მისი რამდენადმე ნორმალიზება.

დემოგრაფიული დატვირთვის არც მეორე კომპონენტის – დემოგრაფიული დაბერების დინამიკა მიიმართება ზომიერად. საქართველოს მოსახლეობა დღეისთვის დემოგრაფიულად გადაბერებულია. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში სრულ შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა 14 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა, გაეროს ექსპერტთა კლასიფიკაციით, დემოგრაფიული სიბერის ზღვრად 7 პროცენტი ითვლება. ფრიად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი 1,8-ჯერ აღემატება მთელი მსოფლიოს მოსახლეობის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს [8%], 2,4-ჯერ – განვითარებადი რეგიონების მაჩვენებელს [6%], 4,6-ჯერ – ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული რეგიონების მაჩვენებელს [3%] და ნხოლოდ 2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება ეკონომიკურად მაღალგანვითარებული რეგიონების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საქართველოზე უფრო მაღალი მაჩვენებელი აზიის კონტინენტზე მხოლოდ იაპონიას [23%] აქვს.

როგორია პროგნოზი? მომავალში დემოგრაფიულად გაახალგაზრდავდება თუ, კიდევ უფრო დაბერდება მოსახლეობა? – ცხადია,

დაბერდება, თანაც სულ უფრო ინტენსიურად. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 28 წელს შეადგენს, ხოლო 2030 წლისთვის 35 წელს მიაღწევს. საშუალო დემოგრაფიულ დატვირთვას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის [შსო] რეკომენდაციითა და აღრიცხვის მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდით, სრულ შრომისუნარიან ასაკს მიუღწევს <15] და ამ ასაკს გადაცილებულ [65+], ანუ სხვის კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობის სრული შრომისუნარიანი [15-64] ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან შეფარდებით განსაზღვრავენ. იგი წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რამდენი ადამიანი იმყოფება თითოეული შრომისუნარიანი პიროვნების კმაყოფაზე. ამ მაჩვენებლის ზრდა ნეგატიური, ხოლო შესაძლო მინიმუმამდე დაყვანა პროგრესული მოვლენაა.

წინამდებარე სტატია ეძღვნება ამ მხრივ საქართველოში არსებული ვითარების მეცნიერულ ანალიზს. განსაკუთრებით გავამახვილებთ ყურადღებას იმ გარემოებაზე, თუ მასობრივი და ქრონიკული უმუშევრობა რაოდენ უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ დატვირთვაზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის [“საქსტატის“] მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში სრულ შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი იყო 750 ათ., ამ ასაკს გადაცილებული – 630 ათ., ხოლო სრული შრომისუნარიანი ასაკისა – 3005 ათ. ადამიანი [1.22]. ამ უკანასკნელთა დემოგრაფიული დატვირთვა, ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით, გამოვიდა 459 ადამიანი [750 ათ. + 630 თ. : 3005]. როგორც ჩანს, სრულ შრომისუნარიან ასაკში მყოფთა რიცხოვნობა ისე შეეფარდება ამ ასაკს მიუღწეველ და გადაცილებულთა რიცხოვნობას, როგორც 1: 0,5 [მცირედენი დამრგვალებით].

ჩვენი დასკვნით, ასეთი გათვლებისას ცდომილება ძალიან დიდია და აი რატომ. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ხომ სხვის კმაყოფაზე მყოფი პირებიც შედიან. მათ გამოსარიცხად და რეალობასთან მიახლოებული მაჩვენებლების მისაღებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვთვალოთ ფაქტიურად დასაქმებული [საზოგადოებრივი დოვლათის

შემქმნელი] ნაწილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა. ამისთვის შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას პირველ რიგში უნდა გამოვაკლოთ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, ანუ მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ [ინვალიდები, ქრონიკულად სნეულები, მსჯავრდებულები, მოსწავლეები, სტუდენტები, დიასახლისები, ჩვილბავშვიანი დედები და შრომისუნარიანი ასაკის სხვა პირები, რომლებიც, სხვადასხვა გარემოების გამო, ვერ აცხადებენ პრეტენზიას დასაქმებაზე]. მივიღებთ სრული შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, ანუ სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობას, რომელსაც უნდა გამოვაკლოთ უმუშევრები, რამეთუ ისინი თვითონვე არიან სარჩენი და დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა ხარჯზე მყოფნი. ამ მომენტების გათვალისწინებითა და საქართველოში უმუშევრობის დონის ოფიციალურ მონაცემებზე [16,9% - 2009 წ.] დაყრდნობით, დემოგრაფიული დატვირთვა ასეთ სახეს მიიღებს: სრული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას [3005 ათ.] ვაკლებთ ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას [1139 ათ.] და ვღებულობთ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას [1866 ათ.]. ამას ვაკლებთ უმუშევრებს [336 ათ.] და ვადგენთ საზოგადოებრივი დოვლათის შემქმნელთა რიცხოვნობას [1530 ათ.]. სხვის კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობა უდრის 2855 ათ. [მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას [4385 ათ.] მინუს 1530 ათ.]. დემოგრაფიული დატვირთვა გამოდის 1866 [2855 ათ. : 1530], ასეთი თანაფარდობით 1 : 1,9] [2,93].

ვნახოთ მესამე ვარიანტიც, რომელიც ემყარება უმუშევრობის დონის რეალობასთან უფრო მიახლოებულ ექსპერტულ გათვლებს. თუმცა, მანამდე, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ მაინც განხილვა იმისა, თუ რატომ მიგვაჩნია საქართველოში, მაგალითად, 2010 წლის უმუშევრობის რიცხოვნობისა [316, 9 ათ. კაცი] და უმუშევრობის დონის [16, 3%], მაჩვენებლები ხელოვნურად შემცირებულად და რეალობისგან მოწყვეტილად?

– ჯერ ერთი, ამ მაჩვენებელთა გათვლებს, ჩვენი ღრმა რწმენით, საფუძვლად უდევს არასრულყოფილი მეთოდოლოგია და მეთოდიკა. მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა,

„დასაქმებულის“ სტატუსის განსაზღვრა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური დასაქმებულთა რიცხოვნობის განსაზღვრისას შსო-ის ასეთი რეკომენდაციით სარგებლობს: „დასაქმებული – 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში მინიმუმ ერთი საათით მაინც იყო დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით“ [3.15].

აქედან გამომდინარე, აი, როგორი შინაარსისაა კითხვარები, რომლითაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს შინამეურნეობათა გამოკვლევას*:

1. ასრულებდით თუ არა ბოლო 7 დღის თუნდაც ერთი საათის განმავლობაში რაიმე სამუშაოს დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, ხელფასის, მოგების ან სხვა შრომითი შემოსავლების [ფულადი ან ნატურის სახით] მისაღებად ქვეყნის ფარგლებს შიგნით?;
2. შეიძლება ბოლო 7 დღის განმავლობაში თუნდაც ერთი საათით ასრულებდით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ან ნადირობდით, თევზაობდით, აგროვებდით ტყის ხილს, სოკოს, სამკურნალო მცენარეებს და ა.შ. საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად ქვეყნის ფარგლებს შიგნით“?;
3. ხომ არ ეწეოდით საკუთარი მოხმარებისთვის ან გასაყიდად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებას [მარცვლეულის დაფქვა, ღვინის დაყენება, ყველის, კარაქის, კონსერვების დამზადება და სხვ.], კალათების, ქუდების დაწვნას, ცოცხების დამზადებას, ქსოვას, კერვას და ა.შ. ქვეყნის ფარგლებს შიგნით“?
4. ასრულებდით თუ არა უსასყიდლოდ რაიმე სამუშაოს საწარმოში ან მეურნეობაში, რომელიც ეკუთვნის თქვენს ოჯახს ან ასრულებდით რაიმე სამუშაოს მეზობლური ან ნათესაური ურთიერთდახმარების სახით, ხელობის სწავლებას და სხვა საქმიანობას [საზღაურის გარეშე] ოჯახის სხვა წევრებისთვის ქვეყნის ფარგლებს შიგნით და ა.შ.

ჩვენი აზრით, ამ სახელმძღვანელო დებულებებს ბევრი ნაკლი აქვს. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს გამოკვლევის წინა კვირის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობის ადამიანის

დასაქმებულად ჩათვლის საკმაო პირობად მიჩნევა. ეს სრულიად გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ მრუდე წარმოდგენას რეალურად არსებული ვითარების შესახებ. რატომ? - იმიტომ, რომ ამ კითხვებზე [განსაკუთრებით მინიმუმ ერთსაათიანი მუშაობის შესახებ კითხვაზე] თითქმის გამორიცხულია ცოცხალმა ადამიანმა [მით უმეტეს სოფელში მცხოვრებმა] უარყოფითი პასუხი გასცეს და არ დაადასტუროს მინიმუმ ერთი საათით მუშაობის ფაქტი. განა შეიძლება ადამიანმა, თუ ის ხეიბარი არ არის და შესწევს თუნდაც გადაადგილების უნარი, ხელი არ წაკრას რაიმე სამუშაოს [მაგალითად, შეშის დაპობა, პირუტყვის მოვლა, ყურძნის მოკრეფა, თევზაობა, ნადირობა და ა.შ.] ერთი საათით კი არა, მეტი ხნითაც.

გარდა ამისა, დასაქმების მანიშნებლად ზემოთ დასახელებულ პირობებში სავსებით უგულვებელყოფილია საკითხი შრომის ანაზღაურების შესახებ. მეტიც, აშკარადაა მითითებული, რომ დასაქმებულის სტატუსის მინიჭებისთვის არაა აუცილებელი მომუშავემ რაიმე საზღაური მიიღოს ფულადი ფორმით ან ნატურით. იგი დასაქმებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუკი თუნდაც მეზობელს ან ნათესავს წახმარება უსასყიდლოდ. არადა, წარმოების მუშაკი, უწინარეს ყოვლისა, ხომ იმისთვის დებს კონტრაქტს დამქირავებელთან და იწყებს მუშაობას, რომ მიღებული საზღაურით [შემოსავლით] თავისი პირადი და ოჯახის წევრების მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. ამის მიღწევა ერთ საათში მიღებული შემოსავლით, როგორი მაღალიც უნდა იყოს იგი, შეუძლებელია.

საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ ასეთი ზერელე დამოკიდებულებით გაანგარიშებული მაჩვენებლები ვერ გამოდგება ჭეშმარიტების დასადგენად და დიდი ცდუნების მატარებელია. „დაქირავებით დასაქმებულის“ სტატუსის მინიჭებისთვის კვირაში მუშაობის მინიმუმ 20 საათიანი რეგლამენტისა და შრომის ანაზღაურების არანაკლებ საარსებო მინიმუმის ოდენობით განსაზღვრის მოთხოვნის წაყენება, ასევე, „თვითდასაქმებისადმი“ წაყენებული

მოთხოვნების თუნდაც ოდნავ გამკაცრება, დასაქმებულთა რიცხოვნობას მკვეთრად შეამცირებს, ხოლო უმუშევართა რიცხოვნობას შესაბამისად გასრდის;

– როგორც ცნობილია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, შსო-ის რეკომენდაციით, წლების განმავლობაში უმუშევრებს აღრიცხავდა ე.წ. მკაცრი და შერბილებული კრიტერიუმებით. მკაცრი კრიტერიუმით უმუშევრებად ითვლებიან მხოლოდ ის შრომისუნარიანი პირები, რომლებიც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მუშაობენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ სამუშაოს, მზად არიან მუშაობისთვის და სასურველი სამუშაოს შოვნისთანავე შეუძლიათ შეუდგნენ მის შესრულებას. შერბილებული კრიტერიუმით კი, უმუშევრებად ითვლებიან არა მარტო ის შრომისუნარიანი პირები, რომლებიც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ მუშაობენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ მას, არამედ ისინიც, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ სამუშაოს, ვერ იპოვეს იგი და, ამ უშედეგო პროცესის მობეზრების შედეგად, უკვე არ აქტიურობენ დასაქმებაზე.

დაახლოებით ოთხი წელიწადია, რაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შეწყვიტა შერბილებული კრიტერიუმით განსაზღვრულ უმუშევართა აღრიცხვა [4]. მათი რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 2005 წელს 56, 2 ათ. კაცს შეადგენდა [5.15]. უმუშევრობის ეს ფორმა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „ჩახშობილი უმუშევრობის“ სახელწოდებით.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევართა არმიის ამ ტიპურ წარმომადგენელთა რიცხოვნობა დღეისთვის კიდევ უფრო გაზრდილია [ზუსტი ოდენობის დადგენა შეუძლებელია, რამეთუ სრულიად მოშლილია ამ კატეგორიის უმუშევართა აღრიცხვის სისტემა], იგი არაა შეტანილი უმუშევართა საერთო რიცხოვნობაში, რაც არასრულად წარმოგვიდგენს ამ მაჩვენებელს;

– გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების კვალობაზე ბევრმა სახელმწიფო საწარმომ ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვიტა ფუნქციონირება, მაგრამ პერსონალი მეტწილად

ოფიციალურად არ განთავისუფლებულა, ითვლება დასაქმებულად, თანამშრომლები იმყოფებიან უვადო და უხელფასო შვებულებაში. ე.ი. ისინი ფორმალურად დასაქმებულები, რეალურად კი უმუშევრები არიან. უმუშევრობის ეს ფორმა ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „ფარული უმუშევრობის“ სახელწოდებით. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის არც ეს ნაწილია შესული უმუშევრობის ზემოთ დასახელებულ მაჩვენებლებში;

– უმუშევრობის ერთ-ერთი ფორმაა სეზონური უმუშევრობა. მას ადგილი აქვს ე.წ. სეზონურ დარგებში [ჩაისა და ღვინის პირველადი დამუშავების, ხილბოსტნეულის კონსერვის მრეწველობა და სხვ.], რომლებიც წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვე ფუნქციონირებენ და შემდეგ ახალი სეზონის დაწყებამდე არსებითად წყვეტენ მუშაობას. ცხადია, სეზონთაშორის პერიოდში თანამშრომლები [ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა მაინც] უმუშევრებად რჩებიან, მაგრამ იმის გამო, რომ ფორმალურად დასაქმებულებად ითვლებიან, უმუშევრებს ოფიციალურად არც ესენი განეკუთვნებიან;

– ოფიციალური აღრიცხვის მონაცემებით, საქართველოში 2000 წელს დასაქმებული იყო 1837,2 ათ., ხოლო 2010 წელს – 1628,1 ათ. კაცი, ე.ი. 209,1 ათ. კაცით ნაკლები. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა მხოლოდ 104,8 ათ. კაცით გაიზარდა. ბუნებრივია, ისმის კითხვა : სად წავიდა სამუშაოდან გამონთავისუფლებული 104,3 ათ. კაცი? რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის არც გარე მიგრაციაში და არც ბუნებრივ მოძრაობაში მომხდარა მკვეთრი ცვლილებები, ადამიანთა ეს კატეგორია, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც უმუშევრებს უნდა დამატებოდა, მაგრამ ეს არ ჩანს, რაც უმუშევართა საერთო რაოდენობას ამცირებს;

– უმუშევრობის მიმდინარე ოფიციალური აღრიცხვის მონაცემებში ერთგვარი ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა მისი საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღრიცხვის შედეგებთან შედარება. 2002 წელს, აღწერის მიხედვით, რომელიც ემყარება რესპონდენტთა გამოკითხვის ანკეტურ

მონაცემებს და გაცილებით სარწმუნოა, ქვეყნის მასშტაბით უმუშევართა რიცხოვნობა 619 ათ. კაცს და უმუშევრობის დონე 33 პროცენტს შეადგენდა [6. 387], ხოლო მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, რომელიც ემყარება შინამეურნეობათა სტატისტიკური შერჩევითი გამოკვლევის შედეგებს და ნაკლებად სარწმუნოა, რიცხოვნობა 265 ათ. კაცს და უმუშევრობის დონე 12, 6 პროცენტს არ აღემატება. ესოდენ დიდი სხვაობა – რიცხოვნობაში 354 ათ. კაცი და დონეში 20, 4 პროცენტული პუნქტი 2010 წლისა და მომდევნო წლების მიმართაც გვიძლიერებს ეჭვს;

– ფრიად ანგარისგასაწევია ჩვენი კოლეგის ი. არჩვამის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიაზე უმუშევართა კონტინენტს დაემატოს ქვეყნიდან გასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობაც, ... ვინაიდან ეს უკანასკნელი იმიტომ გახდნენ მიგრანტები, რომ საქართველოში ვერ იშოვეს სამუშაო“. მისი ვარაუდით, ამ კატეგორიის უმუშევართა რიცხოვნობა 800 ათ. კაცს შეადგენს [7.52].

შეიძლება ამ მაჩვენებლის რაოდენობრივ ასპექტებზე ვიკამათოთ, მაგრამ პრინციპში თვით საკითხის ასეთნაირად დასმა მართებული და საგულისხმოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტული შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში არანაკლებ 50 პროცენტს შეადგენს. ასეთ შემთხვევაში დემოგრაფიული დატვირთვა, 2009 წლის მონაცემებით, ასეთ სახეს მიიღებს : ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას [1866 ათ. კაცი] ვაკლებთ უმუშევრებს [933 ათ. კაცი], რომელიც მიღებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 2-ზე გაყოფით. ამით ვადგენთ საზოგადოებრივი დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა რიცხოვნობასა [933 ათ. კაცი] და სხვის კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობას – 3452 ათ. კაცს [მოსახლეობის საერთო რიცხოვნობას – 4385 ათ. კაცს მინუს 933 ათ. კაცი]. ამ უკანასკნელის საზოგადოებრივი დოვლათის ფაქტიურად შემქმნელთა რიცხოვნობასთან შეფარდებით კი ვღებულობთ დემოგრაფიულ დატვირთვას – 3700 კაცს, რაც იმას ნიშნავს, რომ დოვლათის რეალურად შემქმნელთა რიცხოვნობა ისე შეეფარდება მათ კმაყოფაზე მყოფთა

რიცხოვნობას, როგორც 1:3, 7 [2. 93].

ასეთი მაღალი და მზარდი დემოგრაფიული დატვირთვა არა მარტო მოსათმენ, არამედ, პერსპექტიული თვალსაზრისით, პროგრესულ მოვლენადაც შეიძლება ჩაგვეთვალოს, რომ მასში შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა ზრდის, ხოლო შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულებისა – შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა.

სინამდვილეში, სამწუხაროდ, სწორედ ამის საწინააღმდეგო, ანუ ნეგატიურ ტენდენციებთან გვაქვს საქმე. დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელში კლებულობს [თანაც მკვეთრად] შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველთა ხვედრითი წონა და, შესაბამისად, მატულობს შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა. ასე, მაგალითად, სრული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის სტრუქტურამ [ზემოთ განხილული პირველი ვარიანტის მიხედვით] 1990-2009 წლებში ასეთი ცვლილებები განიცადა: 15 წლამდე ასაკის ბავშვების ხვედრითი წონა 72,7-დან 54,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 65 წელს გადაცილებული მოსახლეობისა – 27,3-დან 45, 7 პროცენტამდე გაიზარდა.

ესოდენ ნეგატიურ ტენდენციებს მნიშვნელოვანწილად შობადობის კლება და მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება განსაზღვრავენ. შობადობის დინამიკა საქართველოში, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, ასეთ სურათს იძლევა [პრომილებში] : 1960 წელი – 24,7, 1990 წელი – 17,1, 2010 წელი – 13.

ასეთი ტენდენცია მხოლოდ ქართული მოვლენა კი არა, გლობალური კანონზომიერებაა, რაც დასტურდება ფაქტობრივი მონაცემებით. 1960-2010 წლებში, მსოფლიოში საშუალოდ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 15 პრომილით შემცირდა და დღეისთვის 20 პრომილეს შეადგენს [8. 263; 06].

მყარი, მუდმივგანმეორებადი, უცილობელი ხასიათისა და ძირითადად ობიექტური ფაქტორებით განპირობებულობის გამო, ვთვლი შობადობის კლების ესოდენ გამოკვეთილ ტენდენციას ერთ-ერთ მნიშვნელოვან

დემოგრაფიულ [დემოლოგიურ] კანონად. რაც შეეხება იმას რომ, შობადობის კლების ტენდენცია დამახასიათებელია კაცობრიობის განვითარების არა ყველა საფეხურისთვის, არამედ მხოლოდ დღევანდელი ეტაპისთვის, როცა განვითარებულ რეგიონში [ევროპა] უკვე დამკვიდრებულია, ხოლო განვითარებადში სულ უფრო ინტენსიურად მკვიდრდება მოსახლეობის გამრავლების თანამედროვე ტიპი, სრულ საფუძველს მამლევს განვასხვავო ეს კანონი ზოგადი [საერთო] დემოგრაფიული კანონებისგან და მივაკუთვნო სპეციფიკურ დემოგრაფიულ კანონთა ჯგუფს [9.144-145].

იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც საქართველოში [და არა მარტო საქართველოში] განსაზღვრავენ შობადობის კლებასა და დემოგრაფიული დატვირთვის ზრდას, აღსანიშნავია: წინა ეტაპებთან შედარებით, ოჯახის ფუნქციების ძირეული ტრანსფორმაცია, ქალთა ემანსიპაცია, ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია და, რაც მთავარია, დაქვეითებული რეპროდუქტიული განწყობისა და მისი შესაბამისი რეპროდუქტიული ქცევის ჩამოყალიბება, ბავშვთა შობის შიგაოჯახური გაცნობიერებული რეგულირება და ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების [ოჯახში შვილების სასურველი ოდენობის] შემცირება.

შობადობაზე ამ ფაქტორთა გავლენა იმდენად ძლიერია, რომ მისი თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერულ საწყისებზე შემუშავებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით შეიძლება მიღწეულ იქნას მისი რამდენადმე ნორმალიზება.

დემოგრაფიული დატვირთვის არც მეორე კომპონენტის – დემოგრაფიული დაბერების დინამიკა მიიმართება ზომიერად. საქართველოს მოსახლეობა დღეისთვის დემოგრაფიულად გადაბერებულია. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში სრულ შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა ხვედრითი წონა 14 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა, გაეროს ექსპერტთა კლასიფიკაციით, დემოგრაფიული სიბერის ზღვრად 7 პროცენტი ითვლება. ფრიად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი 1,8-ჯერ აღემატება მთელი მსოფლიოს მოსახლეობის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს [8%], 2,4-ჯერ – განვითარებადი რეგიონების მაჩვენებელს [6%], 4,6-ჯერ – ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული რეგიონების მაჩვენებელს [3%] და ნხოლოდ 2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება ეკონომიკურად მაღალგანვითარებული რეგიონების მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების საქართველოზე უფრო მაღალი მაჩვენებელი აზიის კონტინენტზე მხოლოდ იაპონიას [23%] აქვს.

როგორია პროგნოზი? მომავალში დემოგრაფიულად გაახალგაზრდავდება თუ, კიდევ უფრო დაბერდება მოსახლეობა? – ცხადია, დაბერდება, თანაც სულ უფრო ინტენსიურად. ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის საშუალო ასაკი დაახლოებით 28 წელს შეადგენს, ხოლო 2030 წლისთვის 35 წელს მიაღწევს. საშუალო ასაკთან ერთად, გაიზრდება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად რეგიონებში. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, 2025 წლისთვის 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა თითქმის 2-ჯერ გაიზრდება. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მოსახლეობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული [გერმანია და ბელგია – 28%, ავსტრია და შვეიცარია – 30%, საბერძნეთი – 34%, ესპანეთი – 37%. და ა.შ.], მაგრამ მდიდარი [მაღალი პენსია, ცხოვრების კომფორტული პირობები], განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობა კი – ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი.

საქართველო [პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან ერთად] ვარდება ამ კონტექსტიდან, რამეთუ იგი უკვე იმყოფება დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და ამავე დროს არის ღარიბი, რასაც ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დააღწევს თავს [10.304-305].

პენსიონერთა და უმუშევართა ხარჯზე დემოგრაფიული დატვირთვის ზრდას ის უარყოფითი ასპექტიც აქვს, რომ იგი ძაბავს

ურთიერთობებს მშობლებსა და შვილებს შორის, რაც მწვავე პრობლემებს წარმოშობს.

ასაკთან ერთად, გაიზრდება 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად რეგიონებში. გაეროს ექსპერტთა პროგნოზული გათვლებით, 2025 წლისთვის 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა თითქმის 2-ჯერ გაიზრდება. ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმეტესობის მოსახლეობა იქნება დემოგრაფიულად დაბერებული [გერმანია და ბელგია – 28%, ავსტრია და შვეიცარია – 30%, საბერძნეთი – 34%, ესპანეთი – 37%. და ა.შ.], მაგრამ მდიდარი [მაღალი პენსია, ცხოვრების

კომფორტული პირობები], განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის მოსახლეობა კი – ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი.

საქართველო [პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან ერთად] ვარდება ამ კონტექსტიდან, რამეთუ იგი უკვე იმყოფება დემოგრაფიული სიბერის სტადიაში და ამავე დროს არის ღარიბი, რასაც ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დააღწევს თავს [10.304-305].

პენსიონერთა და უმუშევართა ხარჯზე დემოგრაფიული დატვირთვის ზრდას ის უარყოფითი ასპექტიც აქვს, რომ იგი ძაბავს ურთიერთობებს მშობლებსა და შვილებს შორის, რაც მწვავე პრობლემებს წარმოშობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა., საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული, თბილისი, 2009.
2. ჩიქავა ლ., დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
3. შრომის ბაზარი საქართველოში – 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია. შემდგენლები: გვილავა ი., ბერბიჭაშვილი თ., ხოსისშვილი ი., ღონდაძე თ., ქურხული ლ. რედაქტორი ფანცულაია გ., თბილისი 2009.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
5. შრომის ბაზარი საქართველოში 2003-2005. სტატისტიკური პუბლიკაცია. გამოცემაზე მუშაობდნენ: შავიშვილი პ., ორმოცაძე ნ., გვილავა ი., ხუჯაძე ნ., გრიგალაშვილი დ., ნაცვლიშვილი ე., ბერბიჭაშვილი თ. რედაქტორი ყაველაშვილი გ., თბილისი, 2006.
6. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტომი III, ნაწილი I. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, თბილისი, 2004.
7. არჩვაძე ი., საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, N 1.

8. ბორისოვი ვ. ი. დემოგრაფია [სახელმძღვანელო]. ა. სახვამის ქართული თარგმანი, თბილისი, 1999; Population reference bureau. World population sheet.
9. ჩიქავა ლ., დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2008.
10. პაპავა ვ., ოთხი წელი „ვარდისფერ“ პარლამენტში. გამომც. „სიახლე“, თბილისი, 2009.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



რომის მოქალაქე ქართველები

გურამ ლორთქიფანიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

რომის სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩინდა გნეუს პომპეუს დიდის საქართველოში ძვ. წ. 66/65 წწ. ლაშქრობის დროს. რომის არმიის მხედართმთავარმა არამარტო ძლევამოსილად წარმართა ბრძოლა პონტოს სამეფოს, მითრიდატე VI ევპატორ დიონისეს წინააღმდეგ, არამედ საგრძნობლად გააფართოვა რომის აღმოსავლური პროვინციების საზღვრები. ქართული ელინისტური სახელმწიფოები (კოლხეთი – ეგრისი და იბერია – ქართლი) სომხეთთან ერთად რომის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდნენ. რომაელებმა ცეცხლით და მახვილით გადაუარეს საქართველოს. ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე (ახ. წ. I-II სს.) გვამცნობს, რომ იბერთა ლაშქარი რიცხვით მეზობელ ალბანელებს არ ჩამოუვარდებოდა, „გულადობით სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ (Plut. B. P. Pomp. XXXIV).

პლუტარქეს ცნობით პომპეუსმა „დიდ ბრძოლაში იბერებიც დაამარცხა, ისე რომ ცხრა ათასი მოკლეს, ხოლო ათი ათასზე მეტი რომაელებს ჩაუვარდათ ტყვედ“. იბერთა მეფემ დაზავება ითხოვა, გადაიხადა კონტრიბუცია და მორჩილება აღიარა. მცხეთის არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილია – ძვ. წ. I ს. სამეფო რეზიდენცია, მძლავრი არმაზ ციხე. ბაგინეთის,

მეფე არტაგის სასახლის კომპლექსი დანგრეულ – გადამწვარია – მისი აღდგენა მოგვიანებით იწყება (აფაქიმე ა., 1963., გვ. 83). დიონ კასიოსის რომაელი სენატორისა და ბერძენი ისტორიკოსის (ახ. წ. 160-235 წწ.) ცნობით: პომპეუსი მოულოდნელად დაესხა თავს იბერებს და დაამარცხა ისინი. დაზავებისას რომაელებმა მძევლებად არტაგის შვილები აიყვანეს. მხოლოდ ამის შემდეგ გამოცხადდა იბერია „რომის მეგობრად და მოკავშირედ“. უზრუნველყვეს რა ამგვარი დიპლომატიური და სამხედრო საშუალებებით ზურგი, რომაელები გადავიდნენ დასავლეთ საქართველოში.

პომპეუსის საპატივცემულოდ მოწყობილ ტრიუმფში (triumphus), რომელიც რომის სენატის გადაწყვეტილებით მხოლოდ მხედართმთავრის ღირსეული გამარჯვების (Victoria Fusta) აღსანიშნავად ეწყობოდა, ჩამოტარებულ საპატიო ტყვეთა შორის ვხედავთ ქართლის სამეფოს ნობილიტეტის სამ წარმომადგენელს ე.წ. „წინამძღოლებს“ (პეგემონებს), მთავრებს, რომელთა წოდება ქართულ „ერისთავს“ შეესაბამება (App. Mith, XII 116, 117).

აპიანე ასეთნაირად წარმოგვიჩენს აღმოსავლეთში რომის სამხედრო – პოლიტიკური ექსპანსიის გლობალურ მასშტაბებს (დაწვრ. იხ. გამყრელიძე გ., თოდუა თ., 2006, გვ. 5-42). პომპეუსმა

(Civitas Romana)

ახ. წ. II-IV სს.



ალექსანდრე ნონეშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
წმ. გრიგოლ ფერაძის სახ. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი
იტალია-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის
ასოციაციის გენერალური დირექტორი

რეზიუმე

„დაამარცხა პონტოს უდიდესი მეფე კოლხებთან, ალბანებთან, იბერებთან, არმენიელებთან, არაბებთან, იუდეველებთან და სხვა ხალხებთან ერთად. წარმატებული ბრძოლით განავრცო ძალა-უფლება (App. 114), ესპანეთის იბერიიდან კავკასიის იბერიამდე“. აპიანეს თანახმად მან ამ დაპყრობილ ხალხებს „ზოგს დამოუკიდებლობა მისცა მოკავშირეობის პირობით, სხვები რომაელთა ქვეშევრდომებად აქცია, ზოგიც სამეფოებად“.

სამხრეთ კავკასია Pax Romana სივრცეში მოექცა. რომის იმპერიამ და მისი გავლენის სფეროებმა კოლოსალური ტერიტორია მოიცვა (Hadas M., 1977 pp. 57-68). მათ შორის იყო საქართველო. რომაელები დაინტერესებულნი იყვნენ იმპერიის შორეული მისადგომების უსაფრთხოების პრობლემებით. ეს რომის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა აღმოსავლეთში. საქართველო ახ. წ. I-III სს. უშუალოდ იმპერიის – Imperatores პროვინცია პონტო – კაპადოკიას ესაზღვრებოდა. საქართველოზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო – ეკონომიკური გზები, მათ შორის ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი საუღელტეხილო კომუნიკაციები; რომელთაგან უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა „დარიალს“ ანუ რომაული წერილობითი

წყაროებით „კასპიის კარს“ ენიჭებოდა (Лордкипанидзе Г. А., 2010, стр. 184, 185, 186). აქედან ხდებოდა ჩრდილოკავკასიური ნომადი ტომების თავდასხმები იმპერიის სამფლობელოებზე, პართიაზე, ალბანეთსა თუ სომხეთზე. ამიტომ რომი დაინტერესებული იყო იბერიის სამეფოსთან „მეგობრობაში“. რომაულ სამართალში AMICUS – მეგობრის ინსტიტუტს (Amicus populi Romani) „რომის მეგობარ ქვეყნებთან“ ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა (Даувед, 1969., Милан Бартошек, 1989, стр., 46, 47). რომის სენატი იმპერატორის სახელით გასცემდა ამ საპატიო წოდებას უცხოელებზე განსაკუთრებული დამსახურების აღსანიშნავად. მათ იწვევდნენ იმპერატორები სადღესასწაულო წვეულებებზე, ოფიციალურ ღონისძიებებზე.

თანამედროვე თურქეთში, ანკარაში ისიდას ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილი ახ. წ. II ს. ლათინური და ბერძნული ვრცელი წარწერები „მსოფლიო მნიშვნელობისაა“ (ყაუხჩიშვილი თ., 2004., გვ. 11). ის ცნობილია „Monumentum Ancuranum“-ის სახელით. ოქტავიანუს ავგუსტუსი გვამცნობს: „ჩვენი მეგობრობა მოითხოვს ელჩების მეშვეობით ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, ვინც მდინარე ტანაისის (დონი., ავტ.) გამოლმა და გალმა არიან“ (ანუ

ჩრდილოეთ კავკასიაში ავტ.) აგრეთვე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა“. აქედან ცხადია რომსა და ქართლს შორის არსებული ოფიციალური სამოკავშირეო სამეგობრო ხელშეკრულება – Amicitia, ერთობლივი სამხედრო და სხვა ხასიათის Socius-ის თაობაზე „Socii exterarum genetium“ – ტიპისა. მცხეთაში, მის აღმოსავლეთ კარიბჭესთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ნაქულბაქევში, დევის ნამუსრალთან აღმოჩენილია „ვესპასიანეს“ სახელით ცნობილი ახ. წ. 75 წლით დათარიღებული ბერძნული წარწერა. მთავრული ბერძნულით შესრულებულ 17 სტრიქონიან წარწერას წმინდა მემორიალური დეკლარაციული ხასიათი აქვს. მისი 6 სანტიმეტრის სიმაღლის ასოები ახლო მანძილიდან თავისუფლად წაკითხვის საშუალებას იძლევა. ქვემო ნაწილში ასოების სიმაღლე 4 სმ-მდე მცირდება ვინაიდან ისინი უფრო ახლოს იყვნენ მკითხველის თვალთან. „იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტუსმა, დიდმა პონტეფიქსმა, შვიდჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისა, ცენზორმა და იმპერატორმა ტიტე კეისარმა ავგუსტის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა ცენზორმა და დომიციანე კეისარმა ავგუსტუსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა, იბერთა მეფე მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთ მოყვარულს და [ქართველ] ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს“ (წერეთელი გ. თბ. 1958).

რომის სამართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ იმპერატორმა ვესპასიანემ (ახ. წ. 69-79 წწ.) სენატს მიაღებინა რეგლამენტაცია ე.წ. „lex de imperio Vespasiane...“, რომლის თანახმადაც senatusculti-um-ს ეძლეოდა უზენაესი უფლება იმპერატორის სახელით დაედო ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთან, მათ შორის საზღვრების თაობაზე (მიხაილოვა ნ., ივანოვი., ასანიძე ს. 2009., გვ. 216., შეად. Бартошек Милан., 1989., стр. 178, 179). სენატის კანცელარიაში დაწერილი ტექსტის მიხედვით ჩანს შედგენილი მცხეთის წარწერა. მასში ზუსტად არის აღნუსხული ვესპასიანესა და მისი შვილების ყველა ტიტული. ამასთანავე იბერიის მეფეები მხოლოდ ბასილევსებად, ყოველგვარი ეპითეტის გარეშე მოიხსენიებიან,

ეს მაშინ, როდესაც მცხეთაშივე აღმოჩენილ თანდროულ ახ. წ. I საუკუნით დათარიღებულ არმაზულ-არამეულ წარწერებში (მაგ. ჩარგას პიტიახშის „გამარჯვების სტელა“) მათი ოფიციალური ტიტულია „მეფე დიდი“ (ლორთქიფანიძე გ., 1991. გვ. 65; ჩხარტიშვილი მ., 2009. გვ. 41). ჩანს აქ საქმე გვაქვს დიპლომატიურ დემარშებთან, მოკავშირის როლის, მნიშვნელობის დაკნინების ცდასთან. ამავე დროს საქვეყნოდ, პართიის, საპირწონედ, ქართლის მეფეები და ქართველი ხალხი (ΦΙΛΟΡΩΜΑΙΟ) კეისრისა და რომაელების მეგობრებად და სტრატეგიულ მოკავშირეებად ცხადდებიან.

მცხეთის 75 წლის წარწერის ახალი ინტერპრეტაციის მიხედვით (ჩხარტიშვილი მ., 2009., გვ. 43) ΙΑΜΑΣΑΠΟΙ- არ გახლავთ მეფე მითრიდატეს დედა (აქ არ არის აღნიშნული მისი „დედოფლობა“. ამის თაობაზე იური ვინოგრადოვმაც მიგვანიშნა). აკად. თინა ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ აქ „მეფის დედ-მამის სახელებია აღნიშნული, რაც ჩვეულებრივი არაა“. ის ფიქრობდა რომ ფარსმან მეფეს „სხვა ძეც ჰყავდა არა იასასპოის შვილი, რომელიც კეისრისა და რომაელთმოყვარულია“ (ყაუხჩიშვილი თ., 2004., გვ. 29). წარწერა იქნებ მიგვანიშნებს პოლიტიკური ინტრიგის არსებობაზე სამეფო ოჯახის წევრებს შორის. რომაელების ინტერესების გამტარებელი სეფენქული ამაზასპია. რომში, აღმოჩნდა ბერძნულწარწერიანი საფლავის ქვა, 114/115 წლით დათარიღებული. ეპიტაფიის შინაარსი მოგვყავს თ. ყაუხჩიშვილის თარგმანით: „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი (AMZAPOC) მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწა არის კასპიის ბჭესთან, იბერი იბერის ძე აქ მარხია...“ „მოსული პართელებთან საბრძოლველად [გარდაიცვალა] უწინ, ვიდრე გაისვრიდა ძლიერ ხელს მტრის სისხლში შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, იყო ქვეითიცა და მხედარიც...“ (ყაუხჩიშვილი თ., 2005., გვ. 12). რომთან დადებული ხელშეკრულებით ჩანს იბერები იმპერატორ ტრაიანეს ეხმარებიან პართელებთან ბრძოლაში, ნიზიბინთან. ამაზასპი სათავეში უდგას ქართველთა ლაშქარს, ქვეითებსა და მხედრებს. მის ნეშტს, იდუმალებით მოცული გარდაცვალების შემდეგ სამშობლოში კი არ კრძალავენ, არამედ ეპიტაფიის თანახმად მიწას მიაბარებენ „წმინდა ქალაქთან“, რომელიც ააგო ნიკატორმა, მაგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან, შემდგომ კი რომში

გადმოუსვენებიათ (იხ. Ломоури Н. Ю., 1981., стр. 23, 24).

ის, რომ ქართლის სამეფო II საუკუნეში რომის პოლიტიკურ ორბიტაშია დასტურდება არმაზის ბილინგვით, სერაფიტის (ΣΗΡΑΠΕΙΤΙΣ) ეპიტაფიით, რომელშიც II საუკუნის ქართლის სამეფო კარის რამოდენიმე თაობა, ნობილიტეტი, მეფე – დიდებულებია წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა ესაა თავად სერაფიტი, 21 წლის ასაკში გარდაცვლილი ულამაზესი ქალბატონი. მისი მამა ყოფილა მეფე ფარსმანის პიტიახში ზევახი (დედა არ სახელდება). ბერძნულ წარწერაში, ის დეტალი, რომ ზევახი მეფე ფარსმანის პიტიახშია, სრულიად შეგნებულად იგნორირებულია (დაწვრ. Гиоргадзе Г., 1999., стр. 177) პოლიტიკური კონიუნქტურის გამო. სამაგიეროდ აქცენტი კეთდება იმაზე, რომ „იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის“ მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი „ეპიტროპის“ პუბლიკოს აგრიპას ძე იოდმანგანი სერაფიტას მეუღლეა. წარწერიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ პუბლიკიუს აგრიპა ნამდვილად რომის მოქალაქეა (დუნდუა თ., 2002., გვ. 4; ნონეშილი ა., 2005. გვ. 71) ისევე, როგორც მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერების „მეფე ფლავიუს დადე“ (II ს.) და მცხეთის მხატვართუხუცესი, ხუროთმოძღვარი (III-IV სს.) ავრელიუს აქოლისი (ლორთქიფანიძე გ., 2004., გვ. 153). რომაული კანონმდებლობის თანახმად „რომის მოქალაქეობა“ „Civis Romanus“ უცხოელებს ენიჭებოდა პირადი განსაკუთრებული (Singularum) დამსახურებისათვის ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე! ეს იყო იმპერიის უმაღლესი სოციალურ – იურიდიული სტატუსი. მისი მფლობელის უფლება – მოვალეობები გათვალისწინებული გახლდათ რომაული სამართლით. ეს ითვალისწინებდა იმპერიის მიწა-წყალზე პირადი საკუთრების, არჩევნებში მონაწილეობის, ქორწინების, სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურის უფლებას. რომის მოქალაქე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოველთვის ტოგაში უნდა ყოფილიყო გამოწყობილი. ეროვნულ ტანსაცმელში, შარვლებში სიარული იკრძალებოდა. რომის ქართველი მოქალაქეები ხელს უწყობდნენ ქვეყნის რომანიზაციის პროცესებს. პტოლემეაიოსის გეოგრაფიაში (II ს.) მოხსენიებული ქალაქი ძალისა (სოფელ ძალისაში მუხრანის ველზე მცხეთიდან ჩრდილო დასავლეთით 20-მდე კილომეტრში), რომელიც არქეოლოგებმა

აღმოაჩინეს (Бохочадзе А., 1977., стр. 97) ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება. მისი დაგეგმარებით, ქუჩებით, მხატვრული მოზაიკით შემკული ტაძრებით, სასახლეებით, შესანიშნავი ტყვისა და კერამიკის წყალგაყვანილობის სისტემებით, აბანოებით, კეთილმოწყობილი დიდი საცურაო აუზით, ძვირადღირებული საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ყაზარმებით ძალისაში ქართლის სპასპეტის („ეპიტროპოსის“) რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. მთელ I-II სს. საქართველოში იგრძნობოდა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, ვაჭრობა-ხელოსნობის, ფულადი მიმოქცევის, ცხოვრების დონის ამაღლება.

რომის მოქალაქის სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით სარგებლობდნენ როგორც ამაზასპი, ასევე პუბლიკიუს აგრიპა. მას ხომ მეფის შემდეგ, ისევე როგორც მის შვილს იოდმანგანს სოციალურ იერარქიაში მეორე საფეხური უკავია, მეფის მეურვე ΕΠΙΤΡΟΠΟΣ (იხ. Liddel, Scott's, 1953., p. 264), მეფის (რომში კეისრის) ნაცვალ ანუ ლათინური ტერმინოლოგიით პროკურატორი, თავისი სემანტიკური დატვირთვით შეესიტყვება ქართულ ეზოსმოდღვარს (ყაუხჩიშვილი თ., 2004, გვ. 29), რომლის მოვალეობას მეფის კარის გამგებლობასთან ერთად მცველის, პირადი გვარდიის წინამძღოლობა ეკისრებოდა (Дворецкий И. Х., 1958, стр. 644), მისი შემამკობელი ეპითეტებიდან გამომდინარე ის ადვილი შესაძლებელია ქვეყნის მხედართმთავარი ყოფილიყო (ლომთათიძე გ., 1955., გვ. 369). სამხედრო ოპერაციებში აქტიური მოქმედებებისათვის მათ „რომის მოქალაქეობა“ უნდა მიეღოთ. ეპიტაფიაში მოხსენიებული პირები, მათ შორის ფარსმან II და ქსეფარნუგი იბერთა დიდი მეფე კეისრების ადრიანეს (117-138 წწ.) და ანტონინუს პიუსის (139-161) თანამედროვენი არიან. ისინი რომის მოკავშირეებია და მათი ინტერესების დამცველები სამხრეთ კავკასიაში. შესაბამისად იმპერატორები ცდილობდნენ იბერიის მეფეთა კეთილგანწყობა შეენარჩუნებინათ და ნობილიტეტს ძვირფასი საჩუქრებითა და სადავო ტერიტორიების დათმობით ახალისებდნენ. განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ პოლიტიკის მატერიალური შედეგები ზღუდერში, ქარელის გარეუბანში აღმოჩენილ ახ. წ. 190-250 წწ. სარკოფაგების მდიდრული დასაკრძალავი ინვენტარიდან, რომელიც ორი თაობის დიდებულების,

ქართლის ერისთავების რომანიზირებული ოჯახის წევრებს მიეკუთვნებიან. სამარხებში „მნიშვნელოვანი სიმდიდრეა თავმოყრილი“ (ბრაუნდი დ.) ესაა: საიმპერატორო ძღვენის ნაწილი, რომაული ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ბერძნულწარწერიანი სამკაულები დას ხვ. აქ ჯერ არ იგრძნობა პართულ-სასანური გავლენა. მრავალრიცხოვან ოქროსა და ვერცხლის რომაულ მონეტებს შორის მხოლოდ 5 სპარსული საფასეა (ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., 2009, გვ. 27). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზღუდერელ ერისთავებს შორის, ისევე როგორც სატახტო ქალაქში ცხოვრობდნენ მარადიული ქალაქის მოქალაქეები, რომაული კულტურის მატარებლები (სპეციალისტების აზრით, ახ. წ. I ს. რომის მოქალაქის სტატუსის მქონე ადამიანთა რიცხვი 5 984 000 თუ აღწევდა. ეს მაშინ, როდესაც იმპერიის მოსახლეობის რაოდენობა 70-90 მილიონს შორის მერყეობდა (Grant M., 2003., p. 109). წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია ანტონინე პიუსის (139-161 წწ.) მიერ ზარ-ზეიმით ფარსმან იბერიელის რომში მიწვევა ოჯახთან ერთად, ვრცელი ამალით და რაც გაუგონარია „მას ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა“! შედგა შეთანხმება რომსა და ქართლს შორის სამეფოს საზღვრების გაფართოების თაობაზე, ფარსმანის საპატივცემულოდ იმპერატორმა „მისი ცხენოსანი ქანდაკება დააგემგვინა“, არაფერი რომ არ ვთქვათ მისი ვაჟების სარდლობით ჩატარებულ აღლუმზე იბერთა სამხედრო ვარჯიშობაზე (D I O CASS, LXX, 2). ასეთ პატივს მხოლოდ რომის მოქალაქეებს მიაგებდნენ.

არქეოლოგიური აღმოჩენებითაც დასტურდება, რომ თავად იბერიის მეფეები არ თაკილობდნენ რომის მოქალაქეობის წოდებას. არმაზისხევის პიტიახშის საგვარეულო სამაროვანზე გათხრილ №3 ქვითკირის აკლდამაში, მდიდრულ ინვენტარს შორის აღმოჩნდა 2, 5 კგ. წონისა და 48 სმ. დიამეტრის მქონე ლანგარი, ბერძნული წარწერით – ΕΓΩ ΒΑΣΙΛΥΣ ΦΛ. ΔΑΔΗC ΕΧΑΡΙCΑΜΗΝ ΒΕΡCΟΥΜΑ ΠΙΠΤΙΕΗ (მცხეთა I., 1955., გვ. 53). წარწერა გვამცნობს: „მე მეფე

ფლავიუს დადესმა ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს“ (ყაუხჩიშვილი თ., 2004., გვ. 35). ჩვენ არაფერი ვიცით მეფე დადესის შესახებ, გარდა იმისა, რომ განსაკუთრებული დამსახურებისათვის მისთვის რომის მოქალაქეობა უბოძებიათ. ეს მომხდარა ფლავიუსების დინასტიის ეპოქაში, რომელსაც საფუძველი ჩვენთვის ცნობილმა ტიტუს ფლავიუს ვესპასიანემ ჩაუყარა (69-79 წწ.). თავისი საგვარეულო სახელი ე.წ. ნომენი შეიძლება დადესისათვის ეწყალობებინათ ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (71-81 წწ.) ან დომიციანეს (81-96 წწ.) დროს. ე.ი. ახ. წ. I ს. მიწურულში. მაშინ, როდესაც რომი ააქტიურებს სამხედრო მოქმედებებს სამხრეთ კავკასიაში, სომხეთსა და პართიაში (Джейсон., Перозюк 2008., стр. 175, 176). ამ რეგიონში რომაელებს ახ. წ. II ს. დასაწყისში 10 ლეგიონი ჰყავდათ კონცენტრირებული (Ян Ле Боак., 2001, стр. 285). რომაელები ზრუნავდნენ ზურგის უსაფრთხოებაზეც. როგორც ავღნიშნეთ ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართლის სამეფოსთან მეგობრული, პოლიტიკური კავშირების განმტკიცებას. ბერსუმა უნდა ყოფილიყო იმ დროინდელი ქართლის წარჩინებული და მხედართუფროსი, რომელმაც ამაზასპის ბედი გაიზიარა. მთელი ახ. წ. II ს. განმავლობაში რომისა და სპარსეთის (პართიის) სამხედრო დაპირისპირება პრაქტიკულად არ შესუსტებულა (Терри Джонс., Алан Фейфа., 2007. стр. 271), რამაც საბოლოოდ ბოლო მოუღო პართიის სახელმწიფოს. ამ ომებში ქართულმა ჯარებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა რომის იმპერიის მხარეზე.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკა ახ. წ. I-III საუკუნეებში ორიენტირებული იყო ევროპული სამყაროსა და მისი კულტურული ფასეულობებისაკენ, რამაც განაპირობა ჯერ ქვეყნის რომანიზაცია და შემდეგ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

რომის მოქალაქეები იბერიაში ქვეყნის „რომანიზაციის“ პროცესში წამყვან როლს ასრულებდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანტიკური კავკასიის ენციკლოპედია., ტომი I, წყაროები, ბერძნულენოვანი ტექსტები, მთ. რედაქტორი რისმაგ გორდეზიანი., „ლოგოსი“ თბ, 2010
2. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა I., საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბ. 1955
3. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში, I „მეცნიერება“, თბ. 1963
4. აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ე., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ., მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, მასალები., თბ. 2003
5. ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანძური ზღუდერიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმი., თბ. 2009
6. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები., „არტანუჯი“. თბ. 2005
7. გამყრელიძე გ., თოდუა თ., რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში., თსუ გამომცემლობა. თბ. 2006
8. დუნდუა თ., პუბლიუს აგრიპა, ფლავიუს დადე და ორმაგი მოქალაქეობა – არის თუ არა ეს მომავალი ევროპის მოდელი?., „მერიდიან“, თბ. 2002
9. დუნდუა თ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი., თბ. 2009
10. ლორთქიფანიძე გ., ΑΥΡΗΛΙΟΣ ΑΧΟΛΙΣ – რომის მოქალაქე., კრ. ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში., „ლოგოსი“, თბ. 2004
11. მიხაილოვა ნ., ივანოვი ა., ასანიძე ს., რომის სამართალი., თბ. 2009
12. ნონეშვილი ა., ჩივიტას ღომანა და იბერიის სამეფოს ნობილიტეტი, ჟურ. საისტორიო ვერტიკალები #7., თბ. 2005
13. ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი., „ლოგოსი“, თბ. 2004
14. ჩხარტიშვილი მ., სახეები საქართველოს წარსულიდან., თბ. 2009
15. ჩხარტიშვილი მ., მცხეთის გალავნის ბერძნული წარწერის (I ს.) ახალი ინტერპრეტაცია., ვარლამ დონდუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია (მოხსენებათა თეზისები), თბ. 1996
16. Бохоцадзе Ал. Настакиси, Саркине, Дзалиси – города Иберии античной эпохи., Краткие сообщения Института археологии АН СССР, 151., «Наука», 1977
17. Гвоздицкий И., Греческо-Русский словарь 1., Москва, 1958
18. Гиоргадзе Г., интерпретация Армазской билингвы., ხეთოლოგიურ-ქართველოლოგიური ძიებანი – გიორგაძე., „ლოგოსი“. თბ. 1999
19. Ломоури Н., Грузино-Римские взаимоотношения., ТГУ, 1981
20. Лорткипанидзе Г., Парадигматика «Запад-Восток» и античная Грузия., Жур. «Кавказ и Глобализация», том 4, выпуск 3-4., Швеция, 2010
21. Braund D., Georgia in Antiquity., Clarendon Press., Oxford, 1994
22. Grant M., The World of Rome., London, 2003
23. Hadas M., Imperial Rome., Nederland, 1977
24. Jones T., Ereitra A., Barbarians., BBC Limited., London, 2006
25. Le Bohec Y., Larmee Romaine., Paris, 1989
26. Liddell and Scott's., Grek-English Lexicon., Oxford, 1953
27. Pernose J., Rome and her enemies., Oxford, 2005

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ეთნიკური საზღვარი და მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ჰომოგენიზაცია

ლია მელიქიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

რეზიუმე

ეთნიკური საზღვარი აღიქმება, არა როგორც ტერიტორიული საზღვარი, არამედ როგორც სუბიექტურად გაცნობიერებული და განცდადი დისტანცია, რომელიც განიხილება ერთაშორის ურთიერთობის კონტექსტში.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო მეცნიერებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ნორვეგიელი მეცნიერის ფ. ბარტის ნაშრომი [1] სადაც იგი ეთნიკურ საზღვრებს განიხილავს ეთნიკურობასთან კავშირში. ეთნიკურობა მისთვის არის კულტურული განსხვავებულობის სოციალური ორგანიზაციის ფორმა. ეთნიკურ საზღვარს განსაზღვრავს ჯგუფი, პირველადი მნიშვნელობა კი აქვს იმ კულტურულ მახასიათებლებს, რომელსაც ჯგუფი ანიჭებს მარკირებულ მნიშვნელობას. ეთნიკურ ჯგუფში კი გულისხმობს, როგორც საერთოდ არის მიღებული, ეთნიკურ გაერთიანებასაც, ხალხსაც, ეროვნულობას, და მის რომელიმე ნაწილსაც. ეთნიკური საზღვარი არის აზროვნების აქტი. მისი შესწავლის საშუალებაა ეთნიკური იდენტურობის კვლევა. ეთნიკური ჯგუფის მარკირების მახასიათებლები არის ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური პირობების და კონკრეტული სიტუაციების რეზულტატი. ზოგ შემთხვევაში მთავარ როლს შეიძლება ასრულებდეს ისტორიული და ეკონომიკური, ან პოლიტიკური და სოციალური პირობები,

სხვა შემთხვევაში კი კონკრეტული სიტუაცია, უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანი ურთიერთქმედება ჯგუფებს შორის, ან პირიქით კონფლიქტი.

ეთნიკური მარკერების განსხვავებაში და ჯგუფის საზღვრების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი, ან შეიძლება ითქვას ძირითადი ადგილი უჭირავს კულტურის მახასიათებლებს, მაგრამ ამის გარდა ეთნიკური საზღვრის განმსაზღვრელად შეიძლება გახდეს პოლიტიკური წარმოდგენები – მარკერები, რომლის გარშემოც კონცენტრირდება ეთნიკური სოლიდარობა, ზოგჯერ უფრო მასობრივი და ძლიერი, ვიდრე ის, რომელიც უზრუნველყოფილია რომელიმე კულტურული სიმბოლოთი.

ეთნიკური საზღვრები თავისთავში შეიცავს კულტურულ და სოციალურ დისტანციას.

სოციალური დისტანცია ეს არის ეთნიკური ჯგუფების მსგავსი და განსხვავებული პოზიციების, სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციების საზომი.

სოციალური დისტანცია არის ერთ-ერთი ცენტრალური ცნება, რომელიც ახასიათებს სიახლოვის ან განსხვავების დონეს სოციალურ ჯგუფებში. ეთნიკურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში სოციალური დისტანციის გაზომვით განისაზღვრება სოციალური ჯგუფების პოზიციები.

სოციალური დისტანციის სიმტკიცე და ურთიერთშეჭრის სიდიდე, გვაჩვენებს საზოგადოების მდგომარეობას, ჯგუფების თანაფარდობას, სოციალურ და ეთნიკურ ტოლერანტობას.

სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალური დისტანციით ვიგებთ ეთნიკური ჯგუფების ურთიერთაღქმას, სიმპატი-ანტიპატიას და ურთიერთგანწყობას.

სოციალური დისტანცია შეისწავლება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის, რომელნიც საზოგადოებრივი იერარქიის ერთ დონეზე დგანან (მაგ. ფერმერები) ანუ „ჰორიზონტალური დისტანცია“.

არსებობს აგრეთვე გარე და შიდა დისტანციის ცნებები, რაც გულისხმობს ჯგუფთა შორის და ჯგუფის შიგნით დისტანციას.

ეროვნებათა შორისი ურთიერთობის შესწავლისას დგება არა მარტო კულტურათა განსხვავების, არამედ სოციალურ-კულტურული დისტანციის საკითხი, რითაც იზომება სიახლოვის დონე, განსხვავებულობა, გაუცხოება, იზოლაცია.

სოციალურ-კულტურული დისტანციის მიზეზი ყოველთვის არ ხდება მთელი კულტურული მახასიათებლების დაპირისპირება, შეიძლება მოხდეს მხოლოდ რომელიმე მათგანის მაგალითად მხოლოდ სარწმუნოება, ან ენა, ან სხვა ან შეიძლება მოხდეს მთლიანი კულტურათა დაპირისპირებაც.

თანამედროვე ეთნიკური საზღვრები არის შედეგი როგორც რთული ისტორიული პროცესებისა, ასევე საკუთრივ ერთაშორისი ურთიერთობებისა. საზღვრის ბოლო არამდგრადია, ხშირად იცვლება, ამიტომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ეთნიკური საზღვარი უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ გარკვეული ისტორიული ან თანამედროვე თარიღის გათვალისწინებით[2].

პ. კუშნერმა ეთნიკური საზღვრების ხასიათის შესახებ გამოკვლევაში წამოჭრა მეტად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი ეროვნული თვითშეგნებისა და მშობლიური ენის როლის, მათი ეთნოგამორკვევითი ფუნქციის შესახებ ეთნიკური საზღვრის გასწვრივ კომპაქტურად დასახლებული და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობის მქონე ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური მოსაზღვრეობის (მეზობლობის) დროს ენის

როგორც ეთნოგამორკვევითი და კულტურულ-მდგრადი მახასიათებლის კუშნერისეული საგულდაგულო ანალიზი კულტურული დისტანციისა და კულტურული შოკის პრობლემის თანამედროვე ეთნოფსიქოლოგიური გამოკვლევების წინამორბედი გახდა. ენისა და ეროვნული თვითშეგნების როლის შესახებ საკითხის წამოჭრა იწვევს ეთნიკური საზღვრების ბუნების შესწავლისას აქცენტის გადატანას ტერიტორიულიდან ფსიქოლოგიურ ბაზისზე – მეზობელი ხალხების ტერიტორიულად განპირობებული ეთნიკური საზღვრების სფეროდან „მოსაზღვრე“ ან სხვა ხალხებთან სუბიექტურად განცდილი კულტურული დისტანციის სფეროში.

ეთნიკური ჯგუფის ორგანიზაციულ სტრუქტურას უშუალოდ აყალიბებს ეთნიკური თვითმიკუთვნებისა და სხვათა მიკუთვნების პროცესი. სოციალურ ურთიერთქმედებაში ეთნიკური იდენტურობის გამოყენება, თავისი თავისა და სხვების მიკუთვნება გარკვეულ კატეგორიებთან აყალიბებს არსებითად ეთნიკურ ჯგუფებს ორგანიზაციული ნიშნით.

ამგვარად, ჯგუფის წევრობის განმსაზღვრელი ხდება სოციალური ფაქტორები, რომელთა საფუძველშიც დევს კატეგორიული მიკუთვნილობის ფენომენი და არა რაღაც „ობიექტურად“ არსებული კულტურული განსხვავებები.

კულტურული დისტანციის ფენომენის პირველი მიზანმიმართული ემპირიული კვლევა ჩაატარეს ა. ფერნხემმა და ს. ბოჩნერმა. მათ კროსკულტურული ფსიქოლოგიის თვალსაზრისით გამოიკვლიეს ის ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ მიგრანტთა ადაპტაციას ახალ კულტურულ გარემოში[3].

ა. ფერნხემისა და ს. ბოჩნერის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ „კულტურულ შოკში“ მყოფი მიგრანტისათვის ახალი კულტურული გარემოს სტრესოგენურობის ხარისხი დამოკიდებულია ავტენტური კულტურის ახალ საცხოვრებელ პირობებთან სიახლოვის ხარისხზე. კულტურათა სიახლოვის ხარისხს ეს მეცნიერები განსაზღვრავდნენ სიშორის პარამეტრით – „შორეული – საშუალო – ახლო“, განცდილი კულტურული შოკის შეგრძნებას კი კულტურათა სიახლოვე-სიშორის დადგენილი პარამეტრებით. სწორედ ეს ემპირიულად დამყარებული კავშირი

გახდა საფუძველი ინოვაციური გარემოს ფსოქოლოგიური მახასიათებლის – კულტურული დისტანციის – გამოკვეთისა. ამგვარად, გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფთან კულტურული დისტანციის განცდა დამოკიდებულია რამდენიმე პარამეტრზე: 1. კულტურათა შორის ობიექტურ განსხვავებებზე; 2. ახლის აღქმისა და სტრესისადმი შეუვალლობის ინდივიდუალურ უნარზე; 3. კულტურათა და ეთნოსთაშორისი კონტაქტების პირად, უშუალო გამოცდილებაზე[4].

კულტურული დისტანცია რომ გავიგოთ, იგი უნდა განვიხილოთ ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ჭრილში. ამგვარი მიდგომის დროს კულტურული დისტანციის ფენომენში სუბიექტურად ასახული კულტურული განსხვავებულობის ანალიზის საგანი გახდება კულტურის მხოლოდ ის ელემენტები, რომლებსაც კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში სოციალური დისტანციის დაცვა შეუძლიათ. ეთნოკულტურული სხვაობის (განსხვავებულობის) ანალიზისთვის უნდა გამოვიყენოთ არა მხოლოდ ტრადიციული ეთნოგანმასხვავებელი ნიშნები, არამედ პოლიტიკურ ორიენტაციათა სხვაობაც. მეცნიერული ანალიზის სხვადასხვა სიბრტყე საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ კულტურული დისტანციის ფენომენი ემპირიულ დონეზე სოციალურ-პროფესიული საქმიანობის, იდეოლოგიური ორიენტაციების, ნორმატიულ ღირებულებებზე შეხედულებების ეთნიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ცნება „საზღვარი“, „კულტურული“, „ეთნოკულტურული“ და „ეთნიკური“ მნიშვნელობით როგორც გამოკვლევის კატეგორია და პრინციპი, თუმცა ხშირად დაუკონკრეტებელი, ყოველთვის იყო ჩვენი საუკუნის ეთნოლოგიური და ეთნოფსიქოლოგიური გამოკვლევებისა და დისკუსიების საგანი. საზღვრის ცნებას, როგორც კულტურის კვლევის პრინციპს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მ. ბახტინი: „კულტურა მთლიანად საზღვრებზეა მოთავსებული, კულტურის ყოველი მომენტი მეორისაგან საზღვრითაა გამოყოფილი... თითოეული კულტურული აქტი არსებობს საზღვარზე; მისი მნიშვნელობაც ამით არის განსაზღვრული; საზღვარს მოშორებული კულტურული აქტი უნიადაგო და ფუჭია, კვდება და გადაშენდება კიდეც“[5].

“ეთნიკური საზღვრის“ ცნებამ, რომელიც ნორვეგიელმა ანთროპოლოგმა ფ. ბარტმა

დაამკვიდრა ამ უკანასკნელ წლებში რეალური აზრი შეიძინა და მოიპოვა პოპულარობა ეთნოსთაშორისო დამაბულობის თავიდან აცილების ან მისი განსამუხტავი გზების ძიების თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „ეთნიკურ საზღვარს“ ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სოციალურ-ფსიქოლოგიური კონცეფციისათვის. ფ. ბარტის აზრით, ეთნიკური ჯგუფის არსებობის საფუძველი არის მისი კულტურის შინაარსი, რომელიც ჯგუფმა თავისად აქცია გარკვეულ საზღვრებში[6]. ეთნიკური საზღვარი არის მახასიათებელი, რომელიც ეთნიკურ ჯგუფს აღწერს (ახასიათებს) არა როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ წარმონაქმნს, არამედ როგორც ადამიანების კულტურულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ერთობას.

კულტურული მახასიათებლები განუწყვეტლივ იცვლება. გარდა ამისა, მეზობლად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები, ნასესხობის სიჭარბის გამო, ხშირად განიცდიან კულტურული სხვაობის დეფიციტს[7]. ეს არ შეიძლება იყოს აგრეთვე ქცევის დონეზე კულტურული გამოვლინება – ის თანდათან უნიფიცირებული ხდება. ფ. ბარტის მიხედვით ეთნიკური საზღვარი ასახავს ერთი ეთნიკური ჯგუფის მეორესთან ურთიერთობის პირობებში შინაგანი სოციალური კონსტრუირების ან კულტურულ და ფსიქოლოგიურ სხვაობათა ორგანიზაციის შედეგს[8].

ეთნიკური ჯგუფი, როგორც ეთნიკური დამაბულობის ფენომენოლოგიური ველის კონცეპტი, არის სამყაროში ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის უნივერსალური ტენდენციის – სამყაროს „თავისიანებად“ და „უცხოებად“ დაყოფის – ფსიქოლოგიური შედეგი, ჩვენს შემთხვევაში – ეთნიკური მიკუთვნილების საფუძველზე. ალტერნატივა „ჩვენ-ისინი“ ჯგუფის კულტურული შინაარსის ორგანიზაციის ფსიქოლოგიური მექანიზმია. ეთნიკური საზღვარი, როგორც სოციალურ – ფსიქოლოგიური წარმონაქმნი, ასახავს, თუ როგორ ხედავს ჯგუფი შინაგანად თავისი კულტურულ-ფსიქოლოგიური განსხვავებულობისა და თავისუფლების არეალის ფარგლებს. ადამიანის აზროვნებაში წარმოქმნილი წარმოდგენა საზღვრის შესახებ ასახავს როგორც ჯგუფთაშორის, ასევე შიდაჯგუფურ ფსიქოლოგიურ დისტანციას და ეს წარმოდგენა პრაქტიკულად განხორციელებას პოულობს რეალურ ეთნოსთაშორის ურთიერთობებში.

ტენდენცია „ჩვენ-ისინი“ ოპოზიციურია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი დომინირება პოლარიზებულს ხდის ნებისმიერ, მათ შორის ეთნოკონტაქტურ სიტუაციას. ამ მნიშვნელობით ეთნიკური საზღვარი ეთნოკონტაქტური სიტუაციის მასტრუქტურებელი პრინციპის როლში გამოდის.

ეთნიკური საზღვრების საფუძველზე ეთნოკონტაქტური სიტუაციის ხელახალი კონსტრუირება ეთნიკური ჯგუფისთვის ნიშნავს, სულ მცირე ეთნიკური წევრობის მასობრივ შემცენებას და ელიტის მიერ მეტნაკლებად გასაგებად გამოხატულ კულტურულ ნების გამოყოფის, კულტურული სხვაობის აღნიშვნისა და დაცვის შესახებ. ჯგუფის წევრებისათვის აქტუალურ კატეგორიებად იქცევა საერთო დასახელება და ზიარი კულტურა, საერთო წარმომავლობის რწმენა, გარკვეულ ტერიტორიასთან საკუთარი თავის ასოცირება, საერთო ისტორიული მეხსიერება და შიდაჯგუფური სოლიდარობა[9]. შედარება, აღქმა ხდება მხოლოდ საკუთარი კულტურის ღირებულებათა სისტემის საფუძველზე[10] – მნიშვნელოვანია არა მსგავსება, არამედ განსხვავება, არა საერთო, არამედ – სპეციფიური. ამიტომ ეთნიკური ელიტა განსაკუთრებული ძალისხმევით იცავს კულტურულ დივერგენციას[11]. ეთნოსთაშორისი ურთიერთობები იქცევა უნივერსალური ოპოზიციური ტენდენციის „ჩვენ-ისინი“ ფუნქციონირების ძირითად სფეროდ.

ოპოზიცია „ჩვენ-ისინი“ არის ჯგუფთა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სხვადასხვა კონცეფციის ძირითადი ფსიქოლოგიური კომპონენტი[12]. ემპირიულ დონეზე მას გამოიყენებენ მასტრუქტურებელ პრინციპად სტერეოტიპების, ქცევებისა და ღირებულებების, როგორც ეთნიკური თვითშეგნების ან იდენტურობის ელემენტების, კვლევისას. ალტერნატივა „ჩვენ-ისინი“ ეთნიკური სიტუაციების, მოდელების მათ მონაწილეთა დისკურსის ანალიზის საფუძველზე კვლევის მთავარი სტრუქტურული პარამეტრია[13].

სხვებთან როგორც „უცხოებთან“ დამოკიდებულება ნიშნავს, რომ ურთიერთგაგება გარკვეულ ფარგლებშია მოქცეული, რაც ასახავს მსჯელობის, ღირებულებების და ქცევის წესების სხვადასხვაობას. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა შეზღუდულია იმდენად, რომ

არ დაიკარგოს საერთო გაგება და საერთო ინტერესი[14]. გამოხატული ეთნიკური საზღვარი აქვეითებს ტოლერანტობას და ზღუდავს ეთნოსთაშორის ურთიერთობას.

თუ ეთნიკური საზღვრის ფსიქოლოგიური შინაარსი შეივსო ტერიტორიული, კონფესიური და ლინგვისტური ხასიათის მოთხოვნებით, მაშინ იგი მკვეთრ დემარკაციულ ხაზად გადაიქცევა. ეთნოსთაშორისი დამაბულობის ზრდასთან ერთად ეთნიკური საზღვარი თანდათან უფრო გამოკვეთილ სახეს იღებს და ხშირად უფრო რეალური ხდება, ვიდრე ადმინისტრაციული, რადგან ეთნიკურ ერთობათა გამყოფის ფუნქციას რეალურად სწორედ ეთნიკური საზღვარი ასრულებს.

ეთნიკური საზღვარი, როგორც მასტრუქტურებელი (ამგები) პრინციპი, გარკვეულ როლს თამაშობს მეთოდოლოგიურ დონეზე – კოგნიტიურ – ემოციურ წარმონაქმნთა ცნებების გლობალური სისტემების გაერთიანებით, წარმოქმნის ეთნოსთაშორის ურთიერთობათა ფენომენოლოგიურ ველს. მაგ. : რუსულ მეცნიერებაში ცნებების ასეთი გლობალური სისტემაა „ეთნიკური თვითშეგნება“, ხოლო დასავლურში – ფართო კვლევის საგნად ქცეული „ეთნიკური იდენტობა“, „დამოუკიდებელ თვითკონსტრუქტორთა სისტემები“[15], ისინი ყალიბდებიან ეთნიკურ საზღვარზე და მათი მთავარი მეთოდოლოგიური ფუნქციაა ამ საზღვრის აღნიშვნა.

სასაზღვრო ზოლი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორც კონტაქტებისა და შეტევითი თუ თავდაცვითი ხასიათის ნეგატიური სოციალურ-ფსიქოლოგიური ენერგიის ინტენსიური კონცენტრაციის და მამასადამე უდიდესი ფსიქოლოგიური დამაბულობის ზონა. ამ ენერგიის დაგროვება ზრდის ხალხებს შორის ფსიქოლოგიურ დისტანციას და თანაც არათანაბრად – თითოეულ მხარეს ყალიბდება თავისი სასაზღვრო ზოლი, თავისი დისტანცია.

ნეგატიური ენერგიის ძირითადი წყაროა ეთნიკურობის კრიზისული ტრანსფორმაციები. ეთნიკურობა როგორც სოციალური იდენტურობის სახე ანუ ეთნიკური იდენტურობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიეთნიკური საზოგადოების განვითარების კრიზისულ პერიოდებში. ანომია, საზოგადოების არასტაბილურობა „მე“-ს პოტენციალის დაქვეითებას იწვევს. სუსტი და მერყევი „მე“

იგუებს ძლიერი „ჩვენის“ ძიებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნება ცდილობს ზუსტად გაარკვიოს თავისი არსებობის სოციალური და ფსიქოლოგიური საზღვრები. ამიტომ „მეს“ საზღვრებს სცილდება და თავის თავს რომელიმე ჯგუფთან ან ერთობასთან აიგივებს.

პიროვნება ინდივიდუალური საზღვრების გაფართოებით ახალ იდენტურობაში სიმშვიდესა და სტაბილურობას ეძებს. თუ საზოგადოება უძლური აღმოჩნდება, მაშინ ადამიანებს თვითდაჯერებულობას ეთნიკური ჯგუფი აძლევს [16]. ამიტომ ეთნიკურობას თუ ეთნიკურ იდენტურობას განიხილავენ როგორც ძირითად იარაღს, რომელიც ჯგუფს საშუალებას აძლევს, მოხაზოს თავისთვის საიმედო და შესამჩნევი საზღვრები.

ეთნიკურობა ემსახურება შიდაეთნიკურ ინტეგრაციას და ამით იმავდროულად ხელს უწყობს დეზინტეგრაციული ტენდენციების განვითარებას მთლიანად პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. ეთნიკურობა კულტურული განსხვავებულობის ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ეთნიკური საზღვრები უფრო მჭიდრო და ხელოვნური ხდება, როდესაც ჯგუფის ეთნოკულტურულ ვარიაციულობას ცვლის მისი მოთხოვნების წინააღმდეგობრივი ხასიათის ზრდა. ამ დროს ეთნიკური საზღვარი უკვე ეთნიკურ შეტაკებათა ადგილი გახდება და შესაძლოა, თავდაცვითიდან დეზინტეგრაციისა და გაუცხოების იარაღად იქცეს საზოგადოებაში. ჯგუფთაშორისი აღქმის დამარეგულირებელი (მომწესრიგებელი) სოციალურ-პერცეპტიული მექანიზმების საფუძველზე გროვდება ნეგატიური ინფორმაცია, ხდება აღქმის არჩევითობა ეთნოსოციალურ ნიადაგზე, მცირდება შიდაჯგუფური და მატულობს ჯგუფთაშორისი განსხვავება, ხდება ემოციების გენერალიზაცია ეთნიკური კრიტერიუმებით, პასუხისმგებლობას აკისრებენ და ადანაშაულებენ სხვა ჯგუფსა და გარემო პირობებს (შექმნილ მდგომარეობას), ხელახლა აფარებენ კულტურათა სხვაობას. ხოლო თავისი ხალხის ბუნებრივი სიყვარული გადაიზრდება ეთნოეროვნულ (ეთნონაციონალისტურ) პოლიტიკურ დოქტრინაში, რომელსაც მასაც მხარს უჭერს, რადგანაც ეთნიკურობა, როგორც ოპოზიციური პრინციპით ჩამოყალიბებულ სხვა ჯგუფებთან ურთიერთობის ფუნქცია, შესაძლოა იყოს კონფრონტაციული.

მეტისმეტად მზარდი ეთნიკურობა იწვევს ეთნიკური შეუწყნარებლობის გაძლიერებას, რაც კონფრონტაციულობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ჰიპერეთნიკურობის ყველაზე მძლავრი ფაქტორია სხვათაგან გამოყოფის სურვილი. ასეთ შემთხვევაში ეთნიკური საზღვრების ინდიკატორებია ეთნიკური ტოლერანტობის დონე, ეთნიკური იდენტურობის ტრანსფორმაცია, ფსიქოკულტურული დისტანციის სიდიდე, კულტურათაშორისი გაგების საერთო სემანტიკური ზონების შეფასება, ჰიპერეთნიკური და ქსენოფობური რეაქციების ინტენსივობა.

ეთნიკურობას წარსულში აქვს ფესვები, თუნდაც იგი იყოს „აღორძინებული“, „თავსმოხვეული“, რომელიც ძირითადად ეთნოკრატიული პოლიტიკის შედეგია და „ბუნებრივ“ ფაქტორებს ნაკლებად უწევს ანგარიშს [17]. ცნობილია, რომ არეულობისას, როდესაც აწმყო ქაოსურია, ხოლო მომავალი – გაურკვეველი, ხალხი თავის ისტორიას მიმართავს. ადამიანს ისტორიაში, წარსულში ეგუება თავისი ყველაზე საიმედო და ნაცადი ორიენტირები. მაგრამ ისტორიას მხოლოდ მაშინ როდი მიმართავენ, როდესაც აწმყო მოუწყობელია, არამედ მაშინაც, როდესაც რეალური ადამიანის წარმოდგენაში არსებული განაწყენების დამნაშავეს ეძებენ. ისტორიული წარსულის გაცოცხლება აძლიერებს საერთო წარმომავლობის რწმენას, ააქტიურებს წარსულში მიყენებულ წყენასა და უსამართლობას, ამწვავებს სოციალური სტატუსების თანაფარდობის პრობლემას. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ზრდის ისტორიული არგუმენტაციის მნიშვნელობას ხალხების გაყოფის სასარგებლოდ, თუ ადმინისტრაციული არა, კულტურული საზღვრებით მაინც.

ეთნიკურობას, ს. ლურიეს ხატოვანი გამოთქმით, ორმაგი ფსკერი აქვს – ეთნიკური კულტურა, რომელიც მის ფსკერზე ძევს, იყოფა „გარე მოხმარების“ და „შიდა მოხმარების“, სხვათაგან დაფარულ, კულტურად [18]. მ. როსმა ეთნიკური კონფლიქტების ფსიქოკულტურული ინტერპრეტაციის თეორიაში „მესა“ და „სხვებს“ შორის ფუნდამენტურ ორიენტირებად განიხილა ფსიქოკულტურული წინასწარგანწყობები, რომელთაც ფესვები უძველეს გამოცდილებაში აქვთ და შეიცავენ ერთობის შიგნითა და მის გარეთ ურთიერთობის კულტურით გამართლებულ, ნაცად ხერხებს [19].

ეთნიკურობას ადამიანი ემოციურად განიცდის. ერთაშორისი შედარებებისას გამოსჭვივის

ღირსება, სიამაყე, წყენა, დაუკმაყოფილებლობისა და შიშის გრძნობა, რომლებიც ეთნიკურ ერთობასთან ემოციურ კავშირს და მის მიმართ მორალურ ვალდებულებებს, რომლებიც პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება. ინფორმაციის ნაკლებობა და ემოციური იმპერატივები გავლენას ახდენს აღქმაზე და გარკვეულწილად ხსნიან მხარეთა ირაციონალურ მოქმედებას ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების დროს. კ. სტერნის აზრით, ემოციებისა და მორალური ნორმების ნაერთი არის სწორედ ის ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც აიძულებს

ადამიანებს მსხვერპლი აიღოს თავისი ხალხის სასარგებლოდ [20]. ნეგატიური ხატი, ღრმა შიში, ურთიერთ უნდობლობა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, შელახული ღირსება – ეს ის ემოციური ნაზავია, რომელიც ამყარებს „სოციალური“, „კულტურული“, „პოლიტიკური“ აგურით ნაშენებ ეთნიკურ საზღვარს.

სწორედ ამგვარი სპეციფიკის გამო ეთნიკურობა მეტად მწვავედ აღიქვამს ხალხთა შორის ურთიერთობისას პოლიტიკური კლიმატის ცვლილებას; მისი გააქტიურება იწვევს ეთნოსთაშორის დაძაბულობის ზრდას და პოლიტიკური საზოგადოების დეზინტეგრაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1 Ethnic groups and Boundaries, The Social Organization of Culture Differences., F. Bart, eol Bergen, London Universitets Forladet/Allen the Unwin, 1969.
- 2 Кушнер П. И. Этнические территории и этнические границы. М., 1951, ст. 38
- 3 Furnham F., Bochner C. Culture Shock ? : Psychological reactions to unfamiliar environments. 1986.
- 4 Лебедева Н. М. Социальная психология этнических миграций. М. 1993.
- 5 Бахтин М. М. Вопросы литературы и эстетики. М., 1975, ст. 25.
- 6 Barth F. Introduction//Ethnic Groups and Boundaries: the Social Organizations of Culture Difference/Ed. by F. Barth. Universitetsforlaget, Oslo, 1969, p. 15-17.
- 7 Тишков В. А. О феномене этничности// Очерки теории и политики этничности в России. М., 1997. ст. 64.
- 8 Barth F. Introduction//Ethnic Groups and Boundaries: the Social Organizations of Culture Difference/Ed. by F. Barth. Universitetsforlaget, Oslo, 1969, p. 15.
- 9 Абдулатипов Р. Г. Национальный вопрос и государственное устройство России, М., 2000.
- 10 Narol R. Cohen R. A. A handbook of method in cultural anthropology, N. Y. Colombia University Press, 1970.
- 11 Тишков В. А. О феномене этничности// Очерки теории и политики этничности в России. М., 1997. ст. 65.
- 12 Бромлей Ю. В. Очерки теории этноса. Портнев Б. Ф. Социальная психология и история. М., 1966.
- 13 Van Dijk T. Cognitive situation models in discourse production//Language and Social Situations. N. Y. : Spriger Verlag Inc., 1985. p. 61-75.

- 14 Barth F. Introduction//Ethnic Groups and Boundaries: the Social Organizations of Culture Difference/Ed. by F. Barth. Universitetsforlaget, Oslo, 1969, p. 15.
- 15 Markus H., Kitayama S. Culture and the self: implications for cognition, emotion and motivation//Psychological Review, 1991, 98(2), p. 224-253.
- 16 Hobsbaum E. J. Ethnicity and Nationalism in Europe Today//Anthropology Today. 1992. vol. 8. #1.
- 17 Ерасов, Б. С. Этническое-Национальное-Цивилизационное в пространстве Евразии // Цивилизации и культуры. М., 1995, Вып. 2. ст. 81-104.
- 18 Лурье С. Метаморфозы традиционного сознания. Санкт-Петербург. 1994.
- 19 Ross M. H. Psychocultural Interpretation Theory and Peacemaking in Ethnic Conflicts//Political Psychology. Vol. 16. #3. September 1995. p. 523-545.
- 20 Stern P. C. Why Do People Sacrifice for their Nations?//Political Psychology. 1995. vol. 16. #2. p. 217-235.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ბავშვთა სპოხის ჯიბი სახითვლო

ვაჟა ვუშლაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს
პარლამენტის სპორტის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე

რეზიუმე

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა, განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ერთად, შეისწავლა რა ბავშვთა ფიზიკური და სპორტში არსებული პრობლემები, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით შეიმუშავა დოკუმენტი „საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ერთიანი ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვან და სასიკეთო ძვრებს გამოიწვევს ქვეყნის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

ადრეული ასაკიდანვე ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი, სწორედ სპორტული აქტივობა და ჯანსაღი ცხოვრების წესია. როგორც ქართული სპორტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გიორგი ნიკოლაძე ამბობდა: „ბავშვთა აღზრდა დიდი ტვირთია, რაც შეიძლება შევადაროთ ურემს, რომელსაც ეზიდება ორი ხარი – სულიერი და ფიზიკური აღზრდისა და ერთ-ერთი მათგანის გამოკლება სრულიად დაუშვებელია.“

ახალგაზრდების ფართოდ ჩაბმა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და სოციალურ ინტეგრაციას ასევე, მნიშვნელოვნად ამცირებს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. სპორტი ზრდის თავდაჯერებულობის ხარისხს და განამტკიცებს ისეთ პოზიტიურ ღირებულებებს, როგორცაა: სამართლიანი თამაში, გუნდური მუშაობა, ურთიერთდახმარება, შინაგანი დისციპლინა, ერთობლივი ქმედების დაგეგმვა, პასუხისმგებლებების განაწილება და ლიდერობა, არამალადობრივი ურთიერთქმედება, კოლეგიალობა, ურთიერთგაგება.

სპორტი ავითარებს დამოუკიდებელ და მიზანსწრაფულ პიროვნებას, ზრდის მოზარდის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, შეგნებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში დემოკრატიული და თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სწორედ სკოლებში სპორტის მასობრივად დანერგვის საქმეს ემსახურება კიდევ ზემოაღნიშნული სტრატეგია. იგი რეალური მცდელობაა საქართველოს სკოლების გადაყვანისა ამ დარგში ძველი საბჭოური სისტემიდან ახალ ევროპულ ყაიდაზე.

გთავაზობთ კვლევით ნაწილს – ბავშვთა სპორტის პრობლემები საქართველოში.

კვლევის მნიშვნელობა

ათწლეულების განმავლობაში საქართველოში განათლების სისტემა დაფინანსების ნაკლებობას განიცდიდა. სკოლების რეაბილიტაციის პროგრამების არ არსებობამ გამოიწვია სკოლის ინფრასტრუქტურის დაზიანება. ეს განსაკუთრებით აისახა სპორტული მოედნებისა და დარბაზების მდგომარეობაზე. დროთა განმავლობაში სკოლებში შეიქმნა სპორტული ინვენტარის მწვავე დეფიციტი. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარებაზე ბევრმა სკოლამ თქვა უარი და დაიწყო მისი სხვა საგნებით ჩანაცვლება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსწავლეებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები არ იწვევდა მოტივაციას და არ უბიძგებდა მათ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისაკენ. მოსწავლეები დარჩნენ ფიზიკური აღზრდის შესაძლებლობების გარეშე. ფიზიკური ვარჯიშის, სპორტში ჩაბმულობის ნაკლებობამ, პასიური ცხოვრების სტილმა იმოქმედა ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სპორტული ფედერაციები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ სკოლების მიმართ. არ ხდებოდა მოსწავლეთა დაინტერესება სპორტით. ეს კი მწვავედ აისახა საქართველოში სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარებაზეც.

მიუხედავად იმისა, რომ დაიწერა სასწავლო გეგმა და შეიქმნა სახელმძღვანელოები I-IV კლასის მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები წარუმატებელი აღმოჩნდა. დაწყებით კლასებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს ძირითადად დამრიგებლები ატარებდნენ, რომლებიც არ იყვნენ ამ საგნის სპეციალისტები.

მაღალ კლასებში კი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები უგულველყოფილი იყო სკოლის დირექციისა და მოსწავლეების მიერ. მშობლები არ ამახვილებდნენ ყურადღებას ამ საგნის აუცილებლობაზე და არ აცხადებდნენ პრეტენზიას, როდესაც მათ შვილებს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი არ უტარდებოდათ. ამ საგნის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ვერ შეცვალა ფიზიკურ აღზრდაში შექმნილმა ახალმა სასწავლო გეგმამ.

ზოგადი მონაცემები

2009-2010 სასწავლო წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 2179 სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. სწავლების საფეხურების მიხედვით სკოლების რაოდენობა შემდეგნაირადაა განაწილებული:

- დაწყებითი (I –VI კლასები) – 11 (0. 5%);
- დაწყებითი-საბაზო (I –IX კლასები) – 448 (20. 6%);
- საბაზო-საშუალო (VII –XII კლასები) – 3 (0. 01%);
- საშუალო (X –XII კლასები) – 2 (0. 01%);
- დაწყებითი-საბაზო-საშუალო (I –XII კლასები) – 1715 (78. 7%).

საქართველოს მასშტაბით, მოსწავლეთა რაოდენობა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეადგენს 576803; მათ შორის გოგონები – 276822 (48. 0%), ბიჭები – 299981 (52. 0%).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ შექმნილი კომისიის საქმიანობის ფარგლებში, 2010 წლის მაის-ივნისში ორიგინალური ანკეტის მეშვეობით შესრულდა კვლევა. ანკეტა დაგზავნილი იყო საქართველოს ყველა რესურს-ცენტრში, რომლებმაც მონაცემები შეაგროვეს უშუალოდ სკოლებთან მუშაობით. არსებული 2179 სკოლიდან მხოლოდ 14 სკოლის მონაცემები არ იქნა მიღებული (შედის სკოლები, რომლებიც ფუნქციონირებენ სხვა სკოლების ბაზაზე.). პირველადი მონაცემები შემოსულია 2165 სკოლიდან, რაც სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საერთო რაოდენობის – 2179 – 99.3% შეადგენს. ამდენად, ჩატარებული კვლევა სავსებით რეპრეზენტულად შეიძლება ჩავთვალოთ.

კვლევამ გამოავლინა, რომ შესწავლილი სკოლების 2165 სკოლას (98. 1%) (2124 სკოლა) გააჩნია ეზო; ეზო მხოლოდ 41 (1. 89%) სკოლას არა აქვს. შემდგომში დასადგენია სკოლის ეზოს სამართლებრივი სტატუსი, ანუ შესაბამისი მიწის ნაკვეთის საკადასტრო დოკუმენტაციის არსებობა. ღია სპორტული მოედანი აქვს 1680 სკოლას (77. 6%); ამგვარი არ გააჩნია სკოლების მეხუთედზე მეტს – 485 სკოლას (22. 4%). სპორტული დარბაზი

აქვს 1425 სკოლას (65.8%); არა აქვს 740 (34.2%) სკოლას. ცუდი მდგომარეობაა საცურაო აუზების არსებობის თვალსაზრისით. სულ 181 სკოლამ (8.4%) დაადასტურა საცურაო აუზის არსებობა; მათ შორის 42 არის დახურული. რაც შეეხება აუზების ფუნქციონირებას, მოქმედებს სულ 9 აუზი, 172 კი უქმია. არადაამაკმაყოფილებელია ფიზიკური განათლებისა და სპორტის მასწავლებელთა კორპუსის მაჩვენებელიც: 4176 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს 3355 (80.3%); ამასთან ფიზიკური აღზრდის სპეციალისტია 1637 (მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 39.2%). სამედიცინო პერსონალი არის 546 სკოლის სამტატო განრიგში (25.4%); მათ შორის 80 სკოლას ჰყავს ექიმი, 435 – ექთანი, 31 – ექიმი და ექთანი.

საერთოდ, სტრატეგიის, ან სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისას, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული მდგომარეობის შესწავლა-ანალიზს და შესწავლილი საგნის სუსტი და ძლიერი მხარეების კვლევას, რათა სამომავლოდ მაქსიმალურად შემცირდეს სუსტი მხარეების, ანუ შემაფერხებელი ფაქტორების ზემოქმედების არეალი და გაიზარდოს ძლიერი მხარეების მოქმედების ფაქტორი.

ანალოგიური მიდგომებია გამოყენებული ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამუშავების დროს. შემაფერხებელი ფაქტორების კვლევის პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა 10 მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც მკვეთრად გააუარესა ბავშვთა სპორტში არსებული მდგომარეობა. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1. სპორტული სკოლები

განათლების რეფორმამდე საქართველოში მოქმედებდა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა, რომლის ძირითადი დასაყრდენი იყო განათლების სფეროს სპორტული სკოლების საკუთარი ქსელი. მოსწავლეთა სპორტში მასობრივად ჩაბმის საქმეს ემსახურებოდა მთელი სისტემა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს. ისინი იყვნენ რამდენიმე ტიპის: კომპლექსური, სპეციალიზებული, ოლიმპიური რეზერვის, სპორტული პროფილის სკოლა ინტერნატები

და იგივე პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სადაც საერთო საგნების სწავლებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში გაძლიერებულ მეცადინეობას (საფეხბურთო, საკალბურთო, ჭიდაობების, ჭადრაკის და სხვა.)

მას შემდეგ, რაც განათლების რეფორმის შედეგად, ამ რეფორმის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ ყოველივე ეს განათლების სისტემის საქმე არ იყო, – გაუქმებულ იქნა ბავშვთა და მოზარდთა 162 სპორტული სკოლა, ათასობით მწვრთნელი, სპორტის მუშაკი, 60 ათასი სპორტში აქტიურად მონაწილე ბავშვი (მათ შორის 14 ათასამდე გოგონა) აღმოჩნდა ქუჩაში. დღეისათვის მდგომარეობა ამკარად გაუმჯობესებულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემის სპორტსკოლების ქსელის გაუქმებამ, მკვეთრად გააუარესა ბავშვთა და მოზარდთა სპორტში მასობრივად მონაწილეობის არსებული მდგომარეობა ქვეყანაში.

2. სპორტული საზოგადოება

საქართველოს მოსწავლეთა რეფორმამდე სპორტულ ცხოვრებაში, განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა ბავშვთა სპორტულ საზოგადოება „მართვეს“, რომელიც ორგანიზებას უწყევდა სპორტული შეჯიბრების სისტემას ბავშვებში, გააჩნდა თავისი ყოველწლიური სპორტული კალენდარი და საკუთარი, საკმაოდ ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სპორტული მოედნები და დარბაზები, საცურაო აუზები, სპეციალური ტექნიკური ბაზები, ინვენტარი და სხვა).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსაზოგადოება „მართვე“, ბოლო პერიოდში უკვე წარმოადგენდა საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ მძლავრ უწყებრივ სპორტულ ორგანიზაციას, რომელიც ჩამოყალიბდა ორი სპორტსაზოგადოების – თავად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სპორტსაზოგადოება „მართვესა“ და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მოსწავლეთა სპორტული საზოგადოების „შრომითი რეზერვების“ შერწყმის შედეგად.

მას შემდეგ, რაც განათლების სისტემაში გაუქმდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები,

სპორტულმა საზოგადოება „მართვემ“ დაკარგა ფუნქცია და გაუქმდა აქედან გამომდინარე შესაბამისი შედეგებით.

3. მატერიალური ბაზა

საქართველოში ბავშვთა და მოზარდთა სპორტში მასობრივად ჩაბმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია სკოლების და ზოგადად ბავშვთა სპორტის სპორტული ბაზებითა და ინვენტარით უზრუნველყოფის მწვავე ნაკლებობა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2009 წლის მდგომარეობით თვითშეფასების კითხვარით მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, 2179 საჯარო სკოლიდან 1569 სკოლას გააჩნია რაიმენაირი სპორტული დარბაზი (აქ მხედველობაშია მიღებული არა მხოლოდ სტანდარტული სპორტული დარბაზები, არამედ ოთახები და სათავსოებიც, რომლებსაც იყენებენ ფიზაღზრდის გაკვეთილის ჩასატარებლად). 600-ზე მეტ საჯარო სკოლას საერთოდ არ გააჩნია არავითარი სათავსო, სადაც შეიძლებოდა ჩატარებულიყო ფიზაღზრდის გაკვეთილი.

საქართველოში არსებული 2179 საჯარო სკოლიდან (აქ არ არის გათვალისწინებული ის სკოლები, რომლებიც იმყოფებიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე) მხოლოდ 434-ს, ანუ 20%-ს გააჩნია სათანადო პირობები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით. სკოლების გარდა, სპორტული ინფრასტრუქტურის საკითხები მოსაწესრიგებელია ადგილობრივ, რაიონულ და საქალაქო დონეზე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებს დაკავდნენ სპორტული ცხოვრებით სკოლის გაკვეთილების შემდეგაც.

4. საშეჯიბრო სისტემა

სკოლებში ბავშვთა და მოზარდთა სპორტის ორგანიზებისათვის აუცილებელია საშეჯიბრო სისტემა. საქართველოში ბავშვთა სპორტის ძველებურ მოწყობაში ასეთი სისტემის როლს ასრულებდა სასკოლო სპარტაკიადები, რომლებიც ტარდებოდა ყოველწლიურად სპორტის 40-მდე სახეობაში და მის განსაკუთრებულ ხიბლს წარმოადგენდა ის, რომ მასში ჩაბმული იყო ყველა

კლასი (შიდა სასკოლო სპარტაკიადები), ყველა სკოლა (რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები) და ფინალური სპარტაკიადა, სადაც ვლინდებოდა ქვეყნის ამა თუ იმ წლის ჩემპიონები მოსწავლეთა შორის და კომპლექტდებოდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდები სპორტის ყველა კულტივირებულ სახეობაში.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ძველი სისტემის გაუქმების შემდეგ, როდესაც სკოლებისთვის ახალი არაფერი შეუთავაზებიათ, მივიღეთ უსისტემობა და ქაოსი.

5. პროფესიული კადრები

ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის შემაფერხებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია-კადრები.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასპორტო განათლების სისტემა მოიშ ალა მას შემდეგ, რაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია. ამას წინ უძღოდა ასევე ერთადერთი პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის მიღევად რეჟიმში გადაყვანა და შემდგომში გაუქმება. ხოლო მანამდე საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, (ბათუმის, ქუთაისის, გორის და თელავის უნივერსიტეტებში) შესაბამისი ფაკულტეტების გაუქმება, რომ აღარაფერი ვთქვათ სპორტულ კლუბებსა თუ ფიზაღზრდის კათედრებზე.

ფიზიკური განათლებისა და სპორტის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება წარმოუდგენელია საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ზოგადთეორიული, მედიკო-ბიოლოგიური და სპორტულ-პედაგოგიური დისციპლინების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის გარეშე.

6. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები

წლების მანძილზე, მოსწავლეთა ფიზაღზრდისადმი მეორეხარისხოვანმა დამოკიდებულებამ, სერიოზულად დასცა და დააკნინა ფიზიკულტურის გაკვეთილების როლი და მნიშვნელობა.

2010-2011 სასწავლო წლის გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად,

ფიზ-აღზრდის გაკვეთილები ჩანაცვლდა სპორტის გაკვეთილებით, მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის და სპორტის სახეობათა გზამკვლევი სპორტის 26 სახეობის სწავლების დეტალური აღწერით.

7. სპორტული ნაგებობების ხელმისაწვდომობა
ბავშვთა სპორტის მასობრიობის განვითარების ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია, მათთვის სპორტული ნაგებობების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლების სპორტული დარბაზები და მოედნები ხელმისაწვდომი გახდეს მოსწავლეებისთვის გაკვეთილების შემდგომაც, რისთვისაც სათანადო ინსტრუმენტები უნდა იქნეს მოფიქრებული.

დღეისათვის საქართველოში ბავშვებისა და მოზარდებისთვის სპორტული ნაგებობებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა მკვეთრად შეზღუდულია და საჭიროა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება ქვეყნის სპორტისა და განათლების მესვეურთა მხრიდან.

8. სამედიცინო უზრუნველყოფა

ფიზიკური აღზრდის ძველი სისტემის მომლამ და 2001 წლის 1 სექტემბრიდან სკოლებში სამედიცინო პერსონალის გაუქმებამ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე. 18 წლამდე ასაკის მოზარდებში იმატა სხვადასხვა დაავადებებმა, როგორცაა: სკოლიოზი, გულსისხლძარღვთა, ნერვული, საჭმლის მომნელებელი, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების და სხვა სისტემების ფუნქციურმა და ორგანულმა დარღვევებმა.

საქართველოში 15 წლის წინათ ფუნქციონირებდა ბავშვთა რესპუბლიკური და ქალაქ თბილისის საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები, რომელთა გაუქმებამაც ასევე ხელი შეუშალა მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის საქმეს.

9. ბავშვთა სპორტის მოწყობის უსისტემობა
ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად ითვლება ის

გარემოება, რომ განათლებაში არ არსებობს რაიმე სისტემა, რომლის მიხედვითაც შეიძლება რეგულირდებოდეს ზემოაღნიშნული საკითხი.

სწორედ განათლების რეფორმის შედეგად წარმოქმნილი ამ ვაკუუმის ამოვსებას ისახავს მიზნად ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი მიღება სახელმწიფოს მიერ სახელმძღვანელოდ და შემდგომში დანერგვა სკოლებში, დასავლეთის ქვეყნებში არსებული სისტემის გათვალისწინებით.

10. სპორტის მასობრიობაზე პასუხისმგებელი რგოლის არარსებობა

საქართველოში ბავშვთა სპორტის მასობრიობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესწავლა გვაჩვენებს, რომ მისი განვითარების ერთ-ერთი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია, ქვეყანაში სპორტის მასობრიობაზე პასუხისმგებელი რგოლის არარსებობა, არადა სწორედ მასობრიობა უნდა იყოს ქვეყნის ხელისუფლების სპორტზე ზრუნვის თვალსაჩინო გამოვლინება.

დავიწყოთ იმით, რომ სპორტის მართვის უფლებამოსილი აღმასრულებელი ორგანოს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სისტემაში არ არის პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხს აგებს სპორტის განვითარების ამ ნაწილზე, მის მასობრიობაზე. ალბათ ამ გარემოებითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ სპორტისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მხოლოდ 16% იხარჯება მასობრიობაზე და 84% უმაღლესი სპორტის მიღწევებზე. ნაკლებად არის გამოყენებული ამ თვალსაზრისით პროგრამული დაფინანსებაც.

საყურადღებოა ისიც, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატში არ არსებობს რაიმე რგოლი, რომელიც უხელმძღვანელებდა დარგში მოსწავლეთა შორის ფიზაღზრდისა და სპორტის პროცესს, განათლების 68 მოქმედ რესურსცენტრში არ არის ერთი თანამშრომელიც კი, რომელიც რაიონულ ან საქალაქო დონეზე გააკონტროლებდა საგნის სწავლებას და ორგანიზაციას გაუწევდა ფიზაღზრდისა და სპორტის პროცესს.

გათვავობით ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხუთ ძლიერ მხარეს:

1. სახელმწიფოს პოლიტიკური ნება

საქართველოში ფიზიკური განათლებისა და სპორტის განვითარების მხარდაჭერა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

“სპორტი ძალიან მნიშვნელოვანია ბევრი მომენტის გამო. პირველ ყოვლისა, სპორტი ეროვნული სიამაყეა, ეროვნული სულისკვეთება, პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი. ერი ვერ იქნება ბრძოლისუნარიანი და ვერ ექნება ღირსების გრძობა, თუ ფიზიკური წარმატებები არა აქვს. სპორტი, ესაა ეროვნული აღორძინების და ქვეყნის ფეხზე დაყენების ერთ-ერთი პირობა. ამისათვის საჭიროა მასობრიობა. შედეგს ყველა სახეობა იძლევა, თუ ის მასობრივია“ აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი – მიხეილ სააკაშვილი.

ქვეყნის კონსტიტუციაში 2004 წელს შეტანილი ცვლილების შემდეგ, სპორტის სფეროს, ნაცვლად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა, მართავს სამინისტრო, დღეისათვის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

ეროვნულ დონეზე ქვეყნის ხელისუფლების მიერ ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმის შესაბამისად გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს პარლამენტში ადრე არარსებული – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის და სპორტის ექსპერტთა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნა.

საქართველოს პრეზიდენტი გამივიდა ინიციატივით საჯარო სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლასთან დაკავშირებით. ინიციატივა ითვალისწინებს მოზარდებში სპორტის პოპულარიზაციას, მოსწავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცებას და სპორტულ შეჯიბრებებში მათი ჩართულობის გაზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და სხვ.

ყოველივე ზემო აღნიშნული და სახელმწიფოს მხრიდან მრავალი სხვა ინიციატივა, ანუ ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნების

გათვალისწინება, გვაძლევს საფუძველს დასკვნისათვის: საქართველოში დღეისათვის არსებობს უმაღლეს ხელისუფალთა პოლიტიკური ნება შეიქმნას ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლებისა და სპორტში მათი მასობრივი ჩაბმის ახალი სისტემა და რომ ამ საკითხისადმი ხელშეწყობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

2. ქვეყნის სპორტული ტრადიციები

სპორტული ტრადიციები ის ძლიერი მხარეა, რომელიც გამჯდარია საქართველოს თითოეული მოქალაქის ცნობიერებაში. ქართული სპორტის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიის ნაწილია და სათავეს, ბუნებრივია, მის წიაღშივე იღებს. ცნობილია, რომ ქართველური ტომებისთვის ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ სპორტი სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. უფრო ადრე, დაახლოებით 3500 წლის წინათ, ჭიდაობა, ქართული ზეპირსიტყვიერების უძველეს ძეგლში „ამირანიანშია“ მოხსენებული. ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაწარმოებები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში გავრცელებულ სპორტის სახეობებზე. სპორტული თემატიკა სხვადასხვა დოზით წარმოდგენილია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“, სულხან-საბა ორბელიანის ენციკლოპედიურ ლექსიკონში და სხვ. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე სპორტისადმი ინტერესის ზრდის კვალდაკვალ ჩნდება სპორტული ბაზები, ყალიბდება სპორტული გუნდები და საზოგადოებები, მოგვიანებით იწყება მონაწილეობა სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საქართველოში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან დაწყებული და შემდგომ 1990 წლიდან – ქვეყნის ისტორიაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პერიოდში, იწყება ჩვენი ოლიმპიური მოძრაობის ისტორია. მართო მშრალი სტატისტიკაც კი მრავლისმეტყველია: 1952 წლიდან (პელსინკი) – 2008 წლის ჩათვლით (პეკინი) ოლიმპიადებზე სპორტის 20 სახეობაში საქართველოდან მონაწილეობდა 224 სპორტსმენი. მათ მოიპოვეს 111 მედალი, აქედან 36 ოქროსი, 25 ვერცხლისა

